# მნათობი

114/2
1934

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 11-12

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ს. მ. კიროვის ხსოვნას

ლ ე ქ ს ე ბ ი

გალაკტიონ ტაბიძე
ალ. აბაშელი
შალვა აფხაიძე
ნ. ზომლეთელი
ვასო გორგაძე
გ. კაჭახიძე
ლონგფელლო

პ რ ო ზ ა

ვასილ ბარნოვი
შალვა დადიანი
რაჟდენ გვეტაძე
კ. გამსახურდია
ს. ჩანბა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

თ. სახოკია
[illegible]

[illegible] არქივი

[illegible]
ვალია ბახტაძე
მ. ჯავახიშვილი
ვ. გორგაძე
ა. ანტონოვსკაია

„მნათობის“ ათი წლის თავი

ლ. რუხაძე
სანდრო ეული

159

1 9 3 4

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

11-12

წელიწადი მეთერთმეტე

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელგამი 1934 ტფილისი

პ./მგ. რედაქტორი: **გიორგი ყურულაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია:**
ირაკლი აბაშიძე
ნოე ზომლეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
გრ. მუშიშვილი
შალვა რადიანი
გალაქტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლეო ქიაჩელი
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დემნა შენგელაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 3—55—25.
კანტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

სახელგამის პირველი სტამბა, პლეხანოვის პროსპექტი № 91.

მთავლ. რწმუნ. № ა—2162. შეკვ. № 784. ტირაჟი 4500.



ს. მ. კიროვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ს. მ. კიროვის ხსოვნას

ჩვენს პარტიას დიდი უბედურება დაატყდა თავს: პირველ დეკემბერს კლასობრივი მტრების მიერ მოგზავნილი ვერაგი მკვლელის ხელით დაიღუპა **ამხანაგი კიროვი.** არა მარტო ჩვენთვის — მისი ახლობელი მეგობრებისა და ამხანაგებისათვის, არამედ ყველა იმათთვისაც, ვინც იცნობდა მას რევოლუციური მუშაობით, იცნობდა მას როგორც მებრძოლს, ამხანაგს და მეგობარს, კიროვის სიკვდილი წარმოადგენს ისეთ დანაკლისს, რომლის ანაზღაურება არაფრით არ შეიძლება. მტრის ხელით დაიღუპა ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი მკვეთრი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასის საქმეს, კომუნიზმის საქმეს, კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს.

ამხანაგი კიროვი წარმოადგენდა ისეთი ბოლშევიკის ნიმუშს, რომელმაც არ იცოდა შიში და სიძნელეები პარტიის მიერ დასახული უდიდესი მიზნის მიღწევაში. მისი პირდაპირობა, რკინისებური სიმტკიცე, რევოლუციის ალფრთოვანებული ტრიბუნის განსაცვიფრებელი თვისებანი თავსდებოდენ მასში იმ გულითადობასა და სინაზესთან პირად ამხანაგურ და მეგობრულ ურთიერთობაში, იმ შუქმფენ სითბოსთან და თავაზიანობასთან, რომლებიც სჩვევია ნამდვილ ლენინელს.

ამხანაგი კიროვი მუშაობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილებში, არალეგალობის ხანაშიც და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც ტომსკსა და ასტრახანში, კავკავსა და ბაქოში — და მას ყველგან მაღლა ეჭირა პარტიის დროშა და რევოლუციონერის დაუღალავი ენერგიით და ნაყოფიერი მუშაობით პარტიის საქმისათვის იპყრობდა მშრომელთა მილიონებს.

უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში ამხანაგი კიროვი ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტიის ორგანიზაციას ლენინის ქალაქში და ლენინგრადის ოლქში. მოკლე სამგლოვიარო

წერილში შეუძლებელია იმ მოღვაწეობის შეფასება, რომელსაც ეწეოდა იგი ლენინგრადის მშრომელებს შორის. ძნელი იყო ჩვენს პარტიაში უფრო შესაფერისი ხელმძღვანელის გამონახვა ლენინგრადის მუშათა კლასისათვის, რომელმაც ასე მოხერხებულად შეადუღა პარტიის გარშემო ყველა პარტიელი და მთელი მუშათა კლასი მთელ ლენინგრადის ორგანიზაციაში. მან შექმნა იმ დისციპლინის, რევოლუციის საქმისადმი სიყვარულის და ერთგულების ბოლშევიკური ორგანიზებულობის ატმოსფერა, რომლითაც თვითონ ამხანაგი კიროვი ხასიათდებოდა.

შენ ახლობელი იყავი ყველა ჩვენთვის ამხანაგო კიროვ, როგორც გულწრფელი მეგობარი, საყვარელი ამხანაგი, საიმედო თანამებრძოლი. ჩვენი სიცოცხლის და ბრძოლის უკანასკნელ დღეებამდე მოგიგონებთ შენ, ძვირფასო მეგობარო, და ვიგრძნობთ ჩვენი დანაკლისის სიმწარეს. შენ მუდამ ჩვენთან იყავი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მძიმე ბრძოლების წლებში, შენ მუდამ ჩვენთან იყავი ჩვენი პარტიის შიგნით მერყეობის და სიძნელეების წლებში, შენ ჩვენთან ერთად გადაიტანე უკანასკნელი წლების სიძნელეები და დაგკარგეთ შენ იმ მომენტში, როცა ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია. ყველა ამ ბრძოლაში, ყველა ჩვენს მიღწევაში ბევრია შენი წილი, ბევრია შენი ენერგია, ძალა და მხურვალე სიყვარული კომუნიზმის საქმისადმი.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო სერგეი!

ი. სტალინი.
ს. ორჯონიკიძე.
ვ. მოლოტოვი.
კ. ვოროშილოვი.
მ. კალინინი.
ლ. კაგანოვიჩი.
ა. მიქოიანი.
ა. ანდრეევი.
ვ. ჩუბარი.
ა. ჟდანოვი.
ვ. კუიბიშევი.
ი. რუძუტაკი.
ს. კოსიორი.
პ. პოსტიშევი.
გ. პეტროვსკი.
ა. ენუქიძე.
მ. შკირიატოვი.
ემ. იაროსლავსკი.
ნ. ეჟოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

# 10 ნელი

## მსოფლიო, გენიალური ჰარმონიისათვის

ეს რა სინათლეს მნათობი ისვრის.
რა შუქთა სვეტი,
რომელი მთიდან სიმღერა იძვრის
და ცეცხლის წვეთი?

ეს რა მზიანი კვამლი მოედო
ჰანგებს რგოლებად,
თუ შენს სიმღერას და სისხლს, პოეტო,
სძლევს დაბრკოლება?

მაგრამ ბრწყინვალე ხმა ამოენთო
და მოიჟღერა
ეს სიმღერაა შენი, პოეტო,
ბრძოლის სიმღერა.

იმღერე — როგორ ამოენათა
მზეთ რტოვანება,
როგორ ავარდა ოკეანეთა
ახმოვანება.

მსოფლიოს ხმათა ყველა ხვეული
იძროდეს მარად —
ერთ მთლიან ჰიმნად გადაქცეული,
ერთ მთლიან ქნარად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიმნად, რომელიც დღეს ალტაცებულ
ხმით იზეპირებს,
იმ საარაკო ომში დაცემულ
და ცოცხალ გმირებს.

მათ ხომ მარადისს, უკვდავ შინაარსს
დიადათ მწვავე
და გენიალურ ჰარმონიის აზრს
შესწირეს თავი!

მათი გზა, რათაც არ უნდა ღირდეს
ჩვენი ღონეა —
ის ჰარმონია უნდა დამკვიდრდეს,
ის ჰარმონია!

და ჩვენი დროშაც, ქარითა თუ მზით
რაც ემართება —
იმ დიდებულად მოელვარე გზით
მიემართება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. აბაშელი

# სიმღერა

ვაკარი

მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი.
ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა.

ზამთარმა მთების კალთები
დიდხანს აწვალა, აწუხა,
კლდიანი ხევი დაკეტა,
ყინულით დაამარწუხა.
მაგრამ მოვიდა აპრილი,
სალამი გადმოაქუხა,
ცაში ნახვეტი ბაჯაღლო
ლაჟვარდის ქვაბში ადუღა,
დააპირქვევა მიწაზე, —
დაცვივდა ოქროს თავთუხად.
მიდი და კრიფე ყვავილი,
სიამისათვის მზა თუ ხარ.

* *

მთებზე შემოსხდენ ღრუბელნი,
გამთბარნი ცხელის სხივითა.
მიწამ სვა თბილი ჰაერი,
წინათ ნათოშმა ცივითა.
გაიხსნა შუქის უფსკრული,
შიგ სიხარულით ვცვივითა.
თავზე დაგვემხო ივნისი
კოკისპირულის წვიმითა.
ჰუშვი მოვრკალე თასივით,
სიცოცხლის ჩქერი ვსვი მითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

დილა გადმოდგა გორაზე
ქარვისფერ სამოსელითა.
კალთა სავსე აქვს ლალითა,
მიწაზე დასალვრელითა.
გადაიფარჩა მთა-ბარი
ოქროს ძაფების ქსელითა.
ტყემ გადივარცხნა კოჩორი
სხივების სავარცხელითა.
მოლიან ფერდობს ავყვები,
დაცვარულს ღამის ცრემლითა.
მესმის წივილი რკინისა, —
ბალახსა სთიბვენ ცელითა.
მომედინება სურნელი
ახლად ნათიბის ველითა.
გადვივლი ხევებს კლდოვანსა,
გადასასვლელით ძნელითა.
შუბლს გავიგრილებ წყაროსთან
იფნის ფოთოლით სველითა.
გადავადგები იალალს
ბილიკით ძველისძველითა,
დამიხვდებიან მწყემსები
ძროხის რძითა და ყველითა.

* *

ცაში გამოჩნდენ უეცრად
ღრუბელთა შავი გედები,
ზეცა დაკაფეს ელვითა,
დაგრიხეს ცეცხლის სვეტები,
დაუშვეს გრგვინვა-ქუხილით
წვიმის კრიალა წვეთები,
ჩარეცხეს, ჩააზიმზიმეს
აყვავებული ფერდები.
წვიმით დაბანილ ქვეყანას
სიამით შევაცქერდები.
მეალერსება ნიავი,
დამღუღუნებენ ქედნები.
საღამოს სანთლებს ანთებენ
ფშავ-ხევსურეთის ქედები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

გაუფანტიათ ნისლები,
ფიქრებად შემოსეული.
დამშვიდებულან გონებით,
დაუწყნარებავ სხეული.
თითქოს მღერიან თავისთვის,
ამაყად თავაწეული.
ყურს ვუგდებ, — მესმის ნაცნობი
სიმღერა ვაჟასეული.
ჭიუხთ დაეცა ვარსკვლავი,
ზეციდან გადმოსრეული.
ციური შუქით განათდა
კლდეები ჩამორღვეული, —
ჯიხვის და ირმის სავანე,
ვაჟას ლექსების რვეული.

* *

მოგესალმებით, ქედებო,
ნაკურთხნო ვაჟას კალმითა,
მბრწყინავნო ვაჟას ლექსების
ელვამოსილის ალმითა.
ზამთარ თავჩაჩქნიანებო.
ზაფხულ მოსილნო მწვანითა,
თოვლ-ყინვით შეულახავნო,
მოუდრეკელნო ხანითა,
ცად აზიდულნო მხარ-ბეჭით,
ქვესკნელს დაფლულნო ტანითა!
თქვენმა უშრეტმა სინათლემ
გონება გამიხალისა.
მახარებს ფერისცვალება
თქვენის დევურის ძალისა,
თქვენს ძველ კერაზე ტრიალი
ახალ ცხოვრების ალისა;
მხნეობა დაუცხრომელი
თქვენის ვაჟის და ქალისა,
წარსულის შარავანდედი,
შუქი მზიანის ხვალისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

თითქოს გაისმა კივილი
ელვით ნაშოლტის ქარისა, —
შაგესმათ შორი განგაში,
ხმა მოდიოდა ზარისა,
ისმოდა ბრძოლის გუგუნი,
აბჯრის ჩხრიალი ჯარისა,
ლაწანი მაღალ მყინვარის
ბროლით შეკრულის კარისა, —
თქვენთან მოიჭრა ყვირილი
მიწის მჩხვერავის ხარისა:
გოგოთურს გმირი უხმობსო
ფოლადაურის გვარისა.
თქვენ გაიგონეთ ძახილი
ცდაზე დამდგარის გმირისა, —
ქვესკნელს ატოკდა ფესვები
უხსოვარ დროთა ძირისა,
ამაღლდა კედლის ნანგრევზე
კოშკი ქვისა და კირისა,
პასუხად ცაში ავარდა
შუქი ფრანგულის პირისა.

* *

ახალი ძალა იგრძენით,
გამოგეცვალათ გუნება,
აღარ ინდომეთ წარსულით
მომავლის დაძაბუნება.
გახარებსთ რკინის არწივის
მწვერვალზე შემობრუნება,
ვეფხის ნატოტარ ბექობზე
მანქანის აგუგუნება.
იცით, დრო დადგა ახალი,
ძველი დაეშვა კისრითა,
წაიღო ბნელ სამარეში
კუბო შეკრული ფიცრითა.
ჩვენს დროს ვერ გამაადგებით
მამაპაპეულ ისრითა,
ახალს ბახტრიონს იშენებთ,
ახალის წესით იბრძვითა,
იმსჭვალვით ახალ დროების
გველისმჭამელის სიბრძნითა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

სალამოს ქედზე ავდივარ,
სიმღერა მიმაქვს ყელითა.
მზეს მივაცილებ გორამდე, —
ჩავა ალმურით ცხელითა.
ღამეს დავუცდი შავფრთიანს, —
მოდის ნაბიჯით ნელითა,
ფარდას შეარხევს ციურსა
შებერვით საკვირველითა.
სამყაროს კარი იღება,
ვივსები მისის ელვითა.
ცის შუქი დამედინება
ათიათასის ხვრელითა.
სულით ცათამდე ვმაღლდები,
ვარსკვლავებს ვსწვდები ხელითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ ბარნოვი

# ქალი ჰახელი

ალეგორიული მოთხრობა

1.

მომცრო მდინარე შიშით გაჰმზერს დიდს, რომლის შემდინარეა ის. თვით უდიდესი მდინარე ძრწის წინაშე ზღვისა: იგი შთანთქავს ორივეს და მათთანას ბევრს: მოსპობს, მოუშლის სახეს არსებობისა.

— ისინიც თუ უფრთხიან თვის მოსპობას?!

— ძრწიან არარაობის წინაშე.

— როგორ შესძლებენ უსულონი ყოფაზედ ზრუნვას?!

— შენ იგინი შეუგნებელნი გგონებიან.

— დიალაც!

— არა! იციან იმათაც თავის ფარეხი, გარს ევლებიან თვის არსებობას, აღორძინებისაკენ შეუდრკომლად მიისწრაფიან.

— მე კი მეგონა...

— ამაოდ! თავის დაცვა საზოგადო კანონია შემოქმედისაგან არსებობად წარმოშობილთა. ამისთვის ყველა მიილტვის თავის შენახვისაკენ.

— შენ რომ იტყვი, უასაკოთაც ჰქონიათ შეუგნებელი რამ შეგნება თვითარსებობისა და მისი სიყვარული.

— სწორედ.

— მიკვირს!

— ცხოვრობენ ქვა თუ მიწა, ქვეყნიერების შემადგენელი ყოველივე ნივთი თუ ნივთიერება: ყოველი ფშვინვარი თუ უფშვინვი. და ეს ყოველივე წარმომდინარე ცხოველმყოფელი შემოქმედისაგან, ნაწილი მისი განუყოფელი, თუნდა დაშორებული.

— იზრდებიან უასაკონი?!

— ისე კი არა, როგორც ყოველი მსუნთქავი. შენ რომ უსულოებს ეტყვი უასაკოთ, ისინი იზრდებიან ჩაკირვით თუ შეწებებით; მშვინვარიკი შედუღებით, ნივთიერების საიდუმლო შეცვლით და გარდაქმნით მის შემადგენლობისა.

— თუ ეგეთი თვალით შევხედავთ, ყოველივე არსი სულდგმული უნდა იყოს.

— ეგრე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

— ხომ ძლიერია ალაზანი: მოჰქუხს, მოანგრევს ყოველსავე საბრკომს, რომ არ შეუშალოს ხლტომა გიჟური. ამასაც-კი [illegible] ულონებს უშიშარს, რა გადაჰხედავს მძვინვარე მტკვარს რომელს პირი აუმქმია მის ჩასანთქმელად. იწყობს ბრძოლას: ჯერ ცდილობს სადინელი პირდაპირვე გადაარღვიოს ზეგან მინდვრებზე, გადაიაროს. ვერ ახერხებს: ზეგანნი მტკიცედ გადაჰხირებიან წინ. განივრები, ურყევ-უშლელნი, სიპის კვარცხლბეკზე. ამიერიდან და მარად იგრაგნება ნაკბენ გველივით. განგან სწნავს მარყუშს რასამე თავის სავალზე. ასე ცდილობს შეინარჩუნოს კიდევ რამდენიმე წუთი საკუთარ ცხოვრებისა.

— მინახავს: დინჯად დის იქ. ხანდახან შედგომასაცა სცდის თავის ღრმა ხევში.

— აი რადა ჰქონია ქვემოდ და ქვემოდ აუჩქარებელი დენა!

— ნამდვილ!

— მე-კი მეგონა!

— ამაოდ!

— ალაზანი შორიდან რომ მოჟონავს, ჟღენთავს დედა-მიწას, და ჰაერი იქ სავსებით დამპალია. დიდი სიცხეები ხრწნის წყალსაც და იმ ნიადაგსაც. მწვანე გუბეები სდუღს. ეს ბუდეა უჟმურისა. მცენარე აქ მეტად უხვია და გესლიანი.

3.

სიმრავლეს ყოველნაირ ხეთა, ჯაგთა თუ შამბებისა უფრთხილდი: მეტი ხანი არ დარჩე; დაგიფაროს გამჩენმა იქ წამოწოლისა და ჩათვლემისაგან. ურჩენელი ციება აგყვება. უდიერი სიცხე, ნიადაგი ჰანჭრობი, ბევრგან საფლობი. უხშირესი ბარდები. მთელი შრეები სალპობისა. სხივი ვერ ეფინება, ვერც აშრობს; გაცუდდა თუ გამამშრობი ძალა მზისა. შმორის სუნი, ბული აუტანელი. ლპობის ადგილები უჟმურიანი. ცოტა დღეებში კაცი, ცხოოებისგან წაიქცევა, გაიბერება შავ-ყვითლად. ადგილობრივ მორჩენა შეუძლებელი. მთის ჰაერია შველა.

— ეს ადგილი კაცისაგან ხელშეუხებელ უნდა იყოს?

— ოღონდაც! ბევრჯელ სცადა ხალხმა დასახლება. არაფერი გამოვიდა: უჟმურმა ცოტა დროში მუსრი გაავლო.

— ძლიან ნაყოფიერი კი იქნება. ეს ადგილი?

— ძალიან!

— დაუსახლებელი...

— რამდენიმე თაობა დასახლდა აქ და ამოწყდა. აბა გადახედე ამ ნასახლარს. კოშკი, საწნახელი, ათასი სხვა რამ ქვიტკირით არის ნაშენი — და რაღა დარჩა!? არაფერი! მრავლდება ნადირი, მეტადრე ღორი.

— რა დაუშლის მრავლებას?! გულგახსნილი ტყე, ათასნაირი საჭმელი, რკო, წიფელი, ნაძვის კოკოლა, ნიგოზი... ალაზნის ჭალის ისეც ყოველ ჟამს თავისი უხვი ნაყოფი ჰქონდა მზად და [illegible]ანოვაგე, რომ საჭირო არ იყო ზრუნვა: ხელის გაშლა-ღა სჭირდებოდა.

— შენ ხომ ბევრს მეუბნები, მე-კი სხვამ შემაშინა: გველები რომ ვნახე. შხამიანები არიან. ძალიან უნდა სიფრთხილე. მეტადრე სპილენძის ფერმა გველმა დამაფრთხო. იმან რომ თავი აილო, ყველანი წამოყელყელავდნენ. თუ გამოეკიდნენ, მოსწვდებიან... მტაცებელს საჭმლის ძებნა არ უნდა. ფრინველსაც ერთი ფრთის შემოქნევა-ღა დასჭირდება მთელი დღის დასამარაგებლად. საზრდოს იშოვის იქვე ახლო გაურჯელად. მომცრო მტაცებელთათვის აღთქმის ქვეყანაა, ბარდები ვერ აშინებენ... რომ დაცხება, ვეფხვიც ამოსდევს მტკვარს.

4.

— ვეფხვი?!

— თუ გაიგეშა კაცზე, მის მახლობლად ადამიანს აღარ ეცხოვრება: მეტად ავია, ტოტ-მაგარი, აჩრდილისავით დაფრინავს. პირუტყვის ტაცება მისთვის სათამაშო რამ არის. თვით სოფლებთან ჩაესაფრება დ მგზავრს არ გაუშვებს ცოცხალს.

— არც დათვია იშვიათი. ჩვენ ნადირთა შორის ხომ ბრანგვი არის ყველაზე ძლიერი და საშიში. კაცს ერიდება, მაგრამ თუ დაიგეშა, შუა სოფელში ჩავა და იქიდან მოიტაცებს ხბო იქნება, ცხვარი, თუ ყმაწვილი.

— მაგრამ გველი.. ძნელია მათთან ბრძოლა, არც გამოსადეგია, საშიშრობა კი ბევრია.

— როცა გაალმასებულია, თითონ მიდის დასამხობად.

— კმარა! ალბად ვინმე გვძრახავს.

— მაცა! თურმე ადამიანის სისხლი შეეგუება გველის შხამს. ამისთანა კაცი სულ უშიშრად დიარება გველთა შორის.

— როგორც მოსე ფარაონის წინ, ან უდაბნოში გველები რომ დაესხნენ ებრაელებს.

— ჰო! ძალიან მდიდარი რომ არის ეს ადგილი მიწის ყოველგვარ სიპოხიერით, თანაც მიუვალი ყოფილა ადამიანის მტერთა სიმრავლით და ავადობათა სიძლიერით.

— ჰო! ამაო არის ეს სიმდიდრე ჩვენთვის. სარგებლობა კი არის, როგორც კარგ სანადიროში, მაგრამ მხოლოდ ბევრს შეუძლიან აქ გავლა, ისიც კარგად შეიარაღებულთ, მტაცებელთა სიმრავლის გამო. ნათესს რასმე სრულებით არ უხარიან: ჯეჯილშივე გაჰქელავენ და გაჰკორტნიან.

— ახ! სად არის გმირი როსტომი, რომ გააწყოს მტაცებელთა ჯიში თუ ჯილაგი!

— ჩახოცილ ღორებით სავსე ურმებს აგზავნიდა სოფლის სანუგეშოდ.

— ცოდვა-კი იყო მისი სიკვდილი!

— ეჰ! სულთახმუთავის ცელი არ არჩევს კარგსა თუ უვარგისს...

— მშვიდობით იარე და ბედნიერად!

— საით?

— ბოდბისაკენ. მონადირე ვარ და ნანადირევს მივდევ, არავინ არ დააზარალოს დამარაგებული, ურემს რამდენიმე გზა სჭირდება.

— მეც ხომ იქით მივდივარ! ამბობენ, გრიგოლს თავადთა თავადს მეფური მეჯლიში გაუმართავს და...

— ზედ სუფრაზე მივალთ. ეს ნანადირევი ალალ-ალალი მიდის ურმებით გრიგოლის კარს.

— ამბობენ, დიდი რაღაც ამბები ხდებაო.

— მეც მოკვარ ყური.

— ძალიან ორომტრიალი იწყება, სისხლის წვიმების ჟამი.

— აქ დასამალი რაღა არის: ყეინი ომს უცხადებს სრულიად საქართველოს მეფე აშოტს, რომელი ცდილობს საქართველო მთლად დაიჭიროს, როგორც წესია. ყეინს ეს არ უნდა, სწყინს ეს და საბრძოლველად იწყებს. მთელ მებრძოლ ლაშქარის მეთაურად ყეინს ერისთავთ-ერისთავი გრიგოლი დაუსახელებია. ეს შემოუთვლია:

— მთელ კახეთს და ყველა მის მიმდგომ საბრძანებლებს შენ ხელში შევკრებო.

— ეს ხუმრობა როდიღა არის.

— ილონდაც!

— კარგია, ნადირობა გაუმართავს, თორემ საომარ ფეხზე შეყენებულ დიდ ლაშქარს რა აუვიდოდა.

## 5.

სავსე იყო გალავანი სანადიროდ მოწვეულ ხალხით. მონადირე ცხენოსანი, ქვეითი, მრავალი გაწრთვნილი სანადირო ძაღლით თუ ფრინველით გალავანსავე გარშემო, უფრო განზედ, მრავალი ურემი დაბარგული თუ ცარიელი.

— ეს ცარიელი ურემი რაღად უნდათ?

— ნანადირევის ამოსატანად.

— ამდენი?!

— ვერც კი დასტევენ.

— მხეცით სავსე ტყე, ჭალა, ბარდები, ათასგვარი ფრინველი. ტყე თუ მინდორი ისეც სავსე ნადირით, ახლა მთლიანად ალყა შემორტყმული, ურიცხვს ნადირს შეაქუჩებს.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

— წყალის ნაპირებიც ისეა სავსე ნადირით, რომ გზას ვერ აუქცევ. ეტყობა, დასათვალიერებლადაც მოსულან თუ სასმელად დიდკაცები და განთქმული მსმელები. მთიულთა წარმომადგენელნიც [illegible] ტანისამოსით.

ბიბლიოთეკა

— შენ ნადირობას მეტყვი, მე-კი რომ ხალხს ვათვალიერებ, სხვა დიდი გასაბჭობი უფრო აწუხებთ მათ.

— ვიცით! ომს აპირობენ. დიდ ლაშქრობას და ისა აქვთ გასაბჭობი.

შეირხა ხალხი, გადგნენ განზე, მიმოდგნენ. გამობრძანდა თვით ერისთავთ-ერისთავი ბატონი გრიგოლ. მოართვეს ცხენი. შესხდნენ სხვებიც. გაემართნენ. ბუქივით მტვერმა დაფარა ამოდენა ხალხი. გზა სავსე იყო მიმომავლებით.

გრიგოლის ვაჟი გივი. ყაელიანი ყმაწვილი მოსულ-მოსული, ლაღად აფრინდა რაშზედ.

— ღონეს უქებენ!

— საქებურია და აქებენ. მთელ ლაშქარში მოფენილია მისი სახელი. ეგა და ჰერეთის მემკვიდრე ფადლა უკვე ფალავნობის სახელს ატარებენ.

გამობრძანდა ქალიც გრიგოლისა სანათა. შიმუნვარნი მოსდევდნენ.

— შენ არ შედრკები?

— რად შევდრკები. გარს გამოცდილი მონადირე მახვევია.

— თუ დიდი ნადირი წამოვიდა შენკენ და წრე გაარღვია?

— თუ ჩემი წერა არის, ვერ ავცდები, მაშინ ნახავთ, რომ ეგრე უნდა მომხდარიყო.

მიბრძანდა დანიშნულ ადგილას.

6.

— ეხლა შენ საით?

— წავალ. ადრე უნდა მივიდე, რომ ჩემ საქმეს ზიანი რამ არ დაეტყოს: უპატრონოდ არ უხარიან საკეთებელს.

— ჩემ ცხენსაც არ ეშინიან მანძილისა. ერთად ბოლომდის.

— კეთილი! არც მე მაქვს რამე ძალიან საჩქარო.

— ალბად! მე უსათუოდ უნდა დავესწრო, რომ ვუამბო ბატონ ჰერეთელს.

— შენი პატრონი?

— დიახ!

— მაშ სჯობია, ჩამოგშორდე, რომ რამე ცოდვაში არ გამრიო.

— არა! ორივე ოჯახისთვის ძნელი საქმე ჩამაბარეს.

— ვიაროთ ნებად: იმათ იქ რახან ჰამა გამართეს, ღამე მაინც ვეღარ ამოვლენ. ხვალ თუ ზეგ ბოდბეში გამართავენ დიდ მეჯლიშს, და მაშინ გამოჩნდება ყოველივე ცხადად... მწვანე მაღალი წინდები. ზედ მაშიებითა აკეცილი. მთელი რამ ძნა ვერ დატეულიყო, გადმოდებული ნაწნა-

ვები ყურებს გადმოსწოლოდნენ. მთელი თმა გაეხვივნა ქსოვილს ზურმუხტის სპეკალებით. ტანი მომაღლო. მწვანე კაპარჭი. მწვანედვე დალებილი ისრები. მტვრიანი გზა. კაბა აკეცილი. სარტყლის ტოტები წელზედ შემორტყმული. მომცრო შვილდი ირმის რქისა.

შებრძანდა მერანზედ. რაინდები გარს მოეხივნენ. მირზა განჯელი რაშზედ გამჯდარიყო, ცდილობდა არ გაეშვა ქალის გვერზედ ადგილი. გადუხვიეს გზას. ბილიკს დაადგნენ, რომ ცოტას მაინც ასცდენოდნენ კორიანტელს. ქალები მისდევდნენ მხლებელნი. არჩეული ბილიკი შორს უვლიდა. შიგა და შიგ ტყის ხაზს სჭრიდა. რა უშავდა: გამოცდილი ვაჟკაცები მფარველობდნენ.

— მაინც ჭალას რომ მიუახლოვდებით...

— ნუ გეფიქრება: მკლავ-მაგარი ვაჟკაცები გახლავან თან და ბევრეულისაც არაა შიში.

— სრულებით არა! იქნება შენ თვალთ წინ მარჯვე ომიც ჩავატაროთ, და შენი მადლობაც დავიმსახუროთ, ეტყოდნენ ქალს. გამარჯვებულს ჯილდოდ უნდა ჩაეთვალა ელვარე ღიმი...

— მგელი?

ართუ ღირდა გამოჰკიდებოდნენ.

— კიდევ! კიდევ!

— მთელი ხროვა.

მირზა ცოტად ჩამოდგა და შეუხვია ირიბ ბილიკზედ.

— საით?

— ირემს მივართმევ ბატონიშვილს. შევულებული მყავს, მთელი რემა. არა ღირს მონადირე მგელს მისდევდეს.

— რად გამოუშვიათ?

— მაინც ჭალას ბევრი შერჩებოდა ეგეთი ნადირი.

— მგლები იმას გვიჩვენებენ, რომ დევნილი ნადირი გვიახლოვდება.

— ხომ არ შევაკროთ უწვრთნელ ჩემმა თქმამ?

— სრულებითაც არა!

— ერთად მოუსწრიათ და გამოურეკიათ მთელი დუნდგო.

— რომ დაუბრუნდნენ მდევართ?

— არა! მშიერი ხროვა საშიშია, აქ-კი აბა რა დაამშევდათ?

ზოგი რაინდი ჰბედავდა ქალთან მეტად დაახლოვებას და შემღერებულ თქმას, მაგრამ ქალს თან ახლდნენ ძმა და ქობულაშვილი; თვალთა ცეცხლში გაატარებდნენ კადნიერს... ტოლსწორმა იცოდა იმათი ძალა. ხმას იდაბლებდნენ. მაინც ჰბედავდნენ. ერთი წამის მიახლოვებისათვის, თუ ერთი სიტყვის გაგონებისათვის ადვილი იქნებოდა ხანჯალი აპრიალებულიყო: წყვილი დარაჯა გაჭირვებაში მთელ გუნდს გაუსწორებდა მებრძოლ მარჯვენას.

7.

მადიან სიმშვენივრით ალსავსე ქალი მეტად იზიდავდა მოტრფიალეებს. მკვიდრი აგებულება, ლამის მომძიმო, მაინც არსად ნაჭარბი, ხორბლის ფერი კანი სუფთად ტკეცილი, თან გამჭვირვალე: სისხლი ტყავში ჩხილვებოდა. თვალი დაგეკრა, გაიფიქრებდი: უფერფლავი ნალვერდალი ეთამაშებაო თავის თავს, აცეცხლებული ნათელ ნაპერწკლით გარს მოდებული. ხედვის ისარი გეტყორცნა, გაიფიქრებდი: თუ არის ქალი ლამაზი, ვით ელვარება, მასებრ მომქმედი. ცეცხლი ეპკურებოდა ჟიჟმატ ნაპერწკლად.

მივიდნენ. ჩამოსხდნენ. აირჩიეს მარჯვე ადგილი საფარებიანი. წყალი გადმოჩანჩქარებდა.

თავკაცებს თითოს თითო მონა ახლდა ნადირობაში გაწრთვნილ-გაწაფული. ისარს მიართმევდნენ, რომ არ შემოჰლეოდათ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ბატონიშვილს და მის შიმუნვარების ბინას; ბორცვი იყო მაღალ ხეებით აქოჩრილი.

— თქვენთვის აქა სჯობს: ჩხნდე რამ არ დაუშლის ბრძოლასა, ვინიცობაა, გაცოფებული ნადირი წამოვიდეს საშიში.

— საცა ქალები იქნებიან, საჭიროა ყოველთვის მზირი დარაჯი, ნადირობაში გამოცდილი.

— ნადირობაში?! რად მინდა მე დარაჯი: მე ხომ თითონ წამოველი სანადიროდ.

— მაინც ინადირებთ, როცა ნადირი გამოვა, მაგრამ შეიძლება დიდი რამ მხეცი გამოვარდეს გაალმასებული, მაშინ აუცილებელი იქნება მშველელი.

— უსათუოდ: შენი რამ ვნება მთლად დაგვამცრობს და შეგვარცხვენს.

— რახან ეგრეა, სულაც არ გვინდა ნადირობა, იუარეს ქალებმა.

— ნუ გაგვირისხდებით! თქვენც დაჰხოცთ და ბევრსაც: შველი, ქურციკი, ირემი და ამისთანანი იქნებიან თქვენი სანადირონი.

ტახი, დათვი, აფთარი — ამაებთან ბრძოლაში უნდა დაგვიხმაროთ.

8.

ატყდა კივილი, ლალვა, შეტევა. მკაცრი ზახილი. ბუკთა თუ დაბდაბთა ტკრციალი. დევნილ მხეცთა ღრიალი მაძრწუნებელი, ატეხილი ლეწამტვრევა. ფართოდ შეკრული წრე მჭიდროვდებოდა, თანდათან იწროვდებოდა; ატეხილი ხმაურობა ახლოვდებოდა.

გადმოჩნდა დევნილ ნადირთ დიდი სიმრავლე: ირემი, შველი, ჯეირანი, კანჯარი თუ სხვა ფეხმარდი ცხოველი. დაფეთებული ნადირი უცაბედად წააწყდებოდა ჩასაფრებულს, და ხანჯალზედ ეგებოდა.

ტახი, გარეული კამეჩი, დათვი თავის სრბოლაში ალარაფერს ერიდებოდნენ, ტყეს მოამტვრევდნენ. შიგა და შიგ მოისმოდა ტოტ-დაკრუ-

ლი თუ მიჭყლეტილი მონადირის ძახილი. მეტად საშიში შეიქმნენ ეშვები. პირდაპირ მოდიოდნენ დადუზებულნი, აღარაფერს არ ერიდებოდნენ. ლეწა-მტვრევის ხმა მისდევდათ უკან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად არის ნოდარ იაშვილი?

— დათვს რასმე გამოეკიდა უზარმაზარს.

— მარტო იყო? ის ახლდა ქალებს.

— ზურია აჰყვა თან.

— მიეცით ნიშანი, აქათ მოაშურონ ბიჭებმა: განძვინვარებული ტახი გვიახლოვდება.

— ვინც მათ ჯელგაში მოჰყვა, ვერ გადარჩება.

ეს მბრძანებელი ქობულაშვილი იყო, ჰერეთელის ვაჟი, ქალის სიყვარულით გარდარეული. ახლოდან მისცეს საპასუხო ხმა, ცოტაცა და გამოჩნდა ქალი თავის ამალით.

— აღარ მოშორდეთ ამ ადგილს!

უბრძანა ქალებს ჰერეთელმა.

შიშით შეკრობილი ქალები აღარ ჰყოვნიდნენ, შეეფარნენ ნაჩვენებ ადგილს. გამოჩნდა ღორი. პირი ქაფითა ჰქონდა სავსე, ეშვს ხმალივით მოაქნევდა. ისარი ერჭო გავაზედ: ვერ ჩაეტანებინა ჭრილობას, მაინც ძალიან გაემწარებინა. ისე დაუსაგნეს ვაჟკაცებმა, რომ აარიდეს ქალებს: გასცდა ქალთა ადგილს. გაჰყვნენ ბიჭები. მოსწვდნენ სხვა მდევრებიც.

ადრე გათავდა ნადირობა. გამარჯვებულად ჩასთვლიდნენ თავის თავს, თუ უეცრად ვეფხვი არ შეჰფეთებოდათ, კაცი არ დაეგლიჯა.

მეტად ხვავიანი გამოდგა ნადირობა. მოჰქონდათ ნანადირევი ბინაზედ. ხვავებად დგებოდა ჩახოცილი. დიდძალი ფრინველი, მეტადრე ხოხობი. თევზით ხომ სულ აივსო ვეებერთელა გუბე.

— გამაკვირვა უზარმაზარმა დათვმა.

გამოიტანეს ტყიდან საზარელი, ხუთ კაცს ძლივს მოჰქონდა.

— ეს რამოდენა რა არის?!

— ერთი დახე ამ ხელნებივით ტოტებს!

— ერთი დაკვრით კამეჩს დასცემდა.

— სამადლობელი საქმეა ამის მოკვლა: გააწყო გაგეშილმა საქონელი.

— არ შეგეშინდათ ამოდენა ნადირისა?

— საშიში იყო და შეგვეშინდა. შევკრთით. თანამბრძოლნი შეფიქრიანდნენ. სად წავგვიდოდა?! მოვახერხეთ ტოტის მოჭრა. მემრე კი მალე დაგვემორჩილდა.

— ცოცხლის გაშვება აღარ შეიძლებოდა: მაგის შიშით აქ აღარ გაევლებოდა არც კაცს, არც საქონელს.

9.

ჯერ ისევ ეზიდებოდნენ მოკლულ დაჭრილ ნადირს, რომელსაც თავს წამოადგათ ცხენოსანი. სანადიროდ იყო ჩაცმული და შეიარაღებული. ჩამოდგომით მოსდევდა სამი კაცი სანადიროდვე ჩაცმული.

— ბარაქა ნანადირევს! ძალიან ხვავი დაგდგომიათ.

— გაუმარჯვდათ ვაჟებს. ხალისიანად იბრძოდნენ.

— შენ რაღაზედ დაგიგვიანდა, რომ ვერ მიიღე მონაწილეობა გამარჯვებულ ბრძოლაში?

— დამაგვიანეს, ეს არის, ეხლა მითხრეს, ის გაგეშილი დათვი აჩეხესო. მე-კი მინდოდა შევბრძოლებიყავ ბრანძეს.

— აი ის დათვი.

— მართლა და უზარმაზარი ყოფილა. ძალიან მინდოდა მეცადა ჩემი ღონე მასთან შეჭიდებაში: ძნელი იქნებოდა.

— ძნელი! ნოდარს მოსდო ტოტი და სულ შემოაფცქვნა ტანისამოსი: ტყავი ჩაახდლენა, სისხლი ადინა.

— აფსუს, გვერდზე არ ვიდევ!

— არ ევარგებოდა: ეგ სკლატის ჩოხა ფარა-ფარა გექცეოდა.

— ნუ გგონიათ, თქვენ მაჯობებდით!

— ჰე, ჩემი საძებარი, მას შეჰფერის ჩემთან ლამაზი ბრძოლა! წარმოსთქვა მირზამ და გასწია იქითკენ, სადაც ხეებ ქვეშ იყო ბატონიშვილი სანათა.

— ჩემი თაყვანისცემა ქალთა მზეს. ქალმა სალამითვე უპასუხა, მხოლოდ ცივად, უნდომლად.

— სადა ბრძანდები, ყმაწვილო?

— ოქროს ხოხობი გამომიფრინდა აქათკენ, მის კვალს ავყევი, გამიმარჯვდა, მივაგენ კიდეც ძვირფას კვალს.

— ეგრე გამარჯვებით გავლოის ნადირთა მფარველმა დალმა ოქროსთმიანმა, უთხრა ქალმა და გატრიალდა.

— აქაც დაიგვიანე: იმ ოქროს ხოხობს უკვე აუჩნდა პატრონი ღირსეული.

— ჩემზედ ღირსეული?!

10.

სანათა არ იყო გულჩვილი. მკვიდრად ნაგებს, მჭიდროდ ნაბეჭს სულის სიმტკიცეც მკვიდრი ჰქონდა დატანებული, ძნელ გრძნობათა სიმრავლე მაინც გულს მძაფრად ვერ უსერავდა. ნადირობა ეხერხებოდა, მაგრამ მეტი სისხლი მასაც ჰზარავდა და აწამებდა.

სისხლის რუები, წითლად შებასრული ლეშთა სიმრავლე უგემურადა ჰხდიდა ქალს. უკუდგა და თვალნიც მიჰრიდნა, როცა ჩახოცილთა და

დაჭრილ ნადირთა სიმრავლე ზვინად შექუჩდა. მოიტანა ბიჭმა სასიკვდილოდ დაჭრილი ჯეირანი და გადისროლა ნანადირევის გროვაზედ. დაცემაზედ სისხლი გადმოჰშხაპუნდა ჭრილობიდან და ცხოველმა ბალღისავით ამოიკვნესა. ამ ხმაზედ ქალი შეტოკდა, გადგა განზედ, თვალებზედ ხელებ მიფარებული, — გატრიალდა ათრთოლებული. ამ დროს გაჩნდა იქ განჯელი.

— ახ, რა ლამაზია ეს ნადირი! მაგის მწვადებიც ეგეთივე კარგი იქნება და გემრიელი. გნებავს, ბატონიშვილო, ეხლავე დავაშიშხინო?

— რას იტყვი, ყმაწვილო?! რა სასტიკი ხარ!

— მე ვარ ბოროტი?! ახლო რომ გამიცნობთ, მაშინ აღარ იტყვი.

— მირზა, რამ დაგაგვიანა? აკი ირმებს მოგართმევთო?

— ბიჭებს მოაქვთ. იცი, რომ გაუჭირდა, შემომებრძოლა.

— ახლო გაგეცნობი? როგორ!?

— ალბად ჩემი კაცი და უსტარი არ მოგსვლია გუშინ, თორემ...

— ალბად არ ღირდა მოერთმიათ და წამეკითხა. რად ჰბედავდი მოწერას უცხო მთლად უცხოს?

— რომ გაგიბედნია უსტარის გამოგზავნა, ისე გერჩივნა, ჯერ გეწვრილა გარემოება.

— შენი კადნიერი ქცევა არ არის დასათმენი...

— შენ ველაცა ხარ, უფრო მერჩივნა გაგეგო ჩემი ამბავი. იცოდეთ, რომ ჩემი სურვილი უკვე იცის დიდმა ყეინმა და ჩემი ხელით გიბრძანა ასრულება.

— მალე მიიღებ შესაფერ პასუხს.

— როდისლა?

— ეხლავე! გიბრძანებ, ხმა აღარ ამოიღო მაგ უგვან სურვილზე, თორემ ვანიშნებ კარისკაცებს, გაგაძეონ, ბრძანა ქალმა და გაბრუნდა.

— აკი გითხარი...

— რა მითხარ? უბრალო ჟინია ქალისა. სად წამივა? სად წაუვა ყეინის ნებას?!

ესე თავხედად რომ უბნობდა, განჯის ხანის შვილი იყო, მემკვიდრე მისი. განჯა მაშინ უბრალო დაბა, ასიოდე კომლი მცხოვრებით. დიდი სავაჭრო გზა მოშორებით გადადიოდა და იმ სოფელს მაგდენ ვერას არგებდა. მის გამგეს მაინც ხანი ერქვა ყაენის ბრძანებით, და რომ ხანის ვაჟს ეძახდნენ, ეს მირზა განჯელი იყო. ესე მოხდა: შაჰის ჰარემს ამშვენებდა მოვაკანიდან გამოყვანილი მზეთუნახავი. ყეინის სახლობაში ეს ქალი იყო პირველ მეუღლედ წოდებული დ ყეინის მემკვიდრედ მირზა უნდა ყოფილიყო. დიასახლისობდა ყოვლად შემძლებელად. ძალიან ანებივრებდნენ სასახლეში. დედაკაცი რამდენადაც მშვენიერი იყო, იმდენადვე ავი იყო და ფიცხი. მისი ყველა სურვილი წამსვე უნდა ასრულებულიყო. ერთხელ თავი ველარ შეიკავა დღ საშინლად განარისხა ყეინი. მან კიდეც ანიშნა

საჭურისს, თავი გაეგდებინებინა დედაკაცისთვის, მაგრამ ქალი გაერთხო მის წინ და თავი ახალა იატაკს. სასახლიდან კი მთლად გააძევეს. შემდეგ ყეინის ბრძანებით ის ქალი უზღვნეს განჯის მოურავს და ეწყალობა ხანობა. ფიცხელი ქალი ყველგან და ყველანაირად ცდილობდა რაიმე კეთილი დაჰყროდა მის ვაჟს. ამ ახალი მოყვრების ძებნა იმისგან დაწყებული საქმე იყო.

## 11.

გამოჩნდა ჯგუფი მონადირეთა. საკაცე შეეკრათ, ჭრელი რამ მოჰქონდათ რამდენსამეს. სათავეში ქობულაშვილი ფადალო ჩასდგომოდათ. ბრძოლაში ვეფხვს მოეკრა კბილი, შეგლეჯილიყო ტანსაცმელიც, ხორციცჯერ ისევ ჟონავდა სისხლი იარიდან. მტაცებელსა ბოძალი დარჭობოდა გვერდში, ვერ-კი დაემორჩილებინა. გრძელმა ხანჯალმა მოუღო ბოლოვადამდის დასმოდა ნადირს — სატევარი. გაერთხო მხეცი მიწაზედ. სინჯავდნენ. მკვდარსაც-კი ფრთხილად ავლებდნენ ხელს. მომკვლელს ულოცავდნენ მარჯვენას. მიბრძანდა ბატონიშვილი. გაულიმა თავის რაინდმა.

— წყალი, ბრძანა ქალმა.

მოართვეს.

— გამარჯვებულო!

— რას მიბრძანებ, უფლისწულო?

— ხელები!

— არას გზით!

— ჩემი ნებაა!

ეახლა გაბასრული. დაეცა ცალ მუხლზე, მიუპყრა მკლავები. უსხამდა წყალს, აბანინებდა. შემოეხვივნენ, განცვიფრებით შეჰმზერდნენ. მირზაც იმათში.

— ქალო, კაბას მაინც აჰკარ ხელი.

— არა! ვაჟკაცი სიცოცხლეს არა ზოგავდა, და მე კაბას ვუფრთხილდე??

— აი ჯილდო ღირებული.

— ამისთანა ქალისთვის მეც დავდებდი თავსა, წარმოსთქვა მირზამ.

— სადღა იყავ ან რას ელოდდი, მისძახეს სიცილით.

ქობულაშვილმა რომ ნახა თავისი თავი ამ დიდებულ ყოფაში, ცას ეწია, სიხარულით წარმოსთქვა:

— ვყვარებივარ!

მირზა წასწვდა სურას:

— მომეც, ქალო, ეგ ჭურჭელი, წყალს გადავავლებ კაბის კალთას.

ქალმა არ უსმინა, მკაცრად შეხედა.

— ტყუილად მრისხანებ: ისეთი ჯადო მაქვს ხელში, ქვას გაადნობს, თქვა ვაჟმა და მიუშვირა ქალს ფარჩაში გახვეული უსტარი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თითონ ღვთის სწორის შაჰინშაჰისა!

— სრულის პატივით განვიხილავ უსტარს მერმე, წარმოსთქვა ქალმა და მოკრძალებით გადასცა ბრძანება.

— ყეენისთვისაც არა გცალიან ეხლა! ეგ...

ქალი გატრიალდა და წაბრძანდა ნელის ნაბიჯით.

ცოტა ხნის შემდეგ ფადალომ ბრძანა ვეფხვის დატირება.

დატირება მოეწყო მოკლული ნადირის გარშემო. მოსთქვამდნენ ტირილის ხმაზედ. გარშემო უსხდნენ. თავით — ისინი, ვინც პირდაპირ ებრძოლა ვეფხვს.

დაიწყო ჰერეთელმა ზარით!

— მე დაგკარი ბოძალი მაგ ლომ-გულშია. თუ გვცოდნიყო, რა იყავი, ვინ გაგიბედდა.

ჩამოართო სხვამ:

— ვეფხვო, შენ არ მეგონე, მე ფოცხვერი მეგონე!

— კეფხვო, შენ არ მეგონე, მე აფთარი მეგონე!

— ვეფხვო, შენ არ მეგონე! ვეფხვო, დათვი მეგონე!

— ვეფხვო, შენ არ მეგონე! ვეფხვო, მგელი მეგონე!

თითო ამისთანა თქმაზე ვეფხვის ტყავს სიჭრელე ემატებოდა.

მომტირალებს ჩვეულებრივ ქუდები ჰქონდათ თვალებზე მიფარებული.

შენაყრდნენ. ვახშამზე შემთხვევებს იხსენიებდნენ. მეორე დღეს საღამოზედ გამგზავრდნენ. მებადურებს შეუგვიანდათ.

— რამ დააყოვნათ მეთევზურნი?

— მარცხი მოხდენიათ: სიკვდილის პირზე არის მეთევზე მიტანილი. თევზს დაუგლეჯია.

— თევზს დაუგლეჯია?!

— დიაღ, ლოქოს. გუბე რომ დააშრეს და დამწყვდეულ თევზებს ნაპირზედ ჰყრიდნენ, ვეება ლოქოსთვის თავში წაევლო ხელი. მკლავი მოჰყოლოდა ღლავის პირში და მთლად გაესვლიპა ხორცი ძვლებამდის.

— აი დიდება შენთვის, ღმერთო!

— ეგება მორჩეს.

— მოვარჩენო, თქვა ექიმმა, მხოლოდ ხელი შეახმებაო.

## 12.

...მებრძოლი მტერი ცოტა ჰყავთ გველებს. ყველა სულდგმული ერიდება გესლიანებს. . . . . . . დიდძალი გველი შეჯგუფული ერთმანეთში გადახლართული, ხორომივით გადახვეული... დაგვისისინა სპილენძის გველმა და წამოდგა. მარგილის ტოლა-კი იყო. გადმოვფრინდი, მოვრბოდი და ვიმეორებდი:

წინწიბურასა წინასა
გველი აუდგა ყირასა,
სამოცდა სამი ხანჯალი
დაეცა გულის პირასა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვასწარი, დავეხწიე. მომდევდა. იშხლართებოდა...

მეორე დღეს გზა ავსილიყო მიმომავლებით: ცხენით, ფეხით, ურმებზე ნანადირევით. ყველანი ნასვამები: ჯგუფები ხელგადახვეულნი სიმღერით, სხვები ხეებ ქვეშ წამხობილნი: ეძინათ. იქ მაღალი ხმით იკვეხნიდნენ სასწაულისებრ ნამოქმედარს. ბოდბეშივე იკრიბებოდნენ. აივსო იქაურობა ხალხით. უბრძანეს, დამსხდარიყვნენ სუფრულად. რჩეულ ხალხს სუფრა ეშალათ, მდაბიოს — ხის ტოტები. სანოვაგე ზვინებად.

— ფეხზედ, ხალხო!

წამოიშალა ჯარი.

— სიჩუმე! უნდა გითხრათ დიდი სათქმელი! გახარებთ ყეინის ნებას.

ეს ბრძანება კარგა ხანია მომივიდა. ჩვენი ბოლო დროის ბრძანება ამ ნების ასასრულებლად იყო მიმართული. მთელი ქართლისა და დანარჩენი საქართველოს მეფეს, ბიზანტიელთა იმპერატორის წაქეზებით, განუზრახავს საქართველოს დანარჩენი ნაწილების შეერთება და უპირველესად კახეთის დაჭერა. უნდა იყოს ერთი საქართველო, არც ერთი ნაწვრეთი საქართველოსი არ დარჩეს განკერძოებით. ამის ასასრულებლად ბიზანტიის კეისარი დაჰპირებია მაშველ ჯარს. აგრეთვე აშოტის სიძე აფხაზთა მეფე თეოდოსე გამოჰშველებია თავისი ჯარით.

— ვერ გაბედავს აშოტი.

— გაბედა! კიდეც ასრულებს: მისი ჯარი გამოსცდა თურმე ტაშისკარს, მოეშურება ქსნისაკენ.

— ერთს არ გაუშვებთ ცოცხალს.

— გისმინოთ ღმერთმა, ყოვლად ბრძენ ყეინს ეს ადრევე სცოდნია და გვიბრძანებს სწრაფად შევიკრიბნეთ და მივეგებოთ საომრად. ჩვენი მშველელები იქ არიან: ტფილისის ემირი მთელი თავისი ჯარით და სპარსთა საუკეთესო რაზმი, რომელიც ამ დღეებში მიაღწევს ჩვენამდე.

— უნდა ასრულდეს ყეინის ნება, ჩვენთვისაც დიდად სასარგებლო.

— ასრულდეს! ასრულდეს!

— ეხლა-კი მივყოთ ხელი ჩვენებურ ქეიფს. ხუცესო, შენ...

— სიტყვა, ბატონო!

— ბრძანე, ზურაბ ჩემო!

— ის რაღა რაყამი იყო, განჯელ მირზამ რომ მოიტანა სასახლეში.

— აი ის ბრძანება! კეთილი მეგობრის მოკითხვა არის ჩემთან მოწერილი. თურმე იცის ჩვენი მზადება და ნასიამოვნებია. მერე მწერს: შენ ქალს საქმრო ამოსჩენია. თურმე ჩემი ბრძანება სჭირია თავის სურვი-

ლის ასრულებაში, ალბად დიდი ქორწილი გექნება. როცა მოხდება შენი ქალის გათხოვება, ვისაც ის აირჩევს იმაზე, გაგეხარდება, რომ შენ ქალის მოყვრად გამოგყვე.

— ჰა! ჰა! ჰა! ხედავთ, კაცო, ყეინიც კი გაუმხიარულებია ამ ამბავს, ვიმხიარულოთ ჩვენც.

— დაიცა, ბატონო, ეგ ხომ ბრძანებაც არის, რომ მომცე შენი ქალი.

— ჰა! ჰა! ჰა! ხარხარებდა მთლიანი კრებული.

— მეც არა ვთქვი, ყეინი საპასუხისმგებლო ბრძანებას განჯელ მირზას როგორ მიანდობს.

— გვაკურთხე, მეუფეო!

ჯვარისმტვირთველმა წართქვა საუფლო ლოცვა, აკურთხა ჭამადი. ჯერ არ დამსხდარიყვნენ, რომ მერიქიფეემ მიართვა გრიგოლს სავსე თასი.

— ეს ყეენის სადღეგრძელო არის! წარმოსთქვა ერისთავთ-ერისთავმა.

— ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ჩვენი მამა და მფარველი შაჰინ-შაჰი! თვალი და მარჯვენა ჩვენკენ აქვს! ეხლაც იცის, რომ აქა ვართ შეყრილი ომის შესახებ მოსალაპარაკებლად.

— მოდის აშოტი, მაგრამ წასვლა ეგრე ადვილი არ იქნება მისთვის!

— არა მგონია!

— ღმერთმა იცის!

— მოიცათ, ბატონო, წარსთქვა მირზამ. მეც მათქმევინეთ! შაჰინ-შაჰი ხომ მამაა ჩვენი და პატრონი, ყველაფერში უნდა ვემორჩილებოდეთ. ჩემი საქმე, რომელშიაც ყეენმა მიიღო მოწყალე მონაწილეობა, თქვენ უყურადღებოდ დასტოვეთ, თითქო უარიც გაუბედეთ. ვის გაუგია ყეენის ბრძანების ეგრე მსუბუქად მოპყრობა! არ შეიძლება! დაათავა მირზამ.

მისი დედა ხომ მთლად აენთო, იწოდა, ინავლებოდა.

მაშ უარს მეუბნები, შენ ერისთავთ-ერისთავო გრიგოლ?

— რასაკვირველია!

— როგორ შეიძლება უარის თქმა თვით ყეენისთვის!

— არა, ყეენისადმი უარი არ შეიძლება! ის მწერს, შენი ქალის ქორწილში გეწვევიო, თუ შენი ქალი მართლა მისდევს მირზას. მაინც გეწვევიო, ვისაც უნდა გაჰყვეს. ხალხო და ჯამაათო! ყეენი ჩვენი სტუმარი იქნება, ომიდან რომ დავბრუნდებით გამარჯვებულნი. ქალის არჩეულიც ბრწყინვალე ვაჟკაცობით უხვად შემკული გვეყოლება გვერდით.

— იყავნ! იყავნ!

— გარდარეული სიმხიარულე დიდებულ ზეიმზე.

დაასკვნეს აჩქარებულიყვნენ საომრად წასასვლელად, რომ აშოტისთვის მიესწროთ მისვლა. მირზა აღარ დარჩა იმათთან, სულ ბუტბუტებდა:

— ახლა-კი ვიცი, რასაც ვიზამ!

## 13.

დიდი ლაშქარი. შეგროვდა გულგულას სანახებში. ბატონი გრიგოლ ჯერ არ მობრძანებულიყო, როდესაც ლაშქრის უფროსებმა დაგზავნეს ბრძანებები, რომ დანიშნულ ადგილას სწრაფად შეგროვებულიყვნენ. გამოაწყეს გასამგზავრებლად, კიდეც დაიძრა ჯარი, აივსო შარა მებრძოლებით. ტყის ბილიკებიც დაფარეს.

როდესაც მივიდა ბინაზე გრიგოლ, გულგულას არე-მარე მოწმენდილიყო ლაშქრისაგან. უმთავრესი ჯარი გასულიყო. ჯარის ნარჩენები-და მიისწრაფოდნენ. პირდაპირ გადაჭრეს კუხეთის მთები, გადაეშვნენ არაგვის ხეობაში. ბრძანება ჰქონდათ სწრაფად ეარნათ, რომ აშოტზე ადრე მისულიყვნენ ქსნის პირას.

— უსათუოდ მიასწრებენ, ბატონო; მუხრანის მინდორში დავტოვე და წამოვედი. ქართლელები ჯერ შორს არიან, ტფილისის ემირი თავის ჯარით ის იყო შემოვიდა ავჭალაში.

— ემირი არ არის მოსატანი ანგარიშში; სპარსეთის ჯარი არ გაუძლევება ქართველებს, მხოლოდ უკან მოჰყვება. თუ იცი, მთიელნი გამოჩნდნენ თუ არა?

— დიდოელნი და თუშნი უკვე გზაში შემომეყარნენ. ფშავ-ხევსურთ არ უყვართ აჩქარება, ნელ-ნელა ვლიან. პირდაპირ ომში გადავლენ. ისინი ყოველთვის სანდონი არიან.

ბრძოლის გეგმი კახთ ბატონს ასეთი შეედგინა: მისი ჯარი არ უნდა გასულიყო მდინარეს. წყალის მარცხენა ნაპირზე ცოტა მოშორებით უნდა შემდგარიყო და გამაგრებულიყო. მტერს ეგონებოდა: მდინარეში გასვლის ჟამს კახელნი დაუწყობდნენ ბრძოლას, რომ ნაწილი ჯარისა ამოეწყვიტათ წყალშივე. კახელნი არ უნდა დაძრულიყვნენ, მტერი თავისუფლად უნდა გამოეშვათ. ქართლელები ისარგებლებდნენ ამ სიწყნარით და გადმოვიდოდნენ მეორე ნაპირზე. კახელნი მაშინ უნდა დასხმოდნენ თავს. მტერი ჯერ გაწყობილი არ იქნებოდა, არც გაშლილი საომრად, და კახთ ლაშქარი მტერს შეაყენებდა, გუნდ-გუნდად დააწევინებდა უკან და გადაჰყრიდა წყალშივე თუ ფლატეებში.

— თუ ეგრე მოხდა, ბატონო, თითქმის უომრად დაგვრჩება ხელში მოსული ჯარი.

— მაგის იმედი მაქვს; მთიულებიც მაშინ უფრო გამოგვადგებიან: ძალიან ემარჯვებათ ხელჩართული ომი.

## 14.

მიუვიდათ სარდლებს კიდევ ბრძანება:

— მადლობას გიგზავნით მარჯვე მოძრაობისთვის, განაგრძეთ გზა ასეთივე მალის სვლით. მაინც ჯარი არ დაიღალოს, დაჰკარით ბანაკი

ქსნის აქეთ ნაპირზე. ფართო ადგილი შემოჰფარგლეთ ლაშქრის ადვილად ტრიალისთვის. მანამდისინ ფშავ-ხევსურნიც შემოგვიერთდებიან, ქსანი არ გადალახოთ. ისინი თითონ გადმოვიდნენ [illegible] ჩვენს უკვე მივაწოდე ასეთივე ცნობები. მე მალე მოგწვდებით. [illegible] ყაავით.

მართლა და ასე დაიწყო და იწარმოვა ომმა. აშოტისებმა მაშინვე დაიწყეს გადმოსვლა. გადმოდიოდნენ ცხენ-და-ცხენ, ნავებით, ნავტიკებით. ერთი განსხვავება იყო: ერთ აგილას კი არ გადმოდიოდა ლაშქარი, ბევრგან. იქვე ჯგუფდებოდა, რაზმად ეწყობოდა. რახან გადმოიწურა მარცხენა ნაპირზე მტრის ლაშქარი, დაიძრნენ კახელნი, მაგრამ აშოტმა მსწრაფლ მოაწყო წვრილი რაზმიდან მთლიანი ლაშქრის საომრად გამწყობა. გრიგოლ კახელი რომ ჩამოეშვა არაგვის სანახებს, გამოჩნდა მირზა განჯელი, მეომართა ჯგუფი მოსდევდა, ასე ოცდა-ხუთ კაცამდე. მივიდა ბატონთან, მისცა მდაბლად სალამი, მოახსენა:

— ჩვენი პატარა სახანოდან გაახელ ოცდა-ხუთი მებრძოლი. ცოტაა, მაგრამ თვითეული მათგანი მხნეობით და გამოცდილებით ასს უდრის.

— ეგ ძალიან კარგია, მადლობის ღირსი. გაჭირვებულ ბრძოლაში ათი მარჯვე ვაჟკაცი ასეულს უდრის.

— ერთი პირობა, ბატონო! ნუ მომაშორებთ ჩემ ჯარს, ჩემთან არიან ბრძოლას ნაჩვევნი. ვაი თუ სხვას ისე მოქნილად ვერ აჰყვნენ!

— დიდად სასიამოვნოა, შენი ჯგუფის სარდალი შენვე უნდა იყო.

მაინც მთელი კახთა ლაშქარი ჯგუფებად იყო დაყოფილი თემების მიხედვით, და თემთა უფროსები სარდლობდნენ თვითეულ ჯგუფს.

მირზამ დაუკრა თავი, გადგა განზე და შეუერთდა ურმებს, საპალნიან ცხენებს, დაბარგულ აზავერებს. მოახერხა აქ თავისთვის და თავის ჯგუფისთვის უხვი სადილის მოწყობა: თვითონ საგზალი არ ახლდა თან.

15.

მესამე დღეს მირზა განჯელი მოულოდნელად გაჩნდა სასახლეში. დაურეკა კარი. გამოეგებნენ. ხუთი კაცი ჰყვანდა თან. ჰკითხეს. შეუთვალა: ბატონიშვილი გამობრძანდესო.

— ჩვენ გვიბრძანეთ და გადავცემთო.

— არა, თვითონ ქალთან მაქვს საქმე. უთხარით, მისი პირისპირ ნახვა მსურს ძნელი ამბავის გამო.

ქალი ჯერ არ გამოვიდა, ჯიუტობდა, მაგრამ ბოლოს ცნობისმოყვარეობამ წასძლია. გამოვიდა:

— რა მოხდა ისეთი, რომ ომიდან გამოგგზავნა მამამ?

კაცმა წინ წადგა ნაბიჯი, მიჰხედა ქალთან გამოსულ შიმუნვარებს და კარისკაცებს. მიმართა ქალს:

— თუ შეიძლება, ჩამოგვეცალნენ. საიდუმლოა.

გადგნენ განზე, კაცმა კვლავ წადგა ფეხი, დაიხარა მცირედ:

— ვიმეორებ, წამომყვები ცოლად თუ არა?

— უკვე გესმა შენ ჩემი გადაწყვეტილი პასუხი: არა!

— მაინც კიდევ გეტყვი, მოვსულვარ სამოყვროდ და არა სამტროდ.

— არა!

— მაშ თუ ნებით არ მომდევ, მაშინ... თქვა კაცმა და ჩამოჰკრა ხელი გულის პირზე. ფარაგი ჩამოიხია სარტყელამდე, გამოჩნდა დრუნგილის ხატება, გადმოფრთხიალდნენ გვრიტნი მზეთუნახავნი, კაცი დასწვდა ერთს კისერში და მის ნაკბილარს გადმოჟონა სისხლის ცვარმა.

სწრაფად გატრიალდა კაცი, შემოახტა ცხენს და გააჭენა, მაგრამ მას აღარ გაჰყვნენ თავისი კაცები:

— ჩვენ საგმირო საქმეზე წამოგვასხი, უმწეო ქალს-კი შეურაცხყოფა მიაყენე, შე არაკაცო! არა გვაქვს რა შენთან საერთო!

შეეფარნენ ტყეს.

გაშტერდნენ სასახლისანი. ქალი ქანდაკებად გარდიქცა, ველარ იძროდა ფერმიხდილი.

ძნელ გარემოებაში ჩავარდა ქალი!

— დიდი შეურაცხყოფა მომაყენა იმ კაცთ არამსგავსმა. მისი ნამოქმედარი ხალხის თვალში უდრის ქალის უკიდურეს გახრწნას. აწ ერის თვალში უკვე ნაძრახისად ვითქმი.

— ღმერთმა დაგიფაროს ნაძრახობიდან, ბატონიშვილო! მაინც შენ სისხლს, თუნდ სისხლის ერთ წვეთს, აღება უნდა და ანაზღაურება.

— ესეა ჩვენი წესი! სისხლი შეუძლიან აიღოს ან თითონ იმან, ვინც შეურაცხყვეს, ან მის ძლიერ მახლობელმა. ძმა გყავს, ბატონიშვილო, მებრძოლი ვაჟკაცი და პირდაპირ მისი ვალია სისხლის ანაზღაურება.

— ძმა დიდ ბრძოლაში მყავს, ვინ იცის, როგორ მშვიდობით დაბრუნდება ის...

— ბატონიშვილო, მომეცი ნება მოვსწვდე.

— არა! რახან მე თვითონ ჩავიდინე შეცდომა, რომ მივიღე ავაზაკი, მე-ვე უნდა ავინაზღაურო ეს შეცოდება.

— ქალბატონო, მაგაზე რას ზრუნავ, თქვენი მოტრფიალე ისეთი ამირანია, რომ პირის ქარად არ ეყოფა მას ვიღაც მირზა განჯელი.

— არა, ჯერ ქორწილი არა ქმნილა, იგი ჯერ შინაური არ არის. უსათუოდ მე ჩემივე ხელით უნდა გავასწორო ეს გაბრუდებული საქმე, თუ არა, პირნათლად ველარ შევხვდები ჩემ რჩეულს.

— ბატონიშვილო, ჩვენც დიდ საფრთხეში ჩავცვივდით: უსათუოდ თავებს დაგვაყრევინებენ, რომ ვერ გაგიფრთხილდით, სისხლიც კი ვერ დავღვარეთ შენთვის ვერც ერთმა.

— მართალს ამბობ! ეგეთია კანონი, მაგრამ მეც არ მომელის კეთილი, მონასტერში უნდა ჩავკლა ჩემი ქალობა. არა, მე-ვე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 16.

დაირხა ხმა:

— ბიზანტიელნი მიეშველნენ კუროპალატსაო. აშოტის სიძეც აფხაზი თეოდოსე თავისი ჯარით დღე-დღეზე მოსწვდებაო.

ეს ხმები მართალი არ იყო. ბიზანტიელთ ჩვეულებრივ აღუთქვეს შველა, არ-კი აუსრულეს. აფხაზმა რომ ნახა ეს, თითონაც განზე გადგა. ეს იყო მიზეზი, რომ აშოტი მხოლოდ თავის ჯარით წამოვიდა და ძალიან აჩქარებითაც.

ზოგს უკვირდა მისი სისწრაფე. სხვები იტყოდნენ, ჰქვიანია აშოტი, იცის, ომში სხვაზე დანდობა ძნელია, და დაასკვნა თავისი ძალებით აისრულოს სურვილი.

კუროპალატს ამბავი მოუტანეს: ტფილისის ემირი ალი შუბის-ძე თავისი ჯარით გამოვიდაო კახთა საშველად, და მას სურდა ამ ახალი ძალის მოსვლამდე გადაეჭრა ლაშქრის ბედი. ის ადრე გაჩნდა ქსნის პირას და მაშინვე შეუდგა ჯარის გადაყვანას. თავისებურად დაიწყო რაზმები.

კახნიც მსწრაფლ აიკაზმნენ და მიეტივნენ. კახელებს წინ დახვდათ გაწყობილი ლაშქარი საომრად მზა. მაინც უეცრად არ ეცნენ მოპირდაპირენი ერთმანეთს, არ დაშალეს ძველი ჩვეულება ბუმბერაზთა ბრძოლისა. კახთა მხარიდან გამოვიდა ვეება ვაჟკაცი, გააჭენ-გამოაჭენა აშოტის ჯარის წინ თავისი ჰუნე და შესძახა:

— გამოვიდეს ჩემთან პირისპირ საბრძოლად, ვისაც გული ერჩის.

გადახედა მტრის ჯარს, იქიდან არავინ იძროდა. ამოიღო ხმალი, დაიწყო ხმლით მღერა. შეაგდებდა ჰაერში, წვერით დაიჭერდა ხმალს და სწრაფად გადმოატრიალებდა, ვადაზედ სტაცებდა ხელს ჰაერში...

ქართლელთა მხრიდან არავინ იძროდა. ზოგავდა-კი თვალით ერთი მათგანი. როცა შეატყო, რომ სიმარდე ოდნავ მოუდუნდა, ელდასავით გამოიქროლა მერანი. კახი გამოფხიზლდა, შესძლო შეთამაშებული ხმალის ხელში დაჭერა, კიდევაც აიმაღლა იარაღი, მაგრამ ერთი წამით უსწრო მოსულმა, დაუშვა მძიმე ხმალი საშინელი ძალით და მოჰკვეთა მარჯვენა. მკლავი ხმალიანურთ დეცა ძირს. ის ცხენ-და-ცხენ დასწვდა და დაბრუნდა გამარჯვებული.

ეს იყო დაწყება დიდი ომისა. კახელები ეცნენ საშუალო ჯარს, რომელიც მაგარი ჩანდა და კარგად შეიარაღებული. აშოტისანი გაუმაგრდნენ ერთ ხანს, მერე დაიწყეს უკან, ზურგი იბრუნეს.

კახთ ეგონათ, გავტეხეთო მთავარი ძალა აშოტისო, თითონ მოჰყოლიყვნენ მახეში. ქართლელებმა მოგრკალეს ლაშქრის ორივე ფრთა და უკან მოექცნენ კახელთ. ადგილი ვიწრო იყო. წინ მტერი, უკან მდინარე, ფლატეებით. დიდძალი მებრძოლი დაიღუპა უბრძოლველად.

კიდევ ცდილობდნენ კახნი, მაგრამ უკვე გატყდნენ. მალე მთელი ლაშქარი დაიძრა, მორბოდნენ უგზო-უკვლოდ. მოსდევდნენ ხოცვით. სულ გაქლეტავდნენ, რომ უეცრად მშველელი არ გამოსჩენიყო. ხევსურთა და ფშაველთა ჯარი მოესწრო ამ დროს, გადაელობა გათამამებულ მტერს, და ნაბიჯი აღარ წაადგმევინა წინ.

აშოტიც აღარ გაჯიუტდა. გატეხილი მტერი მთის კალთებს შეეფარა. ძნელი იყო იმათი იქ დევნა, თანაც ეფიქრებოდა, ემირი არ წამოსწეოდა თავის ჯარით ზურგიდან. ატკრციალდა დაბდაფი, გაჰყვიროდნენ ბუკნი, გაჰყიოდნენ ყვირ-სტვირნი და ალტაცებული ხალხის ხმას ერთი ათად ამრავლებდნენ და ამაღლებდნენ.

— ვინ იყო ის დიდებული მებრძოლი აშოტის მხრიდან?

— კაცო, თითქოს აშოტსა ჰგვანდა მისი ელვასავით მოძრაობა, მისი ძლიერი მკლავი.

— თაფლა რაშიც აშოტისა იყო.

— დაიცა, კაცო, მეომარი რომ წამოვიდა, აშოტის მახლობლად სწორედ ისეთივე მებრძოლი დარჩა.

— წადი და გამოიცან, რომელია მათგან აშოტი.

— ეს-კი ვიცი, რომ მიქელ-გაბრიელის ხმალიც მეტს ვერ გაჰკვეთდა.

სინჯავდა აშოტი თავის ჯარს. ბევრი არ იყო გაწყვეტილი, მაინც საკმაოდ დაზარალებულიყო.

— ზურაბ, გეტყობა, შენ კარგად იბრძოდი. სულ სისხლში ხარ გაბანებული, ეტყოდა აშოტი თავის მეორეს.

— ძალიან იბრძოდა, ძალიან.

— ბრძოლაში და მეტადრე კივილში სულ შენა გგვანდა, ბატონო.

— გაქცევაშიც მე მგვანდა?

— რა ბრძანებაა, ბატონო! გაქცევაში მხოლოდ თავის თავსა ჰგვანდა.

## 17.

კახთ დიდი ზარალი მოუვიდათ. მეტადრე, უნაზღაური იყო ისა, რომ გრიგოლის მემკვიდრე გივი ძნელად დაიჭრა. თითონ იარა არ იყო დიდი. მაგრამ სწრაფად დაწყლულდა და წითლად ავარვარდა. მაინც სწრაფად არ შეიძლებოდა მისი წაყვანა, რადგან ნაწილობრივი ომი ჯერაც არ შეწყვეტილიყო. გზები და ბილიკები სავსე იყო ამტერებულ კახთა და ქართველთაგან. მეორე დღეს მორეკეს გრიგოლისანნი ტყვეები. ბევრი არ იყო დაჭრილი და დახოცილი, ბევრი იყო ტყვედ წაყვანილი; აშოტმა გასცა ბრძანება:

— გაანთავისუფლეთ მთელი ტყვეები! ხალხიდან არიან ძალად გამორეკილი საბრძოლველად. მხოლოდ ამ ოციოდე კაცს უჩემოდ ნუ გაუშვებთ.

ჩამოუთვალა მათი სახელებ.

— ესენი მოთავენი არიან ძმათა შორის ომისა. ერთი საერთო ბრძანება! მთელი იარაღი აჰყარეთ, არც დანა გაუშოთ იმათ ჯიბეში ყელის გამოსაჭრელად. კიდევ ერთი ასიოდე ცხენი გვჭირია, დაარჩიეთ!

კახნიც თადარიგს შეუდგნენ. საყვირის ხმაზე ცოტა შეშფოთდნენ, მაგრამ ჯელგა-ჯელგა მოდიოდა განთავისუფლებული ტყვე, თავ-ჩაღუნულნი, დარცხვენილები, ქუდები მიეფარებინათ თვალებზე, მოძმეს პირდაპირ ვეღარ უყურებდნენ.

აშოტს უნდოდა გრიგოლის ტყვედ ჩაგდება, მაგრამ არსად გამოჩნდა.

— იქნებ შედგა და ომსაც აღარ დაესწრო?

— შეიძლება მთის ბილიკს აჰყვა, რაკი შეეტყო თავისების ძლევა.

— დაბნეულა.

— ან-კი რა ჭკვა უნდა შერჩენიყო, როცა ცოტა ხანში გაუნადგურეს მთელი ლაშქარი და სასიკვდილოდ დაუჭრეს ერთად-ერთი ვაჟი მემკვიდრე.

— მე რომ ვხედავ, ეს კაცი პირად თითონ ველარ შესძლებს გაუძლევს თავის ხალხს და მოვალეობას.

— სიმართლეს ამბობ! ისიც გაიხსენეთ, რომ უნდა დღეს თუ ხვალ გაუმჟღავნონ, რა შეურაცხყოფა მიადგა მაგის სასახლეს და საყვარელ ქალს.

— არა, ვერ გაუძლებს. ან ჭკვაზე უნდა შეირყეს ან წვეთი დაეცეს და გათავდეს.

— გასაკვირელი არ არის. უბედურებას ხშირად მოსდევს უბედურება.

18.

— მოსაგებებლად ემზადებიან.

— როგორ შეიძლება ამ ბოროტ ხანში?

— წესია! მოხდება კაეშნით სავსე მოგებება. ტანისამოსსაც ისეთს ჩაიცმენ: მუქებს.

— მოგებება მაინც შეუძლებელია! მაშინ შეიძლებოდა, როცა გამარჯვებულნი დაბრუნებულიყვნენ.

— ქალაქში გადაუწყვეტიათ, წადი და გადაათქმევინე.

— ქალი-კი ხიფათის დღიდან სევდას მისცემოდა. არ უნდა მოგვეშვას ახალგაზრდა.

— კაცი გვეგონა. ნეტა რას აპირებს ეს ქალი?

— არც მე ვიცი.

— არც შენ?

— ეგება როგორმე ჩვენ მაინც დაგვიხსნას ბატონის რისხვისაგან.

— ბოლოს როგორღაც გამოცოცხლება დაეტყო, აჩქამდა, გასცა ბრძანება:

— აქ მომიყვანეთ ის კაციო. წავიდნენ საძებრად. შორს არ მიუხდათ სიარული: რახან სამტროდ არავინ დაედევნა, ეგონა, ქალმა დაასკვნა გამოყოლა, მეტი ღონე არა ჰქონდა და იქვე ტრიალებდა. უნდოდა მაშინვე წამოსულიყო. არაო, უთხრეს, ხვალ დილაზე ჩამოვალთ და პატივით წაგიყვანთ.

— უჰ, ვინ გასძლებს მთელი ღამე მის უნახავად.

— გასძლებ! ქალი მხიარულად არის, შენც მალე გაგამხიარულებს.

— იმის სულის ჭირიმე!

მეორე დღეს მირზა ელოლიავებოდა ქალს:

— რა მოიგონე, შენი ჭირიმე!

— არაფერი, ისე გაუმჟღავნებ, რომ ყველას გვაპატიოს. მხოლოდ გახსოვდეს, თვალწარბში მიყურე, ჩემი უნებლიედ არაფერი ჩაიდინო რა.

სამუადღეოს იყო მზე, როცა გამოჩნდნენ მომავალნი.

გაუძღვა ბატონიშვილი სანათა, გაჰყვნენ მხლებელნი, კაცნი თუ ქალნი. ყველას ხვეროდი — საყოველთაო ჩაცმა. მხოლოდ მანდილი არ ეხურათ. ბატონიშვილს ხანჯალი ერტყა ლალებით შეჭვილი.

— კაცო, ქალებს მანდილი არა ჰხურავთ. ნუ თუ ომის წაგება ეგეთი სამარცხვინო საქმე იყო?

— კიდევ სხვა რამე აქვთ ალბად სათქმელი!

— კიდევ?!

ქალი მიუახლოვდა მამას. გააპყრო ხელი, როგორც ლოცვად და შეჰხორა:

— მომისმინე ბოლომდინ, მერე მომჭერ თავი.

მირზაც მუხლზედ იდგა.

— ეჰ, ჩემო კარგო! ეს ხმალი გმირთა სჭრიდა თავს ოდესმე, მაინც ისე არ დაბაბუნდა, ქალზე იხმაროს თავისი ფხა! თქვი!

ქალი მიბრუნდა მამისკენ და ყველაფერი დაწვრილებით უამბო, რაც მოუხდა, მერე მოულოდნელად ამოაცალა ხანჯალი ქარქაშს, ჩამოჰკრა განჯელს ყანყრატოსკენ და ჭრილობა ჩაიტანა ძვლებსა და ტყავს შუა სარტყლამდი.

გადმოსჩქეფდა სისხლი. ქალმა ჩაიგლიჯა ფარაგი, მიუშვირა პეშვი და სისხლით სავსე პეშვით გააბანა ნავნები ძუძუ, წმინდა ჰყვა ყოვლისაგან მწიკვლისა და ბიწისა.

მირზა-კი ღრიალებდა!

— მიშველეთ, მომკლა ამ ალქმა, ამ დევთა დედამ!

— ხალხმა რომ დახედა, ფეხზე დგას მირზა და არაფერი საიმისო არა სჭირდა რა, სიცილი შესკდა და ვაჟი მსწრაფლ გააცილეს კრებულს.

ქალებმა მანდილი დაიხურეს. შემდეგ უამბეს ბოლდადელ ყეენს მაჰმადს. ჯერ მრისხანება დაეტყო. როცა ქალის ძუძუს ამბავი უთხრეს, გაეღიმა:

— როგორი სასტიკი ჩვეულება გქონიათო; როდესაც უთხრა, რომ ქალმა მამის წინ მიიყვანა დამნაშავე და ხანჯლის ხმარების ამბავი, როგორ შეშინდა მირზა, როგორ ღრიალებდა დაჭრილი კანჯარივით, [illegible]დელმა ვეღარ შეიკავა სიცილი:

— ეხლა-კი უსათუოდ ვიქნები იმ ქალის ქორწილში.

— მალე მოხდება. ქობულაშვილმა ფადალომ ისეთი საგმირო საქმეები ჩაიდინა, რომ სულ აბჭყვრიალდა ზღაპრული სიქველით, ქალს ისეც უყვარს და ეხლა ხომ ერთი ათად შეფასდა.

1932 წ.

ქრისტეშობ. 3-ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა აფხაიძე

# დილა

მზე — ფარშავანგი ამოფრინდა მთიდან კაკანით,
ამოიყვანა დღე — ღიმილი საუკუნეთა.
გრილ ფოთლებიდან დილის წვენი წკარუნით წვეთავს
და ფშვინავს მიწა ნაყოფისგან დამსკდარი კანით.
შეხვდა სოფელი მწვანე კვამლით, თბილი აკვანით.
სუნნელოვანი დაათვლეთა ოცნება ხეთა.
სხივთ ნიაღვარით გრძელი ღამის ჩრდილნი დაჰკვეთა
და მყუდროება დაარღვია კვირტთა ტკაცანით.
ცას შეესია სიხარულით თითქო ფოთლები,
იცინის მიწა ყვავილებით და იორთქლება.
სად იყო ნეტავ ეს სიცოცხლე და ეს დიდება
ამ სიმხურვალით ჩვენს ქვეყანას რომ ეკიდება.
გადაიწურა: ღამის ნისლი აღარ დამჩრდილავს
და ალტაცებით ავსებული მივყვები დილას.

შალვა დადიანი

# [illegible]

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I

სამოცდახუთი ცოლი ჰყავს
ივანე ქიშმერდიანსა!
დადის და კიდევ დაეძებს
გონიერსა და ჭკვიანსა.
ხალხური.

დრამატურგი ქიშმერდიანი...

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ქიშმერდიანიც იმ ივანეს ჩამომავალი იყო, რომელსაც სამოცდახუთი ცოლი ჰყოლია, რადგან ამასაც,

დრამატურგ ქიშმერდიანს,

ცოლები ნაკლები არა ჰყვანდა, მაგრამ ახლა საქმე ეს არ არის.

დრამატურგ ქიშმერდიანზე

ჩვენ მოგიყვებით ამბავს გულის მომწყვლელს და შემზერავსა.

დრამატურგ ქიშმერდიანით

ჩვენ სულ სხვა რამე გვინდა ვთქვათ.

დრამატურგმა ქიშმერდიანმა

დიდი ჭირ-გადახდილობა განიცადა ერთ ზაფხულს:

შემოქმედებით შვებულებაში უნდოდა წასულიყო. სადმე მყუდრო ალაგას ჩამჯდარიყო და დაგროვილ მასალაზე ემუშავნა დრამატურგთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ვის არ უნდა კეთილი ცხოვრება: სახელი, პატივი, ფულები!

დრამატურგ ქიშმერდიანის

სურვილიც ეს იყო: არც ეპოქას ჩამორჩენოდა, არც სახელს და... ფულებს.

მხოლოდ წასვლა კი გასჭირდა.

თეატრალური სეზონი დახურული იყო და არსაიდან შემოსავალი არ შემოდიოდა.

მაინც მიმართა თეატრებს: ეგებ კონტრაქტაციით აეღოთ მომავალი პიესა და ამაში მოეცათ ფული, მაგრამ რეჟისორებმა დირექტორებთან გაგზავნეს, დირექტორებმა ხელოვნების სექტორში და ხელოვნების სექტორმა კიდევ დრამკომში.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა დრამკომს.

დრამკომში „აქეს, დიდათ მოუწონეს ეს კეთილი განზრახვები“.

მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, როდესაც ქიშმერდიანმა საზაფხულოთ აგარაკზე წასვლისათვის მოითხოვა მისი [illegible] დარჩენილი დავალიანება დრამკომზე, აღმოჩნდა, რომ ქიშმერდიანს [illegible] ერგება და არც ერგება.

არ ერგება ბუჰგალტერიით, ფაქტიურად — კი.

ქიშმერდიანი მხოლოდ დრამატურგი იყო და, მისდა სამარცხვინოდ ბუჰგალტერიის, ამ თვალთმაქცური ანგარიშის, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე, ძალიან ცოტა ესმოდა. დრამკომის ბუჰგალტერიაში ხომ სულ ერთიან „ჩაიბნა“.

დავალიანების განაღდებიდან რომ არა გამოვიდა-რა, შეიშველია კონკურსის ხსენება — ეგებ ამით მაინც მოვინადირო დრამკომის გულიო, მაგრამ საკონკურსოდ დრამკომს ავანსების თანხები არ აღმოაჩნდა.

დიდათ დაძმარდა დრამატურგი.

დრო გადიოდა. ქალაქში სიცხე მატულობდა და განზრახული ნაწერი ძალზე შორეულობდა.

მიმართა სახელგამსაც.

იქაც იყვნენ დაპირებულნი — დავბეჭდავთ თქვენს დრამატიულ ნაწარმოებსაო, მაგრამ ამისი ნაკლებ სჯეროდა ქიშმერდიანს. კარგად იცოდა, რომ სახელგამი ალმაცერად უყურებს დრამატიულ ნაწარმოებთა გამოცემას. მაინც „პირის გამოსაწმენდათ“ და „გულის მოსაოხათ“ სახელგამშიც შეიხედა.

ჩვეულებისამებრ ზრდილობიან დახვედრისა და დაპირების გარდა არა მიუღია-რა.

ჩვენი ჟურნალები? — იქ ხომ სათოფვედ არ იკარებენ დრამატიულ ნაწარმოებებს.

მაშ საით, როგორ?

ჰაერი თანდათან მძიმდებოდა ქიშმერდიანისთვის.

სიცხისაგან მოთენთილს და უიმედობით სასოწარკვეთილს სული ეხუთებოდა ქვა და რკინით შემოზღუდულ ქალაქში.

უეცრად...

ერთ ისეთ სიცხიან დღეს, როდესაც უპერსპექტივო და ტყუილ-უბრალო ხეტიალისაგან არაქათ-გამოლეული ქიშმერდიანი სახლში ბრუნდებოდა, წაეყარა ერთ ნაცნობ მწერალს.

ამ მწერალმა ახარა, რომ დრამკომში ფულებს არიგებენო.

ქიშმერდიანმა არ დაიჯერა, თუმც გული მაინც აუტოკდა, მხოლოდ...

იქვე ჩაუკვდა ეს გული!

ნაცნობმა მწერალმა გადასცა, რომ დრამკომი ფულებს მხოლოდ მსხვილ დრამატურგებს ურიგებს და წვრილები დაივიწყებია, უსამართლობას სჩადიან, წადი, მიეშველეო.

სამძრად გამზადებული, მამაცურ გუნებით შევიდა დრამკომში ქიშ-მერდიანი, მაგრამ სამძარი არაფერი დაურჩა.

დრამკომს გახსენებოდა რუსთაველი:

„ნეხვსა და ვარდსა ვინადგან მზე სწორედ მოეფინების“ —

მზიურ იქცეოდა დრამკომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II

## იდილია

ქიშმერდიანი ჯიბე-სავსე მოვიდა სახლში და მის ახალგაზრდა ცოლს ახარა, რომ „წილადობილას“ ბოლო მოეღო და ამ დღეებში შეუძლიათ ორივ ცოლ-ქმარი აგარაკათ გაეშურნენ.

ახარა, თვითაც გახარებული იყო, მხოლოდ ერთი რამ გულში მაინც ხინჯათ ჰქონდა: ვაი თუ ცოლმა რომელიმე ხრიალა კურორტზე გამიტა-ცოსო და ამის გამო მოიარებითაც დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ... ძალიან მალე პირ-დაღებული შეჰყურებდა ეშხიან თეოს.

თეომ პირ-აქეთ შეაგება შემხვედრი გეგმა.

— უსათუოდ მარტო უნდა წახვიდე წრეულს, სადმე მიყრუებულ ალაგას, თორემ ცნობილ კურორტებზე ხელი შეგეშლება, ვერას გააკე-თებ. მეც რომ არ გეყოლები, მუშაობასაც უფრო ჩაუღრმავდებიო.

ქიშმერდიანს ყურებისა არა სჯეროდა, მაგრამ გულს კი სიხარული ეფინებოდა:

„რა კარგი ქალია ჩემი თეო! როგორ გამიგო! რა კარგად ესმის შე-მოქმედის სულიერი განწყობილება: ზოგჯერ განმარტოება რომ სჭირ-დება! რა მშვენიერი სახეცა აქვს, რა ეშხიანია!“

აივნის შიგნითა კარები ღაღებული იყო.

ყმაწვილი კაცის წერწეტა ნაქვთი გადაადგა მოაჯირს. ეზოში ვილა-საც გასძახოდა.

ვინ არის? ქიშმერდიანს აქამდე არ შეუმჩნევია.

ცოლმა აუხსნა, რომ ახალი მდგმურია, ახალგაზრდა ინჟენერი, ამას წინათ რომ დადგაო.

მაგრამ რა მაგისი ცხელოდა, აბა, ქიშმერდიანს.

ცოლი ამჟამად იმაზე თათბირობდა თუ ბარგი როგორ, ან რაში ჩაუ-ლაგოს მის საყვარელ ქმარსა: ჩემოდანი სჯობია თუ მაფრაში.

თეო უფრო მაფრაშის მომხრე იყო: დიდი ტევადობა აქვს — ქვეშა-გებიც ჩაეტევა, თეთრეულიც, ტანისამოსიც; გასატეხი რამეებიც მოთავს-დება, არც დაიმტვრევა, წიგნებიც იქვე შეიძლება ჩალაგდეს და ქაღალდე-სა და რვეულებს ხომ სულ არა უჭირს-რაო.

დრამატურგი კი ჩემოდანს რჩეობდა: უფრო პორტატიულია, სულ თვალის წინ მექნება, ხშირად შეიძლება გახსნაც დამჭირდეს, რისამე ამო-

ლება, ჩალება. მაგრამ საზაგაეო საქმეა, რკინისგზის შემდეგ ძალიან სოფლად ძნელი წასალები — რა ვქნა, რა ვუყო, ზურგით ხომ ვერა ვზიდავ დრამატურგი კაცი ასეთ ტვირთს, ჩემოდანი კი შემიძლია, ხელითაც ვატარო.

ერთის სიტყვით წვრილმანი, მაგრამ სამოგზაუროთ ოჯახში მეტად საჭირო საუბარი.

რაღა თქმა უნდა მოყვარული ცოლ-ქმარი ამეებზე ერთიმეორეს არ ახირებიან და შეთანხმდნენ... ჩემოდანზე.

აქედან იწყება საუკეთესო და დაუვიწყარი წუთები ოჯახური ბედნიერებისა:

რეცხა, წმენდა, ჩალაგება და განსაკუთრებით უთოობა.

როგორი საუცხოვო უთოობა იცოდა მომხიბლველმა თეომ.

განსაკუთრებით ელექტრო-უთოთი!

ქიშმერდიანი თავის თვალით უცქეროდა: როგორის სიბეჯითით და სიზუსტით იყო ყოველი ნაკეცი, ყოველი ნაოჭი მის ტანისამოსსა და თეთრეულში ჩაუთოებული, თითქო უთოს ყოველ ცხელ ნაკვალევს მიუყვებოდა მისდამი ცხელი, მწვავე სიყვარული ძვირფასი მეუღლისა.

დრამატურგი, ცხადია, პოეტი კაცი იყო და ამ დაუთოებულ ნაკეცების პოეზიას გამახვილებითა გრძნობდა.

როგორის მადლიერის, სიყვარულით აღსავსე თვალებით შესცქეროდა ცოლს ქიშმერდიანი და ამ შეხედვაზე რა სამოთხისებური ღიმილით აძლევდა პასუხს თეო ქმარსა.

ამ ღიმილს რამდენჯერ მოულბია დრამატურგის ხშირად ცხოვრების უსიამოვნებათაგან განძვინებული გუნება.

ახლაც ასე იყო.

დამტკბარი და შემოდგომის დღესავით თბილი და ნათელი დარი.

## III

## მარცხი

> ჩემი ურგები ქოთანი — ქვასათ
> და შექამანდი — ძაღლსათ.
>
> ანდაზა.

ბარგი ჩალაგდა.

ერთი თვით წამსვლელისათვის ყოველივე ჩაჭურჭლული იყო ჩემოდანში.

ბილეთი უკვე ნაყიდი და გუნება დამშვიდებული.

ღამის მატარებელისათვის სადგურზე მისვლა იყო მხოლოდ საჭირო და მატერებელში ჩაჯდომა. სხვა ყოველივე წასასვლელად გამზადებული.

ამ გარემოებამ გამოიწვია დრამატურგის დამშვიდება და ქმრის დამშვიდებამ ცოლის სიმხიარულე:

რაღასაც ჭიკჭიკებდა, ქლურტულებდა, თან ჩაის [illegible]ნიერი თეთ მის დარბაისელ ქმარს.

ბიბლიოთეკა

დრამატურგს არაფერი არ გამოეპარებოდა, დაკვირვებული კაცი იყო, მაგრამ ცოლის ცოტა გადაჭარბებული სიმხიარულე ვერ შეამჩნია.

მოითხოვა მეორე ფინჯანი ჩაი.

ცოლი სამზარეულოში გავიდა ჩაიდნის შემოსატანათ.

კარები ღრიჭოთ დარჩა.

და ქიშმერდიანს თითქო მოელანდა, რომ სამზარეულოში მის ცოლთან ერთად ახალგაზრდა მდგმური შევიდა.

თვალებს არ დაუჯერა, წამოდგომა მოინდომა და ამ დროს... საზეღოთი წამოედვა მის საყვარელს, სტუდენტობის დროს შეძენილ დიდ ფინჯანს, მაგიდიდან გადაუვარდა და ნამსხვრევებათ იქცა.

თეთ თავზე წამოადგა ჩაიდნით ხელში და შუბლი შეეჭმუხნა ნამსხვრევების დანახვაზე, მაგრამ ღრუბელი იმ წამსვე გაიფანტა და სახე-გაშლილმა შეუმსუბუქა:

— ეგ კარგი ნიშანია. გამგზავრების წინ რომ რამე გატყდება იმას ნიშნავს — გზაში შესახვედრი ფათერაკი შინ იოლზე გადავიდაო. შენი ჭირი წაუღია, მაგას ნუ ნაღვლობ!

და კვლავ დადგა მყუდროება ოთახში, სიტკბო და სითბო ცოლქმარ შუა.

ნამსხვრევებს თეომ სიცილ-ხარხარით დაუწყო გაგვა.

მაგრამ, როდესაც ამ ნამსხვრევებს ჰგვიდა, ქიშმერდიანი — ალაგს მოუცლით და — სკამიანათ კედლის ყურისაკენ გაიწია. გაწევა ისე შორს მოუხდა, რომ... უეცრად...

კუთხეში რაღამაც წკრიალი მოიღო, რაღაც თქრიალით გადმომდინარდა და გასანთლული იატაკი წითლად შეიღება.

სისხლი?

სისხლზე უარესი იყო ამ სითხის დაქცევა.

ქიშმერდიანმა იგრძნო, რომ თეოს დიასახლისობის ძარღვს „სისხლი უშრებოდა".

ქიშმერდიანის გაწეულმა სკამმა გატეხა მინის ჭურჭელი და საზამთროთ დაყენებული, ალუბლის მშვენიერი, ტკბილი და მაგარი წვენი იატაკზე დაანთხია.

თეომ ახლა კი ხმა აიმაღლაურა:

— რა ჩოლპოტი ხარ, შე-უბედურო! რაღა მაინცდამაინც იმ კუთხეში მიაჯდე სკამი? ვინ გეხვეწებოდა?.. ან რაში დაგჭირდა მანდით დახევა, ამ ნამსხვრევებს ისე ვერ გაჰგვიდი?! ოჰ, რა ცუდი კაცი ხარ, შე-საცოდავო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წამოვიდა ეპიტეტები.

განა არ იყო ღირსი! მეხუმრეზით! წვითა და დაგვით ნაშოვნი შაქარი, არაყიც და ალუბალიც!

ზამთარში სუფრის დამამშვენებელი „ნალივკა“. ქიშმერდიანის საყვარელი და თეოს მასახელებელი სტუმრებთან.

რა ლოიალობით და ფარეზობით მოვლილი ორთავ ცოლ-ქმრისაგან, რა მოკრძალებით გადგმული გარეთ სიცხე-პაპანაქებაში, როგორის მოწიწებით შინ-შემოტანილი ყოველ შემოღამებისას და მოთავსებული სადმე განრიდებულ ალაგას.

ახლა კი წარხდა ყოველი! გაფუჭდა ეს დიდი ჭირნახულობა.

აჰა, პურჭელი განტეხილი და სასუმელი ესე დაღვრილი!

გაახსენდა ქიშმერდიანს ერთი პოეტის საფლავზე ერთ ბრწყინვალე ორატორის მიერ ნათქვამი ფრაზა.

მხოლოდ იქ ადამიანი იყო, აქ კი... ბოთლი.

ამაზე გულში გაეცინა, მაგრამ სახეზე არ გამოხატა, რადგან ამ საოჯახო უბედურებას

მონელება უნდოდა.

თეოსთვის მაინც.

და აი საკვირველი!

კვლავ გამოიდარა. თეომ ყოველივე მოწმინდა და კვლავ სანეტაროთ გაუღიმა ბავშვივით აძურწულ დრამატურგსა.

ქიშმერდიანი ფიქრობდა:

„არა, მართლა საუცხოვო ქალია ჩემი თეო! როგორ გულით უნდა, ღირსეული ნაწარმოები შევქმნა, კონკურსში გავიმარჯვო, იმიტომ მომიტევა ესეთი ზარალი... ცხადია... თორემ სხვა დრო ყოფილიყო, ერთ კვირას მოუნდებოდით გლოვას და წამწარდებოდა ოჯახში ყოფნა. ახლა კი, აი, მეუბნება კიდეც — მატარებელზე არ დაგაგვიანდესო“...

და მართლაც...

სჯობია ადრე იყო სადგურზე, ვიდრე იჩქარო და გულის ხეთქით მივარდე მატარებელს.

წამოდგა. გამოეთხოვა, რადგან თეომ ამ ხელად ქმრის სადგურამდე გაცილება არ მოისურვა: — რა საჭიროა ცერემონიებიო.

ქიშმერდიანმა ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა ოთახში. გაახსენდა მის მიერ დამტვრეული ფინჯანი, ბოთლი...

არ უნდოდა ეთქვა, მაინც წამოცდა:

— ჩვენში სწამთ, როდესაც რაიმე მარცხი მოხდება, უნდა გასამდეს... და ისიც იოლად, თორემ დიდი ფათერაკია მოსალოდნელიო...

მაგრამ ეშხიანმა თეომ ლმობიერათ უსაყვედურა:

— არა გრცხვენია, ცრუ-მორწმუნეობას იჩენ... სხვა რა მოგვივა. რაც მოხდა შენი ჭირი წაუღიაო...

და ერთხელ კიდევ გამოსათხოვრად ქმრისკენ ხელები გაიწოდა.

ქმარმა მოხვევნა მოისურვა და ცოლისაკენ გაიწია, მაგრამ ამ დროს ქმრის პიჯაკი მოედვა სრიალა ტილოს სუფრას, თან გადაყოლა და თიხის საფერფლე, რომელზედაც დათვი იყო გაწოლილი, [illegible] დაანარცხა.

საფერფლემ დაიკვნესა ნამტვრევებად.

ცოლ-ქმარმა ერთი მეორეს შეხედა.

— დათვი!

ცოლის იყო პირველი თქმა.

— ეს მესამე...

— მესამე დათვი?

— არა, მარცხი. გასამდა.

ორთავეს გაეღიმა.

## IV

## ფათერაკი

სადმე სადგურია!
სად მე, სად გურია?!

ლელი ჯაფარიძე.

მიქრის მატარებელი ქართლის ფართო გულ-მკერდზე.

რა სასიამოვნოა რბილი რონოდით თავისუფალი მოგზაურობა.

ქიშმერდიანი გაწოლილია ცალკე კუპეში და მისცემია ტკბილს ოცნებას.

კუპეში არა ცხელა, რადგან ფართო, დოლრიალა ფანჯარა სულ ძირამდეა ჩაშვებული და მოდენილი ნიავი აგრილებს იქაურობას.

ელექტრონი ჰახჰახებს კუპეში, მაგრამ ეს არა სწყინს დრამატურგის თვალებს. მას არ სძინავს — გონების თვალით სულ სხვაგან იხედება.

თავ-ქვეშ ამოუდვია მისი საზაფხულო ავლა-დიდება, თეთრს მიერ ესე ერთგულად ჩალაგებული კარგა მოზრდილი ჩემოდანი და... განცხრება.

კარგად მოეწყო. კუპეში ხალვათობაა. მის გარდა კიდევ მხოლოდ სამნი არიან. სამივეს სძინავს და ხელს არ უშლიან სრულად მიეცეს „ფიქრთა გვრიომას“.

ჩემოდანიც თავ-ქვეშ უძევს, არ შედვა ამისთვის მიჩენილ, ზემო-გამოქვაბულში: რომ ჩამეძინოს, მომპაროს ვინმემ. თავ-ქვეშ კი მუდამ ვიგრძნობ, ვის დავანებებო?

ის კი არა ფულებიც ამ ჩემოდანში ჩადვა.

ეს აი რატომ მოხდა:

დრამკომში სულ სამ-მანეთიანები და მანეთიანები გადმოუყრევეს.

ჯიბეში ნამეტანი სქლად მოსჩანდა, პორტმონეში გამობერილი იყო.

ეს არ ეჰაშნიკა, გზაში შემამჩნევს ვინმე „ხელოვანი“! დაიყვირის რად გავალიზიანო, ისევ სჯობს ჩემოდანში „უდურთოვო“ და... ეგრეც მოიქცა.

აი ახლა ყველაფერი ერთად აქვს კონცენტრებული. რა არის საშიშარი! უკვე კუპეშია, დაბინავებულია. გაშხლართულად, ნებიერად გაწოლილია რბილ ტახტზე, ჩემოდანი თავ-ქვეშ უძევს, თავიც ფანჯრისაკენ აქვს მიდებული, რომ გრილი ნიავი სახეზე უშუალოდ დაფარფატებდეს, არც ეძინება, ფიქრებს გაუტაცნია.

რა არის მისი ფიქრი?

ჯერ ერთი ის ნუნისს მიემგზავრება.

რად მიდის ნუნისს და რა არის ეს ნუნისი? — ეს დრამატურგის საიდუმლოებაა.

ქიშმერდიანის გარდა საქართველოში ბევრმა არ იცის, რომ ნუნისი მშვენიერი მდებარეობის მომავალი კურორტია: ნაძვნარი, სამკურნალო წყლები, რკინისგზის ახლო, სადღაც მოლითთან ზემო-იმერეთში, მხოლოდ ამჟამად მეტად მყუდრო და განრიდებული.

ქიშმერდიანსაც ხომ ასეთი ადგილი უნდოდა განსასვენებლად და შემოქმედებისათვის.

ბევრს კი არ ესმის ეს და ამიტომაც არის საიდუმლოება.

მაგრამ მისი მთავარი ფიქრი მომავალ მის დრამას დასტრიალებს.

რას დასწერს, როგორ დასწერს.

რას დასწერს უკვე იცის: თანამედროვე, ეპოქალური, ახალი ადამიანი ახალ ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე წარმოშობილი, კერძო მესაკუთრეობას განრიდებული ფსიქიკა, ახალ საწარმოო იარაღებთან გაცნობილი და ტექნიკა-დაუფლებული, რომელიც ქმნის მის ახალს მსოფლ-მხედველობას, ახალს დამოკიდებულებას საზოგადოებრიობისადმი, აზროვნებას, საქციელს, მიხვრა-მოხვრასაც კი:

ჩოხას ხომ თავისი ათვისება უნდოდა ტანადობაში, წელა-მესტს — თავისებური სიარული.

ევროპიულ ტანისამოსს კი სხვაგვარი ტარება უნდა; გადმოშვებული შალვარი სხვა ფეხის გადადგმას თხოულობს.

ახალუხის ღირკილო სხვანაირად რაზმავს თითებს, „გალსტუკი“ — სხვანაირად.

მეზღვაური ხმელეთზედაც სხვაგვარ დადის, რადგან ჰგონია, რომ მის ფეხ-ქვეშ ნიადაგი მუდამ ტორტმანებს. გამომთქმელობაც სხვა აქვს — ქარიშხლისა და ზღვის ღრიალის წარმონაშობი.

დღეინდელ ავიატორსაც უთუოდ სხვა მიხვრა-მოხვრა დასჩემდება. მისი თვალთა-ხედვაც სულ სხვაგვარია. აქედგან შეიძლება შინაგანი ჰორიზონტიც გაუფართოვდეს, გაქანების სხვა შეგნება მიიღოს და ასე სულ...

რეცეპტი მზათ არის.

ამაზე კიდევ უფრო დაზუსტებული. ჩვენი კრიტიკოსები მეტს რას იძლევიან.

მაგრამ თვით ქიშმერდიანმა ეს თვალით დაინახა? — შეიგრძნო? შეითვისა? გაუჯდა ძვალ-რბილში? ახლა მხატვრულ სახეებათ გადმოიშლებიან თუ არა?

მიქრის მატარებელი. მის რიტმიულ სრბოლაში ისახება იდეები, თემები, სიუჟეტები.

იცის, იცის ქიშმერდიანმა. განა მთელი ზაფხული ტყუილა აგროვებდა თავის ბოლკნოტზე სულ სხვადასხვაგვარ უცნაურ შენიშვნებს.

სხვამ რომ ნახოს, გაეცინება. ვერაფერს გაიგებს. რაღაც აბრა-კადაბრაა სხვისთვის.

მას კი აქა აქვს შეგროვილი თავისი დაკვირვებანი. აქა ჰყავს კიდობანში ჩამწყვდეული... ჰო... თავის ჩემოდანში და სად წაუვა.

თითქო ტკბილი ქრუანტელი უვლის ტანში.

რა ბედნიერებაა შემოქმედებითი სიჩქარე.

და რა უდიდესი დარგია ხელოვნებაში დრამატურგია.

როგორ ყველას სწამს მისი დიდი როლი.

მხოლოდ თავის „ოლიმპის სიმაღლიდან“ ზოგიერთი რეჟისორია საქართველოში, რომ არა სცნობს დრამატურგიას.

მაგრამ ეს მწვალებლური აზრი რეჟისორზე მოუვიდა თუ არა დრამატურგს, მყისვე თავ-ქვეშ შეერყა... ჩემოდანი.

· იფიქრა — უთუოდ ჩემოდანს თავით ცალ-მხარეს ძალზე დავაწექი და აი გადაყირავდაო. თავი ცოტა აილო, ხელი წაუპოტინა.

მაგრამ საკვირველი!

ჩემოდანი აცურდა ჰაერში.

მატარებელი მიქრის.

გარეთ ბნელა. გაღებულ ფანჯარასთან არავინ მოსჩანს. შიგნით კუპეში დღესავით ნათელია, არც გარეშე არავინ არის, მგზავრებს სძინავთ.

ჩემოდანი კი მისცურავს მაღლა და... ფანჯრისაკენ.

ქიშმერდიანი წამოჯდა და... გაეცინა.

ეს რა მანქანებაა!

რაღაც „უხილავ ძალას“ მიაქვს ჩემოდანი.

მიხვდა ქიშმერდიანი რა უხილავი ძალაც იყო და, წამომჯდარმა, ახლა კი იკადრა, რომ ორივ ხელი ჩაევლო ჩემოდანისათვის, მოსწია კიდეც და თავისკენ ჩაითრია, მაგრამ...

ჩემოდანი ისეთის სიძლიერით ავარდა ზევით, რომ, აშკარაა, ვიღაც ხელიდან ჰგლეჯდა. ხელის შევლებაც ველარ მოასწრო მეორეჯერ.

ახლა კი იკადრა ქიშმერდიანმა დაყვირება.

აქამდე ყოველივე თითქო კონსპირატიულად ხდებოდა. თითქო თვითონ ქიშმერდიანი ხელს უწყობს ჩემოდნის გატაცებას და თავს ირთობსო.
ახლა კი, როდესაც საქმე ხუმრობის გარე შე[illegible]ება ყვირილი!

ბიბლიოთეკა

მთელი რონოდა წამოცვინდა.
აქ მძინარეებმა გამოიღვიძეს, იქიდან მეზობლები შემოვიდნენ კუპეში, ერთი მკერდ-გაღეღილი ქალბატონიც, მაგრამ რაღა დროს!
ღამის წყვდიადმა ჩაჰყლაპა ჩემოდანი.
როგორც ყოველთვის, ურემ-გადაბრუნებულზე, შეიქნა ხორხოცი, რუზრუზი, ათასი რჩევა და დარიგება. განცხადება რონოდის გამყოლთან, რევიზორთან, რომელთა თვალებში გამოცდილებით შეძენილი უიმედობა იყო შთასახული; ცდა, რომ მატარებელი შეეჩერებინათ, მაგრამ ეს წინადადება უარჰყო ერთმა ხანდაზმულმა:
— იცით რას გეტყვით: სულ ტყუილია ახლა მატარებლის შეჩერება. ამ წყვდიადში აბა რომელი ჩვენთაგანი გადადებს თავს და გამოუდგება გამცარცველებს? არ დაიჯეროთ, არც ერთი. ყველას ტკბილი ძილი ურჩევნია, ვიდრე სადღაც ბუჩქნარსა და ეკალ-ბურდში ფხაწური... მცარცველები ხომ სწორი გზით არ წავიდოდნენ... არც თქვენ გირჩევთ!.. — აქ ქიშმერდიანს მიმართა — რომ წააწყდეთ კიდეც, თავს წააგებთ... ის კი არა ძალიან კარგა მოქცეულხართ, რომ ფეხზე არ წამოდექით და დამჯდარი ეჭიდებოდით; რომ წამომდგარიყავით, უსათუოდ დაგაშავებდნენ...
ქიშმერდიანს მაინდამაინც მატარებლის შეჩერება არა სდომებია, მაგრამ ეს კი იცოდა, რომ სადმე და ვისმესთვის, ყოველ შემთხვევისათვის, უნდა განეცხადებია.
სწორედ ამ დროს ვიღამაც წამოიძახა:
— უნდა განაცხადოთ, აქ სადღაც სადგურია.
კიდევ უცნაური!
ქიშმერდიანს თავში შეეჭრა დიდი ხნის წინეთ წაკითხული ფრაზა უდროოდ დაღუპულ ლელი ჯაფარიძისა:

სადმე სადგურია!
სად მე? სად გურია?!

ლელის გახსენებამ გულს რეჩხი უყო, მხოლოდ — მაინც მოურევნელად ლოყები გაებერა, აუცახცახდა... მოუნდა სიცილი. კინაღამ წასკდა. ძლივს თავი შეიკავა. იცოდა, რომ ამ გარემოებაში მყოფს, თავი ისე უნდა დაეჭირა, ვით შეჰფერის მგლოვიარე ჭირისუფალს.
ვითომ რაო? მარტოობა ძნელია უბედურებაში?
მართლაც...

სიმძიმის ნაცვლად, გალვიძებული მგზავრები ერთი-მეორეს უსწრებდნენ და უამბობდნენ სხვადასხვა შემთხვევებს მატარებელში გაცარცვისას.

მატარებელი შეჩერდა რომელიღაც პატარა სადგურზე და თითქმის მთელი რონოდა ჩაყვა ქიშმერდიანს სადგურის უფროსთან.

## V

## სიღატაკის ფილოსოფია

რეგვენი საქმეს წაახდენს,
ფათერაკს დააბრალებსო.

ა ნ დ ა ზ ა.

დაძმარებული და სასოწარკვეთილი ბრუნდება ქიშმერდიანი ტფილისს.

ახლა აღარ ეცინება.

რაც დრო გადის იმდენი უფრო უკვდება გული: რა დიდი უბედურება მოუვიდა! რა დაჰკარგა, რა!

ეს მწვავეთ მაშინ უფრო იგრძნო, როდესაც განცხადებაში სადგურზე მოსთხოვეს სია დანაკარგისა. იხსენებდა და თანდათან გული უჩუყდებოდა. სამოგზაუროდ რა ზედ-მიწევნით შერჩეული ნივთები, ტანისამოსი და ხელსაწყო. ნაწერები! ანუ უკეთ დასაწერი მასალა, რომლის აღდგენა და დაგროვება ეგზომ ძნელია მწერლისათვის, რადგან ყოველ შემთხვევაში, ყოველ ამოწერილში არის თავის არომატი, ნიუანსი, მაჩვენებელი ერთის მხრით იმ გარემოსი, რომელშიაც მწერალი ტრიალებდა, მეორეს მხრით იმ გუნებისა, რომელზედაც მწერალი მაშინ იმყოფებოდა. ის მასალები, რომლებიც ზოგი აგურობის მაგივრობას სწევს, ზოგი — თუჯისას, ზოგი — რკინისა, ზოგიც — თვით მარმარილოს და ბრინჯაოს მაგივრობას და ზოგი კიდევ თვალთა პატიოსანთა შემნაცვლელია.

მისთვის, რომ აშენდეს საუცხოვო დრამატურგიული ნაწარმოები.

დრამატურგია ხომ ხუროთ-მოძღვრების მსგავსი დარგია. ეს ქიშმერდიანს რომელიღაც სახელმძღვანელოში ამოუკითხავს.

და აი, როდესაც სიას ადგენდა, თანდათან მისი გული იხურებოდა, ყელთ ცრემლები ებჯინებოდა... გაუბედურებულათ გრძნობდა თავს.

გაუბედურებულებს კი გზები ცოტა-ღა რჩება.

იმათ მაინც ესე ჰგონიათ.

მაგრამ გამოსავალი მუდამ არის, ერთად ერთი მაინც.

ქიშმერდიანსაც ამჟამად მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა. გზა სახლისკენ, შინისკენ მიმავალი.

და ისიც დაბრუნდა.

დღისით წამოვიდა ახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთადერთი მისი გამრთობი კვლავ მისი ფიქრები იყო.

ახლა აღარა ფიქრობდა მომავალ პიესაზე.

მისი გონება სულ შემთხვეულ ფათერაკს დასტრიალებდა თავს.

ჰმ... ფათერაკი! ფათერაკი კია?

ფათერაკს ქიშმერდიანი ავარიას ეძახის ქართულად.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი გაზეთები დაჟინებით ავარიას სწერენ. ავარია ხომ მოულოდნელი დაზიანებაა.

ფათერაკი რაღაა?

ეგეც მოულოდნელი შემთხვევა არ არის? შემთხვევა და ისიც უთუოდ საზიანო.

ხალხი რას იტყვის, რა სიტყვას არ შეთხზავს!

იმერეთში ერთ დროს ადამიანსაც კი შეარქვეს ეს სახელი: „სპირიდონ-ფათერაკიო“. უამბნიათ ქიშმერდიანისთვის.

ფათერაკს ცოტა მისტიური არომატიც ახლავს.

მაგრამ ფათერაკის, როგორც სიტყვის გამოკვლევას, ქიშმერდიანი არ გაჰყვა.

ის თვით შემთხვეულ ფათერაკს დაუბრუნდა.

რა მოუვიდა? როგორ?

ვითომ შემეშინდა? ტვინი დამებნა და იმიტომ?

მაშ როგორ გავატანე, როგორ?

ვის გავატანე? არავინ არ დამინახავს.

უხილავი ძალა იყო!

და აი სწორედ ეგ არის, რომ ამხელს ჩემს შეშინებას, აკი ერთმა მგზავრმა მითხრა კიდეც — თუ არავინ დაგინახავთ, ეგ შიშისგან მოგვსვლიათო.

რომ გამეცინა? ეს შიში არ არის?

ეს პროფესიის ბრალია. დრამატურგი ვარ, თეატრის კაცი და უფრო ილიუზიებს ვარ გადაყოლილი. თეატრი, სცენა, ეს ხომ ილიუზიაა. ცხოვრების სინამდვილეს რომ წავაწყდი მოურიდებელს და უხეშს, მე მაინც თეატრალობათ მივიღე და ამან გამაცინა: არა მჯეროდა ჩემოდნის აცურება, არა მჯეროდა, რომ მას მოხერხებული მცარცველი მართმევდა. ის ხომ ფანჯრის გარეთ იდგა, მეტად სახიფათო ალაგას, გაქანებულ მატარებელზე, მაშასადამე უპირატესობა ჩემკენ იყო.

არა, როგორ დამძლია!

რატომ ორივ ხელი ზევიდან ღონივრათ არ ჩამოვკარ ჩემოდანს, ხომ გამოვგლეჯდი! რატომ მხოლოდ ქვევიდან წავავლე ხელი? რად ვერ მივხვდი მაშინ, რად?

ან რად არ გაიღვიძა ჩემში რომელიმე ჩემმა წინაპარმა — ვაჟკაცმა და შემმართებელმა? აი თუნდა იმ ივანე ქიშმერდიანმა, რომელსაც სამოც-

დახუთი ცოლი ჰყოლია! თუ სამოცდახუთი ცოლი ჰყავდა, ისათუოდ ვაჟკაცი ყოფილა: სხვა არა იყოს-რა, რჩენა ხომ უნდოდა ამ ცოლებს და თუ რჩენა უნდოდა, ამ სარჩენს ხომ შოვნა უნდოდა, შოვნას კიდევ ბრძოლა, ბრძოლას, ცხადია, ვაჟკაცობა სჭირდებოდა. მართალია, ახლა უფრო გონებით, მაგრამ იმ დროს ხომ ფიზიკურადაც იქნებოდა საჭირო ვაჟკაცობა. მაშ ივანე ქიშმერდიანს ვინ გაუბედავდა გაცარცვას. უბრალო ხურჯინსაც ვერავინ წაართმევდა, ხურჯინს კი არა პატარა აბგასაც.

მაშ მე რა მომივიდა, რა!

მოწმეა ჩემი თავი, რომ არ შემშინებია. მგზავრი ცდება. ძალიან ფილოსოფიურად შევხვდი ამ ამბავს. ე. ი. სრულიად არ ავღელვებულვარ.

შეიძლება ეს იმიტომაც, რომ ბუნებით არა ვარ მესაკუთრე...

არა მაქვს განვითარებული თუნდ ის ინსტიქტი, ბავშვს რომ აქვს: ერთ ხელში პური უჭირავს და მეორეში ყველი ან თუნდ საჭმელი ნუ იქნება, იყოს რაიმე სათამაშო. აბა სცადეთ წართმევა... ტირილით „გადაფიჩინდება“ და არ დაგანებებთ.

მე კი ესეთი არა ვარ...

მაგრამ ვტყუი! რად არის, ახლა რომ გამახსენდა ყოველი წვრილმანიც კი ჩემ მიერ დაკარგულისა, გული მომიკვდება. მაგალითად რადა ვნანობ სამართებელს, მაკრატელს, პაპიროსებს, უბრალო ფანქარსაც კი?

არა, მესაკუთრეობის გრძნობა კიდევ „ზის ჩემში“ და მათი დაკარგვა ვერ მომინელებია...

ვინ იცის ჯერ კიდევ რამდენი დრო გავა მანამდე, სანამ ნივთი არ იქნება ჩვენი მპყრობელი!

ხომ ვეჩვევით კოლექტიურ ცხოვრებას, ხომ ზოგიერთი ჩვენგანი მართლა გულ-წრფელად არ აქცევს ყურადღებას „შენსას“, „ჩემსას“. საჩვენოს, საერთოს მისდევს, მას იცავს, მისი რაინდია, მაგრამ რად არის, რომ ზოგს მაინც უყვარს თავის ოთახი, თავისი მაგიდა, თავისი ტახტი, თავისი საფერფლეც კი.

მართლა, მე რომ საფერფლე გავტეხე წამოსვლისას? მერე რა საფერფლე! დათვიანი! ჩემი ფინჯანი? სტუდენტობის დროს ნაყიდი? ბოთლი ალუბლის წვნით სავსე?

მართლა აკი გასამდა და ფათერაკი აღარ უნდა შემმთხვეოდა!

ქიშმერდიანი მიხვდა, რომ ის ჯერ კიდევ ვერ იყო ახალი კაცი: გრძნობა მესაკუთრეობისა და ცრუ-მორწმუნეობისა მის გულს კიდევ ულიტინებდა.

ცალკე ფიქრებით და ცალკე მგზავრობით გატანჯული და განაწამები მიადგა თავის სახლს.

მიადგა, მაგრამ როგორ შებედოს? რას ეტყვის თეო?

ქალი ხომ კიდევ უფრო მესაკუთრეა! მერე როგორი ნაამაგდარი სწორედ ამ ჩემოდანზე.

ჰმ... მის მიერ დაუთოებული თეთრი ხალათები, შალვრები, ზეწრები, თეთრეული... ხუმრობა ამბავია!

კარები გაიღო და სახე-ალანძული, თმებ-აპუწული გამოჩნდა საყვარელი ცოლი.

ნუ თუ გაიგო ქმრის ამბავი და იმან შეუშალა სახე? მერე ესეთი უკმეხი დახვედრა:

— რა ამბავია, რა მოგარბენინებდა?

ქიშმერდიანმა ვერ მოითმინა:

— სული ამომათქმევინე, ქალო! ყველაფერს გიამბობ.

კიბეზე რომ ამოდიოდა ქიშმერდიანმა რაღაც ლანდს მოჰკრა თვალი, თითქო მათი ოთახიდან „გაშპა“ რაღაც ნაქვთი.

— ეს ვინ იყო? ჩვენთან სტუმარია ვინმე?

— რა ვიცი ვინ იყო! ამ ბალკონზე ათასი კაცი დადის... შე-უბედურო, ახლა მოლანდებაც დაიწყე? ამ მგზავრობამ ხომ არ გადაგრია?

არაფერი სასიკეთო არ ეწერა თეოს სახეზე.

ეტყობოდა, აშკარათ ეტყობოდა, რომ ქმრის დაბრუნებით დიდათ ნაწყენი იყო:

კიდევ შეუტია:

— როგორი მოხვარსლული მოხვედი! ჩემოდანი სად არის? დაკარგე?

ქიშმერდიანი მოუყვა.

მაგრამ რამდენი მეტი უხსნიდა საქმის გარემოებას, იმდენი უფრო ატყობდა, რომ ცოლის თვალში ჰკარგავდა პატივისცემას.

ეს აშკარად დაეტყო ცოლის სიტყვებს.

— უჰ, შე-გლახაკო, შენ! ჩემოდანი დაჰკარგე და კიდევ შინ ბრუნდები? რა პირით, შე-უნამუსო!

ქიშმერდიანი თავის მართლებას შეეცადა:

— მთელი რიგი მიზეზები უძღოდა ჩემოდნის დაკარგვას: მე რომ ჩემოდანი თავ-ქვეშ არ ამომედვა, მე რომ ფანჯარისაკენ არ დავწოლილიყავ, მე რომ ფანჯარა დამეხურა და სხვა, უთუოდ ჩემოდანი არ დამეკარგებოდა...

მაგრამ ცოლის ყურამდე არ მოვიდა ეს მიზეზები. ის თუთიყუშსავით იმეორებდა: „გლახაკი უნამუსო!“ თან უმატებდა:

— თავსაც რომ იმართლებს! ფილოსოფოსობაც რომ დაუწყია! სიგლახაკის ფილოსოფია!

ქიშმერდიანი ძალიანა ცდილობდა გული მოელბო ცოლისათვის და წყალ-წაღებულივით კვლავ ხავსს მოეჭიდა:

— ამისთანა ამბავი თავის დღეში არ დამმართნია, აქამდი ნემსი რა არის, ნემსიც კი არ დამკარგვიაო. — მაგრამ ეს ნემსის ამბავი თვითონვე

შესწყვიტა, რადგან დრამატურგის მიერ ნემსის ხსენება ვერ იყო დამაჯერებელი, დერციკი ხომ არ იყო.

ცოლმა კი გაბრაზებულმა შეძახა:

— გადი, დამეკარგე, ჩემმა თვალებმა არ გნახოს... გლახაკი ქმარი ვის ეკადრება... მე თუ აქამდე გივლიდი და გელოლიავებოდი შენი წერის იმედი მქონდა, შენი დრამატურგობა მჯეროდა...

— მერე და დრამატურგობიდან ახლა ვინ გამომწირა?

— ვინა? შეენ?.. არა მწამს „სიბრძნე გლახაკთა". ის კაცი, რომელიც ესე ვაგლახათ ჰკარგავს თავის ავლა-დიდებას, ის დასწერს პიესას და ისიც საკონკურსოს? ო, შე გლახაკების ფილოსოფოსო! გადი, დამეკარგე!

— ბიჭოს, დაკარგვა რა შუაშია! ნიჭი ხომ არ დამიკარგავს!

მაგრამ გაშმაგებულ ცოლს ეტყობოდა ვერავითარ ლოღიკით ვერ დაარწმუნებდი. მშვენიერ თეოს სხვათა შორის ის აბრაზებდა, რომ ქიშმერდიანს ფთერაკის დროს გაცინებოდა.

— აი შენ კი გაიცინე კუბოსა და შავ მიწაში! მეტი რა მიგქონდა, სხვა რა გებარა!

მეტის მეტი მიეძალა ცოლი და კვლავ შეუვალათ შეუძახა:

— გასწი, დამეკარგე-მეთქი, გეუბნები, დამეკარგე!

ქიშმერდიანს არაფერი გაეგებოდა. მართალია დიდი უბედურება მოუვიდა, მაგრამ წასვლა, ცოლის მოცილება ესეთი პატარა მიზეზისათვის, ჩემოდანის გულისათვის, საოცარი იყო, გასაშტერებელი.

კვლავ შეეცადა ცოლი გონს მოეგო.

დამშვიდების მაგივრათ უეცრად ცოლმა ოთახის კარები გაალო და გასძახა:

— მიშა, ერთ წუთას აქ მობრძანდით!

კარებში უხერხულათ გაეხირა ახალი მეზობელი ქიშმერდიანისა, აი ინჟინერი რომ უნდა იყოს, სახელათაც მიშა რომ რქმევია.

ორივ მამაკაცი ერთი მეორეს განცვიფრებით მიაშტერდა.

სიჩუმე ისევ ქიშმერდიანმა დაარღვია:

— რა მოგდის, ქალო?

— ის მომდის, რომ აღარ მინდიხარ! გთხოვთ ეს ვაჟბატონი ჩემის ოთახიდან გაიყვანოთ.

ეს სიტყვები ინჟინრისადმი იყო მიმართული.

ინჟინერი დაიძრა, მაგრამ ქიშმერდიანის ხელის წასავლებათ კი არა, კარებს ჩამოსცილდა მხოლოდ.

ქიშმერდიანი მიხვდა, რომ ყოველივე ამის მიზეზი მისი ჩემოდნის დაკარგვა არ იყო.

მყისვე თავში გაუელვა: „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან". მართალია ჩემ ცოლს არა სწამს, რომ მამაცი ვარ და... ისიც კარგი, მაგრამ...

გადასწყვიტა: — „წავალ მისგან“. — თან გულში მადიანად ახარხარდა: „არა, როგორ ვერ შევამჩნიე... აი, პირველად რომ ფინჯანი გავტეხე, ეს ყმაწვილი რომ სამზარეულოში ჩემ ცოლთან შევიდა, ცოლი... რომ ისე სიხარულით მისტუმრებდა და წასვლასაც მაჩქარებდა, როგორ ვერ მოვისაზრე! დრამატურგი კაცი ვარ, კვანძების ამბავი მე უნდა ვიცოდე და როგორ ვერ მივხვდი თუ ჩემს ოჯახში რა იკვანძებოდა! დიაღ, წასვლა სჯობს“...

ერთი თვალი შეავლო ცოლსა და ახალგაზდა ინჟინერს, ალარაფერი უთქვამს ისე გავიდა ოთახიდან.

კიბეზე ჩამავალს მოესმა ხმა-მაღალი ლაპარაკი:

„დეე, ახლა მაგათ იჩხუბონ, იგემონ ოჯახური ბედნიერება!“

ამ ნუგეშით ქიმმერდიანმა თავის სახლის კარები უკანასკნელად გაიჯახუნა.

გამოვიდა ქუჩაში და მშვენიერ გუნებაზე დადგა.

— კარგათ მოვიქეცი. არც ტრაგედია, არც დავიდარაბა! იოლათ შეველიე... ბინას. ჰმ, ბინა! რასაკვირველია, უფლება მაქვს ჩემს ბინაზე ჩემი კუთხე ვიქონიო, მაგრამ... მგონი გადავიქმენი! მესაკუთრეობის გრძნობა კვდება ჩემში... დავკარგე ჩემოდანი, ბინა, ცოლი... და გულში სინანულს არა ვგრძნობ... თუ ეს იმიტომ რომ — რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო? და ამან, როგორც თეომ მითხრა, შემძინა სიგლახაკის ფილოსოფია? ერთი უტყუარია: ამიერიდგან ვისწავლე — დრამკომს წინდაწინ ფული არ უნდა გამოვართვა, თორემ ფათერაკს გადავეკიდები და საკონკურსო პიესას ვერ დავწერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ზომლეთელი

# „მნათობის" ათი წელი

თუ მზის კიაფი ისე დიდია,
რომ ბუნებაში სიცოცხლეს ჰბადებს,
როცა ის მორჭმით ცაში ჰკიდია
და შლის გარშემო ოქროს ფერ ბადეს.
იგი სხივს ყოველს ცეცხლით იპარავს
და ანთებს იმას ჩაუშრეტ ჭალად,
ის ყოფნის ჩიტებს კი არ იჭირავს,
მათ წინ ნავარდით მიაფრენს ლაღად...
მზე მნათობია და შორეული
ისე ახლოა გულთან ყოველის,
როგორც ზამთარში ცეცხლ-მორეული
კერა ბინაში ძუძუმწოველის.
მზე თვითონ არის ძუძუ სამყაროს,
იგივ თვალი და იგივ ჯავარი,
ის წარმოადგენს სინათლის წყაროს,
დასაბამია ყოფნის მთავარი!..
მზე მნათობია და, ვით ასეთი,
უამრავ სხივთა კონაა ერთი,
მას შესტრფვის მთელად ცის კისკასეთი
და დედამიწის ქედი თუ მკერდი!..
ალმართულია ყოველი ქედი.
მის შესახვედრად, როგორც ალამი,
როდესაც ცისკრის გადმოსახედი
იწვის და მოაქვს მნათობს სალამი...
ასეთი არის მოსვლა მნათობის,
ის ჩაუშრეტი წვა და სხივია,
და სიყვარულიც შვილისგან მშობლის
მართებული და ბუნებრივია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ჩვენი „მნათობიც“ ხომ მზის დარ[illegible]
უდასასრულო სხივებ-გაშლილი,
ისიც სინათლის ნიაგარია
და ალტაცების წინსვლა ფრთაშლილი...
ის, კაცის სულის ინჟინერების
შემძლე ხელებით გამოჭედილი,
სითბო-სინათლით მზის ძლიერების
განსახებაა გამოკვეთილი!..
ის ცაში მორჭმით თუმც არ ჰკიდია,
მაინც შორს აწვდენს სხივების ბადეს,
და მისი ძლევაც მზეებრ დიდია,
რადგან ის ახალს სიცოცხლეს ჰბადებს!..
და ეს სიცოცხლე საბჭოთა ქვეყნის
შრომის ძლევის და შრომის გმირების
ჟღერაა არა ლიტონი კვეხნის
ან ბურჟუაზიულ განაპირების,
ეს აკორდია მხნე კოლექტივის,
შეთანხმებული ერთ მძლე ძახილად.
მილიონი ხმა, ერთ ხმად რომ ჰყივის.
მკლავებგაწვდილი წინ ერთ მახვილად!..
და ვაი მტრის თავს! ვაი ორგულებს!
გულს მეხად ხვდებათ მისი კიაფი,
და ეფინება იგი ჩვენს გულებს
მზეებრ ნათელი, მზეებრ იაფი!..
ათი წელია, იგი მწველია
ყოველი ნაკლის, ყოველ სიგლახის;
ათი წელია, ის შემცველია,
ჩვენი მიღწევის ყოველი სახის!..
იშუქე მარად, ჩაუშრეტელო,
ჩვენივ ხელებით ნაჭედ-ნაშობო,
მაგრამ მშობლივით ჩვენო მჭედელო
და მზეებრ ჩვენი წინსვლის მნათობო!..
იშუქე მარად, სდგი სხივთა ძნებიც,
შემოქმედებას გზა უკიაფე,
და ჩვენი ძლევაც, ჩვენი მიზნებიც,
მზის სხივებივით გაგვიიაფე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასო გორგაძე

# ვიდრემდის ლაჟვარდს

ათი წელია. ოქროს ტრირემით
მზე მეათეჯერ ამაღლდა ცაზე.
ფრთაამართული ოცნების გემით
მივცურავთ ლექსის მეწამულ ზღვაზე.

ფერი, ბგერები, ფოთლების კვნესა
გადაქსოვილი ტალღების ხმაში —
მსურს ჰაერივით შევსრუტო, შევსვა
და ზურმუხტებად დავფანტო ქარში.

ათი წელია. შენს გამარჯვებას,
ჩემო ქვეყანავ, გულდაგულ ვხვდები,
როგორც კლდის ქიმი — ზღვის დაჯახებას,
ან როგორც გრიგალს — არწივის ფრთები.

ვიცი სხივებით ისევ გამათბობ,
ეს სიხარული გულში მარხია,
ვიდერმდის ლაჟვარდს მნათობი ნათობს
და ვარსკვლავები ზეცას ასხია!

1934

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ [illegible]

# ტატაშ ხვარი

ნოველა

ტატაშ ხვარი იჯდა გარინდებული და უხმოთ წევდა უბრალო თუთუნს უბრალო ყალიონით. დროდადრო ყალიონის ღერი ნუნებ-შემოცლილ კბილებით დიდხანს ეჭირა და მოკუმულ ტუჩის მარცხენა კუნჭულიდან მწარე ბოლს წვრილათ უშვებდა. ის დიდრონ ლაზო თვალებს ხან ფართოდ ახელდა, ხან მილულავდა, თანაც გამხდარ გრძელ თითებით პურის ნამცეცებს აგუნდავებდა.

ტატაშმა ერთ იჯრაზე ერთი ბოთლი წითელი ღვინო შესვა, მაგრამ ისე გრძნობდა თავს, თითქოს წვეთიც არ დაელიოს. სხვა დროს სხვა გუნებაზე აყენებდა მას ეს საწყაო, დღეს კი მაღალფეხიანმა ჭიქამ მაგიდაზე გადაფარებულ გაზეთს რამდენიმე ახალი რგოლი დაამჩნია მხოლოდ.

სარკმელთან ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა ეგირ და წარბებშეჭმუხნილი უმზერდა ზღვას, რომელიც დედის ძუძუზე რულმორეულ ჩვილივით წყნარი იყო და სუფთა.

სამაგიეროდ ეგირის ფართე და მაგარ ბორცვებიანი მკერდი უჩვეულოდ ტოკავდა.

რაც დრო გადიოდა, მზისაგან გარუჯულ სახეზედაც ვაჟს მღელვარება უფრო ეტყობოდა და ახლად გაპარსულ ლოყებზე ფითრი ეკვროდა.

მეორე ოთახიდან გამოდიოდა ქალის ოხვრა.

— გუ-გუ! გუ-გუ!

უეცრად გაისმა ოთახში და ტატაში შეკრთა. მან რისხვით სავსე დაკლულ თვალებით ჯერ ვაჟს შეხედა, მერმე მეორე ოთახის ბჭესთან დაკიდებულ მოგრძო ყუთს, რომლის ზევითა ნახევარში ჩასმული იყო საათი, ხოლო ქვედა ნაწილს გაკეთებული ქონდა საგანგებოდ მოხარატებული ციდა კარები, საიდანაც გადმომდგარი ხის ჩიტი მართალ გუგულივით იძახოდა.

ეს უცნაური ჩიტი ყრმა ტატაშს პრინც ოლდენბურგის მეუღლემ, თვალებ ვარსკვლავებიანმა და ტანლერწამა ქალმა უფეშქაშა.

დიდიხანია მას მერმე, მაგრამ ტატაშს მარად თვალცხადლივ ეხატება ღიმილით ოდნავ ბაგე გაპობილი პრინცესა, გუგულის ხმით გაოცებულ ჭაბუკს რომ უცქერის როგორც დაუგეშავ მწევარს.

მაშინ ტატაშმა ტუჩზე იკბინა, რადგან ეგონა ძვირფას ყუთში დამწყვდეულმა საკვირველებამ გაამჟღავნა მისი მიამიტობა. მაგრამ მალე გახდა მადლიერი ბუდიდან ახლად გადმოფრენილი [illegible] ბარტყის ბედით. ბიბლიოთეკა

და აღსრულდა მოხუც გამზრდელის არაკათ ნათქვამი:

არ არის ცოლი, რომელსაც ოცნებაში მაინც არ ეღალატოს ქმრისათვისო.

როგორი გულისხმიერებით უსეირნია ტატაშ ხვარს პრინცესასთან პალმებისა და ნაძვების ტევრში, რამდენი ნექტარი უგემნია და ნეტარება უგრძვნია ფიქალ ქვებით ნაგებ სასახლის აივანზე პრინცესას გვერდით!

გაგრის ციცაბოებზე გადმომდგარ მთვარის შუქით მოოჭვილი ზღვა ისე წარმტაცად ჩანდა ამ აივნიდან, ისე დამთრობი იყო პრინცესას ალერსი, რომ ტატაში ხშირად იტყოდა გამზრდელის პირით: არ ღირსვარ!

ზოგჯერ ტატაში სარაყიფოდ სოხუმიდან უალოო-ალოზე გაჭრილა.

მიაქროლებდა ვარსკვლავების ციატში ზღვის ნაპირზე ცხენს და თანაცველური ჟინით ყიოდა.

ცხენი გრძნობდა მხედრის ხვაშიადს და მისი ნალები ნაპერწკლებს ისე აპნევდენ, თითქოს ფრთებ გამოსხმულს ფეხებზე ციცინათელები დახვეოდა.

ეს იყო ტატაშის პირველი სიყვარული და ჭაბუკობის მზიანი ყავლი.

მაგრამ ამ სიყვარულის ტყუპად ის მუდამჟამ გრძნობდა ოლდენბურგის სიძულვილს.

და ტატაში გვიან დარწმუნდა რომ:

როგორც სიყვარული, ისე სიძულვილი, რომელიც ისახება პირველ შეხვედრისას, ხანგრძლივია.

მართლაც, ტატაშს ახლაც არ შეუძლია უზადოთ მოიგონოს ოლდენბურგი.

თუმცა ეს სიყვარული ერთი ნატამალითაც არ გავს ზიზღს იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც აფხაზეთის სვებედნიერ თავადს ტატაშ ხვარს ჩოხა სანატრელი გაუხადეს და ლამის არი გლახაკად აქციონ.

ტატაში მათ სისხლს ბადაგზე უტკბესად შესვამდა.

ან ვით არ იყოს ასე ნადირივით გახელებული, როცა უკანასკნელ საუნჯესაც — ერთადერთ ძეს — გულიდან გლეჯენ, როცა პირმშო მამის მოქიშპე გახადეს.

ვით არა დაანთხიოს დასანთხეველი, როცა ქვეყანას განაგებენ მისი ყმების ნაშიერნი და წინაპრების სათაყვანო კაცს ცხენის ძუაზე უპირებენ გამობმას.

ტატაშს მოდუნებულ ძარღვებში გესლი ჩაუდგა და ადრინდელ სიმარდით წამომდგარმა ბოღმიან გულის მოსაოხებლად ოთახში დაიწყო სიარული.

მამის ურჩი და უნებური ვაჟი კვლავ სარკმელთან იდგა.

დღეს ეგირ კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ფსკერგათქვეფილ ჭაობშია ჩაფლული და თუ უკანასკნელ ღონეს არ მოიკრებს, ვერასოდეს მოახერხებს მწვერვალზე გასვლას.

ეს ჭაობი მამის სახლია.

აქამდე დატოვებდა მას ეგირი, მაგრამ როგორ გაიმეტოს დედა, სანთელივით ფერმიხდილი, ასეთი სათნო და ტკბილი.

არა და, რაც დრო გადის, ტატაში უფრო ღვარძლიანი ხდება.

ქირდავს შვილს, რომელმაც გვარს შოფერობა და ცხენს ავტომობილი არჩია.

ეგირ პირველი აფხაზი შოფერია.

მის ავტოს შევარდენის სისწრაფით გადაურბენია აფხაზეთის ყოველი ბორცვი და თეას სიყვარულით გასალკლდევებულს სხვე ისე უქირავს, როგორც მარულაში თავმხედარს მუხლქარა მერანის სადავე.

და ასე წინ მარბენალს ზღვიდან დაქროლილი თბილი ბორიო თეას სუნთქვა გონია.

ეგირს თეა უყვარს არა მარტო იმისათვის, რომ მისი თვალები ამ ზღვასავით ვრცელია და ლურჯი. არც იმიტომ, რომ სპეტაკი შუბლი აქვს და ლაწვები შინდის წვენში ამოვლებულ ბამბის ქულას უგავს, ტანი კვიპაროსს, ხოლო მკერდი მუდამ ისე უკრთის, თითქოს უბეში მტრედები ყავდეს დამწყვდეული.

არა.

თეა ეგირს აჯადოებს თავის ალალი გულით, რომელიც მას მხოლოდ ეგირისათვის უძგერს და რომლითაც ის ეგირთან ერთად შეუპოვრად ებრძვის ხალხის დამდაბლებულ ადათებსა და დუშმანებს.

ეგირ თეას უზიარებს პირველად თავის გულისნადებს, საწყენს და სალხინოს. ამასწინად გაგრიდან დაბრუნებული ვიდრე ნახავდა თეას, მთავარი სული დალია.

სათქმელი და გასანდობი კი უჩვეულო ქონდა და ეგირმა სიამაყით უამბო სახეგაცისკრებულ თეას, თუ ზღვის გაყოლებით თასმასავით დაკლაკნილ შარაზე როგორ მოყავდა სოჭიდან გაგრაში უცხო, მაგრამ მამაზე უფრო ახლობელი კაცი კაცთა შორის.

ახლა ეგირ ტყვარჩელში გაიწვევს, რომ ტყვარჩელის სამადნო განტს დროზე ექნეს რკინა და ცემენტი.

ეგირს უნდა იქ წაიყვანოს თეაც, მაგრამ...

ტატაშმა სიარული შეწყვიტა და ყრუთ თავისთვის თქვა:

მაშ ასე...

მერმე ვაჟს მიუახლოვდა:

— რა გადაწყვიტე ეგირ!

ვაჟი არ შერხეულა.

— მამა გელაპარაკება, თუ ძაღლი.

— ჩემი გადაწყვეტილება მე ერთხელ გითხარი გარკვევით. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

ეროვნული

— კომუნისტობას იჩენ მამასთან, ბარაქალა შენს [illegible]ობას. — რაღაც საწყლად, თანაც გამკილავად უთხრა შვილს ტატაშმა და ჩამქრალი ყალიონი ხელის გულზე დაირტყა.

— რომ არ მოგცე ნება?

— მაგით არაფერი შეიცვლება. — კვლავ ზურგშექცევით უპასუხა ეგირმა.

— ვნახოთ. — უდიერათ ესროლა ვაჟს ტატაშმა, მაგრამ მის ქადილს ძალა აკლდა. თვითონაც იგრძნო უმწეობა და ბრაზმა თვალებში წამოანათა. — ფუ, შეგირცხვა სიყრმე, მეგონა მოსიყვარულე ვაჟს ვზრდიდი, თურმე ლეკვი გამეზარდა შენს გაზრდას მერჩია!

მამაშვილს შორის უფსკრული თანდათან ფართოვდებოდა.

— რა გინდა ჩემგან, დამანებე თავი. განა მამა რომ ხარ უნდა დამახრჩო! რას ჩავდივარ ასეთს. მე ჩემი გზა მაქვს და ჩემი ჭკუა, ნუ მეღობები წინ! — ხმას აუწია ეგირმა და მამას პირისპირ დაუდგა.

— ვის ეტოქები შე არამზადავ!

— მამა...

— შესდექ, ხელი არ ახლო ბავშს. — გააფთრებით შესძახა ტატაშს მეორე ოთახიდან ძუ ვეფხივით გამოვარდნილმა ქალმა და მამაშვილის შუა ჩადგა.

სახე მოღრეცილ ტატაშს ამართული ხელი მოჭრილ ტოტივით ჩამოუვარდა და ბორძიკით უკან დაიხია.

— რა ძვირფასი ცოლშვილი მყავს. — ხმის კანკალით ჩაილაპარაკა ტატაშმა და მოსავებული დაჯდა.

— რამ მოგიქცია ბატონო ამ ბოლო დროს მაინც ასე მხარი, რას ჩაციებიხარ ამ ბავშს, ხელში ხომ არ გინდა შეიკლა. როგორც ურჩევნია ისე მოიქცეს, უსუსური გგონია კიდევ თუ! გონს მოდი ტატაშ, იკმარე ჩემი წამება...

— იმ ქალის შერთვის ნებას არ მივცემ, გაიგე! არ მივცემ სანამ სული მიდგას. — მუქარით თქვა ტატაშმა და კბილები გაახრჭიალა.

დედაშვილი ერთბაშად გაურკვევმა გრძნობამ მოიცვა და ორთავეს ჟრუანტელმა ტერფებამდე დაუარა.

— რატომ ტატაშ, რატომ! ის ქალი არ მოგწონს, თუ გესირცხვება პრინცესას ნამოახლარის შვილი რძლად! — უნებურად, თითქმის საიდუმლოდ კითხა თარყვამ და მიტკალივით თეთრ შუბლზე ქალს ცივმა ოფლმა დაასხა.

— არ ეკადრება. — ბრაზით დაცრა ვაჟმა.

— ოღონდაც. თეაზე უკეთესი ქალი რამ მოსპო აფხაზეთში, ტატაშ ხვარის შვილს ვინ ეტყვის უარს. — თავაწევით თქვა ტატაშმა და მოულოდნელად გულში იმედი ჩაესახა. მოეჩვენა თითქოს მისი ეჭვი კმაროდა საბუთად, რომ ეგირს მასზე ხელი აელო. — რა ნახეთ ამ უჯიშო ქალში. შენ მაინც რამ დაგიკარგა თვალის ჩინი დედაკაცო. — დაუმატა ტატაშმა და თარყვას ლმობიერად შეხედა. ეგონა ქომაგს იპოვიდა თანამეცხრედში, მაგრამ თარყვამ უცნაურად აგიზგიზებულ თვალებიდან ნაპერწკლები მიაყარა. ტატაშს სახე აეწვა და უზნეოდ თავი განზე წაიღო.

— თუ კი ყმაწვილს თეა ურჩევნია ყველას! — ახლა გულში გაუყარა შანთი ქმარს თარყამ და იხტიბარგატეხილ ტატაშს სასოწარეკვეთა:

— ვინც გინდათ, რომელიც გსურდეთ ის მოიყვანეთ, ჯოჯო რომ იყოს, დედოფლად გავიხდი, ოღონდ თეას თავი დაანებეთ...

— რათაო ტატაშ, რაა მიზეზი? — კვლავ ჩაკითხა სხვათ ქცეულმა თარყვამ.

ტატაში ხაფანგში გაბმულ ცხოველივით უმწეო გახდა. გრძნობდა ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, ნებისყოფა ეკარგებოდა. როგორც სასიკვდილოდ განმზადილს, უცებ თვალწინ გაურბინა განვლილმა ცხოვრებამ და გაიხსენა: თუ რატომ აუკრძალა პრინცესამ თავის საწოლ ოთახში შესვლა ქმარს, რა მიზეზით არ წაყვა უცხოეთში სამოგზაუროდ, მერმე როგორ მოლოგინდა და ახლადშობილიანად როგორ გადაკარგა ერთგული მოახლე გაგრიდან.

ტატაშს თითქო გული ჩაწყდაო, მხრებში მშვილდივით მოიხარა და არა ადამიანური ხმით იყვირა:

— ისიც, თეაც ჩემი შვილია, ჩემი შვილი!

ეგირს მეხი დაეცა. თვალებიდან ბჭყვიალა რგოლები გამოუცვივდა, ყურებში უთვალავი წიწილების წივილი ჩაუდგა, ყველაფერი ერთმანეთში აირია, გაითქვიფა და დაიზმუილა:

— ვაიმე, დედა! დედა! თეა ხომ ფეხმძიმედაა... საკუთარი დის სარეცელი წამიბილწავს...

თარყვამ თვალი შეასწრო, რომ ეგირმა რევოლვერი ამოიღო და კივილით ხელზე ეცა:

— რას შვრები შვილო, არ დამღუპო.

— არა, აღარ ღირს ჩემი სიცოცხლე... გამიშვი ხელი.

— მოიცა ეგირ, ერთი სიტყვა მათქმევინე, მოიცა... — ეგირის მკლავზე ღვლეჭივით შემოხვეულ თარყვას ლავიწები შეეზნიქა, ნიკაპი გაუწვრილდა, ოდესღაც მწყაზარი ღაწვები კორტოხებად ექცა, ნესტოები გამჭვირვალე გაუხდა, სიფრიფინა ტუჩები ჩაულურჯდა, სული შეეხუთა. ძუძუებატკივებული დედა ცხადად ხედავს შვილის წინ ამართულ საშინელ აჩრდილს, საცაა ჩონჩხი მსახვრელ ხელს შეახებს და ეგირ, მისი ეგირ აღარ იქნება. რა ილონოს, რით უშველოს!.. — როგორც იქნა გამოფი-

ტულ ხახაში თარყვამ ენა მოიბრუნა, ორმოებში ჩაცვინული თვალები დახუჭა და ალმოხდა:

— თეა არაა შენი და, გესმის, არაა! არც ეს კაცი, ტატაშას შენი მამა... შენ სხვისი შვილი ხარ ეგირ, სხვისი...

ბიბლიოთეკა

ქალს ხმა ჩაუწყდა და იქავე ჩაიკეცა.

ვაჟს რევოლვერი ხელიდან დაუვარდა.

თავი საზარელ სიზმარში ეგონა.

თვალები მოიფშვნიტა.

მერმე ბარბაცით სარკმელთან მივიდა, საკირესავით გავარვარებული შუბლი მინას მიადვა და დაბლაგვილ მზერით სივრცეს გახედა.

ცის დასალიერთან ზღვას ცეცხლი წაკიდებოდა.

აქა-იქ გაჩენილი ღრუბლები ჩამავალ მზისაგან ოქროს ზოდებათ ქცეულიყვენ.

ზღვა იქოჩრებოდა.

ნავთსადგურიდან გადიოდა გემი.

ეგირ მობრუნდა.

ის მთვარეულს გავდა გახილულ თვალებით მძინარეს.

ხალათის ღილები შეიკრა. ქამარი შემოირტყა. ქუდი ხელში დაიკავა და მშვიდი ნაბიჯით გაემართა კარისაკენ. გამოღებულ კართან ეგირი უკანასკნელად შედგა, უნდოდა უკან მოეხედა, მაგრამ კისერი გახევებოდა, ვერ შეძლო. კარგა ხანს იყო ასე. მერმე კარი ნელა გაიხურა და წავიდა.

პირქვე დამხობილი თარყვა მუჭის ტოლა გამხდარიყო.

ტატაში კედელს აკვროდა და შეშლილივით მიშტერებოდა ქალის ახლო დაგდებულ ეგირის რევოლვერს.

ოქტომბერი. 1934 წ.

გაგრა

ბ. კაკაბიძე

# თეთრი ქვები

ზაფხულში ერთხელ მდინარის გაღმა
დიდხანს ვუმზირეთ მშობლიურ რიყეს;
გვხიბლავდა ქვებზე შემხტომი ტალღა,
ახლო გამრთობი მწყემსებიც იყვენ.
მუხლებს ქანცავდა სიმრავლე ხრეშის,
კენჭების ბრჭყვინვა ქანცავდა თვალსაც.
ორი თეთრი ქვა აიღე ხელში
და მომაბარე დოვლათის მსგავსად.
თავი სიწითლით დაჰხარე დაბლა,
რაღაც მანიშნე უბრალო ენით...
ქვების სითეთრე მოგწონდა ალბათ,
მეც შევინახე ქონება შენი.
დაბრუნებისას, მინდვრების ქებით,
იმდენხანს შევრჩით წისქვილთან მაყვალს,
გაუფრთხილებელს ლამაზი ქვები
გადამავიწყდა და სახლში გამყვა.
ეზო შემომხვდა ნათელი მზისებრ,
ცა ქალის მკერდით სუნთქავდა მაღლა...
მეგონა, ყმაწვილს, ზაფხულში ისევ
თვალს გავახელდით მდინარის გაღმა.
ვნახავდით ფონში გამავალ ურმებს,
ავივსებოდით გზადაგზა ხილით...
მაგრამ იგი დღე ყოფილა თურმე
ჩვენი საამო, ულვინო ლხინი.
ბევრი ვეცადე მენახე განცდით
შემდეგ დღეებში და კიდევ გვიან. —
ცდები დაბერდენ და ჩუმად გავცდით
იმ სიჭაბუკის პატარა ნიავს.

1934 წ. 2 ნოემბერი.

კონსტანტინე გამსახურდია

# მთვარის მოტაცება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

## XXIV· Rêverie du promeneur solitaîre

თამარი დილით ადრე გასულიყო კაკლის ქვეშ, თავი სტკიოდა, მაგრამ ჰაერზე ყოფნას არჩევდა მაინც. პატარა თათია მოუსვენრად როკავდა მის მუხლებზე.

თამარს ბზუალა ეჭირა ხელში. თათია გაოცებული ყურს უგდებდა ბზუალას ღუღუნს, და როცა სულ ახლოს, საფეთქლებთან მიუტანდნენ ბზუალას, ექსტაზმორეული თათია ხითხითს ასტეხდა, საოცრად სჭყიოდა და მაშინ რომელიღაც უცხო ფრინველის ხმა აგონდებოდა თამარს.

შესდგებოდა ბზუალა, თათია უკავშირო ტიკტიკს მორთავდა, გულმკერდზე უფათურებდა მამიდას ხელებს. თათიას ვარდისფერი თითები ისე ეხამუშებოდა ქალწულს, თითქოს ეს ქროსი შემოპარვოდა მის სხეულს ჩვილი ნიღაბით შეფარვული. და მაშინ თამარი ხელის გულზე პირალმა დაიწვენდა ბავშვს, ჰკოცნიდა და ჰკოცნიდა... ნაკოცნი ვარდისფერ ტალებად ეხატებოდა ლაწვებზე ჩვილს.

ისევ წამოაყენებდა თათიას და გახარებული ჩახედავდა ცისფერ თვალებში.

ამჩნევდა თამარი: როგორც კი ბზუალას ხმა შესწყდებოდა, მყისვე უეცარი წყენის ჩრდილი მიადგებოდა თათიას სახეზე.

მოშორებით საუზმის სუფრა იდგა, მწიფე ატმები ელაგა მაღალ ვაზებში და ერთადერთი კუკურგაშლილი მაგნოლიის ყვავილი. კაროლინა იქვე იჯდა, ბერლინელ გაზეთებს ათვალიერებდა.

და როგორც კი თათია ტირილს ასტეხდა, თამარი ისევ იღებდა ბზუალას ხელში და მისი ღუღუნით ართობდა თათიას.

„ეს ბზუალა რომ არ მოგვეგონა აგვიკლებდა თათია ამ დილით“ ამბობდა კაროლინა, გაზეთების ფურცვლას განაგრძობდა. დაშას დაგვიანებოდა ძროხების მოდენა ტყიდან, ვერაფრით დააშოშმანეს მშიერი, ამიტომაც თავს არ იზოგავდა თამარი.

ცაცხვების, ნაძვების, კოპიტების წვეროებზე მოყვითანო შუქი კიაფობდა, მახლობელ შტოებში საქმიანად ფუსფუსებდნენ მელელვიები. აკა-

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 10.

ციების ხეივნისაკენ მოლაღური შეფრინვით უგალობდა წრეში შემოსულ ზაფხულის დილას და ნაყოფით დახუნძულ ხილნარს. ჭრიჭინების მთელი ლეგეონები განაგრძობდნენ თავიანთ ერთობლივ კონცერტს. ერთი მათგანი კაკლის მწვანეში წამოიწყებდა, მას მეორე ხმას მისცემდა მოშორეულ თუთაზე მჯდარი. ჭრიჭინების ხმა მოდიოდა კოპიტნარიდან, თხილნარიდან და ხილნარიდან, და ისეთი გაბმული ჭრიჭინი ისმოდაირგვლივ, თითქოს ვიღაცა უხილავი დირიჟორობსო. ფერადი ხოჭოები გარს ეხვევოდნენ ბეხრეკა კაკალს, კაროლინა წარამარა ჰყრიდა მწვანიდან ჩამოცვენილ მწერებს, თამარის დაგრაგნილ ნაწნავებზედაც დალოლავდნენ ისინი აქა იქ.

პაწია, ბუსუნა ჭია მაია თათიას შემოაჯდა მხარზე. „ბედნიერების ნიშანია, ბედნიერების ნიშანი“

ამბობდა თამარი, თათიას უჩვენებდა ჭია მაიას. ბალღი შეაჩერდა პატარას და კიდევ დაიჭყივლა ალტაცებულმა.

თამარმა ზანზალაკების ხმა შეიცნო. მოიხედა: ძროხები შემოსულიყვნენ ეზოში. დაშა კაკლის ქვეშ იდგა, პატარა წიგნაკს ფურცლავდა.

„რა დროს კითხვაა დაშა, ეუბნება თამარ, ბავშვი მშიერია შენ დამდგარხარ და წიგნს კითხულობ. დაშა მოახლოვდა: ეს წიგნაკი ტყეში ვნახერ, მე ქართული კითხვა არ ვიციო, ეგებ საჭირო რამე იყოსო ვიფიქრე.

თამარმა ბლოკნოტი გამოართვა. პირველსავე გვერდზე წითელი ფანქრით ეწერა: Rêverie du promeneur solitaîre *).

შემდეგ ზღაპრული მფრინავი ლომი ეხატა, სწორედ ისეთი როგორც ქართული ტაძრების ბარელიეფებზე შეგხვდებათ ხოლმე. მესამე გვერდზე ინგლისურად იყო წარწერილი: As meditation und the thought of the love? **).

შემდეგ ამისა, ქართულად იწყებოდა ტექსტი: თამარმა თარაშ ემხვარის ხელი შეიცნო, მაგრამ უხმოდ განაგრძო ფურცვლა.

კაროლინა თავზე წამოადგა თამარს, სათაური და ეპიგრაფი ამოიკითხა, მერმე თავი ველარ გაართვა ხელნაწერს. ავტორის ვინაობამ დიახაც დააინტერესა, მაგრამ თამარმა ეს არ გაუმხილა რატომღაც. კაროლინამ თათია თან წაიყვანა და თამარმა კითხვა განაგრძო.

## ავტორისაგან

აქ ავტორს საჭიროდ მიაჩნია თხრობა შესწყვიტოს დროებით და თარაშ ემხვარის დღიურის ზოგიერთი ფურცელი გაუზიაროს მკითხველს. ეს არის

*) ნაოცნებარი მარტოხელა მოარულისა.

**) როგორც მედიტაცია და ფიქრი სიყვარულისათვის.

მხოლოდ ჩემს მკითხველს მოუხდება ორი წლით უკან დახევა და მოვლენათა კრიალოსანში აქ ნათხრობი ამბების ჩატანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზი. 1927, აპრილის 13.

„მომწყინდა გენიალური ჰიპოხონდრიკების ყოველდღე მზერა ამ კაფეში. თავისთავზე შეყვარებული მწერლები და მხატვრები, ექსცენტრიული ბალერინები, კინო ვარსკვლავები, ბლაგვი ჟურნალისტები, ფილოსოფიის, პოეზიის, მხატვრობის გამო ლაყბობა.

მე ასე მგონია: ჩვენი საუკუნე ნამეტნავად ბევრს ლაპარაკობს ხელოვნებისათვის. ეს უთუოდ მავნებელია.

ყველაზე ცუდია, როცა თავათ შემომქმედი სჩადის ამას.

ხელოვანო, არ ილაპარაკო, უნდა იმღერო, ვისაც ეს არ გამოუდის, სწორედ იგი ებმება თეორიების მუხანათურ აბლაბუდაში.

ოჰ, რამდენს ყბედობს და კამათობს ჩვენი თაობა! (ეს სიბერწის უპირველესი ნიშატია. შვილისადმი სიყვარულზე მუდამ უშვილოები გვიჭედდნენ ყურს).

გარედ ნისლია. თავი მტკივა. მეზარება სორბონში წასვლა. ჩემს პროფესორს უკვე დაწყებული აქვს ლექცია: „მომავლის რელიგიისათვის". (ჩემს გასწვრივ ვიღაც ამერიკელი ქალი ზის, ნამარტალ ჰაკცხენს არა ჰგავს ეს ქალი??).

რელიგიაო?

ვინ მოიგონა ეს ამბავი? მე მგონია რელიგია მხოლოდ ცივილიზაციით სნეულებს ესაჭიროებათ, ისევე როგორც კუჭმოშლილებს აპერიტივი. და „კლოზერი დე ლილასში" აპერატივით იწყებენ საუზმეს.

და მომავალი რაღაა? მომავალი მეოცნებეთა თავშია მხოლოდ. ჰმ, მომავალი! მომავალი ისევე ნაკლებად არსებობს, როგორც წარსული. ორივენი ჩვენი წარმოდგენის ფორმებია.

ეგებ აწმყოც...

ესაა: ვიდრე თავში გავლებულ აზრს ქაღალდზე გადავიტანდე იგი უკვე წარსულად იქცევა.

კაფესკენ მომავალს მადმუაზელ ჰელლენ რონსერ შემომეყარა ოდეონის მთავარ შესავალთან შევხვდეთო საღამოს. (პარიზში რომ შემთხვევით გადაეყრები ნაცნობს, აქ უთუოდ ტიხეს ხელი ურევია, უთუოდ!).

ამ ქალმა ააფორიაქა ჩემი ფანტაზია.

ჰელლენ ხომ კათოლიკეა და მე ასე მგონია: კათოლიკე ქალებს ექლესიის, საკმეველის და ოფლით გაზინთული ლოცვანების სუნი უდითმეთქი. ვერ ვიტან ამ სუნს. ამას წინად საშინელმა წვიმამ მომისწრო ვანდომის მოედანზე, რომელიღაც ეკლესიაში შევყიალდი. ორიოდე ბერი ლოცულობდა კუთხეებში ატუზული. სანთლები ჩალისფერ სინათლეს აფრქვევდენ ირგვლივ.

დაცარიელებულ სკამების არეებში ამგვარი სუნი იდგა. მინდოდა გავცლოდი ამ ატმოსფეროს, მაგრამ გარედ სწვიმდა...

შინ რომ მოვედი კოსტიუმის გამოცვლა დამჭირდა, ყოველთვის ეს კათოლიკური სუნი ასდიოდა.

ამგვარი სუნი უდის ჰელლენ რონსერსაც. საოცარია რამდენ პარფემს ისხამს სხეულსა და სამოსელზე, მაინც!..

აჰ, ამ სუნმა წასწყმინდა ადამიანის მოლხენილი სული“...

* * *

პარიზი. 16. 4.

„დღეს დედაჩემისგან მივიღე წერილი რამოდენიმე დღეს არ გავხსნი, მინდა რაიმე მიხაროდეს“...

მერმე რამდენიმე სტრიქონი წაშლილი იყო, ბევრს ეცადა თამარი, მაგრამ ვერ ამოიკითხა.

„...ბულვარ სენ მიშელზე ქართველი ემიგრანტები შემხვდნენ... ეს მართალია ემიგრანტების ბიურო საიდუმლო დავალებით გაგზავნისო საქართველოში?

წამსვე უარვყავი ეს ამბავი. მაროკოში მივდივარ-მეთქი. (მე ჯერ თანხმობა არ გამომიცხადებია ბიუროსთვის. გამოვა კი რაიმე? ესენი გაფრენილ წეროებისათვის სთლიან შამფურებს პარიზის ქუჩებზე. ვახტანგ მეექვსემ, მაშინდელი საქართველოს კანონიერმა მეფემ, ორიოდე საუკეთესო ვაჟკაცი წაიყვანა საქართველოდან რუსეთში და მის ემიგრანტობიდან არაფერი გამოსულა...

მერმე როდის? ლეგიტიმიურობის საუკუნეში. და ამ ნაცრისფერმა ჟურნალისტებმა რა უნდა გაარიგონ?

არა, არა, ჩემო კარგებო, მე არ წავალ საქართველოში. მე მაროკოში მივდივარ რიფებს უნდა მოვეხმარო, ფრანგების წინააღმდეგ. საერთოდ ისეთ გუნებაზე ვარ ეშმაკებს მივეშველები ეშმაკებთანვე ბრძოლაში.

ჰო, მაროკოს მივალ, მაროკოს.

თქვენ ასე გეგონოთ ყველას. არ მიყვარს როცა ადამიანებმა იციან სადა ვარ, რას ვაკეთებ, რას ვფიქრობ? არც ის მიყვარს როცა ქუჩის გამვლელნი თვალებში მიცქერიან. ძალიან მომწონს ძველი ვენეციელი გრანდების ჩვეულება: ისინი უნიღაბოდ არ გამოდიოდნენ ქუჩაში. ტყუილი მაინც და მაინც არ მიყვარს (თუმცა ყოველი ადამიანი იძულებულია იცრუოს ჟამიდან ჟამზე) მძაგს ჩემი ნამდვილი არსობის გამომჟღავნება, ამიტომაც ხშირად ცილს ვწამებ ჩემსავე თავს. და ეგ იმიტომ ხდება, რომ მე ჩემივე მეობის ტარებისაგან ვიღლები. კარგად მესმის რად უყვართ დასავლეთის ხალხებს ნიღაბი კარნავალში, ან ქართველ ხალხს ბერიკაობის დროს, ან ფილიპინელი ველური რათ ატარებს ონავარი თევზის ნიღაბს რელიგიური ალტყინების ჟამს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

პარიზი. 17. 4.

„დღეს ფოლი ბერჟერში ვისადილეთ. ჰელლენ რონსერმა სისხლიანი ბიშტეკსი მოითხოვა. გავვოცდი: მის ფერმკრთალობას, მოგვი ქალის აღნაგობას სულ არ უხდება სისხლიანი ბიშტეკსი“.

აქვე მიწერილი იყო: „35 ფრანკი მივეცი დიასახლისს, მეკარეს 5 ფრანკი ვაჩუქე. ათი ფრანკი მეყვავილე ქალს ლუიზას. ჰელლენს ყვავილები უნდა გაუგზავნოს. ძვირფასო, ეგებ ამ ყვავილების სუნმა გადააჭარბოს შენს კათოლიკურ სუნს“.

* * *

პარიზი. 18. 4.

„ვერ ამიტანია სწორედ ეგ პროფესორული ყოყოჩობა. პროფესორი პ... ბუდიზმისა და ბრაჰმანიზმის გამო გვესაუბრება. იგი ტენდენციურად ეხება არა ქრისტეანულ რელიგიებს. რენანს თავს დაესხა, პოზიტივიზმი გააკრიტიკა. ნიცშეს გადასწვდა.

ქრისტეანიზმი, ჰმ...

მან უარესად გააღრმავა უფსკრული. ბატონებო, ბნელა თქვენს ბიბლიაში, ბნელა იოჰანეს გამოცხადებაში, ისევე როგორც თქვენს ნოტრდამში. გოტიური ტაძარიც ხომ ცამდის ატყორცნილი ცათა ტრფიალია? მაგრამ გოტიურ ტაძარშიაც ბნელა“.

თამარმა რამოდენიმე გვერდი გამოუშვა, რადგან შემდეგი გვერდები ფრანგულად იყო დაწერილი.

...„სტყუით ბატონო პროფესორო, ნიცშე ანტექრისტე არა ყოფილა.

მისი გახელებული სიძულვილი უმაღლეს სიყვარულს ემიჯნება. Er war ein gekreuzigter Dionisos *).

მესამე თვეა რაც ლუვრში დავდივარ. ერთ პროვინციულ ქალაქს უდრის მისი ფართობი. ჩინეთის ხელოვნებიდან ექსპონანტებიდან დავიწყე სამი თვის წინად. ჩინეთი, ინდო-ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, ეგვიპტე, სპარსეთი, ასურეთი, ბაბილონი, საბერძნეთი, რომი, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, ფლანდრია, გერმანია. მესამე თვეა მოგზაურობს აქ ჩემი თვალი. აჰა, ძლივს მივაღწიე ლუკას კრნახამდის.

ჯვარცმა, გარდამოხსნა, ცად ამაღლება, ეკლის გვირგვინი, ნამსჭვალები, ისევ ნამსჭვალები, ნაგვემი სახე — სალცრების ქვესკნელი. (ნუ თუ ტანჯვის ჯურღმულებში უნდა იაროს კაცობრიობამ, რათა რისხვისა

*) იგი ჯვარცმული დიონისო იყო.

დღეს ცად ამაღლდეს სული კაცისა?! ჰოჲ, აფთარო კაცის სისხლის უხვად მხვრეპელო.

დავიღალე ამ ბნელი ამბების გამო ფიქრისგან. ნაშუადღევს ბელფორის მოედანზე უნდა გავიდე. იქ უბრალო ხალხი ზეიმობს, უშუალო, სადა, ეჭვის გესლით მოუშხამველი. მინდა ვნახო როგორ იცინის ხალხი. იქ როდენის ლომი სდგას მოედანზე. მენატრება მისი მაგარი კუნთებისთვის თვალის შევლება. ჯამბაზების ნახვა მომენატრა. ისინიც უფსკრულის კიდეებზე ცეკვავენ მუდამ, მაგრამ მომღიმარე ჩამოდიან ბაგირებიდან".

*

* *

პარიზი. 22. 5.

„წუხელ ღამის სამ საათამდის ჰელლენ რონსერთან დავრჩი პანსიონ „სენ ჟერმენში". ბენედიქტინი ვსვით. ლოყები შეუწითლდა ჰელლენს. ბაკხიური იერი არ უხდება. მე მინდა წმინდა მეგობრობა შევინარჩუნოთ. რომანტიული მეგობრობა. მით უმეტეს იგი ასე ამბობს: ჩემი დანიშნული მესოპოტამიაშიაო წასული. მშვიდობა ნუ მოჰკლებია მის' დანიშნულს მესოპოტამიაში.

მინდა ორიოდე თვით მაინც შევუნახო ჩემი გული ანნა მარია ფესტნერს. ანნა მარია ჰელლენის ანტიპოდია. იგი მთლად ბაკხიური ბუნებისაა. მისი სხეულის სიტკბო იმ სოფელს თან წამყვება უცილოდ. (ახლა როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ასე მგონია სისხლის ჩქერალი ჩამექცა მეთქი გულში). მე მგონია არც ჯოჯოხეთია და არც სამოთხე ამ ქვეყანაზე. (საყვარლის სხეულია თავათ სამოთხე).

შარშან ზამთარში შვარცვალდში გავატარეთ მთელი კვირა. თხილამურებით დავსრიალებდით. როგორ ანთებული დაეშვებოდა იგი ფლატებიდან უსაშინელეს უფსკრულებისაკენ! საღამოს მთის ჰოტელში ვბრუნდებოდით. ასეთივე ხალისით იხდიდა იგი თავის სასპორტო თეთრ ტანისამოსს (ეს კოსტჲუმი ძლიერ უხდებოდა ამ ქერა ფერიას) და შიშვლდებოდა როგორც ფრინა-პრაქსიტელესის საყვარელი ოლიმპიადის დღეს.

ჰელლენ რონსერ, შენ სავსებით არა ჰგავხარ ამ ბერლინელ ბაკხიურ მშვენებას. მაინც განუსაზღვრელად, მიყვარს შენი ჩრდილდალეული სახე და ის მოლიბრო რკალი შენს თვალებს რომ გარს ევლება ჟამიდანჟამზე. უძილო ღამეებს მოწმობენ ისინი... მრუმე უფსკრულებში ჩაუხედიათ ამ თვალებს. მინდა სამარადჟამოთ შევრჩეთ ერთმანეთს — შენ დაჲ და მე — ძმა. მინდა არასდროს არ გავიგოთ: რაა ჩვენს შორის ქალი და კაცი. მე მომწყინდა ეს ქერა ქალები, ასე ამბობენ ქერა ქალებს მუხლები აქვთო სუსტი და ვნებისაგან გაბრუებულნი შავგვრემან მამაკაცების შემოტევას ველარ, უძლებენ. მათ აღარ ყოფნით ის თვითმწვალებლური მოთმენა, ქართველ ქალებს რომ ამშვენებთ ჟამიდანჟამზე.

პირველ დღეს ისინიც მორცხვობენ თითქოს, მაგრამ მეორე და მესამე საღამო მოდგება და უკვე შეზლონგებს დაუწყებენ ძებნას, რათა ძულომსავით წამოწვენ ზედ. (ვნების ზვარაკს უდარაჯებენ!) — [illegible]ლლენრონსერ, შენც წაგეკიდა მკრთალ ლაწვებზე ბენედი[illegible] ძულომსავით წამოწვექი გუშინ საღამოს, თვალდაბინდული შემომცქეროდი, მაგრამ მე, მე გამახსენდა აბხაზი ვაჟკაცი რომ ვარ და რუსთველის სიბრძნეც მოვიშველიე:

„სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის“.

* * *

პარიზი. 20. 4.

დღეს დილიდან საუცხოვო გუნება დამყვა. ნამდვილი ჩვენებური დილაა. ქარი არ იძვრის. არც მუქლეგო ღრუბლები გვემუქრებიან წვიმით. კონსერვატუარის მოედანზე ვსეირნობ. ჩვენი ბებერი მეფოსტე ვიცანი — მუსიო გრენარ.

ის ის იყო ჩემი ბინისაკენ მიდიოდა. მუსიო გრენარ ძლივს მიათრევს ტყავის ჩანთას. იგი პენსიონერი გახდება მალე. აწ აღარ მომიტანს დედა ჩემის წერილებს მუსიო გრენარ.

„თქვენთვის ერთი წერილი მაქვს მუსიო ემხვარი“, მეუბნება და ტყავის ჩანთაში აფათურებს გამხმარ ხელს. მოთმინებამ მიღალატა.

„კავკასიიდანაა, მუსიო გრენარ?“

„არა, გერმანიიდან მუსიო“.

ღია ბარათს მაწვდის მეფოსტე.

სულ რამოდენიმე სიტყვა ეწერა ზედ:

„ძვირფასო, შენ მწერდი პარიზიდან რა ჩამოგიტანოო? არაფერი არ მინდა შენგან, რამოდენიმე ღერი თმა რომ დაგრჩა ქოჩორში, ისინი ჩამომიტანე როგორმე უკან“.

ანნა მარია ფესტნერ.

Du bis ein Schelm Anna-Maria! *).

ჰმ, სწორი შენიშვნაა. პარიზში თმა გამცვივდა. კბილები ლა შემრჩა შეუმუსვრელი. ჩემს აბხაზურ კბილებს ვერაფერი დააკლო ქიმიის და კულინარიის ნაწარმებმა“.

* * *

პარიზი. 21. 4.

„დღესაც, როგორც ყოველ დღეს, 14 გაზეთი გადავათვალიერე. სპორტი, დერბი, პოლიტიკა, თვითმკვლელობა. ლოიდ ჯორჯ პითიასავით ლუღლუღებს, ჰინდენბურგი იმუქრება, მუსსოლინი კვლავინდებურად

*) შენ დიდი ეშმაკი ხარ ანნა-მარია!

კლოუნობს. ხალხთა ლიგა ქადაგებს და მთელი ქვეყანა იარაღს აჩხარუნებს. პაციფისტი მწერლები ალილუიას გალობენ (პაციფისტებს ხელობად ექცათ ომის წინაალმდეგ ყეფა) საფრანგეთს ათი ათასი ჰიდროპლანი ჰყოლია, იაპონიას კიდევ ერთი დრედნოუტი ჩაუშვია წყალში, რომელილაც გერმანელ ქიმიკოსს კიდევ ერთი ახალი გაზი გამოუგონია დიდი ქალაქების გადასარუჯად.

ჰოლოლო! ეს კარგი ამბავია, ძლიერ კარგი! მესოპოტამიაში კვლავ გაჩენილა კალია (კარგი იქნება კალიის შესამუსრავ გაზებსაც რომ გამოიგონებდნენ, თორემ მე ძალიან მეშინია ჰელლენ რონსერის საქმრო არ დაიმშეს მესოპოტამიაში. თუ კალიამ პურეული მოსრა, სტერლინგები ხომ არ ეყოფა საჭმელად მუსიო რიშეპენს?).

ამ საღამოს რომელილაც ცირკში ინდოელი ფაკირი გამოდის თურმე და ალესილ ხმლებზე იცეკვებს ფეხშიშველი. ცირკში უნდა წავიდე უეჭველად.

ჰელლენ რონსერ მეუბნება: თვის დამლევს ჩემი დანიშნული ჩამოვაო. მერმე იტალიაში წავალთო მთელი წლით.

მაშ, მუსიო რიშეპენი ჩამოვა მალე. მეცინება ჰელლენ „დანიშნულს“ რომ უწოდებს თავის საქმროს. ეს არ შეეფერება მუსიო რიშეპენის აღნაგობასა და ასაკს. ჯერ ფოტო სურათზედაც ემჩნევა ეს თავმოტვლეპილი, ჯუჯა, ღიპიანი, მოკლეფეხება. თითები მუხლუხასავით მოკლე და დაბლაგვილი. ისინი არაფრითა ჰგვანან მტაცებლის კლანჭებს. მაინც ეს ხელები აგებენ ქსელს სტამბოლიდან შუამდინარემდის. მცირე აზიის ხალხები ოფლს ღვრიან. ვინ იცის რამდენი ტომის სისხლითა და ოფლითაა დაცვარული ის ბრილიანტის კოლიე, რომელიც ამას წინად გამოუგზავნა მუსიო რიშეპენმა ჰელლენ რონსერს? ეს კოლიე ერთ პატარა სამთავროს იყიდის.

ქსელი გაბმულია სტამბულიდან შუამდინარემდის. ზის ახლა მუსიო რიშეპენ სადმე მოსულში, ან ერზერუმში, ქსელი გაბმულია ყოველგან და გაურანდავი, ბლაგვი თითები ვირტუოზულად აკეთებენ „გეშეფტს“.

მაშ კიდევ ერთი თვე და მერმე ვნახოთ.

მე არ მინდოდა წუწკ საყვარელსავით მოვქცეულიყავ. ჩამოვა და ვნახოთ...

ესაა მხოლოდ: მინდა ერთხელ მაინც დავუმტკიცო ევროპელ ქალს, რომ უშედეგო ფლირტი საამურია. (თუმცა, გააჩნია... ზოგიერთ პარიზელ ქალს ეს არ მოსწონს). ეს დროზე ვერც მე შევიგნე, ამიტომაც ჩამწარდა ელზე ფაილერის, ანტუანეტე გრიზონის, მის ჰემილტონის და ელვირა ფოკონიერის სიყვარული. მართლაც არ ესმოდათ, რომ სიყვარული ენგურის თაფლსა ჰგავს, თუ ბევრი ინებე, უთუოდ მოიშხამები. (ენგურის თაფლმა მოსწამლა თურმე პომპეიუსის ლეგეონები კოლხიდის გასაძარცვავად ჩამოსულნი. ახია მათზე!).

ჰელლენ რონსერ, მე მინდა შეგირჩინო როგორც უდიდესი სიყვარული, ამიტომაც ვერიდები შენი მკვრივი ძუძუების ხელის შეხებას. ხანდახან როცა მეტროპოლიტენიდან გამოვდივართ, ან [illegible] კიბეზე ამომყავს, თეძოებზე მოხვდება ჩემი ხელი (იგი თავის [illegible] თვალებს შემოავლებს და მე არ ვიცი რა ამოვიკითხო ამ შემოვლებაში: გაოცება თუ საყვედური იმის გამო: შინ ყოფნის დროს მორიდებულ მანძილს რომ ვიცავ და ადამიანებს შორის მოურიდებლად ველაციცები).

ჰელლენ რონსერ დარჩი ჩემს გულში როგორც შორეულისადმი უსაზმნო ტრფიალი. უკვე ღამის სამი საათია, ძილი ნებისა ჰელლენ რონსერ“.

*

* *

პარიზი. 22. 5.

„ნეტავ უსიყვარულოდ თუ გასძლებს ადამიანი? მე ვამბობ: ხორციელი სიყვარულის კიდევგან? მაშ რას უმღეროდენ პეტრარკა, დანტე და რუსთაველი?

ბულვარ დეზიტალიენზე მაღალი შავვუალიანი ქალი შემეფეთა. შავი აბრეშუმის ტანისამოსი ეცვა. სულეთიდან გადმოხვეწილ სტუმარს ჰგავდა. ამ ფერადი აბრეშუმით მორთულ პარიზელ ქალების კარნავალში.

ხუთი საათის ჩაის დრო უკვე განვლილია. ქალების ლაშქარი მოლაშლაშებს დიდ ბულვარებზე. რატომღაც მან ერთმა მიიპყრო ჩემი ყურადღება ამ უთვალავ ლამაზმანების კორტეჟში. ნაბიჯს ავუჩქარე, გავუსწორდი და ფრთხილად, ძლიერ ფრთხილად შევხედე. შემამჩნია: ოდნავ აუჩქარა ნაბიჯს. ელექტრონით გაჩაღებულ ვიტრინასთან შესდგა.

სარკის უფსკრულში ჩვენი მზერა შეხვდა ურთიერთს. გაიღიმა, უეცრად მოსწყდა ვიტრინას და მომეტებულის სიჩქარით მიჰყვა იტალიელების ბულვარს. მიჰქრიან ბულვარზე ქალებით, ბავშვებით, მამაკაცებით დახუნძული ავტოები, ომნიბუსები და ფიაკრები. მილლიონიანი მასსა მილაშლაშებს დიდ ბულვარებზე. ეკლესიების კანკელებსავით გაჩაღებულია ვიტრინები, ბრწყინავენ, ბზინავენ ვიტრინების შუშები, ლაკიანი ტუფლები. პარფემით გაჟღენთილი ზღვაური ჰქრის ქალების აბრეშუმის კაბებიდან ამდგარი. ნუშის ოდენა ბრილიანტები ელავენ ქალების გულმკერდზე, ვიტრინების მარაოებზე და მე მივყვები ამ შეტბორებულ ბრბოს უქუდოდ.

განუზომელ მარტოობას განვიცდი და ასე მგონია აგერ სულ რამოდენიმე ნაბიჯზე მიმავალ ქალს თუ შეუძლია ეს საშინელი მელანქოლია განმიქარვოს მეთქი.

ეჰე, აგერ კიდევ შესდგა ვიტრინასთან შავვულიანი, ვიღაც ყავისფერქუდიანი ამოუდგა გვერდით. ქალი ვიტრინას მოსცილდა, მზერა აარიდა ვაჟს და ჩქარი ნაბიჯით გადაიარა ბულვარი. ვაჟმა თავის გზა განაგრძო.

მე შევიცადე ვიდრე ტალღა გადაივლიდა, შემდეგ მეც გადავედი მეორე მხარეს.

მივყვები ბულვარს, მაგრამ ამაოდ. გულზე მარტოობა შემომენთო. ასე მგონია მთელი ქვეყანა უდაბნოდ ქცეულიყოს. მივდივარ უმიზნოდ ბულვარზე. შავვუალიანი დაინთქა ბრბოში. თვალები მომექანცა ძებნისაგან. ჩემს ირგვლივ ჰქრიან ავტოები, ომნიბუსები და ბისიკლეტები, გაპუდრული შიშველი მკერდები, შეღებილი ტუჩები — ნახევრად შიშველი მკლავები და ჯიშიანი, სწორი ფეხები. განიერი, სავსე თეძოები, და სხეული აბრეშუმის ლივლივით აღიზიანებს გამვლელის სისხლსა და მზერას. ღიმილი იელვებს სახეზე, იელვებს და ისევ გაუჩინარდება.

თვალები ცისფერი, გიშრისფერი, ზღვისფერი ელავენ ირგვლივ, თვალები და ბრილიანტები... მკერდები, მხრები და ძუძუები, მრგვალი და სავსე თეძოსთავები, პარიზელი ქალების ლაშქარი და ამ უთვალავი ლამაზი ქალების პარიზში შესანახავად მთელს ქვეყანაზე გაბმულია ქსელი.

სტამბოლიდან შუამდინარემდის, შუამდინარიდან მოსულამდის, მოსულიდან თეჰერანამდინ, თეჰერანიდან კალკუტამდის, კალკუტიდან ტიბეტამდის, ხოლო ტიბეტიდან ვიდრე ბნელამდის გაბმულია ქსელი ოსტატურად დაგებული და სხედან თავმოტვლეპილი, მოკლე ხელებიანი, ღიპიანი რიშპენები და აგებენ მახეში მრავალმილიონიან აზიას.

დავაგდე მოზეიმე ბულვარი დეზიტალიენ, მივყევი ვიწრო და ბნელ შესახვევებს, მივდივარ, არ ვიცი საითკენ მივდივარ. მინდა გავეცალო ადამიანებს, სადმე ბაღი შემხვდეს დაცარიელებული. ეგებ სადმე ხეს მივაგნო განმარტოებულს, ამ ხის ქვეშ დავჯდე მარტოკა და თვალებში ვუცქირო ბნელ ღამეს.

დავიქანცე მილიონების შემოხედვისაგან, ვძრწი, რომ მარტოობა დავკარგე და სულის მშვიდობა, ბაღჩას დავეძებ პატარა, ბნელ ბაღჩას და ხეს, სავსებით განმარტოებულს.

რომელიღაც ბნელ პარკში შევსულვარ მხარაქცეული. ისეთი მყუდროება იყო გარშემო, უკაცრიელი მეგონა პარკი. თვალი მოვავლე ირგვლივ და ვხედავ რამოდენიმე ათასი წყვილი ზის პარკის სკამებზე. სკამებზე ვერ დატეულან, ბუჩქებში, პარკის ოლეებში სხედან გატრუნული შეყვარებულნი.

ქალი და ვაჟი, ქალი და ვაჟი...
ეს პარიზელი პროლეტარიატი ზაფხულის ცის ქვეშ მისცემია ტკბობას.
ქალი და ვაჟი, ქალი და ვაჟი...

ქალები მუხლებზე ასხედან კავალრებს, მამაკაცებს ხელები მოუჩანთ მხოლოდ ქალების წელზე შემოჭდობილი. დადუმებულა სავსებით პარკი, ხანდახან ვილაც დაიკვნესებს ვნებისაგან აღრეული, ისევ დადუმდება პარკი და ისევ დაიკვნესებს ვიღაცა...

ქალი და ვაჟი...

ძლივს მივაგენი ცარიელ სკამს ვზივარ და ვფიქრობ: ამ წუთში მრავალ მილლიონიანი პროლეტარიატი სწორედ ისევე გასულის ლონდონის ჰაიდ პარკში, ლაიპციგის როზენგარტენში, ბერლინის ტირგარტენში, მიუნხენის ინგლისურ პარკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცების მთრთოლვარე ხელები მაღლა სწევენ კაბებს... ეროსი დასეირნობს წყვილებით დახუნძულ ბნელ ხეივნებში და ახალ ახალი მილლიონები ემატებიან ევროპის ქარხნების აურაცხელ მონების ლაშქარს.

ქალი და ვაჟი!.. ქალი და ვაჟი"...

* * *

პარიზი. მაისის 15.

„მუსიო გრენარმა დედის წერილი მომიტანა. დიდი მადლობა მოვახსენე მუსიო გრენარს.

„ალბად ფულების გამო გწერენ რაიმეს, მიტომაც გაგეხარდა მუსიო ემხვარი".

„არა აქ ფულზე მეტი რამეა მუსიო გრენარ.

პარიზში ყოველი კაცი ფულით ზომავს ბედნიერებას.

ხელზე ვამჩნევ: დედა ძალზე მოხუცებულა. ალბად გასტეხა მარტოობამ. იგი სხვას არასა მწერს, მაგრამ ხელზე ვატყობ. უძილო ღამეების ამბავს მომითხრობენ ეს ასოები. ფილენჯით სნეულის თითებსავით დაღვარჭნილან ისინი.

პირზე კოცნით მოგიკითხესო: მამიდამ ფარჯანიანისამ (წერილი მოგწერა და თუ მიიღეო), შენმა ძიძამ ხათუნამ (ილორის წმ. გიორგის ავედრებსო დღე და ღამ შენს თავს), ძიძა სულ კითხულობსო ეს პარიზი საითკენ არისო, მამა მძუძემ შენმა კაც ზვამბიამ (კვიცს ზრდისო მორდუ შენთვის). ბევრი გაკოცესო არზაყანმა, ქელეშმა, ბონდომ, სანდრომ და მეზობლის მზეხამ. კატო გათხოვდაო, ჯოლორიას ცოლი შევრთეთო.

ბარათის უკანასტარზე მიეწერა მერმე შემდეგი: ნუთუ ისე უნდა მოვკვდე აქ ოქუმში რომ შენთვის თვალის შევლებას ვერ ველირსოვო?

ეს იყო და ეს. სხვა არაფერი მოუწერია დედას, სულ არაფერი და საოცარი დარდი აღძრა ჩემს გულში ამ ბარათმა.

აალამოს მარტოკა ვსეირნობ ლათინური კვარტალის ვიწრო შუკებში და კოლხეთის დაფნიან ბორცვებისთვის ვოცნებობ. ქუჩაში წვიმს, ნესტიანი ბურუსი დგას, სველი ფილაქანები, სახურავები და სველი ღრუბლები...

აჰ, კიდევ ერთხელ მაჩვენა კავკასიონის შევერცხლილი უნაგირები! ახლა სოფელში ბროწეულები და მაგნოლიები ჰყვავიან, გაზაფხული მოუტანდა მშვენებას კოლხეთის ველებს. შესაძლოა ჩვენი სოფელი ამ წუთში მიზიტხუს პირველ ყვავილობის დღესასწაულს იხდიდეს. მუხის ფოთ-

ლებით შუბლ შემკული ქალვაჟი გარს ეხვეოდეს ვეება მუხას და ნაბდით შებურვილი ლომკაც ესვანჯია სატევარს არჭობდეს მკერდზე ტყეების მამთალს.

ეროვნული

შინ წაველი. დარაბები დავგმანე. ვწევი. საბანს ვიფარებ თავზე, არ მინდა ვხედავდე ჩემის თვალით რომ პარიზში ვარ. ეგების დედა დამესიზმროს და ჩვენი მთები...

ასი წლის რომ გავხდე, დედა, და ასი წელიც რომ დავრჩე უცხოეთში, თუ შენ შინ მეგულები, ფესვები მაქვს მეთქი ჩემს მიწაში, ასე ვიტყოდი. ასი წლის რომ გავხდე დედა, უცხოეთიდან მობრუნებული დაგიძახებ კარის ალაგთან „დედა შინა ხარ მეთქი?“

თუ შინა ვარო

მიპასუხე, მე ასე ვიტყვი: ათი წლისა ვარ მეთქი.

ჯერ ათი წელიც არაა რაც მოგშორდი, და ასე მგონია ასი წელი გასულა მეთქი.

ამას მივწერდი დედას ოქუმში, მაგრამ არა, იტირებს უთუოდ.

ტკბილი სიზმარი მქონდა შინ ვიყავი, ბავშვი ვიყავი...

მსახურმა გამაღვიძა ტელეფონთან გიხმობინო, პანსიონ სენჟერმენიდან.

ჰელლენ რონსერ მეძახდა. მესოპოტამიიდან წერილი მოსვლია. მუსიო რიშეპენს ნოემბრამდის დააგვიანდებაო (კისერიმც მოუტეხია და კინკიბოც!) შესაძლოა მოსულიდან კალკუტას მოუხდესო წასვლა (მოსაცვეთსაც წასულა თუნდაც).

ტელეფონშიაც ვატყობ ჰელლენს: მის ხმაში სიხარულის წკრიალი ისმის. როგორც სჩანს ჰელლენ მაინც წავა რომს. მაინც და მაინც უნდა მეც წავყვე. ტაქსი ავიყვანე. ფობურგ სენ ჟერმენ.

პანსიონის დერეფანში შემხვდა. ახტა და კისერზე მაკოცა პატარა ბავლოსავით. არ ვიცი, რა უხარია: რომს წასვლა, თუ მისი საქმრო კალკუტას რომ მიდის? (ასე აცეტებული არასოდეს მინახავს ჰელლენ).

**მ ი ნ ა წ ე რ ი:**

„გუშინ საბოლოოდ შევწყვიტე ემიგრანტების ბიუროსთან მოლაპარაკება. ჩემი სიჭაბუკის მეგობარს, იამანიძეს ვაწყენინე კიდევაც ბიუროდან გამოსულმა. იამანიძე დიდი ფანატიკოსია. მას სერიოზულად სჯერა, რომ ქართველი ემიგრანტები ისტორიულ საქმეს აწყობენ აქ პარიზში.

ჰერკულესისა და ანტაიოსის ამბავი მოვაგონე.

„ანტაიოსი ვინლაა?“ მეკითხება იამანიძე.

„ანტაიოსი? ჰმ, ანტაიოსი ზღვათა მეფის პოსეიდონის ვაჟი იყო, ჰერკულესს ერკინა ანტაიოს. ჰერკულესმა ბრძოლის დროს მიწას მოაცილა და ჰაერში დაახრჩო იგი. საკუთარ მიწას ვინც მოსცდება, ყველას ასე მოუვა ჩემო ვახტანგ. იამანიძე მაინც ამტკიცებს, რომ ჟორდანია და წერეთელი ანტაიოსს არა ჰგვანან.

„კარგი ბატონო, ანტაიოსს როდი ჰგვანან, არამედ პრომეთეს. ესაა მხოლოდ: პრომეთე კავკასიონზე ყოფილა თურმე მიჯაჭვული. მათ კი, პარიზში მარტვილობა არჩიეს.

მომწყინდა იამანიძესთან პაექრობა. დავეთანხმე: [illegible] და წერეთელს უთუოდ დახატავენ მეთქი მომავალ საქართველოში ბისკვიტის კოლოფებზე. უთუოდ, უთუოდ“.

* * *

თამარმა კითხვა შესწყვიტა, თვალები მოიფშვნიტა. ირგვლივ ჭრიჭინების ჭრიახი ისმოდა. ორივე ხელები ზეასწია, გაიზმორა. ზეაიხედა. ცას თვალი მოავლო. მერმე ძირს დაიღო თავი და დიდხანს იჯდა ასე გარინდული. ცა მოწმენდილი იყო, მაღალი, მაღალი და ამ მოკრიალებულ, მოსარკულ თაღებზე ჭრიჭინები ლესავდენ ფოლადის ჭანგებს.

თამარმა ლოყებზე ჩამოშლილი თმები გაისწორა და ისევ განაგრძო: თარაშ ემხვარის დღიურის ფურცლვა.

სექტემბერის 15, რომი.

„ისევ იტალიაში ვარ. ყურს ეალერსება იტალიური ენის უნაზესი მუსიკა. იტალიური უცხოსაც არ გეუცხოვება, ასე გგონია დედის საშოდან იცნობო მას და ეს ქვეყანაც თვალს არ ეუცხოვება, თვალსაც ჰგონია აქ, ამ ცის ქვეშ, ამ მთებს შორის დავიბადეო და ეს ადამიანებიც შენი მახლობლები და თანამემამულენი გგონია, ისინიც ისე ხმაურობენ, ყვირიან, როგორც ჩვენში სჩვევია ხალხს. სწრაფი ლაპარაკი და ფიცხელი ჟესტიკულაცია.

ღრუბლები, ზეცა, მწვანე, ველი, მინდორი, ჩქერალი და გორმახები, აქ ყოველივე საქართველოს მაგონებს, თეთრქვიანი სოფლები შეფენილან მთების კალთებზე და ნათესების, ჯეჯილების იდილიაც ისე ნაცნობია და საყვარელი! ეს ტრიამელ ველებზე კანტიკუნტად გამდგარი ლიბანის ნაძვები თუ ეუცხოვებიან თვალს. და ლაჟვარდისფერი ტბები... (ეს კი აკლია ქართულ ლანდშაფტს, ეს მართალია).

გადმომდგარან თხემებზე კასტელები, ციხე-კოშკები... ქსნის ციხე მოგაგონდებათ შესანიშნავი, შეუდარებელი მუცო, იგავმიუწვდენელი თმოგვის ციხე, ღუდუშაური, ბებრის ციხე, ნარიყალა და გორის ციხე, სათანჯო, რუხი, უქიმერიონი და ქორსატევველა.

მხოლოდ ესაა: იტალიის ციხეებს არ მოხვედრია არც რომაული არტილერიის ქვატყორცნიების ნასროლი, პომპეის ხმალს იერიშით არ აუღია ისინი. მაკედონელი აქ არა ყოფილა, არც მურმან ყრუ, შაჰ აბაზი, არც ალა-მაჰომედ.

არაბებისა, მონღოლების, სელჯუკების, სპარსების და თურქების ცხენოსან ჯარს არ შეუტევია მათთვის და არც თემურ ლენგის მოისარები მოსულან აქამდის.

სადგურებზე ყურძენს ჰყიდიან, ისევე როგორც საქართველოში და ქალებს ბუდეშურის მარცვალსავით თვალის გუგები აქვთ, ისევე როგორც საქართველოში, ჰაერიც ისეთი რბილია და ამო, ისევე როგორც საქართველოში, ჰაერიც ისეთი რბილია და ამო, ისევე როგორც საქართველოში. ცა აუმღვრეველი, ლურჯი, საპფირონის და იასპის ფერი...

ცა იყო იგი პოეტს, მოქანდაკეს და მომღერალს რომ აღფრთოვანებდა. ამ ცის განათებამ შეჰქმნა ჯიოტოს და რაფაელის ფერწერის მშვენება, ამგვარმა ცამ მიანიჭა შთაგონება ჩვენს უდიდეს ფრესკოს მწერლებს. გელათის, ვარძიის, ბეთანიას, ზარზმის, ატენის, უბისის უკვდავი ფერების სიმფონია.

„ნუთუ მართლა იტალიას ჰგავს საქართველო, უთუოდ წამოგყვები საქართველოში, მეუბნება ჰელლენ რონსერ, უთუოდ, უთუოდ“.

ვიცინი, ვსდუმვარ.

ეს არის მხოლოდ ვეუბნები ჰელლენს: ტიბროსი არა რბის მეთქი მტკვარისა და ინგურის დარად.

ტიბროსი მდორე და შავი წყალია.

გულჩათხრობილია და თვალჩალამებული ტიბროსი. ღრმად მოხუცებულს, მიხრწნილსა ჰგავს მართლაც ტიბროსი. მასაც ბევრი, ბევრი რამ უნახავს და ახსოვს და ასე გგონია, იმადაც სდუმს, რომ რასაც ხედავს თავის გარშემო, მცირე და უმნიშვნელო რამე ჰგონია და ლაპარაკიც ეზარება მიტომაც ამის გამო. მდორედ და მრუმედ მიიზლაზნება ტიბროსი, მას არ აშფოთებს ამ ქვეყნის დრტვინვა, თითქოს არც ცეზარების ტრიუმფები ენახოს ოდესმე, არც თავაწყვეტილი იტალიელი გრანდების, ბარონების და პაპების მიერ ატეხილი სისხლის ღვართქაფი“.

* * *

სწორედ ამ სტრიქონებს კითხულობდა თამარი, როცა ბაბუა ტარიელის ძახილი შემოესმა. ბაბუა ტარიელი ჯავრობდა, ახლად ნაავადმყოფარი ხარო და კაკლის ჩეროში რას უზიხარო? წამლის დალევა რად დაგავიწყდაო, ან მე რად არ დამალევინეო თავის დროზე წამალი?

ადგა თამარი. ბაბუა ტარიელს დაალევინა წამალი, თავათაც მიიღო მიქსტურა, თავის ოთახში გამარტოვდა და ისევ განაგრძო კითხვა.. თამარს ძლიერ აღელვებდა თარაშ ემხვარის დღიურში ნათხრობი, თუმცა თავის ტკივილმა უმატა, მაგრამ მაინც განაგრძო კითხვა. სულ თვალწინ უდგა ჰელლენ რონსერი, აინტერესებდა ეს ქალი, მაგრამ მისდამი ეჭვი ყელზე ებჯინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

რომი, 17. 9.

„დღეს დილით პიაცცა და პოპოლოზე ვიყავით მე და ჰელლენ. მოედანზე ჰიაცინტებს ჰყიდიდა ვიღაც გამხდარი, გაყვითლებული მუშა ქალი. ცალ ხელში ლეკვი ეჭირა. დამშეული ცხოველი ძლივს ახამხამებდა ახლადგახელილ თვალებს. დედაკაცი სწორედ იმ ობელისკის ქვეშ იდგა, რომელიც ოდესღაც ჰელიპოლის მზის ტაძარს ამკობდა.

მივუახლოვდი ჰიაცინტების გამყიდველს. დედაკაცმა ორივენი შემომაძლია ყვავილებიცა და ლეკვიც. როცა ჰიაცინტები ვუხსენე, ლეკვი მიწაზე დასვა და ჰიაცინტები გამომიწოდა. წაცუნცულდა ძაღლი და თავის ჯიშის წესი შეასრულა: მზის ტაძრის ობელისკს მიაფსა.

„მ ი ნ ა წ ე რ ი: განა მარტო ძაღლებს სჭირთ ეს სენი? წარსული კულტურის ძეგლთან რომ მიიყვან ცოცხალს, იმ წუთშივე გაამჟღავნებს თავის ბუნებას იგი. (განა მრავალჯერ ათასი მოგზაური სიამოვნებით არა ბილწავს ისტორიულ ძეგლებს? განსაკუთრებით ჩვენში, სადაც უძველეს ფრესკებს თვალებს უფხაჭნიან, ჩუქურთმებს ყორეებში ყრიან, ან გომურების შესაკეთებლად ხმარობენ. ტაძრებსა და საკურთხევლებს ბილწავენ და შემდეგ იქავე უსირცხვილოდ აწერენ: ამა და ამ წელს აქ იყვნენ: ლადო, შურა, არტაშ, ვიტია, მიტია და ჩერემუხოვი". ასე ებლაუჭება უკვდავებას ყოველი არამზადა!).

*
* *

რომი, 18. 9.

„სანტა მარია დელ პოპოლოში შევიარეთ. მარმარილოს სარკოფაგები. სანსოვიო რაფაელი და პენტურიჩიო.

ლეგენდა გვიამბობს აქ დაუსვენებიათ ოდესღაც ნერონის ნეშტი. ალექსანდრე მე-VI, ბორჯიას საკურთხეველი აუგია, რათა იმპერატორის ლანდის მადევარი დემონები შეერისხა.

ჰელლენს ვუჩვენე ცნობილი ვია ლატა და მარსის მოედანი. აქედან შემოდიოდნენ ოდესღაც ჩრდილოელი ბარბაროსები რომში. აქვეა სადღაც ვილლა ფაონ, სადაც ნერონს სატევარი ჩასცა რომელიღაც გაავებულმა მონამ. Qualis artifex morior! *).

„მაინც რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია მდგომარეობას?! უნიჭო ნერონი ათასჯერ უფრო პოპულარულია, ვიდრე ათთორმეტი გენიოსი. არაფერი არ მიუცია ამ გვირგვინოსანი კომენდიანტისთვის შემომქმედს დი-

*) როგორი ხელოვანი ვკვდები.

დი სიამაყის გარდა. მართლაც და სიამაყის გარეშე წარმოუდგენელია შემოქმედება. ვინც მარმარის გაურანდავ ნაკვეთიდან სილამაზეს, სიტფოს და სიყვარულს აღძრავს, იგი უეჭველად ჯადოსანია. ვინც უბრალო ტილოს და წამლების შემწეობით ფერების სიმფონიას შექმნის, ისიც უთუოდ გულთმისანია, ხოლო იგი, ვინც უბრალო ლექსიკონში მოქცეულ სიტყვების ყორედან გრძნობების ზღვაურს ასტეხს, ლანდებს აამეტყველებს, არ არსებულს ან უსულოს არსებულადა და სულიერად მოგაჩვენებს, იგი უსათუოდ ალქიმიკოსია და ნათელმხილველი.

ვია ლატა!

ეს გზა ისევე ძველია, როგორც ანტიური ქვეყნები. მიმოიხედავ აქ და ასე გგონია ქრისტე ჯერაც არ დაბადებულაო. შეუწყვეტლად მოდის ეს გზა ცეზარების დღეებიდან ავიაციის საუკუნემდის. ცეზარს, პომპეიუსს, კატილინას, ვირგილიუსს, ჰორაციუსს უვლიათ აქ და ამ გზიდან შემოსულან რომის ასაკლებად: გერმანები და ჰუნები, საფრანგეთისა და ესპანეთის კავალერია. ამ პალაცცოებს, ცეცხლი წაუკიდა გადარეულმა რობერტ გვისკარდმა.

მხიარული დღეებიც მრავალი ახსოვთ ვია ლატას და მარსის მოედანს. ისევე როგორც ძველი საბერძნეთის ღმერთების ეპოქაში დაჰქროდნენ მარსის მოედანზე ვაზის ლერწებით შუბლდამშვენებული ბაკხანტები და მენადები. აქედან ვენეციის მოედნამდის მართავდნენ დოლს სატურნალიების დღეებში, და მარსის მოედანზე უჯირითებიათ ცხენი ივერიის მეფეებს, იმპერატორებთან სტუმრათ ჩამოსულთ.

წვიმამ მოგვისწრო. „კაფე არაგონში“ შევედით. კაფეში ათასი ენისა და ჯილაგის ხალხი ზიმზიმებს. აქ ფოქსტროტს ცეკვავენ საღამოობით დოლარებისგან გაამაყებული ახალი მოდის იტალიელი დუშესსები და ბარონესსები. (როცა ამერიკელ ხვადგის კონსერვების ქარხნის პატრონის ქალი, რომელიმე გუდამშიერ იტალიელ აზნაურს ცოლად წაჰყვება, მაშინ უყურეთ არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის დამტკბარ ალიანს!).

უცხოურ გაზეთებს კითხულობენ: ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი და ფრანგი ჟურნალისტები (ყალიონისგან მოღრანჯული ტუჩები უნდა ნახოთ! ამ ტუჩების კუთხეებში ისეთი დიდი ამპარტავნობა შეგიძლიათ ამოიკითხოთ, თითქოს რომი მათ დაეარსებინოთ და ფორუმ რომანუმიც მათ სახელზე ყოფილიყოს აშენებული).

შეპუდრულ ტიკინებსავით მორთული ქალები იკლაკნებიან კაფეს განიერ სარკეების წინაშე და უსირცხვილოდ იცხებენ პომადას.

„ძველი რომაელი მატრონებიც თუ ასე იღლაბნიდნენ ნეტავ ლაშებს?“

ვეკითხები ჰელლენს.

ლორნეტიან დამებს ილლიაში გაუჩრიათ თეთრბეწვიანი შპიცები, ალაჰმა უწყოდეს ეს ძაღლები უფრო უყვართ მათ თუ თავიანთი ქმრები?

ამ კაფეში უდარაჯებენ გაპუდრული იტალიელი ალფონსები ახლად ჩამოსულ ამერიკულ ქვრივ ქალებს და ბარონესსას ტიტულის მაძებარ ხანდაზმულ ქალწულებს.

ეროვნული

წვიმამ გადაიღო. ცა ისე მოსარკდა, როგორც ეს საქართველოში იცის. ვენეციის მოედნიდან კოლოსეუმისაკენ მივდივართ.

ქორედების საუკუნოშიაც აოცებს ადამიანს კოლოსეუმი!

Quandiu stabit Colysoeus, stabit et Roma,
Quando cadet Roma, cadet et mundus.

მათ ურყევად სჯეროდათ: როცა კოლოსეუმი წაიქცევა, ქვეყანაც დაიქცევაო.

აჰა, პალატინისა და ესკვილის გორები. იქ მდგარა ოდესღაც ნერონის სასახლე, ოქროთი მოოჭვილი და პატიოსანი თვლებით შემკული.

იქ მჯდარა ოდესღაც ეს უნიჭო და თავის თავზე შეყვარებული ცრუგენიოსი. (ჩვენი დროის ბულვარის მწერლებისა და ხალტურისტების პატივცემული წინაპარი). ორი მგელი დაუმწყვდევიათ რომის ფორუმის შესავალთან. ესენი ისე არა ჰგვანან რომულუსისა და რემას დედამძუძეს, როგორც დღევანდელი იტალია ძველ რომს.

კაპიტოლის მუზეუმის ვენერა ვინახულეთ და ჯოჯოხეთის დედოფალი პერსეფონე. მისმა მარმარის მკლავებმა ცნობილი ლექსი მომაგონა:

„ეშხითა შენით მინდა ვიყვე მარადის მთვრალი,
ეგ თეთრი მკლავი მქონდეს ყელზე შემოჭდობილი“.

*
* *

წვერხუჭუჭა მარკ ავრელიუს შეგვეგება ფორუმზე ამომავალთ.

იგი საკმაოდ მუცელგამობერილ, დაბალ ცხენზე ზის (არც ერთი თავმოყვარე აბხაზი ვაჟკაცი არ იკადრებდა ასეთ ჯაგლაგზე შეჯდომას, რომელიმე მოქანდაკემ ხომ არ უმტრო ნეტავ იმპერატორს?).

გავსცქერით ფორუმს.

მხარმარჯვნით სეპტიუს სევერუსის და კონკორდიას ტაძრების ნანგრევები მოსჩანან. მხარმარცხნით სატურნის ტაძარი. ამ მარმარის სვეტებს შორის იტალიელი ჯიბგირები და ლაცარონები კამათელს აგორებენ და ლაზღანდარობენ.

ოდესღაც ამ ჩეროში რომაელი სენატორები ისხდნენ და მაშინდელი მსოფლიოს ბედს ისევე იოლად ათამაშებდნენ, როგორც ეს ჯიბგირები ამ კამათლებს (ისტორიაში ისიც ხდება, რომ სენატორების ადგილებზე ჯიბგირები დასხდებიან).

აჰა, კასტორ და პოლუქსის ტაძარიც! იქავე წყლის აუზია.

„აქ ნაცხოვრება ოდესღაც ფერია იუტურნა“. ჰელლენ იცინის და ვესტას ტაძრისკენ მიიწევს.

„აგერ ვესტალიების მონასტერიც, ბოროტი ენები ამბობენ, ამ მონასტერში უარესი ამბები ხდებოდაო, ვიდრე ბოკაჩიოს ქრისტეან ბერებს ჩაუდენიათ“.

აჰა, ცეზარის პალატებიც. ამ ხავსმოკიდებულ პალატებში მართავდა ალბად ორგიებს იულიუს კეისარი გალიის ომებში დატყვევებულ გერმანელ ბიჭებთან. ვინ იცის რამდენი დასაჭურისებული აბხაზის ან ლაზის ბავშვი გაუხრწნიათ ამ პალატებში რომის იმპერატორებს.

ჰელლენს ვეუბნები:

„პომპეიუს იბერიაში მტკვრის პირად შეებმნენ იბერიის მეფე არტოკი და ალბანელი ორიზი. იბერიელები და ალბანელები ერთ ტყეში გამაგრდნენ, მაგრამ პომპეიუსმა ალყა შემოარტყა და ტყე დასწვა.

ტყვედ წაყვანილთა შორის შეიარაღებული იბერიელი ქალები აღმოჩნდნენ. ქალებს იმდენივე ჭრილობა აღმოაჩნდათ, რამდენიც ვაჟებს.

ამ გამარჯვების გამო მას ტრიუმფი გადაუხადეს რომში.

ტრიუმფატორს წინ მიუძღოდნენ იბერიელი მძევლები და ტყვეები“.

*
* *

რა მცირე სივრცე უჭირავს ამ ფორუმ რომანუმს და მთელს მსოფლიოს უკარნახებდნენ ამ სასახლეში დამსხდარი სენატორები. იგივე მსოფლიო უდიდესი ყურადღებით ყურს მიუგდებდა ციცერონესა და ვირგილიუსს. (ახლა ათინელი აკროპოლის? იგი ორგზის უფრო მცირე იყო მოცულობით, მაგრამ ბერძნულ კულტურაზე უფრო მაღალი და შთაგონებული ჯერ არავის შეუქმნია ამ ხმელის პირზედ). არც დღეს აქვს სივრცეს იმდენი მნიშვნელობა, რამდენიც ჩვენა გვგონია. დედამიწის ჰემისფეროს სამი მეოთხედი წყალია, მაგრამ წყალი წყალია მაინც.

შემოგვაღამდა ფორუმზე. ჩრდილები შემოესია დანგრეულ პალატებსა და ტაძრების თეთრ პერისტილებს, ჩრდილი დაეუფლა მარმარის კოლონებს. მრუმე ფერები შეერთო რომაულ ეთერს და ტირეის ზღვიდან თეთრი ღრუბლები აღგნენ. მთვარე გამოსცურდა პურპურისფერ ღრუბლების გონდოლში მჯდარი.

ვზივართ მე და ჰელლენ ვესპასიანეს ტაძრის კოლონას ვეყრდნობით ზურგით. მარჯვენა ჰელლენ რონსერის წელზე მაქვს შემოხვეული და ვფიქრობ:

ვინ არ ყოფილა, ვინ არ მჯდარა ამ ადგილას გულშემოყრილი? გოეტე, შატობრიანი, მიცკევიჩი, შოპენჰაუერი, სტენდალი და დანტე გაბრიელ როზეტი. ყველა ვისაც რომანტიული საუკუნის სენი შეყრია ოდესმე.

აქ მჯდარა ლორდ ბაირონიც, უმშვენიერესი და უმამაცესი ვაჟკაცი მთელ ევროპის პოეტთა შორის. აქ მოსულა იგი მოსულუნგისკენ გამგზავრების კვირამალში, ამაოების ძრწოლით გულამღვრეული.

ძნელია, როცა მასავით მოგეშხამება საწუთროება და მერმე გმირული სიკვდილის ნაცვლად ტროპიული ციება გიმსხვერპლებს, ან დიზინტერია".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

თამარ თავაულებლად კითხულობდა, ლუკაია შემოვიდა დაჯდა და უყურებს თამარს.

„რას მიყურებ ლუკაია?"

„რას გიყურებ? დიი! თავი გტკივა და კაკლის ქვეშ ჯდები? დიი! ნუთუ ამდენი არ გესმის? დიი!"

ლუკაია გავიდა, კარი მოარახუნა...

და თამარმა განაგრძო თარაშ ემხვარის დღიურის კითხვა. იგი აჩქარებული ფურცლავდა იმ გვერდებს, სადაც ჰელლენ რონსერის ხსენება იყო, განსაკუთრებით აინტერესებდა მისი გარეგნობა, მის მიერ ნათქვამი.

*
* *

რომი, 20. 9.

„ჰელლენ გაცივდა იმ საღამოს ფორუმზე. ჭაჭის ტკივილი განუახლდა. მთელი დღეები მის საწოლთან მიხდება ჯდომა. შვიდოთახიან ბინაში მარტონი ვართ: ჰელლენ, მე და მისი ყრუ დეიდა, სამი კატა და ორი შპიცი, ბებერი ლაქია ჯიაკომო. ჯიაკომოს რამოდენიმე მედალი აქვს გარიბალდის ჯარში მიღებული. მას პირადად უნახვს 1866 წელს ავსტრიელების წინააღმდეგ ბრძოლის დროს გარიბალდი. 1867 წელს რომისკენ წამოსულს, ბრძოლაში ცხენი მოუკლეს თურმე გარიბალდის და ჯიაკომომ საკუთარი მიაშველა. ასეთი გმირობა ჩაუდენია ჯიაკომოს, და ახლა სამზარეულოში ჩალიჩობს და იადონებს უვლის.

ჯიაკომო ფრიად თავაზიანი კაცია, სჩანს იგი ძალიან გააოცა ჩემმა უეცარმა გამოჩენამ ამ ოჯახში. ჯერ იყო და მას მუსიო რიშეპენის უმცროსი ძმა ვეგონე, როცა ჩემს მოლუშულ წარბებს შეეხალა, რიშეპენის ხსენებას ერიდებოდა. თავათ დეიდა ვიტელლიც ეგვიპტელ ფარაონის მუმიასავით გამხდარია. თვალები და მოწმობს კიდევ სიცოცხლეს. მადამ ვიტელლი ცნობილი ფრანჯი სოვდაგრის ოჯახიდანაა იტალიელ კომერსანტზე რომში გათხოვილი. ასტმა სჭირს მადამ ვიტელლის, არც წოლა შეუძლია და არც დგომა. ბალიშების მთელი ყორეა მის საწოლზე და ამ ბალიშების მთაზე ზის მადამ ვიტელლი, ბუდდჰას ქანდაკებასავით აღმოსავლურად ფეხმორთხმული და უცდის დღე და დღე სიკვდილს.

მადამ ვიტელლის ბინა ნამდვილი მუზეუმია.

ისედაც ველარ ავუდიოდი მუზეუმების დათვალიერებას რომში და აქ ახალი ჯაფა მომემატა. არ ითქმის თითქოს დიდის გემოვნებით იყოს ეს ბინა მორთული. მოგზაურ სოვდაგარს განურჩევლად შეუძენია, რაც კი ხელში მოხვედრია. უნიჭო, უგემურ ფაიფურის ტიკინებსა და ახალი ოსტატების გამოუცდელი ხელით გამოჩორკვილ ნაწარმოებს შორის სავსებით უნიკალურ ძეგლებსაც წავაწყდი. ეს ნივთები 40 წლის მანძილზე შეუსყიდნია სენიორ ვიტელლის ბეიპინში, ბომბეიში, სტამბოლში, სმირნაში.

ერთი დარბაზი წითელი ხის ავეჯითაა მორთული, ლუი მე-XIV სტილზე, კედელზე ფრანგული გობელენები ჰკიდია. დავიდის და მეისონიეს სურათები, გარიბალდი და ნაპოლეონი ათას გვარ პოზაში. გრავიურები, ხეზე ნაძერწი, ქანდაკებები, სევრის პორცელანის ფიგურები როკოკოს ეპოქისა. მენუეტის მოცეკვავე კრინოლინიანი ქალები, მაღალ საყელოიანი ფრანგი ფეოდალები, ჯეირნებზე მონადირე ცხენოსნები და მარიონეტული თეატრების პერსონაჟი.

აღმოსავლეთის დარბაზი შემკულია ჰინდური, სპარსული ნოხებით, ჯეჯიმითა და ქსოვილებით.

ჰინდური მინიატიურები და სურათები: შივა თეთრ ხარზე ზის ფეხმორთხმული, ისრების საწოლზე გაშხლართულა შივა, კრიშნა მწყემს ქალებს სამოსელს ართმევს, კრიშნა გველის მუცელში შემძვრალ დემონს ამარცხებს, კალი მიწაზე განრთხმულა, კრიშნას ფეხებით სთელავს (ტფილისელ მექისესავით). მეჩონგურე სარასვატი, შინმობრუნებული რამა, ტულისადას ავტოგრაფის ნაგლეჯები, ციტორის ბასტიონის აღება 1567 წელს, რაჯასტანადან ამოხეული მინიატიურები, ბუდდჰისტური ჯოჯოხეთის სცენები, მწოლარე ბუდდჰა, აქლემზე აღმხედრებული ბუდდჰა, ინახით მჯდომარე ბუდდჰა, ყრმა ბუდდჰა — წითელ გრანიტზე გამოხატული. კედლებზე ჩარაზმულია აღმოსავლური რაინდული საჭურველნი: ჯაჭვის პერანგები, ჩაჩქები, ხმლები, ჩუგლუგები, წათები.

დარბაზების კუთხეებში თავჩაჩქნიანი რაინდების ფიგურები დგანან ხმალზე დაყრდნობილნი, თითქოს ესენი იფარავენო სინიორ ვიტელლის უძეოდ გადაგებულ ოჯახს.

მადამ ვიტელლიმ სიკვდილის მოახლოვება იგრძნო როგორც სჩანს. სეიფების გასაღებები ჰელლენ რონსერისათვის გადაუცია გუშინ. ამ სეიფების გასაღებებს არავის ანდობდა თურმე აქამდის. ჰელლენმა გუშინვე გახსნა სეიფები. ვნახეთ: სავსებით უნიკალური ჩინური, იაპონური, სპარსული და ჰინდური სერვიზები, სპარსული სინები ქართული აზარფეშები და ყანწები სტამბოლში ნაყიდი. ბაჯაღლო ოქროს ხატები ქართული და სომხური მე-13, მე-16 საუკუნეებით დათარიღებული. ოქროცურვილი ბიზანტიური ჯვრები, აღმოსავლეთის პატრიარქების ტიარები, კვერთხები, იშვიათი სამაჯურები და ბეჭდები ვეშაპის თვლებით და ბრილიან-

ტებით შემკული, თვალისმომჭრელი ორი ქართული სურა შევნიშნე. ნიამორები იყო ზედ გამოხატული და ვაზის შტოებით შემკული ოქროს ქამარ-სატევარი, ერთიც ქართული ხელსაქმის იშვიათი ნიმუში (მე-XII საუკუნისა) ალბად რომელიმე დიდებულის ქალისათვის ბიზანტიაში მზითევად გატანებული, ოქრომკერდით ეწერა ზედ:

„ქრისტე შეიწყალე ორსავე ცხოვრებასა შინა, ქაიხოსრო ფანასკერტელის ასული შორენა“.

*
* *

რომი, 23. 9.

„რომში ყოფნა წამამწარა ჰელლენეს ავადმყოფობამ. მადამ ვიტელლის სიკვდილიც სანატრელი გამიხდა. ყოველ დღე დავრბივარ ექიმებთან, რადგან ჯიაკომოს ქარები აუტყდა და სამზარეულოდან ველარ გამოდის.

ჰელლენ წამოდგა, მაგრამ ისევ უჩივის ჭაჭების ტკივილს. ხომ არ შემეძლო მუდამ ინკოგნიტად მეცხოვრა ვიტელლის ოჯახში. ბოლოს წარმიდგინეს მადამ ვიტელლის.

აქ კი დაიწყო ჩემი წამება.

მე საერთოდ ანკეტური დაკითხვისათვის პასუხის გაცემა მძაგს, ამიტომაც ვთხოვე ჰელლენს ჩემი ნამდვილი ვინაობა თავის დეიდისათვის არც კი გაემხილა. ხუმრობით ვუთხარი: როგორც სპარსეთის გეოგრაფიული საზოგადოების დირექტორი წარმადგინე მეთქი.

აიღო ჰელლენმა რუპორი და ჩასძახა ყრუ დეიდას.

ისევ მომიბრუნდა ჰელლენ: „დეიდა ვიტელლი კითხულობს სპარსეთში თუ იციან გეოგრაფია რა არისო?“

„ალბად იციან რაკი გეოგრაფიული საზოგადოება აქვთ“. განუმარტავს ჰელლენ.

მადამ ვიტელლი მაინც არ ისვენებს: „რამდენი ცოლი ჰყავსო სინიორ: ემხ...“ (ჩემი გვარი ყელში გაეხირა).

„არც ერთი“. ჩასძახეს რუპორს.

„შენ რა გგონია ვეუბნები ჰელლენს, მარტო დეიდა შენი როდი ფიქრობს ასე, საერთოდ თქვენ ევროპელებს ასე გგონიათ, რომ აზიაში არავინ არაფერი იცის“.

ჰელლენ იცინის, დეიდას სიბერისა და ავადმყოფობისაგან ხსოვნა სავსებით წაერთოო, მარაზმა სჭირსო.

„გარწმუნებ, ასეთი მარაზმა მარტო მოხუცებს არა სჭირთ ევროპაში, მარაზმით სნეული ისტორიკოსები, კრიტიკოსები და ჟურნალისტებიც ბევრი შემხვედრია რომში, ბერლინში, პარიზში და ლონდონში“.

ეროვნული

# ვალია გახტაძის და მ. ჯავახიშვილის მიმოწერა „თეთრი საყელოს“ შესახებ

ამხ. მიხეილ!

ვბედავ გაგაცნოთ ეს ნაუცბათევად დაწერილი ჩემი შენიშვნები თქვენი ახალი მოთხრობის შესახებ. ვფიქრობ, არ გამიჯავრდებით. მოთხრობის დედა-აზრის თანახმა, ცხადია, არა ვარ. საერთოდ იდეის განვითარების მხრივ ნაწარმოები ჩემთვის, როგორც რევოლუციონერისათვის, მისაღები არ არის.

არის ბევრი ყალბი ადგილები. ყაზბეგის შემდეგ ხევსურებზე ასეთი წერა სახიფათო საქმეა. მხოლოდ ვაჟას შეეძლო ეს.

არც საინტერესო საკითხია დასმული ნაწარმოებში — აბა ვის აინტერესებს ახლა — ტილები თუ რადიო?

მე ვფიქრობ — თვით ხევსურებშიაც იმარჯვებს დღეს რადიო. ტილები იქაც მარცხდება.

ეს საკითხი უკვე საკითხი არ არის, რადგან იგი — უკვე დიდი ხანია გადაჭრილია.

საინტერესო იქნებოდა — ხევსურეთის სურათი რომ იყოს ეს მოთხრობა, მაგრამ ეს ასე არ არის — რადგან ავტორს არ ქონია მიზნათ დასახული — ასეთი რამ. ცხადია: ავტორს ჯერ აზრი დაბადებია თავში: ძველი უბრალოება და ახალის კულტურა. ვისთან? და შემდეგ აუღია ხევსურეთიც და ხევსურებიც — დასამტკიცებლად იმისა, რასაც ვხედავთ მოთხრობის დედა აზრში.

რომელ ადგილს დაიკავებს ჯავახიშვილის შემოქმედებაში ეს ნაწერი? უფრო მაღალს, ვიდრე — „ოქროს კბილი“, მაგრამ გაცილებით უფრო დაბალს — შედარებით არა მარტო „ჯაყოს ხიზნებთან“, არამედ „ლამბალო და ყაშასთან“ და — თუ დამეთანხმებიან, — „მუსუსთანაც“.

გულახდილად ვიტყვი: ახლა ჩვენ ჯავახიშვილისაგან უფრო მეტს მოველით, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ამ მოთხრობაშია.

მე მგონია — ჯავახიშვილი ამ უკანასკნელ ხანში — როგორლაც ემალება — „ჯაყოს ხიზნებში“ და „ლამბალო და ყაშაში“ აღებულ ხაზს — ჯანსაღ რეალიზმისა, — ამიტომ კოჭლობს ის. კოჭლობს კი აუცილებლივ. მისივე ბრალია. საკოჭლო ჯავახიშვილს არაფერი აქვს. თუ კი ის — სა-

უპასუხეს. მადამ ვიტელლი დამშვიდდა და სიბრალულით სავსე თვალებით შემომხედა.

„თქვენში კაცის ხორცს სჭამენ თურმე ბოლშევიკები, არა?“

ჰელლენ შესდგა, ეტყობოდა არც იგი იყო მაინც დარწმუნებული კაცის ხორცს რომ არ სჭამენ ბოლშევიკები. მე შევეშველე.

„მაშ რად სწერდნენ ჩვენი გაზეთები?.. გარდა ამისა, განაგრძო მადამ ვიტელლიმ. პაპმა ედიქტი გამოსცა და ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა მათ წინააღმდეგ“.

აქ კი ორივენი დავდუმდით, ჰელლენეც და მეც. მოდი ახლა და მორწმუნე კათოლიკეს თავის სახლში გაუბედე: „პაპი სტყუისო“.

*

* *

რომი, 72. 9.

„დღეს მე და იამანიძემ ქრისტეანული რომიც მიმოვიხილეთ. სავსებით ზერელეთ. წმინდა პეტრეს ეკლესიაში შევიარეთ, ვნახეთ წ. პეტრეს ბრინჯაოს ქანდაკება. მრავალი საუკუნის მანძილზე ნაკოცნისაგან ფეხის თითები ამოჭმული აქვს წმინდანს. პიეტა ვნახეთ მიქელ ანჯელოსი, გერმანიის იმპერატორების სარკოფაგები დავათვალიერეთ, გუმბათზე ავედით და გადავხედეთ კამპანიის მოედანს, ოსტიას და ტირეის ზღვას. ირგვლივ მარმარი, ოქრო და ძოწი... ფრესკები, ორნამენტები, ჩუქურთმები... გვიდო რენის და მიქელ ანჯელოს სკულპტურები, სვეტები, თავკიდურები, ფრესკები, ფრესკები და კიდევ ფრესკები.

წმინდა მამების, ანგელოსების, ღვთისმშობლების ულევი ლაშქრები, ისევ ოქრო, მარმარი, წითელი გრანიტი. ობელისკები, კოლონები, მოზაიკები.

სიქსტინის კაპელლაში კიდევ ერთხელ შევხედე პერუჯინოს „კლიტეების გადაცემას“, მიქელ ანჯელოს „ჯიუდეციო უნივერსალეს“.

ვატიკანში გავიარეთ სტანცა დელლა სეგნატურა მოვინახულეთ, რაფაელის მადონნა დი ფოლგინო მეათეჯერ ვნახე. დიდხანს ვიდექით ვატიკანელ ლაოკოონის წინაშე.

იამანიძე თავათაც გამოტყდა: პლასტიურ ხელოვნებაში არაფერი გამეგებაო. იგი ყოველივეს საჭიროების თვალსაზრისით უყურებს.

ლაოკოონის წინაშე იდგა იამანიძე გაშტერებული და უყურებდა, თუ როგორ ეხვევა მამასა და ორ ვაჟს უშველებელი გველი.

„რა უნდოდა ახლა ეთქვა ამ ქანდაკების გამკეთებელს?“ კითხულობს იამანიძე ბავშვსავით.

ეს „რა უნდა ეთქვა“ ღიმილსა მგვრის.

„ხელოვანმა ხანდახან არც კი იცის, რა უნდა თქვას, რადგან იგი არას „ამბობს“, არამედ ჰქმნის, ჩემო ვახტანგ. ხელოვნური ნაწარმოები

ისევე მოულოდნელი იბადება, როგორც მეტეორის ქვა ცაიდან. მერმე ჩვენ მას შევხედავთ და ჩვენს გულისთქმას ამოვიკითხავთ მასში. ხელოვნური ქმნილება ალგებრულ ფორმულასა ჰგავს, იგი უამრავ ალეგორიების ჩამტევია. და რამდენადაც ეს „რა უნდა ეთქვა" მკაფიოდ არა სჩანს, მით უფრო გამძლეა იგი. როცა ხელოვნურ ნაწარმოებში ტენდენცია აშკარად გამოკრთის, იგი ისევე უშნოა, როგორც ლამაზი ქალის სხეულში გამოჩენილი ძვლის თავები.

შენ არ გეწყინოს ჩემო ვახტანგ, და ეს „რა უნდა ეთქვა" პროფანებს წამოსცდებათ ხოლმე, როცა პოეტურ, ან მხატვრულ ნაწარმოებს დაინახავენ. აი რაც ამ ლაოკოონის შესახებ დაწერილა, — ვატიკანშიაც არ დაეტევა, მაგრამ მე პირადად ასე ვხსნი ლაოკოონს: ჩვენ თუნდაც ცამდისაც ხელი ავყოთ, მამების ჩვენის ცოდვა ადრე თუ გვიან მაინც გვიწევს და მოგვახრჩობს, რადგან ჩვენ წინაპრების სისხლი გვაქვს ძარღვებში. და კაცთა მოდგმის ტრაგედია ისაა, რომ ჩვენ ისე შეკრული ვართ მათი ვნებებით, როგორც ლაოკოონის მამა და ორი შვილი გველის მოქნილი სხეულით.

„მაკმარე ახლა ეს ამბები, წავიდეთ ერთი უბრალო, იტალიურ დუქანში ვისადილოთ, იტალიური ღვინო დავლიოთ". დაასკვნის ვახტანგი.

დუქანში ისევე თავაზიანად შემოგვეგება იტალიელი მსახური, როგორც იმერელი ლაქია შეგვეყრება ხოლმე.

ორიოდე ქიქა კიანტის შემდეგ ვახტანგ იამანიძე მოულოდნელად მეკითხება: „ერთი მითხარი თუ ძმა ხარ თარაშ, არ მოგწყინდა მუდამ სხვის ქვეყნების თვალიერება?"

„მომწყინდა მერე რა?"

მცირე ხანს ორივენი ვსდუმდით.

მე კიდევ მოვსვი ღვინო და ვეუბნები:

„იცი ვახტანგ, მე ისე მომწყინდა ევროპაცა და მუზეუმებიც, რომ კიდევ ერთ გაზაფხულს ვერ გადავიტან აქ ევროპაში. უკვე მერვე შემოდგომა მოდის და უკვე ძრწოლით მოველი გაზაფხულს სხვის ქვეყანაში. აბხაზეთი მენატრება, ჩვენი მთები, ჩვენი ღვინო, ჩვენი პილპილი და წითელი ტალახი. პირდაპირ ფიზიკურ ტკივილებს განვიცდი. არ ვიცი ახლა რა ხალხი ცხოვრობს ჩვენში, მე იმ ხალხისთვის ისევე უცხო ვიქნები, როგორც იგია ამჟამად ჩემთვის და ლამისაა იმ არამზადა უცხოელებს დავემსგავსო, საქართველოს ღვინო, მთები და აბანო რომ უყვარს მარტო.

ვგრძნობ მამა ჩემსავით მეც მერევა მელანქოლია, იტალიამ უარესად გამიმძაფრა ეს უცნაური გრძნობები".

„ახლა ჩემი იკითხე თარაშ, ჯერ კიდევ შარშან ვაპირებდი არალეგალურად საქართველოში წასვლას, მაგრამ ძნელია ასეთ საქმეში ყოველ კაცს გაენდო, შენ ბავშვობიდან მიცნობ, მე ძალიან გულჩაკეტილი კაცი ვარ და შენსავით მჭერმეტყველება როდი მიწყობს ხელს. შარშან ბელ-

გიურ კონგოში მგზავნიდა ერთი ბრიუსელელი ფირმა. დიდ ჯამაგირს შპირდებოდნენ, უარი ვუთხარი. რათაც არ უნდა დამიჯდეს საქართველოში უნდა წავიდე. დეე თუნდაც დამხვრიტონ, ჩამსვან, იქ დამხვრიტონ, იქ ჩამსვან“.

მე დავდუმდი. ასე მეგონა ჩემი გულის ნადები მოუპარავს მეთქი ვახტანგ იამანიძეს.

„იქ დამხვრიტონ, იქ ჩამსვან“. გავიმეორე ხმამაღალი ფიქრით.

„მეც... მეც... ასე ვფიქრობ, ვახტანგ, მაგრამ ესაა: ვშიშობ ვაჲ თუ ჩემი უბედურობის მიზეზი ჩემშივე იყოს. მე სიკვდილის არ მეშინია, თუმცა დიდი გარდაწქშანი არასოდეს ვყოფილვარ და არც ვაჟკაცობაში ვეჯიბრები ვინმეს. ბოლშევიკებზე ასე ამბობენ: პირველ განრისხებაზე თუ არ მიგახვრიტეს, მერმე ლმობიერად მოგექცევიანო, მე მირჩევნია დამხვრიტონ, ვიდრე გულმოწყალების საგანი გავხდე. უნდა გამოგიტყდე: მე თავათ ბოლშევიკებიც ძალიან მაინტერესებს, ერთი ვნახო რა ჯილაგის ხალხია. ეს უკვე 12 წელია მთელი ევროპის პრესსა გაუგონარ ამბებს სწერს მათ გამო და ამან, გამოგიტყდე პიურკმო გაშუქება აღმიძრა. არასაინტერესო ადამიანების გამო, შეუძლებელია ამდენი განგაში, შენ იცი, ამდენი კათოლიკური ორდენებია რომში, მე შევკრთი იეზუიტი და დომინიკანელი ბერების ლაშქარი რომ შეგვეგება ამ დილით ვატიკანიდან მომავალი. იერემიტები, იეზუიტები, ფრანცისკანები, დომინიკანები და ეშმაკი და დოზანა. ესენიც ხომ ფანატიკოსებია, ახლა მთელს ევროპაში რამდენი სექტანტური, კათოლიკური, ანგლიკანური, პროტესტანტული, მასსონური ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ მათ გამო არავინ არაფერს ამბობს. ახლა რამდენი უდღეური პარტიაა მთელს ევროპაში. ბურჟუაზიული, რადიკალური, ნახევრად რადიკალური, ზომიერი, უზომო და უზომოზე უფრო უზომოდ ზომიერი სოციალისტები, ანარქისტები, სინდიკალისტები, ათასნაირი „ისტები“ და „იზმები“, მათი სახელი ლეგეონია და არც მათი ამბავი ვიცი დაწვრილებით. მე ახლაც არ ვიცი ჰენდერსონი რა პარტიისაა და მაკდონალდი ქრისტეანი სოციალისტია თუ ბაპტისტი? ან ის ამერიკელი ქვაკერები რომელ ინტერნაციონალში შედიან? ან თვითონ თქვენი მეორე ინტერნაციონალი სად შედის ბოლოს და ბოლოს? მე მძაგს, ეს „ზომიერი, გონიერი“ ევროპული საშუალოება, „მედიოკრიტეს“ რომ ეტყვიან ფრანგები, ისინი ვისაც „ლე ბუტიკიეს“ — მეწვრილმანეებს უწოდებდა ნაპოლეონი.

სამი თვეა შენ მემუდარები, მე წამოგყვები, თუ ასეა. უნდა გითხრა თუ დაგვხვრეტენ მაინც და მაინც. მე დასანანებელი არაფერი წამყვება ამ სოფლიდან.

როგორც სჩანს, ჩვენს თაობას საერთოდ არ უწერია მშვიდობა. ეს უჩინარი მღელვარება ალბად ყველგან თან გაგვყვება სულ ერთია, რომში ვიქნებით, პარიზში თუ ტფილისში.

თუ არ დაგვხვრიტეს, იქაც ცხოვრებაა. არც თუ წელთა რაოდენობით განიზომება ცხოვრება, 25 წლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს ყოველივე პირველი ვარიაციის მრავალკეცი განმეორება იქნება, ალბათ. მე უკვე ვხედავ ორივეს გულში საკმაოდ მომწიფებულია საქართველოში წასვლის აზრი. მე ცოტა არ იყოს რაინდული ეთიკის კაცი ვარ და ვგონებ შემიძლია მეგობრისთვის თავგანწირვა. მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას ჩვენს შორის წინასწარ: დღეს მთელს ქვეყანაზედ ორად ორი გზაა დარჩენილი: ერთია სტალინის გზა, გზა ბოლშევიკებისა, მეორე მუსოლინისა და ჰიტლერისა.

მესამე ესაა: ევროპული დემოკრატიის გზა. შენ და შენი ჟორდანია ამ მესამეზე დგახართ. ამ გზამ დაობებამდის მიიყვანა ევროპული დემოკრატია, იგი უფრო უგზოობაა ვიდრე გზა. მე მგონია თქვენი საქმე განწირულია.

„შენ რომელი გზა გრწამს ამ ორში?“ მეკითხება ვახტანგ.

„მე, მე საერთოდ პოლიტიკური მოღვაწე არც ვყოფილვარ და არც ვიქნები ოდესმე. მე ჩემს ხალხს სავსებით მოწყვეტილი ვარ და არც კი ვიცი რა ულხინს და რა უჭირს მას. აქედან ძნელია რაიმეს თქმა. ერთი რამ აშკარაა ჩემთვის: იტალიური და გერმანული ფაშიზმი ჩვენი ხალხისთვის ისევე შორეული ამბავია როგორც გველფების და გიბელინების ბრძოლა. ეს მოძრაობა დიდმა ერებმა წარმოშვეს და როგორც ყოველგვარი ევროპული „იზმი“ იგიც უგულებელყოფს ალბად ჩვენი ხალხის ინტერესებს. პირადად ჩემთვის, ცოცხალიც რომ გადავრჩე, ალბად ეს გზაც დახურული იქნება. ერთი იმიტომ, რომ თავადი ვარ და წინაპრების ჩემის ცოდვებს უთუოდ მომკითხავენ. მონანიებული აზნაურის ამბავი, ჩემის აზრით ლიტერატორების ფანტაზიის ნაყოფია. ძერის ბახალამ რაც უნდა ინანოს მტრედის მართვე მაინც ვერ გახდება. ეს ასეა და გარდა ამისა, მე სულ სხვა კულტურაზე ვარ გაზრდილი და ძალიან საეჭვოა ბოლშევიკებმა ჩემი გულწრფელობა იწამონ. ასე რომ მე მინდა თუნდაც ერთხელ ვნახო ჩვენი მთები და მერმე თუნდაც კედელთან მიმაყენონ.

ორიოდე ჭიქა კიანტი კიდევ დავლიეთ, დიდხანს, დიდხანს ვსდუმდით, მერმე ვიღაც ლოთები შემობორიალდნენ დუქანში და გავეცალეთ იქაურობას. საქართველოში წასვლა გადაწყდა, თარიღად დავთქვით ნოემბრის სამი. ჩვენი მარშრუტი ასეთია: რომი — ტორენტო — სტამბოლი — რიზე. იქ ყოველივე მზად იქნება. აჭარელი მეგზური ჭოროხზე გადაგვიყვანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რომი, 26. 9.

„მე ასე მჩვევია, ბევრს ვყოყმანობ, მაგრამ თუ რამე ამოვიჭერი გულში, ამოვიჭერი, უკან არ დავიხევ სანამ სიკვდილი გზას არ მომიჭრის. დედა მეტყოდა ხოლმე: სიჯიუტე მამისა გაქვსო. კიდევ ერთხელ თვალი მოვავლე ჩემს საყვარელ „ეტერნა რომას“.

მარია მაჯიორე მოვინახულე, მარია სოპრა მინევრა, მარია დელ ანიმა, მარია დელ პაჩე, პალაცცო ფარნეზე, მარია ანტიკა, ვილლა ფარნეზინა, პლაცცო კორსინი, პეტრო ინ ვინკოლი, სანტა მარია მაჯიორე, სანტა მარია დეგლი ანჯელი, პალაცცო ბარბერინი.

კაპიტოლის მუზეუმში შევიარე კიდევ და პერსეფონეს მშვენიერ თეთრ მკლავებს შევხედე უკანასკნელად.

ვიტტელლის ბინაში მობრუნებულს ატირებული დამხვდა ჰელლენ. მე მეგონა: დეიდა ვიტელლის ჩვენი ჭირი წაუღია მეთქი.

როგორი უცნაური როყიო კაცია ვახტანგ! დილას ჩემ საკითხავად მოსულა. ჩვენი წასვლის გეგმები წვრილად უამბნია ჰელლენ რონსერისთვის. მე კი გადაწყვეტილი მქონდა: ჯერ სავსებით არ გამემხილა მისთვის საქართველოში წასვლა. ვეტყოდი: ვენეციას მივდივარ მეთქი. მერმე გზიდან მოვწერდი ბარათს. ასე მქონდა გადაწყვეტილი, რადგან მე არ შემიძლია ქალის ცრემლების ატანა...

სავსებით მოულოდნელი ამბავი გავიგე. ჰელლენს უკანასკნელი ბარათი მიუწერია მუსიო რიშეპენისათვის. ბრილიანტების კოლიე უკანვე გაუბრუნებია.

„და ეს ყოველივე შენთვის ჩავიდინე, მეუბნება ატირებული ჰელლენ, ბავშვივით სლოკინებს, სტირის და სლოკინებს.

იმ ღამეს დაიწყო მადამ ვიტელლის აგონია. ეს მუშტის ოდენა, გამხმარი მუმია აიქოჩრა, თვალები გაუბრწყინდა, სახის კუნთები დაეჭინთა, გააფთრებული ებრძოდა სიკვდილს. ბალიშები სცვიოდა საწოლიდან, ბორგავდა, ნახურვებსავით როკავდა, თმებს იგლეჯდა, ჰკიოდა, ჰაერს ეძებდა სასუნთქველს. სიკვდილი ნელნელა ახვევდა თავის ჯადოსნურ ქსელს. დაიქანცებოდა მოხუცი დედაკაცი, ისევ მუშტის ოდენა გახდებოდა, ისევ მოიკრუნჩხებოდა და კედელზე მილაგებულ ბალიშების ყორეს მიეყრდნობოდა და ოდნავ მილულავდა სანახევროდ ღიადდარჩენილ თვალებს. ისევ შეეკვროდა სუნთქვა ისევ აბორგდებოდა, და ხელებს გაასავსავებდა ჰაერში და ხროტინებდა სუნთქვა შეკრული. გათენებისას დაწყნარდა სნეული.

ჰელლენს დილასაც არ უძინია. შეზლონგზე პირქვე დამხობილი სტიროდა. მივუახლოვდი, თმები გავუსწორე, შუბლზე ვაკოცე და მერმე მისი

თეთრი, თეთრი მკლავები გამოვიღე პენუარიდან და ვა[illegible]ლგზის.

„რა მცირე გულხმიერება გქონია ჩემთვის. მისაყვედურებს ჰელლენ. შენ იყავი პირველი მამაკაცი კლუნის მონასტრის ს[illegible] გამოსვლის შემდეგ რომ გამიცანი პანსიონ სენ ჟერმენში. პი[illegible], რომელსაც ჩემი გული მივანდე პირველად. მე დედმამა ადრე დამეხოცა და ერთად ერთი ჩემი პატრონი დეიდა ვიტელლი იყო. მამისა და დეიდა ჩემის ოჯახები დიდ სოვდაგრების წრეს ეკუთვნიდნენ. სამი თაობა მისდევდა ამ საქმეს და სამივეს მჭიდრო კავშირი ჰქონიათ აღმოსავლეთთან. ამან აღძრა ჩემს გულში ინტერესი აღმოსავლეთისადმი, ბავშვობის დღეებიდან მუდამ აღმოსავლეთისათვის ვოცნებობდი... მერმე ის იყო შენ შემხვდი.... ჩვენი ოჯახის ტრადიციით მეც კომერსანტს უნდა გავყოლოდი. ასე უნდოდა დეიდას. მანვე აირჩია ჩემ საქმროდ მუსიო რიშპენ. შენ მატყობდი ალბად, მე მძაგდა მუსიო რიშპენ.

კედლის საათებმა ექვსჯერ დაიჟღარუნეს, ჰელლენ შეკრთა. დეიდა ვიტელლის ოთახისაკენ გაიხედა, მიაყურა, და მერმე განაგრძო: „დეიდა ვიტელლის ქმრის მეგობარი იყო მუსიო რიშპენ, საერთო საქმეები ჰქონიათ ლევანტში ორივეს. არ მახსოვს ტრაპეზუნდის თამბაქოს თუ ნავთის საქმე. და დეიდა ვიტელლის აჩემებული ჰქონდა: მე რომ ვენდობი ისეთ კაცს უნდა მივათხოვოო. და ამას მიმეორებდა იგი ყოველ აღდგომას, როცა ჩემს სანახავად ჩამოდიოდა კლუნის მონასტრის პანსიონში. წინააღდეგობისათვის ვერ გავბედე, ან ხომ იცი როგორი იყო დეიდა? შენ წინ ტიროდი და მეუბნებოდი — რომ ის დედაჩემის ადგილას არის და ქალის საქმე ისაა, რომ ერთგულად ემსახუროს მას, ვინც...

შეკრთებოდა, წამოხტებოდა... ბავშვსავით, ველურსავით სჯეროდა: როცა სული საიქიოს მიემგზავრება, ოჯახის ფუძეში წინაპრების ლანდები აიშლებიან და გაქარჩხულ სახლში ატყდებაო მაშინ კაკუნი...

მოხუცებული ჯიაკომო მთელი ღამე კუბოს წინ დაჩოქილი ლოცულობდა, სტიროდა და ისევ ლოცულობდა. მთელი ღამე წვეთავდა წყალი საყინულე კუბოს ონკანიდან და მთელი ღამე ჟღარუნებდნენ ვიტელლის ბინის კედლის საათები".

გვიან მინაწერი:

„როგორი უმწეო აღმოჩნდა ჰელლენ! საოცრად დაიბნა ბედშავი. ამიტომ მადამ ვიტელლის დამარხვისათვის ზრუნვა მე და ვახტანგ იამანიძეს დაგვატყდა თავზე.

„მე ჩემი დეიდის დამარხვაზე არ მირბენია ამდენი, ოხუნჯობდა ვახტანგი".

*
* *

რომი, 30. 9.

„მთელი დღე სწვიმდა რომში. როგორ მინდოდა კარგ ამინდში გამომეთხოვებოდი რომის სასახლეებს, კასტელებს და კორზოებს. ღამის 12 საათსა და 30 წუთზე გადიოდა ექსპრესსი: რომი — ტორენტო.

მატარებელი უეცრად მოსწყდა სადგურს.

დიდხანს, დიდხანს გავსცქეროდი ვაგონის ფანჯრიდან: მატარებლის გასწვრივ მოდიოდა, ჩქარი, ჩქარი ნაბიჯით, ჰელლენ, სტიროდა, მოდიოდა. სახეზე ჩამოშლილ თმას უწეწავდა ქარი და გაზის შუქზე ისეთი გაფითრებული მოსჩანდა, როგორც ანგელოსი სიკვდილშემოსილი. და ასევე დარჩება ჩემს ხსოვნაში ჰელლენ რონსერ".

გვიან მინაწერი:

არ მინდოდა ეს დღიური ოდესმე ხელში ჩავარდნოდა ბოლშევიკებს ამიტომაც იგი სტამბოლიდან გამოვატანე ტფილისს მომავალ იტალიელ კონსულის ცოლს. უკვე დიდი ხანია საქართველოში ვარ. ჩვენი ავანტიურა გაცილებით უბრალოდ დასრულდა, ვიდრე მოველოდით... სამი დღე და ღამე ვიმალებოდით დაფნისა და მაგნოლიის ტყეებში, მუცელზე ხოხვით ვუახლოვდებოდით საქართველოს საზღვარს. პირველ ზონაში გადმოსვლის უმალვე გაგვცა მეგზურმა. პოლიტსამმართველომ შეგვიპყრო. წელიწადზე მეტია რაც თავისუფალი ვარ. იამანიძე სადღაც ქარხნის დირექტორად დანიშნეს და მე ზუგდიდში ვზივარ და ძველი კოლხიდის ფეტიშიზმის საკითხებს ვიკვლევ". და ჰელლენ რონსერ? არც მე დამკლებია მწუხარება მის გამო. ზოგიერთი კაცი სიტკბოს ეძებს ყავაში. მე კი, პირუკმოდ: სწორედ სიმწარეს ვაფასებ ყავისას.

და სიყვარულიც...

სიყვარული იმდენად გამძლეა, რაც უფრო მეტი სიმწარე დაგრჩება მისგან.

დასასრულ სიმწარე... სიმწარე სიტკბოზე უფრო გამძლე ყოფილა თურმე...

ბიბლიოთეკა

1929 წელი აგვისტო. ზუგდიდი".

თამარმა ბლოკნოტი დახურა. მარჯვენა ხელი ზედ დასდო. დიდხანს იჯდა ასე ფანჯარასთან და გასცქეროდა ბნელში მთვლემარე ბაღს.

## XXV. ჭანდრების ქება

დღე ღამეს გაუსწორდა. პურეული მომკეს. სიმიდებს ქოჩორი შეეკრიცხლათ და სატევრებსავით გაწვდილი ფრთები ოქროცურვილს დაამზგავსა მზემ. ტროპიული პაპანება მდორედ ჩამოდგა. კოლხეთის დაფნარიანი მთები ცისფერ ბურუსში სთვლემდნენ საღამოობით. ბულბულები დადუმდნენ შერვაშიძეანთ ხილნარში.

დღეები გარბოდნენ გრძელი, მოსაწყენი ზაფხულის დღეები...

თამარი გამოჯობინდა, მაგრამ მას აღარ უხაროდა კარგად გახდომა.

არის ისეთი ჟამი ადამიანის ცხოვრებაში, როცა სულიერ სიმძიმილისაგან გულშეღონებულს ავადგახდომა და ფიზიკური ტკვილი სანუკვეღად უჩანს.

შერვაშიძეების სახლში ყოველივე ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, არზაყანისაგან ჩქმი არ ისმოდა, თარაშ ემხვარ სადღაც გაუჩინარდა, თამარი სწუხდა, მაგრამ არ ამხელდა. კაროლინა თამარს არ უმალავდა, თარაში თვალში აკლდა. ერთ დღეს კაროლინამ ამბავი მოიტანა: თარაში თავის დიდ შრომაზე მუშაობსო და ახალ ბინაზე ჩაკეტილაო. ხერიპსი კლინიკაში იყო დღედაღამ, ლუკაიას ფეხი მოურჩა.

თამარი ამჩნევდა: კაროლინამაც მოიწყინა, მუდამ მხიარულმა ქერა კაროლინამ.

რამდენი წელია თამარს არ უნახავს პიანინოსთან მჯდარი კაროლინა, ეხლა ყოველ საღამოს საათობით უკრავდა იგი გრიგის რაპსოდიებს, ბახსა და ჰენდელს. ხანაც ფანჯარასთან იჯდა მდუმარი, გერმანიასა და თავის ქალწულობას იგონებდა ჟამიდანჟამზე.

თამარს გული საგულეს აღარ ჰქონდა ჯვარის დაკარგვის შემდეგ, იგი ამ ამბავს განიცდიდა როგორც უდიდესი უბედურების პრელიუდიას. დილას ჩაიცვამდა, მოირთვებოდა, დაბაში გასვლას დააპირებდა, მერმე არც სიამისოდ ეყოფოდა ხალისი და გაუხდელად წამოწვებოდა. დაეძინებოდა და კაროლინა აღვიძებდა ნაშუადამევს: „ტანზე გაიხადე და ისე დაიძინეო".

იმ დღესაც დიდხანს იწვა პირაღმა და უნებლიედ ყურს უგდებდა მეზობელ ოთახის ღია კარიდან შემოსულ ხმას ბაბუა ტარიელისას:

„...შენ ხარ: ალმონაბეჭდავ: სავსე სიბრძნითა: მსგავსებისათჳს: და გვირგვინ: სიკეთისა: საშუებელისა: შინა: სამოთხისა: ღუთისა: ომეგ: ყოველი: ქვაი: კეთილი: შეგემოსა: სარდიონი: და პაზიონი: და სამრაგდო: და ანთრაკი: და საპფირონი: და იასპი: და ვეცხლი: და ოქროი: და ლიგირიონი: და აქატი და ამეთისტონი: და ოქროქვა და ვირილლიონი: და ფრცხილი“.

მიელულა თამარს ცნობიერება ნელინელ. ჯერ ქრუნი იყო ჰაერი, და მერმე თეთრლეგო, გამსჭვირვალე.

ტბის პირად მიემართება თამარი. კაცის სიმაღლე ისლი გარს შემოდგომია. მიდის თამარი და იკეცება მის ფერხთით ისლი. მუხლი ეკვეთება. დაიქანცა. ისლის რბილ საწოლზე წამოწვა.

ხედავს: მოვიდა დედა, დაიჩოქა მის თავთან, გაიხსნა კალთა დედისა და გადაეყარა თავზე თამარს სარდიონი და პაზიონი, საპფირონი და იასპი და კიდევ ურიცხვი პატიოსანი ქვა და ჯვარი კი, დედის ნაჩუქარი ჯვარიც ხელში უჭირავს შავებით მოსილს.

მაშინ გადაჰყარა თამარმა ეს პატიოსანი თვლები, წამოდგა და ჯვარს წაეპოტინა დედის მკერდზე მბზინვარეს. მაგრამ დედა უკუიქცა, თამარი მისკენ მიიწევს და დედა უარზეა, არ უნდა შვილს გადაეხვიოს და მიდის ასე პირუკმო სვლით, მიდის და ფეხქვეშ ეფინებიან დედას კუბოკრულად დახაზული ველები და ჭალები, მიაპობს თამარი ისლის ტევრს და დედა ხელგაშლილი წინ მიუძღვება.

ასე იარეს, იარეს, იარეს, უცებ დაბნელდა გარშემო, თამარმა ბორცვს წაჰკრა ფეხი, უზარმაზარი შავი, ხის ჯვარი შერჩა ხელში კორდზე აღმართული.

ეხუტება თამარი ხის ჯვარს და დედის საფლავზე სტირის გულამომჯდარი. კაროლინამ მეორე ოთახში გაიგონა მისი წუხილი, მოვიდა თავზე ხელი დაადო.

„ადექი თამარ, რაღა დროს ძილია“.

„ადექი, ჩაიცვი, დაბაში საყიდლები მაქვს, წამომყევი“. ემუდარება კაროლინა.

კაროლინა გრძნობს თამარს უგუნებობა ერევა დღითი დღე. იგი გულმოდგინედ უქადაგებს თამარს, ყოველივე სიმძიმილის სათავე უგუნებობააო, ადამიანი უნდა ეცადოს უგუნებობას ებრძოლოსო, შენი ხნის რომ ვიყავი არც კი ვიცოდიო უგუნებობა თუ რა იყოო, სიცოცხლე ასე მშვენიერია შეხე როგორი შესანიშნავი დარიაო, ნახე რა ამო ბორიო ჰქრისო, დაბაში გავიაროთო.

თამარი ნებას დაჰყვა, თანაც გუმანი ჰქონდა გულში: ეგებ თარაშ ემხვარს შევხვდეო სადმე.

ასეთი რამეც ხდება ცხოვრებაში: ხანდახან შორს მყოფი მეგობრის ნახვა მოგენატრება, არაფერი საშუალება არ არსებობს რომ იხმო როგორმე, გაიხედავ და თვალწინ დაგიდგება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასევე მოხდა იმ დღესაც.

თარაშ ემხვარ ჭანდრების ხეივანში იჯდა და წიგნს ფურცლავდა.

„სად დაიკარგე ჰერ ემხვარ? როგორ მოგვანატრე თავი".

ეკითხება კაროლინა.

თამარი ყურებამდის გაწითლდა.

გადაუდებელი სამუშაოები მქონდა, ბოდიშობდა თარაშ ემხვარ, ამ სამი დღის წინად დაქანცულობა ვიგრძენი და სანადიროდ გავიარეთ.

„რას ჰკითხულობთ?" ეკითხება კაროლინა.

„პლატონის ფედროს წამოვიღე და იმას ვფურცლავდი".

„ეს კარგი ჭანდარი ამოგირჩევია".

„დიახ, ეს ჭანდარი ყველაზე ლამაზია. „სწორედ ფედროსშია ჭანდარი შექებული".

ათინაში, სტადიონის ახლოს დიდი ჭანდარი იდგა, ჭანდრის ძირში რუ იყო. სწორედ აქ მოიტაცა ჩრდილოს ქალიკონმა ბორეასმა ორეითია, მეფის ერეხტევსის ასული. ორეითია ისეთის ძალით გაუქროლებია ბორეასს, რომ კლდეზე დაუნარცხებია და მოუკლავს. იმ ჭანდრის ქვეშ ადიდებდნენ ძველი ბერძნები პანსა და ნიმფებს".

„მე აროდეს მინახავს წიგნი რომ გჭეროდეთ ხელში", შენიშნა კაროლინამ.

„იცი ძვირფასო ფრაუ, მწიგნობრებმა ლამისაა წიგნი შემაძულონ. საერთოდ ქალალდის ხელში დაჭერა არ შემიძლია თუ ძალიან კარგი ხარისხის არაა".

„განა მარტო ხარისხის მიხედვით?"

„არა შინაარსის მხრივადაც".

„გასაოცარი ამბავი მოხდა: ამბობდა თარაშ ემხვარ. საშუალო საუკუნოში პერგამენტი ჰქონდათ, ყოველი დროის ადამიანები ერიდებოდნენ უსაზმნო ხარჯს. წინად ერთი ეტრატისათვის მთელი ჯოგი უნდა გაენადგურებინათ, ამიტომაც უნიჭო ნაწარმოებს ავტორის სიცოცხლეში თუ არ გადასწერდნენ, მეორე თაობა არ ინდომებდა უნიჭო მეფის, ან ვეზირის სიკვდილის შემდეგ მის ნაწარმოების გადაწერას, ასე რომ თავათ დრო იყო უდიდესი კრიტიკოსი. ახლა კი ქაღალდი ისევე იაფია, როგორც გადაბეჭდვა და გუტენბერგმა ერთის მხრივ ზიანიც მიაყენა კაცობრიობას, უნიჭოს ფართო გზა გაუხსნა. ამას ყოველივეს ზედერთვის მოყიდული კრიტიკაც. ქაღალდის ისეთი ნიაღვარი მოდის, პირდაპირ გულის ამრევია. მე ყოველ ახალ წიგნს დიდის უნდობლობით შევსცქერი. ამიტომ ნაკლებად უნდა იკითხოს კაცმა. საერთოდ მეზიზღება ამ სტრიქონების დაქირავებული ვაჭრის მოგონება, პროფესიონალ მწერალს რომ

უწოდებენ, დიდ მწერალს, სახელგანთქმულ მწერალს. ამგვარმა მწერლებმა ძირს დასცეს მწერლობის დიდზე უდიდესი ავტორიტეტი... ერთი მეგობარი მყავდა ინდოელი, მას მუდამ ერთი წიგნი ჰქონდა ჯიბეში და იმას კითხულობდა.

მიზეზი ვკითხე.

ეს რიგვედას ჰიმნებიაო, უნდა ეცადო ცოტა იკითხო, სხვისი აზრები და განწყობილებანი იშვიათად შემოუშვა გულში, თორემ გაირყვნებიო. მერმე ერთი და იგივე სავნის ხანგრძლივი მზერისაგან ჭარბად იღლინთება სული და ამიტომაც უნდა ეცადო — მცირე შეითვისო, მაგრამ უფლისად შეიგნოო. ჩვენი ქალაქის ცივილიზაცია, — ამბობდა თარაშ ემხვარ ადამიანის გონების გასაფანტავადაა მოგონილი, ამიტომაც არც ერთი დროის ადამიანი ისე დაბნეული არა ყოფილა, როგორც ჩვენი საუკუნისა. ეს უთვალავი წიგნი, კინო, თეატრი, სანახაობა... Abscheulich... ვგონებ ამ ჭანდრებს არ ასხიათ იმდენი ფურცელი, რამდენი წიგნიც გამოდის მთელს ევროპაში თითო სეზონში.

საშუალო საუკუნოში ცოტანი სწერდნენ. ცოტას სწერდნენ, მაგრამ კარგად სწერდნენ, ჩვენს დროში ისე მოზღვავდა უნიჭოება, რომ ტალანტებიც იხრჩობიან ამ ზღვაში.

საბერძნეთის პოეზია მთლად რომ მოავროვო მოცულობით არ აღემატება ერთი რომელიმე დიდი ხალტურისტის რომანებს, არც იმდენი ლაქლაქი ისმოდა ძველ დროში. რამდენი უებარი სისულელე იფქვება ევროპის უთვალავ უნივერსიტეტის კათედრებზე. ძველ ბერძნებს ალზრდაც უკეთ ჰქონდათ მოწყობილი, ისინი ჯერ სიარულს ასწავლიდნენ ახალთაობას, სადა სიარულს, სადა მეტყველებას და აზროვნებას. ევროპულმა ცივილიზაციამ განათლებასაც სპეკულაციური მიზნები გაუჩინა, პოეზია პოლიტიკის იარაღად აქცია. მერმე ასევე სადად და ბუნებრივად ასეთ ღვთივშვენიერ ჭანდრების ქვეშ ხვდებოდნენ ჭაბუკები თავიანთ ოსტატებს, მიწაზე მოირთხამდნენ და საუბრობდნენ ვნებისა, სიკვდილისა და სიყვარულისთვის".

კაროლინა წიგნს წასწვდა, მოყვითანო პერგამენტისებრ ქაღალდზე გამოცემულს.

„უჰ, მე გერმანული მეგონა!"

ესა სთქვა და ბერძნულ ასოების მოხაზულობას დაუწყო თვალიერება.

— იცით ჰერ ემხვარი, ეს ასოები ქართულს წააგავს, არა?"

თარაშს გაეცინა.

„მოდი წავვიკითხე რაიმე".

„რომელი ადგილი?"

„მოდი შეხვედრაზე იყოს, მე რომ ამ ასოების კითხვაც არ შემიძლია".

კაროლინამ ბავშვსავით დაადო თითი და თარაშ ემხვარმა სახელდახელოთ გადაუთარგმნა ფედროსის ცნობილი ადგილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოკრატეს: „ჩვენ აკი ასე ვამტკიცებთ, სიყვარული სიშმაგეაო, არა?“

ფედროს: „უთუოდ“.

სოკრატეს: „ხოლო სიშმაგე ორგვარი არის, ერთი რომელთაგანის მიზეზი ადამიანურ ავადობაშია მოცემული, ხოლო მეორე ღმერთდალეული გამოცხადებააო, ჩვეულებრივი განწყობილების წრიდან გამოსულის გამოცხადება“.

ფედროს: „უეჭველად“.

სოკრატეს: „ღვთიური სიშმაგე ოთხნაირია, ოთხი ღვთაების მიხედვით განრიგებული, თანაც აღმაფრენას მჭვრეტელისას აპოლონს მივაწერთ, აღმაფრენას წმინდა მოგვისას დიონისოს. პოეტისას მუზებს — ხოლო აღმაფრენა შეყვარებულთა რიცხვით მეოთხეა, იგი აფროდიტესა და ეროსისაგანაა გამომდინარე“.

„მაშ თქვენც ასე ფიქრობთ, რომ სიყვარული სხვა არაფერია თუ არა სიშმაგე?“ ჩააგდო სიტყვა ისევ კაროლინამ.

„უეჭველად, მიუგო თარაშ ემხვარმა და თამარს შეხედა, და შეხედა ისე თამამად, რომ თამარი აირია, თავისი მარაოსებური გრძელი წამწამები მრავალგზის დაატახულა და გაიცინა მხოლოდ.

თარაშ ემხვარმა თვალი შეასწრო, უეცარი სიწითლე მოედო თამარის ლოყებს, ლაწვებზე გადაურბინა და გაუჩინარდა. და ამ უსიტყვო გასაუბრების მისაჩქმალავად ახლა სხვა ადგილს წაგიკითხავთო, ჩაილაპარაკა ნერვიულად და დაუწყო ფურცლვა ჩალისფერ გვერდებს წიგნისას.

„არსებითად სიშმაგე ყველა სიქველეთა უფროს სიქველეს გვანიჭებს მართლადაც. ოღონდ ისეთი სიშმაგე, რომელიც ღვთაებრივი ძღვენის სახით მოცემულია. დელფის წინასწარმეტყველებს და დოდონას მოგვ ქალწულებს ღვთაებრივ სიშმაგით აღტყინებისას მრავალი სიკეთე დაუთესიათ ძველ ჰელადაში, ხოლო სიფხიზლის ჟამს უმნიშვნელო რამ, ან სულ არაფერი“...

აქ თარაშ ემხვარმა რამდენიმე სტრიქონს თვალით გადაურბინა და ისევ განაგრძო: „მესამე ფორმა აღტყინებისა და სიშმაგისა მუზებისაგანაა გამომდინარე. როცა ამგვარი სიშმაგე ნაზსა და გულჩათხრობილ სულს დაეუფლება, ოცნებისაგან აირევა მაშინ ეგ სული, ასე და ამგვარად შეპყრობილი ზმანებისაგან ლექსებით ადიდებს ძველთა სიქველეს და მომავალ თაობებს უნათებს გზას“.

## XXVI „მისოუსტ!“

კაროლინა წამოდგა, თათიასთვის სასყიდლები მაქვსო მოიბოდიშა, თამარიც აჰყვა, მაგრამ კაროლინამ შენიშნა: იგი კარგად გრძნობდა თავს ამ ჭანდრის ქვეშ, ამიტომაც არ შეპატიჟებია.

თარაშს მიმართა:

ხვალ უთუოდ სადილად გამოიარეო, თარაშმა მადლობა მოახსენა, მაგრამ არც ჰო უთქვამს, და არც უარი. ახლა თამარს მიმართა კაროლინამ შენ რა გეჩქარებაო, გაზეთები გვიან მოაქვთ, ჯერ საღამოს მატარებელიც არ მოსულა, ცოტა ხანს აქ შეიცადე და გაზეთებს წამოიმძღვანეო. თარაშს გულის სიღრმეში გაეხარდა: ძლივს რომ დაიმარტოხელა თამარი, თუმცა ეს სიხარული არც კი დასტყობია სახეზე.

თამარი კაროლინას ნებას დაჰყვა, გაიტრუნა და როცა კაროლინა ჰანდრების ხეივანს გასცდა, თარაშ ემხვარმა ხელი წაავლო მკლავში და ბაღის სკამზე დასვა.

თამარი უსიტყვოდ დაემორჩილა, ჩამოჯდა, მაგრამ ისევ წამოდგა, მოდი აქ ნუ დავჯდებით, გავიაროთო, წაიბუტბუტა.

თარაშ ემხვარ მიჰყვა და ორივენი დიდხანს მიდიოდნენ ასე მდუმარედ. ჰანდრების ხეივანს ისე გასცდნენ, არც ერთი ნაცნობი არ შეფეთებიათ.

თარაშს უხაროდა მის გვერდით სვლა. ჟამიდან ჟამზე შესცქეროდა პროფილს ქალისას და განზრახ უცდიდა, თუ როდის დაარღვევდა თამარი დუმილს (თუმცა არც ერთი არა გრძნობდა ამ დუმილის უხერხულობას). უკვე ქალაქის წრეს გადაცდენილი იყვნენ. თემშარა ცარიელი იყო.

„რატომ ხარ თამარ ყოველთვის მოწყენილი? რა მოგივიდა ქალო?"

თამარი ისევ სდუმდა. თარაშის დღიური აგონდებოდა და ჰელლენ რონსერის ფერგამკრთალი სახე.

„იცი, მე მგონია ეს ტირია ლექსები და რომანები აფუჭებენ ჩვენს ახალთაობას. ყველგან უნუგეშო სიყვარულის ამბებია, მოწყენის, დარდის, უგუნებობის გამო მოთქმა. ეს ლექსები, ეს რომანები უნდა მოაგროვოს კაცმა ერთ მშვენიერ დღეს და დასწვა".

„განა შენ არა ხარ მოწყენილი, აკი შენაც ხშირად უჩივი მელანქოლიას?"

„რა ვუყოთ რომ მეც მელანქოლიას ვუჩივი, განა მე სადმე მიხსენებია კარგად აღზრდილი ვარ მეთქი. მე შენზე მეტად მოკიდებული მაქვს მელანქოლიის სენი, მე ვიტყოდი ცივილიზაციის სენი. ადამიანი შოპენს რომ გაიგონებ, შოპენჰაუერისა და სვედენბორგის წიგნებს წაიკითხავ, ათინის, პომპეის ნანგრევებს ნახავ, ან როგორ გაიხარებ. პირველად ჩემს სიცოცხლეში შოპენის მუსიკამ და შოპენჰაუერის კითხვამ მაფიქრებინა სიკვდილისთვის. მე შენზე მეტად სნეული ვარ ამ სენისაგან. ერთ დროს მე ასეთი რამ მჭირდა: უცხო ქალაქში რომ ჩამოვიდოდი, ყველაზე უწინ ვიკითხავდი — აქ რაიმე მდინარე თუ არის მეთქი.

„რატომ?"

„რატომ და მე მდინარის პირად ვარ გაზრდილი. განუზომელად მიყვარდა წყალი, ადრიან სიჭაბუკეში ასე მქონდა ნავარაუდევი თუ თა-

ვის მოკვლა გადავწყვიტე, ჩემს საყვარელ სტიქიონს — წყალს უნდა მივაკითხო მეთქი. მაგრამ ერთხელ დუნაიში ვბანაობდი ვენის ახლოს, უცებ სუნთქვა შემეკვრა, მკლავები მომიდუნდა და წისქვილის გვერდსავით წავედი ფსკერისაკენ. მეთევზეებმა ძლივს გამომათრიეს. მას შემდეგ გადავწყვიტე არასოდეს წყალში თავს არ დავიხრჩობ მეთქი. ასე შემძულდა წყალი".

„შენ რომ თვითმკვლელობა მოგინდეს, რითი მოიკლავდი თავს?"

თარაში დაფიქრდა.

და თამარმა კითხვა დაასწრო პასუხს:

„სტრიხნინა?"

„დამიფარონ ანგელოსებმა. სტრიხნინა ქალების საქმეა. მე უთუოდ ან ჩემი სანადირო სატევრით მოვიკლავდი თავს, ან რევოლვერით. ეს უფრო ვაჟკაცურია.

ციხეში ჯდომისას მუდამ ჩემი ზედამხედველის რევოლვერისაკენ მეჭირა თვალი. გადაწყვეტილი მქონდა: თუ დამჭირდა ვეძგერები, რევოლვერს წავართმევ და იმითი მოვიკლავ მეთქი თავს. ახლაც დაძინების წინ სატევარი უნდა მედოს თავქვეშ, ან დატენილი რევოლვერი.

მიუხედავად ამისა მე უგუნებობას არ ვეძლევი, მინდა გავჯანსაღდე, მშობლიურ მიწის სურნელით განვიკურნო, მინდა უცხოური ჩვეულებანი უკუვაგდო და ჩემს ხალხს დავუბრუნდე. უგუნებობას ვებრძოლო ნისლიან ქვეყნებიდან წამოყოლილს. ამიტომაც მივიღე მონაწილეობა დოღში. ამიტომაც ვნადირობ და მთებში დავდივარ, რათა პაპაჩემის მოუღალავი სისხლი აჩქამდეს ჩემს ძარღვებში. წინაპართა გულისა და მუხლის სიმაგრე კვლავ მოვიხვეჭო. ადამიანი ყოველ წუთს მზად უნდა იყვე სიკვდილისათვის, მაგრამ არ უნდა ღნაოდე, სახეზე არ უნდა გეტყობოდეს მოწყენის ჩრდილი. ყოველთვის ისე უნდა გეჭიროს თავი, თითქოს ნადიმზე მიდიოდე. ბერძნები უდიდესი პესსიმისტები იყვნენ, მაგრამ ყოველი წამით ხარბად სტკბებოდნენ, ამიტომაც იმდენი მზე, იმდენი სინათლე, იმდენი ლხენა იყო მათ ყოფაცხოვრებასა, პოეზიასა და აზროვნებაში.

ძველ საქართველოშიაც ასე იყო: ჩვენი ქრისტიანიზმისათვის უცხო იყო დასავლეთის მრუმე მისტიციზმი, ჩვენი უდიდესი პოეტები უნაღვლო მომღერლები იყვნენ, ჩვენი ხალხური პოეზიაც სიხარულით, სიცილით და მზითაა სავსე.

უნდა გიხაროდეს ამ რბილ მოლზე რომ დადიხარ, ამ მზეს რომ შესცქერი, იმ ღრუბლებს, იმ ვენახს და სათანჯის ციხეს. მე კი, მე ის მიხარია ყველაზე მეტად, რომ დღეს შენს გვერდით მოვიდვარ, მოვდივარ და შევცქერი შენ ნაწნავებს, შენ მხრებს, შენი ფეხის ხმა მესმის ამ მშვენიერ მიწაზე. ახალგაზრდა ვარ და ძლიერი და ასე მგონია შენი გულისთვის მდევების ბუნაგს ავიკლებ მეთქი.

გაიცინე ჩემო კარგო, ხედავ რა კარგია ის პატარა გულწითელა ჩიტი, ეგერ იმ წიფელაზე რომ შემოჯდა და წრიპინებს. უნდა ვისწავლოთ მცირედი ბედნიერებაც ვიკმაროთ".

თამარმა გაიცინა, მართლაც თვალი შეავლო პატარა ჩიტუნას და გაეხარდა ამ უცხოდ მოქარგულ გულყელის შეხედვა.

„გაიცინე გენაცვალე, იცოდე მზე მხოლოდ ერთხელ ამოდის დღეში, ახალგაზრდობაც ერთხელაა მოცემული, მოწყენა მაშინაც გვეყოფა, ლანდების სამყაროში რომ ჩაგვიყვანენ".

ცოტა ხანს დადუმებული მიდიოდენ, მერმე თამარმა ეს უთხრა:

„მე შენ გემდური თარაშ, იმ ღამეს რა ჰქენი, შენ საერთოდ თავშეკავებული კაცი ხარ, ძლიერ გამაოცე. როგორც სჩანს კაროლინას ყველაფერი გაუგონია. მე ასეთ საქციელს არ მოველოდი შენგან".

თარაში უეცრად გაწითლდა და თამარმა შეამჩნია: სიწითლემ სწრაფად გადაურბინა ლოყებზე და ყურებზე.

„მე ბოდიში უნდა მომეხადა შენთან, მე ვგრძნობ ცუდად მოვიქეცი. მაგრამ მიზეზს რომ მოისმენ, უთუოდ მაპატიებ. ექიმებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ტიფი სჭირსო, მე საოცარმა შიშმა ამიტანა შენს მაგივრად. მეც ეს მინდოდა ტიფი შემყროდა და მოვეკალი".

მცირე ხანს ორივენი სდუმდნენ. შემდეგ თარაშმა შარაზე გადმომდგარი წიფლის შტო მოსტეხა და თამარს ეუბნება:

„შენზე ამბობენ დანიშნულიაო".

თამარმა გაიღიმა, სახე აარიდა თარაშს ისევ სერიოზული სახე მიიღო და ეს უთხრა:

„ასეც რომ იყოს მერმე რა?"

„არაფერი, შარდინ ალშიბაიამ ასე მითხრა".

თამარი სდუმდა და თარაშმა განაგრძო:

„ეს მართალია რომ შენ და არზაყან ტფილისს აპირებთ წასვლას აგვისტოს 15-ს?"

„ვაპირებთ. დიახაც ინსტიტუტში ვაპირებთ შესვლას. შენ ყველას მოგვასწარი, ჩვენ აქ ჩავრჩით ამ ჭორიკანა და საძაგელ პროვინციაში. შენ კი ქვეყნის მოვლა მოასწარი".

„ნეტავი მეც თქვენთან ერთად დავრჩენილიყავი, არც რამე მესწავლა და არც რამე მენახა".

„შენ დიდხანს დარჩები აქ?"

„მე თვითონ არ ვიცი რას ვიზამ. მე სამერმისო გეგმებს აროდეს ვაწყობ. ჩემი სამეცნიერო შრომა თუ მიიღო უნივერსიტეტმა, ალბად მიმიწვევენ, თუ არა და შესაძლოა აფხაზეთის მთებში წავიდე და იქ დავრჩე სამუდამოდ".

იხვების გუნდმა გადაიქროლა ზღვისკენ. თარაშმა თვალი გააყოლა, შემდეგ ისევ თამარს შეხედა და ხმადაბლა უთხრა:

„მაშ შენ იმღამინდელი ამბების გამო გამებუტე?“

„არა, მე ცუდი სიზმარი ვნახე, იმიტომაც უგუნებობა დამჩემდა“...

„სიზმარი? რა სიზმარი?“

ეროვნული

თამარი უამბობდა სიზმარს და თხრობისაგან სიმძ[illegible]ებოდა. უცებ მატარებლის გრიალი შემოესმათ, გაზეთები მოაგონდა, მაგრამ ახლა თავათაც აღარ უნდოდა ამ მშვენიერ ახალგაზრდა მუხნარიდან გამოსვლა არასოდეს ასე საამოდ არ შეგებებია მას ეს მუხნარი.

თამარი ნელი ხმით ებაასებოდა თარაშს და მიჰყვებოდა შარაზე გავლებულ ახალ ნაკვალევს ურმისას, ანგარიშმიუცემლად მიდიოდნენ... ჰაერი უაღრესად მსუბუქი იყო და მუხნარის შტოებში გამოკრთოდა საპფირონის ცის ნაჭერი და თეთრი ღრუბლები. და ტანმორჩილი, მუხების ტანები სიჯანსაღის, სიხარულისა და ბედნიერების გრძნობებს აღვიძებდნენ მათ გულში.

ტყე ალაგ-ალაგ მოქაჩლული იყო, აქა-იქ პურეული მოემკათ და ძნებად დაეყენებინათ. და ამ პატარა საყვარელ ველებზე ოქროცოცხა და შეყვითლებული რძია რძია მოსულიყო. გარეული მტრედები მათი ნაბიჯის გაგონებისას ქშუილით აპობდნენ სივრცეს, ჩრდილივით ჰქროდნენ გამსჭვირვალე ჰაერში.

ახლა წყვილად მოფარფატე გვრიტები სტოვებდნენ მწვანე ბჟოლების მომწვანო ქოლგებს და ლიცლიცით მიაშურებდნენ მარტოხელად გამდგარ მუხებს.

„მაშ შენი მოწყენა ჯვარის დაკარგვის გამოა კიდევ?..“

„აჰ, ეს ქრისტეს ჯვარი!.. იცი თამარ როცა მე ევროპაში ვმგზავრობ და ამ უთვალავ ეკლესიებს და ტაძრებს შევცქერი, დარდანელიდან ვიდრე შოტლანდიის ზღვამდე, მაკვირვებს კიდევაც, რა გახდა ეს ჯვარი! პატარა ბინძურ პალესტინაში დაბადებულმა დურგლის ბუშმა ჯვრების ტყეები აღმართა მთელ ქვეყანაზე.

ჩვენი ქვეყანაც ამ ჯვარს შეეწირა, შენ წარმოგიდგენია საშუალო საუკუნის ბნელი დღეები, თურქების შიშით გერმანელები ვენაში კანკალებდნენ და ასეთ დროს ჩვენი კავალერია ერზერუმში ებრძოდა თურქებს.

მე უნდა გაგინელო ეს ჯვარის სიყვარული. ჩემს სულში წარმართული ლხენაა ჩაჭრილი, ხოლო შენი გული ილორის დამსხვრეულ ზარასავით ქლარუნებს თამარ“.

თამარმა გაიღიმა. უჩვეულო თმენის იერი გადაეკრა სახეზე და თარაშ ემხვარმა შენიშნა: ეს არ იყო დამჯერებლის თმენა, არამედ თმენა მომთმენისა და არ დათმობისა.

„მე დიახაც მწყინს შენი ჯვარის დაკარგვა, რადგანაც იგი რელიგიური სიმბოლო როდი იყო, არამედ უკვე ხელოვნების ძეგლად ქცეული ქმნილება. მე წარმოდგენილი მაქვს, როგორის სათნოებით მოსილს უკე-

თებია იგი რომელიმე დიდ ოსტატს ქართულ ოქრომჭედლობისას და დღეს ვინ იცის მურტალი კომისსიონერი დაათრევდეს ეგებ მას ტფილისში. შესაძლოა რომელიმე ევროპელმა მოგზაურმა ვაჭარმა [illegible] თავის პარიზელ საყვარელს ძველ როსკიპს აჩუქოს. ან არა [illegible] უხამსმა ოქრომჭედელმა გადაადნოს იგი უგემური მედალიონები ან უნიჭოდ ჩამოსხმული ფიალისათვის მოიხმარონ და გაუმაძღრობამ სვას მერმე ამ ფიალიდან. ის პატიოსანი ქვებიც ამოიღონ ეგების სტამბოლის, პარიზის და ბერლინის კოკოტებმა გაიკეთონ საყურებად. ამგვარად ეს ერთი ჯვარიც მიემატება საქართველოდან გატაცებულ ურიცხვ განძეულს. ამ მხრივ მეცა მწყინს, მაგრამ უნდა გითხრა: მე ვიჭვნეულობ ქრისტეს მიმართ, რომ შენ მისდამი სიყვარული ჯერაც ვერ ამოგითხრია გულიდან“.

თამარმა შეხედა თარაშის სახეს...

„ნუ ამბობ მაგას თარაშ... ეს უთხრა, დაწინაურდა, გზის პირად მოსულ ოქროცოცხას ქოჩორი წააცალა და ნერვიულად დაუწყო წეწვა ყვავილის ფურცლებს.

„შენ ამბობ ვეჭვიანობო, რა უფლება გაქვს ვინმეს მიმართ იეჭვიანო?“

„მე... უფლება?.. ესა სთქვა თარაშ ემხვარმა, თამარს წამოეწია და მხარზე დაადო ცალი ხელი და თამარის ლოყას და ოდნავ გაბუტულ ბუსუსებიან ტუჩებს შეავლო თვალი.

„მე და უფლება? ჰა, ჰა, ჰა, მე საერთოდ არც უფლება მაქვს ამ ქვეყნად და არც წილი. მე წილდაკარგული კაცი ვარ, წილწართმეული. ცაზე ღმერთი არ მეგულება და მიწაზე მეგობარი. ხანდახან იცი თამარ, ისე შემომენთება მარტოობის ცეცხლი, ასე მგონია სხვა პლანეტიდან პარაშიუტით გადმომხტარვიყო. მე რომ ბედი მქონოდა, უცხოეთში გარდახვეწა არ მომიხდებოდა. ვინ იცის ეგებ მაშინ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი: მაშინ მე არ მომიხდებოდა ჩემი გულის საუნჯეთა უცხოეთში გაფანტვა და შენი გული იქნებოდა ერთადერთი ჩემი სახატე.

როცა ამას ამბობდა თარაში, იგი თავდახრილი მიდიოდა თამარის გვერდით.

თამარს კი მისი ხმა შორეული ზარის რეკვასავით მოესმოდა. მოდიოდა, თარაშს უსმენდა. სწეწავდა ოქროსცოცხას წვრილ ფურცლებს. ნაკუწნაკუწად წეწავდა და მიწაზე ყრიდა. თანაც ფიქრობდა: გულთან ახლოს მოეშვა თუ არა თარაშის სიტყვები? ბოლოს ნაქურცვენ შემოცლილი ყვავილის თავი შერჩა ხელში.

„ერთი მითხარი თარაშ. რამდენი ქალისთვის გითქვამს იგივე სიტყვები?“

ეს უთხრა და ყვავილის თასი განზე გადააგდო.

„რას ამბობ მაგას თამარ?“

„ასე ამბობენ შენზე გულარძნილიაო!“

„მართალია, მე გრძნობა მრავალგზის გამიფლანგავს სხვათა ქვეყანაში, მაგრამ ისიც ხდება ჟამიდან ჟამზე, გული ხანდახან შავ ზღვასა ჰგავს ფირუზის ფერს, მრავალი მღვრიე მდინარე შეერთვის [illegible] ზღვას, მაგრამ იგი მაინც უშესანიშნავესი და უწმინდესი [illegible] ზღვათა შორის“.

გულგასაგმირავი სიტყვებით უყვებოდა თარაშ ემხვარ თამარს თავისი ადრიანი სიჭაბუკის მომცდარი წლების შესახებ. მოუთხრობდა თუ როგორ ეწამა იგი სხვის ქვეყნებში ხეტიალისაგან.

„ჯერ კიდევ დედის ალერსი მენატრებოდა უძილო ღამეებში ღარიბ მანსარდებში მწოლარეს, მამას მელანქოლია სჭირდა, ქალაქიდან ქალაქად დაწრიალებდა ავადმყოფი, ხშირად იაფ ფასიან ოტელში მიმაგდებდა მარტოხელას და მიუსაფარს, თვეობით ვუცდიდი მამის მოკითხვას, ან დედის წერილს, მშიერ მწყურვალი.

ოჰ, ის ბნელი ღამეები იმ ბინძურ და საშინელ სასტუმროებში, სადაც დღისით ბიურგერული წესრიგი სუფევდა, მაგრამ მოაწევდა ნაშუაღამევი, და ამ სასტუმროებში უკვე ილვიძებდნენ მეძავები და მათი ოღრაშები და ატყდებოდა ჟრიამული, საყვარლების, მუშტრების და სასტუმროს გამგეების ჩხუბი. მე მეტწილად თავქვე ვიწევი და ვსტიროდი. მერმე წამომეწია სიჭაბუკე და აჩქამდა სისხლი და ჩემს ჭაბუკურ ვნებას ქერა ქალი დაეძგერა. უნდა გითხრა ქერა ჯილაგი ჩვენ შავგრემანებზე უფრო მეტად ეტრფის სიცოცხლეს, ჩვენ მელანქოლიკები ვართ და დატკბობის არისტოკრატები. ქერა ჯილაგი ხარბია დატკბობის, ვნების და სიყვარულის მიმართ.

და როგორც ჩრდილოეთის ფიორდში დადგმულ ქართულ პალმას, ქარბუქი ეკვეთოს, დასეტყვოს და დააზროს, ისე მომეჭრა ამ უშველებელი, უცხო ცივილიზაციის გრიგალი, მეძგერა, შემარყია და ამაფორიაქა. და ქარისაგან გატაცებულ ძეწნის ფარფლის დარად დამაქროლებდა ცხოვრება ქალაქიდან ქალაქად. მე მიგემნია დიდი ქალაქის ქალების ვულგარული სიყვარული. შენ იცი, ყოველ მამაკაცს გულში ჰყავს ამოჭრილი ვიღაც ქალის სახე, და დღე ნიადაგ ამ უსახელო კერპის ძებნაშია იგი. მეც იმ პალმასავით ვგრძნობდი თავს უცხოთა შორის. მინდოდა მეპოვნა ის უსახელო კერპი, შევხვდებოდი ვინმეს ვიფიქრებდი ესაა მეთქი, დავუკვირდებოდი, იგი სულ სხვა აღმოჩნდებოდა. შენ ერთხელ ძაბულისთან წამომაყვედრე: შენ დონჟუანს ჰგავხარო, ეს არაა მართალი, ჩემი გზა არასოდეს ყოფილა დონჟუანის ეტლი. დონჟუანი ხალისით ეწეოდა გულის მიჯნურთა ცვლას, იგი მოწყენას იყო აყოლილი და სიყვარული სპორტად ჰქონდა გადაქცეული. მეც მოწყენილი ვიყავი სხვის ქვეყანაში, მაგრამ ჩემი მოწყენა ნიადაგს მომცდარი მცენარის მოწყენა იყო, ან მონადირეთა გულქვაობის წყალობით დედისათვის მოტაცებულ ნუკრისა დარდი. დედისათვის, მთებისათვის დარდი.

ახლაც ხანდახან გულნაღვლიანი შევსცქერი ჩემსავე სურათებს სტუდენტობის დროის გადაღებულს. გონების თვალით შევყურებ ჩემსავე სიჭაბუკეს და ჩემივე თავი მევე შემეცოდება ხოლმე.

და ასე ვეძებდი მე იმ უცნობ ქალს. ქვეყანა შემოვიარე და ვერსად ვპოვე და თურმე შინ მიცდიდა. მაგრამ როგორც ვხედავ ეხლა ყოველივე უკვე გვიანაა. მერმე ჩემი ცხოვრებაც აირია სავსებით“.

ბნელდებოდა.

ახლად გამოცეცხლილ ახოში გადარუჯული ხეები ქიმერებსავით იდგნენ, ოფოფები დაჰფარფატებდნენ ბალახითა და ძეძვით მოსილ ახოს.

უზარმაზარი მუხა იდგა ახოს შუაგულში. ადამიანის საუბრის გაგონებაზე უამრავი შავი მტრედები შეფრთხიალდნენ და უწესრიგო რიალით მიაშურეს მახლობელ მუხას.

„ამას მე დოდონას მუხას ვეძახი. ნამდვილი დოდონას მუხაა. მე აქ ყოველ მესამე დღეს მოვდივარ სანადიროდ. ამბობდა თარაში. დავჯდები ჩეროში და როგორც კი დაცხება, მოვლენ ღუღუნა მტრედები. ვესვრი და ფრთხიალით წამოვლენ ძირს. მე არა ვარ ხარბი მონადირე, მე ცუდი მონადირე ვარ, რადგან ბუნებაში გარინდება და ჭვრეტა შემიპყრობს და ყურადღება მეფანტება. მე საერთოდ მცირედიც მეყოფა. სამიოდე მტრედი ჩემთვის სავსებით საკმარისია სადილად“.

და უამბობდა თარაში თამარს თებაის მუხისა გამო.

„მე მიყვარს, როცა შენ ცხოვრების შესახებ მიამბობ რაიმეს. ისეთ რამეს, რაც შენ თავათ გაგიცდია და გინახავს“.

„მე კიდევ შენი ხმა მიყვარს, შეაგება სიტყვა თარაშმა, შენ ისე ცოტა განგიცდია და ამითა ხარ ბედნიერი ამიტომაც ზეცის რეკვასავით ამოა შენი ხმა, ამო და გაუბზარავი. შენ არც კი იცი ალბად როგორი საამური ხმა გაქვს. შენ რომ გაგაჯავრე, იმის მეორე დღეს გადავწყვიტე ჩემი თავი დამესაჯა, მთელი კვირით გავიხიზნე მთებში კვერნებზე სანადიროდ. იცი როგორი დიდი სიამოვნებაა უკაცრიელ ფიჩხნარში კვერნებზე ნადირობა. მთელი კვირა ვცხოვრობდი მარტოხელა. აბხაზის ფაცხაში. უთენია მივდიოდი ტყეში, ისეთ მიუვალ კლდეებში მიხდებოდა ნადირობა. არწივების საუფლოა იქ. ადამიანის ჭაჭანებაც არსად ისმის. მე მობეზრებული მაქვს მილლიონების ქალაქის ქუჩებზე ხეტიალი.

ევროპაში დიდხანს რომ იცხოვრებ, მიზანტროპი ხდები ადამიანი. ტრამვაები, სასტუმროები, მეტროპოლიტენები, თეატრები, ქარხნები, უნივერსიტეტები. ქუჩები სავსეა ადამიანებით. ადამიანის ხმა და ოფლის სუნი შეგძაგდება და ისეთი გრძნობა გაქვს ადამიანები ნამეტნავად მომრავლებულანო მიწაზე, თვალი პერსპექტივას მოკლებულია, მცირეოდენ ცის ნაგლეჯს ხედავ და ბოლოს სავსებით გადაეჩვევი მაღლა ახედვას და ლორივით დინგდაშვებული დადის მერმე დიდი ქალაქის მცხოვრები. ქარხნების, მატარებლების სირენები, აყრუებენ სმენას, ავტომობილების და

ომნიბუსების სიგნალები განერვიულებენ და იქ კი, შეუჩვეველ ბგერებზე ისვენებს ყური, გონება და თვალი. ასე მგონია ვერასოდეს გავცვლი მეთქი ამ საყვარელი სიჩუმით, ათასწლოვან ნაძვნარებში გამეფებული სიჩუმით, მე ყნოსვა დაკარგული მქონდა ასფალტის, პარფიუმერიის და ბენზინის სუნისაგან, ახლა სულ სამიოდე თვეა ვნადირობ და ისევ მომიბრუნდა ყნოსვა, სმენა გამისათუთდა.

ვზივარ, ვუდარაჯებ კვერნას და მესმის თუ როგორ ეცემა მიწაზე ნაძვის ქირჩლა და წივი. და უმცირესი ჩქამის გაღებისას ისე შეკრთება მიწა, ასე გგონია მეტეორის ქვა ჩამოვარდაო, ხანდახან მიმეძინება რომელიმე ბეხრეკ ნაძვის ქვეშ და ისიც კი მესმის თუ როგორ გადარბის კვერნა ხავსიან მიწაზე. ან ფისი როგორ მოჟონავს ფიჭვების გოლიათურ ტანზე.

ერთ დღეს ასე ვინადირე მთელი დღე, ნაშუადღეს ერთ უშველებელ ფიჭვის ქვეშ წამძინებოდა. კი არ მეძინა, ვთვლემდი და უცებ შემომესმა შენი ხმა. „მისოუსტ“ მეძახდი თითქოს შორიდან. შენი ხმა რომ იყო ეს ვიცოდი, მაგრამ მისოუსტ ხომ არასოდეს დაგიძახნია ჩემთვის ბავშვობის შემდეგ და ეს როდის იყო.

მახსოვს მამიდა ფარჯანიანისამ მომიყვანა მე რომელიღაც შერვაშიძის ქორწილში. იმ შერვაშიძეს შინაური ჯეირანის ნუკრი ჰყავდა, შენ ათი წლის გოგონა იყავი, პაწია ნაწნავები წვრილად დაპწნილი გქონდა. მოკლე კაბა გეცვა ბროწეულის ყვავილის ფერი, ახლად ნაციები იყავი და მწიფე ლიმონის ფერი გადაჰკრავდა სახეს. და რატომღაც მაშინაც იმ ნუკრს გამგზავსებდი და ჩემს ხსოვნაში დარჩი იმ ნუკრის მოგონებასთან შეუღლებული, რამდენჯერმე მოგიგონე საზღვარგარეთ ყოფნისას, მასავით ცერებზე დადიოდი, მასავით კრიალა თვალები გქონდა, თმა ოდნავ უფრო ქერა, მე მგონია ქერა თმა გქონდა მაშინ არა?“

თამარმა გაიცინა თავი დაუქნია.

„ჰო ქერა თმა გქონდა... ისიც მახსოვს მამიდა ფარჯანიანისა შეგხვეროდა ორივეს, ასე ამბობდა: შერვაშიძეების სისხლი გვმართებს, მაგრამ თუ ქალი ომების ამტეხია, ზავის ჩამომგდებიც ქალიაო, პატარა თამარი მისოუსტს უნდა შევრთოთო. დედა შენი ჯახანაც იქ იყო, მახსოვს წითელი მარჯნის მანიაკი ჰქონდა კისერზე, სათნოდ იღიმებოდა და გასაოცრად თეთრ კბილებს აჩენდა. ქარვის კრიალოსანს ათამაშებდა ხელში, ეს მახსოვს მომიხმო და შუბლზე მაკოცა“.

„ეს მეც მახსოვს“ ამბობდა თამარი.

„და ამის შემდეგ განაგრძო თარაშმა ჩვენ აკვანში დანიშნულები ვეგონეთ ყველას. მე ვიცი აკვანში დანიშნულები არა ვყოფილვართ. აჰ, ნეტავ ვყოფილიყავით აკვანში დანიშნული. მე ხშირად ვიგონებდი ამ ამბავს საზღვარგარეთ. შენ გიგონებდი, თანაც ეს აზრი მაწუხებდა. ერთ-

ხოლაც დედას მოვწერე ოქუმში, აკვანში დანიშნული ხომ არავისთან ვყოფილვარ მეთქი.

დედას ბევრი უცინია, აკვანში დანიშნული არავის[illegible] დედი, მაგრამ თუ ჩემი სიყვარული არ გამოგლევია, უცხო[illegible] შეირთოო, რადგან უცხოელი ქალი ჩვენს წესებს აროდეს შეეგუებაო და მე ამის ჯავრს გადავყვებიო, მეც დავუჯერე დედას, და რამდენი ქალის ცრემლი შეეხალა დედაჩემის მტკიცე სურვილს.

თამარს ჰელლენ რონსერ მოაგონდა, მაგრამ არა სთქვა რა.

აჰ რას ვროშავ?!! მე იმ ხმაზე გითხრობდი და ამერია. ვწევარ ნაძვის ქვეშ და მესმის მეძახი „მისოუსტ".

ავდექი, გავიხედ-გამოვიხედე: შენ არსად გამოჩნდი. ასე მეგონა ძილში ვარ მეთქი. ვიფიქრე: ეს მისი ბავშვობა მეძახის მეთქი. შორეული მოგონება ჩემი ბავშვობის.

აჰ, თურმე ამ ქვეყნად ერთად ერთი სამოთხე ყოფილა, როცა შიგა ხარ, ვერ ამჩნევ ამას, სახელდობრ ბავშვობა. მე სიჭაბუკე ისე გამიმწარდა, რომ მუდამ უკან ვიხედებოდი და ჩემს ბავშვობას და შენ შევნატროდი თამარ. და ასე დარჩი ჩემს ხსოვნაში შენ და ის მშვენიერი ნუკრი, როგორც ორი ძვირფასი სახე, ელიზიუმის სვებედნიერ წალკოტიდან წამოყოლილი.

და ასე დამიძახე უდაბურ ტყეში მისოუსტ, ძილი გამიკრთე და ნასამხრალის მოსვენება, მერმე მთელი დღე წყეულსავით დავძრწოდი ნაძვნარებში და ველოდი კიდევ დამიძახებდი მისოუსტ, კიდევ გავიგონებდი შენ ხმას. კვერნები სულ გადამავიწყდა, დავაბოტებდი ძეძვებში ღრანტებში, გაუვალ ნაძვის, სხმარტლის და ასკილის ტევრებში დავდიოდი და ველოდი თუ როდის დამიძახებდი კიდევ მისოუსტს, როდის შემომესმოდა შენი ხმა.

ბინდდებოდა, ბილიკს გადავცდი, არც კი ვიცოდი საით მივდიოდი, ან ჩემი მასპინძლის აბხაზის ფაცხა რომელ მხარეს იყო, კომპასი შინ დამრჩენოდა, მხარი ამექცა, მიმართულება დავკარგე, დავდიოდი ბნელ ტევრში და ვცდილობდი მომეგონებინა მაინც შენი ხმა.

როგორი უმწეოა ჩემი მეხსიერება! მინდოდა აღმედგინა ეს ხმა, კიდევ ერთხელ მომესმინა, მაგრამ ამაოდ.

საოცარია, მხატვარსა და პოეტს შეუძლიათ გარეგნული სილამაზის უალრესის დეტალებით აღდგენა, თვით მაშინაც, როცა საყვარელი ქალი შორსაა. მაგრამ ხმის გადმოცემა, ან მის ბადალის აღდგენა არვის შეუძლია ამ ქვეყნად. რადგან ადამიანის ხმა ყველაზე მეტი საოცრებაა, ყველაზე დიდი სასწაული. და ამიტომაც ყველაზე ადრე ხმას ჰკარგავს სულიერი. ვეღარც ფერადი მხატვრისა, ვეღარც ფანტაზია და რიტმიული მასალა ვერასოდეს აღადგენს ხმას ადამიანისას. და ახლაც როგორც იმ ღამეს, დავდივარ ამ ცხოვრებაში და ვუცდი თუ როდის დამიძახებ შენ ისე

როგორც ბავშვობაში მეძახდი სწორედ იმ პირველ დღეს [illegible] —
„მისოუსტს“ დამიძახებ, შენად მიმიჩნევ. რადგან მე ახლაც მარტო ვარ, როგორც იმ ბნელ ნაძვნარში. და ასე მგონია მხოლოდ შენი ხმა, შენი ძახილი დამიბრუნებს იმ უბიწობას უცხოეთში ყიალის დროს რომ დამეკარგა თამარ, შენა ხარ ჩემი დაკარგული ბავშვობის ზმანება, შენა ხარ ჩემი დაკარგული სამოთხე თამარ. აჰ, ნეტავ შენს ძვირფას დედას, მოჰგონებოდა და აკვანში დაენიშნე ჩემთვის, მაშინ შენთან მობრუნება ნაგვიანევი არ იქნებოდა, მაშინ შენ მომიცდიდი და ისევ მიმიღებდი მე სხვის ქვეყნებში შემოლამებულს. ალბად მეც ვიგრძნობდი მომეტებულ ვალდებულობას და ჩემს სისხლს უსაზმნოდ არ შევალევდი იმ გაუმაძღარ ქერა ჯილაგის ქალებს. და შენც ველარ დამაყვედრებდი: „გულარძნილი ხარო“.

მზე გაპარულიყო ღრუბლებში და გარუჯული ხეები ახოზე შავოსან ოჩოკოჩებს დამზგავსებოდნენ. ფრთხიალებდნენ ბარდნარში ძილგამკრთალი ფრინველები. მელიები გადარბოდენ ურმის შარაზე. თამარი ძრწოდა. ჯერ იგი არასოდეს ყოფილა ტყეში ახალგაზრდა ვაჟთან, ისიც ასე შორს მამის სახლკარიდან. თამარი ფრთხილობდა; მძინარე ტყის უმცირეს ჩქამზე უკან იხედებოდა და საერთოდ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც მესამე დადიოდა მათთან ტყეში კვალ და კვალ მზვერავი.

თარაშ ემხვარმა შეამჩნია მისი შეკრთომა, ჯერ ხელგაყრილი მიჰყავდა და როცა შენიშნა თამარი უფრო და უფრო კრთებოდა, ხელი შემოხვია წელზე. ლოყა ლოყას ეხუტებოდა, თარაში გრძნობდა თუ როგორ ელამუნებოდა მის ლაწვებს თამარის თმები. გრძნობდა მასაც უცემდა გული თამარის სიახლოვისაგან, პირი უშრებოდა წარამარა და ლაპარაკს ველარ ახერხებდა. მერმე შეამჩნია: ახო გათავდა და ისევ ტყე დაიწყო, ისევ ახოში შევიდნენ და აქ კი გადასწყვიტა ისევ უკან გამობრუნება. მთვარე გადმოსულიყო მუხნარის მწვერვალზე და ვერცხლის ფერი ბლონდი ეფინებოდა ტყესა და ახოს. ალმასივით კიანთობდა ბალახებისა და ველის ყვავილების კლერტოებზე შერჩენილი რთვილი. სთვლემდნენ ძილნასვამი ხეები. იდუმალებას მკერდზე მიყრდნობოდა მძინარე ბუნება. ისევ მიაღწიეს დიდ მუხის ძირას, ბალახი დაცვარულიყო, ფეხები ულამდებოდათ. თარაშმა ახო გადასჭრა და მუხის ძირას რა მიაღწია, ჟაკეტი გაიხადა კუნძზე გადააფინა, თამარი ზედ დასვა, ფეხები მიწამდის ველარ უწვდებოდა თამარს. იჯდა მხრებდაშვებული, თმები სახეზე ჩამოწეწოდა, მთვარის შუქისაგან სნეული იერი მისდგომოდა სახეზე თამარს. თარაშ მიუახლოვდა, თმები გაუსწორა, შუბლი გამოუჩინა და აკოცა ზედიზედ შუბლზე და ჰელლენ რონსერის სახე წინ დაუდგა თარაშს გაზის სინათლისგან გაშუქებული.

თამარმა ამოიოხრა, ნაზად მოიშორა თარაშის ხელი და ისევ მიაჩერდა მოვერცხლილ სივრცეს და ხეების დათალხულ ლანდებს. თარაშმა ხელები მხრებზე შემოხვია, მისი მძიმე ნაწნავი მოხვდა ხელში, აილო, იყნოსა

ქალწულის თმების ნელსურნელება და აკოცა სამგზის თმების ძირში, კისერზე აკოცა, მერმე წამოიღო და ყელზე შემოხვია ნაწნავები ქალს. ასე იჯდა ნამორზე თამარი და ღამესავით მრუმე ნაწნავები [illegible] გველსავით შემოდებოდა კისერზე და ასე გარინდებული და ფერგამკრთალი ქალი კაპიტოლის მუზეუმის პერსეფონეს აგონებდა თარაშ ემხვარს.

„სთქვი რამე, ხმა გაიღე თამარ, მე ისე მიყვარს შენი ხმა, დამიძახე მისოუსტ, როგორც ბავშვობაში, რადგან შენა ხარ ჩემი დაკარგული სიყრმე, შ ე ნ ა  ხ ა რ  ჩ ე მ ი  დ ა კ ა რ გ უ ლ ი  ს ა მ ო თ ხ ე, თ ა მ ა რ.

„რა გინდა ჩემგან თარაშ?“ კვნესოდა თამარი.

„შენი სიყვარული მინდა, შენი ხმა, შენი მშვენიერი ნაწნავები თამარ“. ეს უთხრა და შემოხსნა ულოსავით დაგრეხილი მძიმე ნაწნავი და კიდევ მიიტანა ტუჩთან.

თამარმა გამოართვა ხელიდან ნაწნავი, მხრებზე გადაიგდო, გასწორდა წელში, თითქოს სერიოზული რამ უნდა ამცნოსო მის წინ მდგომარეს, მაგრამ ისევე დადუმდა და თვალი გაუსწორა ვაქს.

„რად სდუმხარ, მითხარი რამე!“

„მე იმიტომაც დავდუმდი, რომ სანუგეშოს ვერას გეტყვი თარაშ, შენ მართალი ხარ, ჩვენ აკვანში რომ დავენიშნეთ ბალღობიდანვე, მე მოგიცდიდი შენ, ეს იქნებოდა ღვთის განგება და ამას უსიტყვოდ დავემორჩილებოდი, შენ დაგვაგვიანდა, შენ სხვისთვის გიჩუქნია შენი პირველი სიყვარული.

„მაშ ჩემი წარსულისათვის ეჭვიანობ? მერწმუნე არც ერთ ქალს არა რგებია ისეთი დიდი სიყვარული, როგორიც შენთვისაა შემონახული ჩემს გულში“.

თამარი დადუმდა და ჰელენ რონსერი გაახსენდა. დადუმდა. შემდეგ ამისა ეუბნება თარაშს:

„მაგრამ ჩემი გული?..“

„ნუ თუ სხვას ეკუთვნის?..“

„როგორ გითხრა“...

ესა სთქვა თამარმა და გაშმაგებული თარაშ მივარდა, მკლავები შემოაჭდო ნამორზე მჯდომარეს, მკერდზე მიიკრნო და გახელებულმა დაუწყო კოცნა. კოცნიდა შუბლზე, თვალებში, ღაწვებზე და როცა ნაწნავებში ხელი წაავლო და ტუჩებში აკოცა ზედიზედ, ქალმა გაიბრძოლა და ნამორიდან ჩამოხტა.

„მე შემიძლია შენი მეგობარი ვიყვე, ამბობდა თამარი და ხმა უკანკალებდა, მაგრამ შენ თუ ამას არ იკმარებ ჩვენ შორის ყველაფერი უნდა გათავდეს. შენ არ უნდა მოხვიდე აწი მამაჩემის სახლში, ისედაც აზზერილია მამა. თუმცა შენ შეგიძლია კაროლინასთან მოხვიდე, აქ შენ და კაროლინა მეგობრები ხართ“.

თარაში მიხვდა, კაროლინას ხსენება თუ რას მოასწავებდა ამ წუთში. ხელი შეუშვა თამარის მკლავს და განზე გადგა. მას უკვე სიტყვაც აღარ ეგულებოდა თამარის გულის მოსაბრუნებელი. დადუმ[illegible]და კაროლინასთან ილორის ეკლესიის ეზოში გატარებულ [illegible]ბდა: თამარი კაროლინასადმი ეჭვიანობდა კვლავ.

თარაში მუხის გაშიშვლებულ ფესვზე ჩამოჯდა, მუხლებზე დაეყრდნო იდაყვი, ხელის გულით ძლივს იმაგრებდა მქენჯნავი ფიქრებით დამძიმებულ თავს. და შესცქეროდა ნამორზე წამომჯდარი მტირალი ქალის სილუეტს. მერმე წამოდგა.

ტირილის მიზეზიც არ უკითხავს, ისე ჩამოიყვანა იგი ნამორიდან და იმავე ურმის შარას გაუდგნენ მდუმარენი. სადღაც ჭოტი იძახოდა და შორიდან, ძლიერ შორიდან ძაღლების რულმორეული ყეფა ისმოდა.

ასე გაიარეს ტყე და შერვაშიძეანთ ხილნარამდის მიაღწიეს, თამარს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც მესამე მიჰყვებოდა მათ ტყეში კვალ და კვალ მზვერავი.

ხოლო შერვაშიძეანთ ჭიშკართან თარაში ჩურჩულით შეეკითხა თამარს ხელმეორედ:

„მაშ ტფილისში მიდიხართ 15 აგვისტოს შენ და არზაყან?"

„ვაპირებთ".

თამარი შევიდა ღია ჭიშკარში, მერმე გამობრუნდა, „მისოუსტ" დაუძახა თარაშს დაბალი, დაბალი ხმით. თარაში შეკრთა და ახლოს მიეჭრა ქალს.

„იცი, მე შენ ძალზე გამაბრაზე, იმიტომ მოგექეცი ასე მკვახედ".

„რად ამბობ მაგას თამარ?"

„მე ხომ გითხარი ჩვენსას არ მოხვიდე მეთქი. ეს ცუდად მომივიდა. მაგრამ შენ გამაბრაზე და იმიტომაც გითხარი. მე მგონია ჩვენ ისევ მეგობრები დავრჩებით და შენც მოხვალ ჩვენსას, როგორც წინად მოდიოდი...

თარაშმა იგრძნო მის ხმაში რაღაც დიდი და უცნაური მღელვარება მჟღავნდებოდა, ძლიერი და თავშეკავებული მღელვარება. თამარი შესდგა. ხელის ჩანთა გახსნა.

„ჰო, მართლა სულ დამავიწყდა, შენი ბლოკნოტი უპოვნია დაშას იმ დღეს ძროხები დაგვეკარგა, ტყეში უპოვნია ეს წიგნაკი დაშას.

თარაშმა ენის წვერი მოიკვნიტა.

ხმის ამოუღებლად გამოართვა წიგნაკი.

„მშვიდობით" ეს უთხრა თამარმა და ხელი გამოუშვირა.

თარაშმა მოკრძალებით აკოცა გაწვდილ ხელს და თეშშარის გაყოლებით მდგარ კოპიტების ლანდებში აირია მისი აჩრდილიც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

## ჰენრი უოდსვორტ ლონგფილლო




თარგმანი ინგლისურით გივი გაჩეჩილაძისა და მიქელ პატარიძის

ეს პოემა მთლიანად თარგმნილია ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძის და მიქელ პატარაძის მიერ და გამოდის სახელგამის გამოცემით. აქ წარმოდგენილი ნაწყვეტებიდან შესავალი და მე-XVIII თავი თარგმნილია გ. გაჩეჩილაძის მიერ და მე-V თავი მ. პატარიძის მიერ.

### შესავალი

თქვენ რომ მკითხოთ, ეს ზღაპრები,
ლეგენდები და ამბები
ტყის სურნელით სავსე მუდამ
და მინდვრების სველი ნამით,
რომელ მხარემ შეჰქმნა ასე
ვიგვამების კვამლით სავსე,
ხეობების მოძახილის
და ჩანჩქერის ჩქერის მსგავსი,
პირქუშ ავდარს რომ გვაგონებს,
ჰექა-ქუხილს მაღალ მთაში?
მე თქვენ გეტყვით, გიპასუხებთ:
„დიდი მთები ჰქმნიდნენ იმათ,
ტყეები და მინდორ-ველი
და ისინი შორეული
ჩრდილოეთის ტბიდან ჰქროდნენ,
მოდიოდნენ ოჯიბვეის
და დაკოტის ქვეყნებიდან;
იმ ჭაობში ბინადრობდნენ,
სადაც ლიბრი ყანჩა სცხოვრობს,
ლერწმებს შორის რომ მიმოდის
და შუჰ-შუჰ-გა ეწოდება.
ვიმეორებ, ეს ზღაპრები,
ამბები და ლეგენდები
მე მიამბო ნავადაჰამ,
ტკბილხმიანმა მომღერალმა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენ რომ მკითხოთ, სად იპოვნა
ეს საამო და ველური
სიმღერები ნავადაჰამ?
მე თქვენ გეტყვით, გიპასუხებთ:
„ტყის ფრინველთა საბუდარში,
ტბაში, სადაც ცხოვრობს წავი
მინდვრად, ველურ ბიზონებთან
და კლდეებთან, სადაც არწივს
თავის ბუდე აუგია!
ეს ზღაპრები გაისმოდნენ
ჭაობებში, სადაც მუდამ
სიჩუმე და სევდა ბუდობს
და უკაცო არის მხარე...
მას მღეროდა მანგი — იხვი
ჩიტოვეჟკი — აკაურა,
გარეული ბატი — ვავა
მუშკოდაზა, ტბების როჭო,
და შუჰ-შუჰ-გა. ლურჯი ყანჩა".
მაგრამ თქვენ რომ ისევ მკითხოთ.
„ნავადაჰა ვინ-ღა იყო?
გვითხარ, გვითხარ ნავადაჰას
ვინაობა და ამბავი!"
მე თქვენ კითხვას ვუპასუხებ
და პირდაპირ გეტყვით ამას:
„ტავაზენთას ვრცელ დაბლობში,
სადაც მწვანე ველი ჰყვავის,
ანკარა წყლის ნაპირებზედ
ბინადრობდა ნავადაჰა.
ინდოელთა სოფლის გვერდით
გაშლილიყო მინდორ-ველი
და ყანების გვერდით ფიჭვნარს
აეყარა ცისკენ ტანი,
აეწვდინა ცისკენ ხელი;
ზაფხულის დროს ამწვანებულს
თეთრად ეცვა ზამთრის პირად,
და მღეროდა მუდამ იგი,
და ოხრავდა მუდამ ჩუმად.
„და მოსჩანდა მხიარული
მთის ანკარა ნაკადული,
მოვარდნილი გაზაფხულზე,
ზაფხულში კი ვერცხლისფერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოდგომით ნისლს იდებდა
და ოდნავ-ღა სჩანდა ბინდათ
მაგრამ მალე ზამთრის ყინვა
ატყვევებდა ბორკილებით.
და მის გვერდით კი ბინადრობდა
მომღერალი ნავადაჰა,
ტავაზენთას ხეობაში,
სადაც მწვანე ველი ჰყვავის.
„იქ მღეროდა ის სიმღერას,
ჰაჲავატას დიდ სიმღერას —
თუ ვით გაჩნდა ის ამ ქვეყნად
ან როგორი ჰქონდა წესი,
მარხვისა და ლოცვის წესი,
ვით იშრომა მან, რომ ყველა
ხალხის ტომებს ეგრძნოთ შვება
და ემსხვერპლა სიცოცხლეში
თავის ერის აყვავებას!“
თქვენ, რომელთაც ძლიერ გიყვართ
ტყის ბინდ-ბუნდი, ფოთლის ენა,
ჭრელ მინდვრებზე მზის ნათელი,
გარინდებულ ხის ტოტებში
ნელი ქარის გამოჩენა,
დიდი წვიმის ნიაღვარი,
ზამთრის თოვლი და ქარ-ბუქი,
და ფიჭვნარის ხეივანში
მდინარეთა ჩქარი რბენა,
ჭექა-გრგვინვა მაღალ მთებში
და ავდარი, მთის ავდარი,
რომლის ურიცხვ მოძახილებს
კლდის ზანზარი იმეორებს
და არწივის ფრთების მსგავსად
რომ ფართფატებს ხევებს შორის —
ამ თქმულებას თქვენთვის ვამბობ,
ჰაჲავატას ამ სიმღერას!
თქვენ, რომელთაც გიყვართ ხალხ.
თქმულებები და ამბები,
იდუმალი ხმა წარსულის
და ფიქრისკენ მოწოდება
წარსულ დღეთა ხმა მარადი,
ხმა ლეგენდის, ხმა ბალადის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ უბრალოდ რომ ჩურჩულებს,
სულ ბავშვურად და მარტივად,
და ყური რომ ვერც კი არჩევს
სიმღერაა თუ ზღაპარი —
ეს თქმულება თქვენთვის მომაქვს,
ჰაჲავატას ეს სიმღერა!

თქვენ, რომელთაც ნორჩი გული
კეთილი გაქვთ და უბრალო,
გიყვართ ღმერთი და ბუნება
და გილვივით გულში რწმენა,
რომ ყოველი კაცის გული
კაცის გული არის მხოლოდ;
რომ ველურსაც კი აქვს ჩუმი
სურვილები, სევდა, სწრაფვა;
რომ უძლურის მკრთალი ხელი,
სიბნელეში რომ მოძრაობს,
ღვთის მარჯვენა ხელს ეხება
აპყრობილი კრძალვით ცისკენ —
ამ თქმულებას თქვენ მოგიძღვნით,
ჰაჲავატის ამ სიმღერას!

თქვენ, რომელნიც ხანდისხანად
თქვენს უსაზღვრო ხეტიალში
ტყის შაბნარში ან და მინდვრად
წააწყდებით ნანგრევ ღობეს,
ზედ რომ აკრავს რუხი ხავსი
და წითელი ხილით სავსე
სისხლისფერი კოწახური
გადმოკიდულ ხლართებს აჩენს, —
თქვენ, რომელთაც გავიწყდებათ
ერთი წუთით თავი თქვენი
და თვალს ავლებთ დავიწყებულს
თითქმის წაშლილს საფლავის ქვას
და წარწერას თითქმის გამქრალს,
სულ მარტივს და სულ უბრალოს,
მაგრამ რომლის ყოველ ასოს,
თქვენს გულებში მოაქვს ოხვრა,
სევდა ჩუმი და ამბავი
აქ ყოფნისა და არ-ყოფნის —
შეჩერდით და წაიკითხეთ
ჰაჲავატას ეს სიმღერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰაჲავატას მარხვა

### თავი V

მოგიყვებით ახლა ამბავს,
როგორ ერთხელ ულრან ტყეში
ჰაჲავატა მარხულობდა,
ლოცულობდა და ითხოვდა:
არა მტერზე გამარჯვებას,
არა მარჯვეთ ნადირობას,
არა სახელს და დიდებას,
ის ითხოვდა ყოფილიყო
ყველა ერი ბედნიერი.
სანამ მარხვას დაიწყებდა,
გაიშენა ტყეში ბინა
მოელვარე გიტჩე-გუმთან;
გაზაფხულის ცისკრის თვეში
და ფოთლების ნათელ თვეში
გაიკეთა მან ვიგვამი.
შემდეგ უცხო ოცნებებით
და ჩვენებით გარინდულმა
გადიხადა შვიდეული.
მარხულობის პირველ დღესა
გაიარა ჩუმი ტევრი,
შეხვდა კურდღელს და მის სოროს,
შეეხეტა ტყეში ირემს,
ყურს უგდებდა ხოხბის ყივილს,
ფუღუროში ციყვის შრომას;
დაინახა ფიჭვის ჩრდილში
რომ ომემე ქსოვდა ბუდეს,
გაფრენილი ბატის გუნდი
ჩრდილოეთის ჭაობისკენ.
დააყურა იმათ ძახილს
და აღმოხდა შემდეგ სევდით:
შენ სიცოცხლის შემომქმედო,
ნუ თუ ჩვენი ბედ-იღბალი
და ცხოვრების მოკლე დღენი
ამათზეა დაყრდნობილი?
მეორე დღეს, მუსკოდეზე
ნაპირები ბილიკს გაჰყვა,
იქ იპოვა მანომონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მინაგა-მოცვის ბუჩქი
ოდამინი — მარწყვი, ხენდრო,
და მოცხარი — შაბომინი,
ბიმაგუტი — ვაზის ლერწი,
რომ მიჰყვება ტოტებს კლაკნით,
ტკბილი სურნელების ფრქვევით.
„გიტჩე მანიტო, ძლიერო“
უიმედო სევდით სავსემ
დაიძახა ჰაჲავატამ, —
„ნუთუ ჩვენი ბედ-ილბალი,
და ცხოვრების დღენი სწრაფი
ამათზეა დაყრდნობილი?

მესამე დღეს, ღრმა ფიქრებში
გართული და სევდით სავსე,
იჯდა ტბასთან, სადაც ტალღა
გამჭვირვალე მინას ჰგავდა.
დაინახა: ნამა ხტოდა,
ნავარდობდა მარდი წვერა
და ფანტავდა ტალღის შხეფებს
მარგალიტის მარცვლის მსგავსებს.
დაინახა მდინარეში
მასკენოზა, ოვაჰავის,
და შოგაში ზღვების კიბო.
„გიტჩე მანიტო, ძლიერო“ —
დაიძახა სევდით სავსემ, —
ნუთუ ჩვენი სიხარული
და ცხოვრების დღენი სწრაფი
ამაზეა დაყრდნობილი?“

მეორე დღეს, სანამ ბინდი
არ დაეცა არე მარეს,
ის ვიგვამში ეგდო მარტო
ძილ-მღვიძარე და ულონო.
ეხვეოდა ფიქრის ნისლი,
ოცნებათა მკრთალი ლანდი;
ელვარებდა როგორც ოქრო
ნაკადულის შორი ტალღა,
და ხანძარი წამოსული
დასავლეთის მაღალ ციდან
ედებოდა მთელ ქვეყანას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დაისის წითელ ბინდში,
როს ხანძარი სწვავდა ზეცას,
დაინახა ვიგვამისკენ
მომავალი ახალგაზრდა:
კოხტა იყო თვალ ტანადი,
მრავალ ფერი ფრთებით თავზე,
თმა-ხუჭუჭი, რბილი ოქრო,
ტანსაცმელი — ყვითელ-მწვანე.

შესავალთან გაჩერდა და
დიდხანს სევდით, თანაგრძნობით,
უცქეროდა ჰაჲავატას,
ჰაჲავატას გამხდარ სახეს.
როგორც ოხვრა შავონდაზის
ულრან ტყეში, ისე ისმის,
მისი სიტყვა: „ჰაჲავატა!
შეისმინა ზეცამ შენი
ლოცვა, რადგან შენ ისურვე
არა მტერზე გამარჯვება,
არა მარჯვე ნადირობა,
არც სახელი და დიდება,
შენ ითხოვე, ყოფილიყო
ყველა ერი ბედნიერი.

შენთვის ქვეყნის დიდმა მეფემ
გამოგზავნა მონდამინი —
ადამიანთ მეგობარი;
ის შენ გეტყვის: შრომით, ბრძოლით,
მოთმინებით მოიპოვებ,
რასაც ლოცვით მოითხოვდი.
ადექ, მწვანე სარეცელი
რბილი ფოთლის მიატოვე
და მონდამინს შეებრძოლე.

ლოცვით, მარხვით და ოცნებით
დაქანცული ჰაჲავატა
ძირს დაგებულ ფოთლებიდან
წამოიჭრა მაშინათვე.
და დაისის მიმქრალ შუქზე
გამოვიდა ვაჟთან იგი
გამოვიდა საჭიდაოთ —
და როგორც კი სტაცა ხელი
გაბედულად დაჰკრა გულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაისის ძვირფას შუქზე
ტრიალებდენ ორნი ველზე.
და თანდათან ჰაჲავატას
მოემატა ძალი, ღონე.
ჰა ჩამოწვა ღამის ჩრდილი
და შუჰ-შუხ-გამ ჭაობიდან
დაიძახა სევდის ხმაზე,
თითქოს ერთად გაჰკიოდენ
შიმშილი და სევდა მწარე.

მონდამინმა ჰაჲავატას
გაუღიმა უთხრა: „მოვრჩეთ,
ხვალისათვის მოემზადე
ხელ ახალი გამოცდისთვის“
ეს თქვა გაჰქრა მონდამინი,
გადაიქცა იქნებ ღრუბლად,
ან ვით ბინდი ზე ავიდა,
ვერ გაიგო ჰაჲავატამ;
ნახა მხოლოდ რომ ის გაჰქრა;
ხედავს ქვევით ღამის ჩრდილში
ოდნავ მოსჩანს ტბების სარკე
და ზევით კი ვარსკვლავები.

ამნაირად ორ სალამოს;
როცა ციდან ეშვებოდა
დასავლეთის ზღვების წყალში
მზე ვით დიდი ნაკვერცხალი,
ატანილი ლაჟვარდ ცაზე
ქვეყნის მეფის კერიიდან, —
მოდიოდა მონდამინი
გაჩნდებოდა ჩუმათ, უხმოთ
ასე ჩნდება ქვეყნად ცვარი,
ასე იღებს ცვარი სახეს,
როცა ოდნავ შეეხება
ხის ფოთლებს და მწვანე ბალახს.
მაგრამ რჩება უხილავი
გაჩენა და წასვლა მისი.

იქვე მოლზე მოჭიდავეთ
უცქეროდა მზე დაისის;
როს ჩამოწვა ღამის ბინდი
და შუხ-შუხ გამ ჭაობიდან
დაიძახა ისეთ ხმაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს ერთად აწუხებდა
შიმშილი და სევდა მწარე.
მონდამინი ფიქრს მიეცა,
იდგა ძვირფას კაზმულობით
ლამაზი და ტანად სარო,
ქუდზე უცხოთ კიაფობდა
ირხეოდა ჭრელი ფრთები,
მაღალ შუბზე უბრწყინავდა
ოფლის წვეთი როგორც ცვარი.

დაიძახა: ჰაიავატა!
გაბედულათ შენ მებრძოლე,
სამჯერ მედგრათ დამიდექი,
და მპყრობელი სიცოცხლისა
მოგანიჭებს გამარჯვებას,
და ღიმილით დაუმატა:
„გათავდება ხვალ გამოცდა —
ჭიდაობა, მარხვა ძნელი;
ხვალ უთუოდ მომერევი,
მომიმზადე სარეცელი,
რომ უძრავად მწოლიარეს
გაზაფხულის წვიმის შხეფმა
გამაგრილოს და მზის სხივი
ტანს მითბობდეს საღამომდე,
ტანსაცმელი ყვითელ-მწვანე.
ჩემი ქუდი ჭრელი ფრთისა
გაბედულად შემომგლიჯე
შემდეგ ჩამდე მიწაში და
მიწა რბილი დამაყარე.

და ჩემ ღრმა ძილს უდარაჯე,
რომ არავინ მომეკაროს;
სარეველა ბალახებმა
საფლავზე არ გადიარონ,
რომ კაკაჩი — შავთა მეფე
არ ჯდებოდეს ჩემ საფლავზე. —
და ჩემ ღრმა ძილს უდარაჯე
მოუცადე გაღვიძებას
მზის სხივს სანამ შევეგებო".
ეს სთქვა გაჰქრა მონდამინი.

და ესმოდა ჰაიავატას
რომ წაართვა ძილმა თვალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ სევდით დამღეროდა
მელამურა — ვავონეჲსა
მიტოვებულ ტყეში ვიგვამს;
გაიგონა როგორ რბოდა
საუბრობდა ტყესთან ჩუმად
სიბოვიშა — მოლაქლაქე,
გაიგონა სუნთქვა ტოტის,
მისი რხევა ქვევით მაღლა,
ქარის ფრთებზე ქანაობა;
ყველაფერი ეს ესმოდა
როგორც შორი-შარი-შური:
ღრმათ მძინარე ჰაიავატას.

დილით ადრე, დღეს მეშვიდეს,
შემოვიდა ნოკომისა,
მოუტანა ჰაიავატას
საჭმელი და თან ატირდა,
რომ შიმშილი მოჰკლავს იმას,
თუ მან პური აღარ სჭამა.

არ მიიღო არაფერი
ტუჩი აღარ მიაკარა.
მხოლოთ უთხრა: ნოკომისა,
მომიცადე საღამომდე,
სანამ ბინდი ჩამოწვება
და შუხ-შუხ-გა შემოსძახებს
რომ დღე უკვე მიიწურა.

შინ დაბრუნდა ნოკომისა
ტირილით და შიშით დიდით,
ეშინოდა რომ მოჰკლავდა
ჰაიავატას მარხვა ძნელი.
ის კი იჯდა სევდით სავსე
და უცდიდა მონდამინსა.
ხედავს დასავლეთის მხრიდან
წამოვიდა ტყეზე, ველზე
ჩრდილები და სხივი ნელა
ჩამოეშვა ციდან ზღვაში,
ისე როგორც შემოდგომის
ძირს ფოთოლი ზღვაში სცვივა,
ჯერ ცურავს და მერე ნელა
იძირება სადმე ბსკერზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონდამინი მალე გაჩნდა, —
სდგას კარებთან და ჭაბუკი
მიეგება მას ღიმილით;
თავს უმშვენებს მოფრიალე
მოელვარე ჭრელი ფრთები,
თმები — რბილი, ოქროსფერი
ტანსაცმელი — ყვითელ-მწვანე.
ვით მძინარე მოსულს შეხვდა,
იდგა ტანჯვით, სახე მკრთალი,
მაგრამ ისევ გაბედულად
დაეჭიდა ჰაჲავატა.
აუჭრელდა მებრძოლს თვალი
და შეერთდა მიწა და ცა,
როგორც ნამა ებრძვის ბადეს
გაფთრებით ჰგლეჯს ფაცერებს
რომ გაიშვას თავი წყალში;
სწორედ ასე ჰაჲავატას
გული სცემდა, ფართხალებდა;
თითქოს ცეცხლის რგოლებია
ისე სჩანდა ცის ტატანი,
მოტრიალე მასთან ერთად;
და ასობით მზეთა ხროვა
უცქეროდა იმის ბრძოლას,
და უეცრად ბრძოლის ველზე
დარჩა მარტო ჰაჲავატა.
გაიოცა ჰაჲავატა
ამ ველურმა შეტაკებამ;
ის ტოკავდა დაძაბული;
ძირს ეყარა ჭრელი ფრთები,
დაფლეთილი ტანსაცმელი,
უსულო და უმოძრაო
ეგდო მის წინ მონდამინი,
და მკვდარს თავზე დადგომოდა
შებინდების ოქროს ზეცა.
ჰაჲავატამ ბრძოლის შემდეგ
მონდომინის ნაბრძანები
ყველა წესზე შეასრულა:
ტანს გახადა საჭურველი,
დამტვრეული ფრთები მოხსნა;
დამარხა და საფლავს მიწა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაყარა, მოასწორა...
და სევდიან ჭაობებში
კვლავ შუხ-შუხ-გამ — ლიბრმა ყანჩამ
სევდიანი ხმა გამოსცა —
გედების და ტანჯვის კვნესა.
მამის სახლში, ნოკომისთან
შემობრუნდა ჰაჲავატა,
სწორედ იმ დღეს მას გამოცდის
შვიდეული შესრულება.
დაიხსომა ის ადგილი
სადაც ბრძოლა ჰქონდა დიდი,
არ დატოვა მოუვლელად
მან საფლავი მონდამინის,
სადაც იწვა მშვიდათ იგი
ხან წვიმის და ხან სხივის ქვეშ.
დღიდან დღემდე დარაჯობდა
იმ სამარეს ჰაჲავატა,
რომ ჰქონოდა კარგი მიწა
რომ მოესპო სარეველა;
და დენიდა სტვენით, ჩხუბით
კაგაგის და მის ამალას.
ბოლოს გაჩნდა სამარეზე
უცნაური რამე ყლორტი,
კიდევ ერთი, და მეორე.
და ზაფხულის დამლევამდის.
ოქროსფერი რბილი კავით
მაღალი და მოხდენილი
აქ სიმინდი აიშხვართა.
და შესძახა ჰაჲავატამ
ალტაცებით — მონდამინი —
ადამიანთ მეგობარი — მონდამინი.
სწრაფ მოიხმო ნოკომისა,
დაუძახა იაგუსაც
და უამბო ბრძოლა დიდი,
ჩვენება და გამარჯვება...
ამოილო ტარო მწვანე —
ზეციური საჩუქარი —
ეს საკვები ყველა ტომის.
შემდეგ გვიან შემოდგომით
როს გაყვითლდა ჩალის ღერო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ გაყვითლდა და გამაგრდა
ტაროებზე მარცვლის თვალი,
ტაროები ჩამოტეხა,
ხმელი გარსი მოაშორა,
როგორც ერთხელ მონდამინსა
ტანს გახადა ტანსაცმელი...
და პირველად მან ზეიმი
მონდამინის მოაწყო და
ყველამ ნახა ეს ახალი,
დიდი სულის საჩუქარი.

## ᲥᲕᲐᲖᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ

### (ᲗᲐᲕᲘ XVIII)

შორს გასულა ერებს შორის
ხმა კვაზინდის დიდებისა
და ვერავინ ველარ ბედავს
შეხვედრას და მასთან შებმას.
მაგრამ ბოროტ პოკ-უეჯებს,
შურით სავსე ქონდრის კაცებს,
ბოროტ სულებს გმირის სამტროდ
მოუწყვიათ შეთქმულება.
„თუ კვაზინდი, ეგ თავხედი,
თავგასული მაწანწალა
ისევ ქვეყნად ივლის მტრულად
და მილეწავს, რაც კი ხელში
მოხვდება ან გზაში ნახავს,
და თავისი ვერაგობით
გაათცებს მთელ ქვეყანას —
რა მოელის პოკ-უეჯის?
ვინ უშველის პოკ-უეჯის?
გადაგვთელავს სოკოსავით,
ჩაგვიძახებს წყალში ყველას,
და სხეულებს შესაჭმელად
მისცემს წყლების ბოროტ სულებს!“
ასე უთქვამთ ქონდრის კაცებს,
უმსჯელიათ ასე ყველას
და სასისხლოდ შეფიცულებს
გადუჭრიათ მისი მოკვლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადუჭრიათ ავი კაცის
ქვეყნისაგან მოშორება!
   კვაზინდს მთელი თავის ძალა
კეფაში აქვს მოქცეული
და იქავე არის მისი
საშიში და სუსტი მხარეც:
იმ ადგილის გარდა სხვაგან
ვერ გასჭრიდა იარაღი
მაგრამ გმირის დასაჭრელად
ერთადერთი იარაღი.
მხოლოდ ფიჭვის ლურჯი გირჩა
ან და ნაძვის გირჩა იყო.
   არავინ კი არ იცოდა
მოკვდავთ შორის უცნაური
ბედისწერის საიდუმლო,
მხოლოდ ცბიერ ქონდრის კაცებს
პოკ-უეჯებს შეუტყვიათ,
თურმე როგორ მოხერხდება
იმ მოსისხლე მტერის ძლევა.
   და ამგვარად შეაგროვეს
ნაძვისა და ფიჭვის გირჩა,
ტაკვამინოს ულრან ტევრში
შეაგროვეს მრავლად გირჩა,
მიიტანეს მდინარესთან
და დააწყვეს გროვა-გროვად
ნაპირებზედ, სადაც წყლისკენ
დაკიდულან წითლად კლდენი.
შემდეგ იქვე ჩაუსაფრდნენ
და დაუწყეს მტერს ლოდინი.
   ეს ზაფხულის ნაშუადღევს
დიდ სიცხეში თურმე მოხდა,
როცა დიდი სიცხისაგან
ჩაეძინა მთვლემარ ჰაერს,
ჩაეძინა მდინარესაც
და მის მბრწყინავ ზედაპირზე
მოუსვენარ მწერთა ჯარი
სრიალებდა და ბზუილით
აღვიძებდა მძინარ მდელოს.
   კვაზინდი კი იმ დროს ქვევით
მისცურავდა მდინარეში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიჰყვებოდა ტაკვამინოს
ნელ-ნელ მისი არყის ნავი
და დასიცხულს ნელა სთვლემდა
ტყის მოლალულ სიჩუმეში.
ნაპირისკენ გადაზნექილ
არყის ხშირი ტოტებიდან
გადმოეშვა ძილის სული,
შემორტყმული უჩინარი
სულთა ჯარით და ამალით;
ნეპავინი — ძილის სული,
ვით ბრჭყვიალა დაშ-კოː-ნე-ში,
შტოდან ჩუმად გადმოეშვა
და დაიწყო ნელი ფრენა
მიყუჩებულ კვაზინდს ზევით.
როგორც შორი ტალღის ღელვა
შემოესმა მას ჩურჩული,
როგორც შორი ტალღის ცემა
ან ფიჭვნარში ნელი ქარი;
და მან შუბლზე იგრძნო კიდეც
ჰაეროვან შუბის წვერი,
ძილის სულთა ურიცხვ ჯარმა
მას რომ ჩუმად დაუშინა.
პირველივე შუბის მერე
მოეკიდა მძიმედ თვლემა,
მეორეზედ — უმოძრაოდ
მიანება ნიჩაბს თავი,
მესამედ კი — მის წინ ბნელით
დაიფარა მთელი მდელო
და მთვლემარე კვაზინდს მალე
დაეფინა მყუდრო ძილი.
მიჰყვებოდა ასე ნაკადს,
ის ბრმასავით იჯდა ნავში
და მისდევდა ტაკვამინოს,
ტყით დაფარულს მის ნაპირებს;
ათრთოლებულ არყის ხეებს
წინ უვლიდა მისი ნავი,
ჩასაფრებულ ქონდრის კაცებს,
ომის ბანაკს პოკ-უეჯის.
აქ ისინი იდგნენ ყველა
შეტაკების მოლოდინში

და უშენდნენ ფიჭვის გირჩებს
გაშიშვლებულს გმირის კეფას.
„მტერს სიკვდილი!“ — შორს ისმოდა
შეძახილი პოკ-უეჯის.

დაკიდული ნავის პირზედ
გადავარდა წყალში იგი,
თავით ქვევით, როგორც წავი,
გადავარდა მთვლემარ წყალში,
და კვაზინდის მცირე ნავი
მარტოდ-მარტო დარჩენილი
ტაკვამინოს ტალღებს გაჰყვა
უგეზოდ და უპატრონოთ.

ასე მოკვდა ხალხის გმირი
მაგრამ მისი ხსოვნა დარჩა,
და როდესაც ზამთრის ქარი
შიშველ ტყეში ლეწდა ტოტებს,
აწვალებდა ტყეში ტოტებს,
იძახოდა ხალხი მაშინ:
„ეს კვაზინდი დადის ტყეში
და აგროვებს ფიჩხნარს ერთად,
რომ დაანთოს დიდი ცეცხლი
და კოცონი გააჩაღოს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ჩ ა ნ ბ ა

# ს ე ი დ ი ე*)

მოთხრობა

ი. ალლაძის თარგმანი

## თ ა ვ ი IX

მზე ტყეს ამოეფარა. მიწაზე გრძელი ჩრდილები გაწვა. სეიდიყი ჭისკართან იდგა. ის იყო უნდა დაეკეტა იგი, რომ დიდ გზაზე ხუცესი გამოჩნდა. ჯორზე იჯდა. შავი ანაფორის კალთები აკეცილი ჰქონდა. მას მოსდევდა დიაკვანი, რომელსაც უნაგირზე ზოლებიანი ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული.

— საღამო მშვიდობისა, სეიდიყ! გაკურთხოს ზეციერმა ღმერთმა! — დალოცა ხუცესმა.

— ამინ! — დააყოლა ხუცის სიტყვებს დიაკვანმა. მისი წაგრძელებული თავი ორ ერთმანეთზე წამოცმულ გოგრას წააგავდა. გაბრტყელებული იხვისებური ცხვირი ზედა ტუჩზე ჰქონდა დაკრული.

— მშვიდობა ნუ მოგაკლოთ უფალმა! მობრძანდით! — მიიწვია სეიდიყმა, ასწია თავი და შეხედა ხუცესს. „რა ცხვირია!“ — გაიფიქრა სეიდიყმა, როდესაც დაინახა მისი წითელი ძარღვებით აჭრელებული მუშტისოდენა ცხვირი.

— გვეჩქარება, სეიდიყ... სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა მახუას! ხვალ მისი სულის ხსენებაა. დღესვე გვინდა მივიდეთ. სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ! — სთქვა ხუცესმა, პირჯვარი გადასახა და ხელი ტუჩებზე მიადო. სეიდიყმა აკოცა ხელზე.

— რა ამბავია, დად, ყინულივით ცივი ხელი გაქვს? უქეიფოდ ხომ არ ბრძანდები? ცუდად გამოიყურები... გამხდარხარ... — გაიკვირვა სეიდიყმა. ოდესღაც ჩასუქებული ხუცესი დამრგვალებული მუცლით და გამობერილი ლოყებით ახლა მართლა ჩამომხმარი გამოიყურებოდა.

— ფიქრებმა გამხადეს... ქვეყანა გადაბრუნდა, სეიდიყ, ქვეყანა!

— მართალსა ბრძანებს მამა გიორგი! — დაუდასტურა დიაკვანმა.

— ღმერთმა პირი იბრუნა ჩვენგან... — განაგრძო ხუცესმა. — ეშმაკმა ბოლშევიკები და კომკავშირელები მოგვისია... ღმერთი დაივიწყეს... ედა-

*) იხ. „მნათობი“ № 7 — 8.

ვებიან თვითონ მას, მაღალ ღმერთს, ჩვენ გამჩენს... ღვთის ტაძარი ფეხით გათელეს... გააძევეს მამები, პატივცემული და ჭკვიანი ადამიანები, ისეთები, როგორიც შენ ხარ, სეიდიყ, და თითონ სწყვეტენ საქმეებს...

— მე, დად, სოფლის საბჭოს წევრი ვარ...

— ნუ თუ?! მადლობა ღმერთს, რომ შენ მაინც დარჩი! გაკურთხოს უფალმა! — კვლავ გადასახა პირჯვარი და განაგრძო: — მაგრამ, სეიდიყ, იცოდე, ასე უბრალოდ არ ჩაივლის ეს... ღმერთი ყველაფერს ხედავს... ჯერ ჩუმად არის და მერე ერთბაშად დაატეხს მეხს ყველა ცოდვილს! — აუმაღლა ხმა და შეხედა ცას.

— შეიძლება, დად, შეიძლება... — ჩაილაპარაკა სეიდიყმა. — თქვენ უკეთ იცით, ღმერთთან ახლო დგეხართ... ყაზილბაკიც მაგას ამბობს...

— ყაზილბაკი? — ო-ო, ჭეშმარიტად ჭკვიანი კაცია!.. აი მისი რჩევა-დარიგება უნდა მიიღოს ხალხმა...

დიაკვანმა, რომელიც რაღაც ფიქრებში იყო გართული, უცბად წამოიძახა:

— ანტიქრისტე მოვიდა, ანტიქრისტე!

— მართალს ამბობს დიაკვანი, ანტიქრისტე მოვიდა! — დაუდასტურა ხუცესმა.

— ეგ ვილაა, დად?

— ეშმაკი! სატანა! ბოლშევიკი!

— კომუნისტი! კომკავშირელი! — დაუმატა დიაკვანმა.

— კოლმეურნეობის მოწყობასაც ფიქრობენ აქ, — სთქვა სეიდიყმა.

— ღმერთმა დაგვიხსნას კოლმეურნეობისაგან! კოლმეურნეობაში შედიან გარყვნილები... ცოდვილები... კოლმეურნეობა სიკვდილია ჩვენთვის!

— ყაზილბაკიც მაგას ამბობს, — დაუმოწმა სეიდიყმა.

— ჭკვიანი თავი აქვს ყაზილბაკს!.. მაშ ასე, სეიდიყ, მხარი უნდა დავუჭიროთ ერთმანეთს, ძველ ჩვეულებებს, ძველ წესებს, ეკლესიას... დიდხანს არ დაგვჭირდება ცდა, მალე ისევ მოვა ძველი დრო... ღმერთი არ გაგვწირავს... ეხლაკი მშვიდობით! სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა! — სთქვა ხუცესმა და კვლავ მიუშვირა ხელი სეიდიყს საკოცნელად.

მღვდელი და დიაკვანი წასვლას აპირებდენ, როცა სეიდიყმა შეაჩერა ისინი, მიმოიხედა და წასჩურჩულა:

— აი რა, დადრაა! მართალი ბრძანე: უნდა ვიმოქმედოთ, ხალხი დავარიგოთ... ავამხედროთ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ... ამ დღეებში მოიწვევენ სოფლის ყრილობას, სადაც კოლმეურნეობაზე იქნება ლაპარაკი. საქმე ისე უნდა წავიყვანოთ, რომ ყრილობამ არ მიიღოს კოლმეურნეობა...

— სწორია, დად, სწორი... უნდა ვეცადოთ... ღვთის მოსაწონი საქმეა... ხვალ ხომ იქნები ქელეხზე? — ჰკითხა ხუცესმა.

— ვიქნები, დად.
— იქ სხვებიც იქნებიან...
— ეგ ქელეხი უნდა გამოვიყენოთ... ყაზილბაკიც
— ღმერთი იყოს ჩვენი შემწე! მშვიდობით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ქელეხის წინა ღამეს მახუას ეზოში დიდი მოძრაობა იყო. სახლის მოაჯირის აივანზე დადგმული ორი ლამფა მკრთალად ანათებდა ეზოს, სადაც ხალხი ირეოდა. ზოგს ნაბადი ჰქონდა წამოსხმული, ზოგიც უნაბდო იყო, მაგრამ თავზე ჩაბალახ შემოხვეული, რადგან ახალი გაზაფხული იყო და საღამოობით ციოდა. გაისმოდა სხვადასხვა განკარგულება, ძახილი, გამოხმაურება. ღობესთან 30 მეტრის სიგრძეზე ფარდული იყო გამართული. რამდენგანმე ცეცხლი ენთო. ცეცხლის ირგვლივ მოხუცები ისხდენ და საუბრობდენ. მათი საუბრის საგანს შეადგენდა მახუა, ამასთან მოსაუბრენი მტკიცედ იცავდენ ანდაზას: „მკვდარზე ან არაფერი უნდა სთქვა, ან კარგი უნდა სთქვაო“. იქვე მახლობლად ახალგაზრდობა ერთობოდა.

შუა ეზოში, მეორე ფარდულ ქვეშ მაგიდა იდგა. ახლად მისული მამაკაცები ამ მაგიდაზე აწყობდენ ქუდებს, ჩაბალახებს და იარაღს და შემდეგ ჯგუფებად ან სათითაოდ მიდიოდენ სახლისაკენ ტირილით და ხელების თავში ცემით. ასევე ტირილით მიდიოდენ ქალები, მხოლოდ მათი ტირილი და კივილი უფრო მკვეთრად გაისმოდა. დასტიროდენ ერთი წლის წინათ მომკვდარ მახუას. სახლში, სადაც მოტირალნი შედიოდენ, ტახტზე „ესვენა“ მახუა, ესე იგი, ეწყო მისი ტანსაცმელი იმ რიგზე, როგორც იგი სიცოცხლეში იცვამდა: ჩუსტები, პაიჭები, შარვალი, ახალოხი, ახალოხს ზევიდან ჩოხა ქამარ-შემორტყმული, რომელზედაც ეკიდა ხანჯალი და რევოლვერი. თავის მაგიერ იდო დახვეული ჩაბალახი. იქვე თავით იდგა მაგიდა და ზედ — დიდი რტოებიანი სანთელი „ოკუმი“. ირგვლივ ისხდენ თავშიშველა, თმაგაწეწილი ქალები და მოსთქვამდენ. ცოტა მოშორებით მეორე მაგიდაზე ეწყო ტკბილი საჭმელი, იქვე იდგა ჯამი საკმეველით და ჭიქა ღვინით. ნათესავები იღებდენ საჭმლიდან თითო ლუკმას, ასხამდენ ზედ ღვინოს და სდებდენ ნალვერდალზე მაგიდის ქვეშ, ამით თითქოს მოუწოდებდენ მიცვალებულს შეჭცეოდა საჭმელს.

შუა ეზოს ამშვენებდა „აკაიანი“ — 15 — 20 მეტრის სიმაღლის სვეტი, რომელსაც შემოხვეული ჰქონდა ზოლებიანი გასანთლული ტილო. შიგადაშიგ სვეტი გამოღრუებული იყო და შიგ თოფისწამალი ეყარა. ზედ კენწეროზე ჩამოცმული იყო ასაფეთქებელი ნივთიერებით გატენილი სანთლის ჩიტი. ჩიტს ქვემოთ, თითო მეტრის მანძილზე, სამ ადგილას სვეტს გაყრილი ჰქონდა ჯოხები. ზევითა ჯოხი მოკლე იყო, მეორე —

უფრო გრძელი, ხოლო ქვევითი — ორივეზე გრძელი. ჯოხის ბოლოები გადაბმული იყო ლენტებით. ამავე ბოლოებზე ეკიდა ნაირნაირი ნივთები: ქისები, ხელსახოცები, პირსახოცები და სხვ. ნივთი იმისი იქნებოდა, ვინც თოფით ჩამოაგდებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახუას მეურნეობა საშუალო იყო. ერთი წლის წინათ მახუას დასაფლავებამ ძალზე შეარყია ეს მეურნეობა, ხოლო ახლანდელი ქელეხი გაღატაკებას უქადდა. მახუას დარჩა ცოლი და ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი. წლის თავზე მახუას ქვრივს უნდოდა ერთი ცხვარი დაეკლა, მაგრამ ნათესავებმა არ მოასვენეს — „ღირსეული პატივი ეცი" განსვენებულსაო. მოითხოვდა ამას მეტადრე ძველი ზნე-ჩვეულებისა და ტრადიციის ერთგული მიმდევარი სელიმი. მან უამბო მახუას ცოლს, როგორ დაიტანჯება „საიქიოს" მახუა, თუ ცოლმა ქელეხი არ გადაუხადა: სხვებს, ვისაც ქელეხს უხდიან, საჭმელი ექნებათ და მარტო მახუა უნდა იყოს მშიერმწყურვალიო. ცოლს თვალებზე ცრემლიც კი მოადგა, და ბოლოს გადაწყვიტა წლებზე ფეხები დაედგა და ქელეხი გადაეხადა.

— სამაგიეროდ ღმერთი დაგეხმარება, — ანუგეშებდა სელიმი.

მოვიდა სეიდიყიც. დასდო მაგიდაზე ჩაბალახი, რევოლვერი და თავში ხელების ცემით გაემართა სახლისაკენ. ოთახში შესვლისთანავე გადახედა იქ მყოფთ, მეტადრე ქალებს, და როდესაც თვალი მოჰკრა მჯითხავ ქალს ყეიმითხანს, გაიფიქრა — აი ვინ გამოგვადგებაო. თავში ცემით დაიტირა მახუა, მერე გამოტრიალდა, კიბეზე ჩავიდა და მაგიდიდან აიღო თავისი ჩაბალახი და რევოლვერი.

— აქ მოდი, სეიდიყ, აქ, — დაუძახეს ამ დროს ცეცხლთან მსხდომმა მოხუცებმა და ადგილი დაუთმეს.

— ეჰ; კარგი კაცი იყო ცხონებული მახუა! — წარმოსთქვა სეიდიყმა და ჩამოჯდა.

— სამოთხეში ამყოფოს ღმერთმა!.. რას იზამ, ყველას სიკვდილი მოველის, — გამოეხმაურა ერთ-ერთი მოხუცი.

— მახუას რა უშავს! შესაბრალისია ცოლი და წვრილი შვილები! — ჩაურთო მეორემ.

— რა საჭიროა ყველაფერი ეს! უნდა გადავაგდოთ ქელეხი! — სთქვა ხაუდმა, მოიხადა ქუდი, განზე გააფურთხა და კვლავ დაიხურა.

— რას ამბობ, ხაუდ?! როგორ შეიძლება გადაგდება! მამაპაპური ჩვეულებაა! — გამოეკამათა ხაუდს სელიმი.

— როგორ და ისე! მახუა შეძლებული გლეხი იყო, დასაფლავებამ გაანახევრა მისი ოჯახის ქონება, ეხლა ეს ქელეხი მიწასთან გაასწორებს! — მიუგო ხაუდმა, კვლავ მოიხადა ქუდი და გადააფურთხა.

— ვინ დაეხმარება მის დიდ ოჯახს? არავინ! არც შენ, სელიმ, არც მე, არც სხვა ვინმე! — წარმოსთქვა იქვე მჯდომმა ხაბახუმ.

— სწორია! არავინ! — დაუდასტურა მსოუტმა.

— ღმერთი დაეხმარება! — არ იშლიდა თავისას სელიმი.

— არც ღმერთი დაეხმარება, თუ თითონ ქვრივმა არ უშველა თავს! — სთქვა ხაუდმა და მაგრა გადააფურთხა.

ეროვნული

მოლა ესიფი მოწყენილი იჯდა სელიმის პირდაპირ. [illegible] დოლ-ბანდად ჰქონდა შემოხვეული თავზე. ქელეხზე წამოსვლისას იმედოვნებდა, რომ ფულს ჩაიჩხრიალებდა ჯიბეში და სასუსნავს წაიღებდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, როდესაც გაიგო, რომ მახუა ქრისტიანი იყო და არა მაჰმადიანი, და ამ ქელეხით ხელს მოითბობდა მღვდელი და არა ის.

ოსმანმა შენიშნა მოლა ესიფს მოწყენილობა და ხუმრობით მიმართა:

— დღეს, მოლა ესიფ, შენ არაფერი გერგება... მღვდელი დახვეტავს ყველაფერს!

მან უმწეოდ გაიღიმა და მიმოიხედა.

— განა მახუა მაჰმადიანი არ იყო? — იკითხა, თითქოს არ იცოდა, და როდესაც უარყოფითი პასუხი მიიღო, გაჩუმდა.

ამ დროს ოსმანს სამზარეულოში დაუძახეს.

მახუას ცოლი ხელების ქნევით უმწეოდ დარბოდა სამზარეულოში. როდესაც სელიმი შევიდა აცრემლებულმა მიმართა:

— რა წყალში ჩავვარდე, სელიმ, ხორცი არ მყოფნის! — ამ დროს უმცროსმა ბავშვმა აკვანში ტირილი მორთო. მეზობელი ქალი მივიდა დასამშვიდებლად, მაგრამ ბავშვმა უფრო უმატა ტირილს.

— რა ამბავია! არაფერი ისმის! რა ხმა აქვს, მახუაზე უფრო ძლიერი! — გაიხუმრა სელიმმა.

— დღეს თითქმის მთელი სოფელი შეიკრიბა, ხვალ სხვა სოფლებიდან მოვლენ, — განაგრძო მახუას ცოლმა. — დღეს ჩვენი ხარი დავკალით, არ გვეყოფა, ბევრი ხალხია... ნათესავებმა ორი ხარი მოიყვანეს. ისინი ხვალ დაგვჭირდება. რა ვქნათ?

— მოზვერი დაკალ!

— სადა მყავს მოზვერი!

— მაშ რა გყავს?

— ერთად-ერთი ძროხა.

— დაკალ ეგ ძროხა.

— როგორ თუ დავკლა? — გაოცებულმა შეხედა ჯერ სელიმს, მერე გარს-შემოხვეულ ბავშვებს.

— უნდა დაკლა, ჩვეულებას ვერ ვუღალატებთ! — შეუბრალებლად წარმოსთქვა სელიმმა.

— რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე! მეწველია... ამ ბავშვებს რაღა პასუხი გავცე?

— არა უშავს რა, ღმერთი დაგეხმარება!

*
* *

— ნათესავები მოდიან, ნათესავები! მოზარეებო, [illegible] გაისმა თადარიგის მიმცემის ხმა.

ბიბლიოთეკა

შავებში გამოწყობილი თმა-გაწეწილი ქალები ეზოში გამწკრივდნენ. ყველას სანთლები დაურიგეს. მრავალი სანთლის შუქმა ქალების მწუხარე სახეები გაანათა. ჰაერი თაფლის სანთლის სუნით გაიჟღენთა. შორიდან, წყვდიადიდან მოისმა „აზარ“-ის *) ხმა. მღეროდენ ნათესავები, რომელთაც ხარები მოჰყავდათ. გათავდა აზარ და გაისმა „ხაიუა-ხაიუა“ **). ქალებმა, რომლებმაც ნახევარწრე შეჰკრეს, „აუაუ“-თი უპასუხეს. სიბნელეში შუქმა გაიელვა. გამოჩნდა პროცესია. წინ მიდიოდა ერთ-ერთი ნათესავი. ხელში ეჭირა მოკიდებული ორმეტრიანი აოკუმი. მას მოსდევდა მეორე ნათესავი, რომელსაც თოკით ხარი მოჰყავდა. ხარი თავიდან ფეხებამდე მორთული იყო. რქები შეჭედილი ჰქონდა ბრჭყვიალა თუნუქით. რქებს შუა გაბმული იყო ზონარი, რომელზედაც ჟღარუნები ეკიდა. რქებზე ხარს ანთებული სანთლები ეკრა. ზურგზე გადაფარებული ჰქონდა წითელი მატერია, ხოლო მატერიის ზევიდან გადაკიდებული იყო „ახაინაპა“ ***). ხარს მისდევდენ ნათესავები ანთებული სანთლებით და „ხაიუა-ხაიუა“-ს მღერით. პირველ ჯგუფს მოსდევდა მეორე ჯგუფი თავისი ხარით, ხარები შეიყვანეს მოზარეთა წრეში.

სანთლის შუქმა გაფანტა სიბნელე და გაანათა ხეები, აკაიანი და ადამიანთა სახეები. გლოვის ხმა შორს გაისმოდა. ყოველივე ეს შთაბეჭდილებას ახდენდა.

ამის დამნახავმა სელიმმა ჩაილაპარაკა:

— ე-ე-ე, დადრაა! აფსუარა, აფსუარა! მშვენიერია!

— მახუა მოკვდა და ეხლა ალარაფერი უშველის მას. ტყუილად იკარგება დრო და იხარჯება ფული, — მიუგო სელიმს ვიღაცამ.

სელიმმა სწრაფად პირი იბრუნა და კუჭირი დაინახა.

— შენა ხარ, კუჭირ? რატომ მოხვედი, შენ ხომ აფსუარას წინააღმდეგი ხარ? — გაეხუმრა სელიმი.

— მოვედი ენახო, როგორ გამდიდრდება მახუას ოჯახი ყველა ამისაგან, — მიუგო კუჭირმა.

სელიმმა ხმა არ გასცა.

ამ დროს სელიმთან მივიდა მისა. მისამ აქეთ-იქით მიიხედა და ხმადაბლა უთხრა:

---

*) აზარ — ცხენოსანთა სიმღერა.

**) ხაიუა-ხაიუას მღერიან მაშინ, როდესაც ხარები მოზარეთა წრეში შეჰყავთ.

***) ახაიანაპა — ზონარისაგან მოქსოვილი ბადე, რომელზედაც აცმულია წაბლები, ვაშლები, კვერები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიცდიან თხილიანში.

— უკვე შეიკრიბნენ?

— შეიკრიბნენ.

და ორივენი წავიდნენ.

*
* *

თხილიანში მიყრუებულ, ფარულ ადგილას ისხდენ: სეიდიყი, მღვდელი, მოლა ესიფი, დიაკვანი, საბაყაი, ყელამათი და ყაზილბაკი. ეს უკანასკნელი ქელეხში არავის სჩვენებია. გადაწყვეტილი ჰქონდა ხვალ ოფიციალურად გამოცხადებულიყო იქ. მათთან იჯდა პალტოსა და ფაფახში გამოწყობილი ვილაც უცნობი. შეკრებილებმა ისარგებლეს იმით, რომ ქელეხში ყველას ყურადღება მიქცეული იყო ნათესავების მოსვლის ცერემონიაზე, და საიდუმლო თათბირი გამართეს.

სელიმი და მისაც მივიდნენ.

სელიმმა ფაფახიანი კაცის გარდა ყველანი იცნო.

— ვინ ბრძანდება? რალაც ვერ ვიცნობ!..— იკითხა მან.

— რაჭველი ხუროა,— მიუგო ღიმილით ყაზილბაკმა.

— ხურო? მერე აქ?— და გაკვირვებულმა სელიმმა შეხედა ყაზილბაკს.

— ვიხუმრე სელიმ. არც ხუროა და არც რაჭველი, ჩვენი მეგობარია, სანდრო... შორიდან მოვიდა, უცხო ქვეყნიდან.

— ჰმ... კეთილი იყოს თქენი მობრძანება!— სთქვა სელიმმა და ხელი გაუწოდა.

ხუროს სახით უცნობი სოფელ-სოფელ დადიოდა და აგიტაციას ეწეოდა.

— აბა, დადრაა, დავიწყოთ, მოვილაპარაკოთ!— სთქვა სეიდიყმა.— კარგი იქნება ყეიმითხანსაც დაუძახოთ.

— საჭიროა, საჭირო!— მხარი დაუჭირა სეიდიყს ყაზილბაკმა.

— დად, მისა, გაიქეც, დაუძახე!— მიმართა სეიდიყმა მისას.

მისა უგულოდ წამოდგა და ნელი ნაბიჯით წავიდა.

— მოუჩქარე, დად, მოუჩქარე!— დაუძახა სეიდიყმა.

— მივდივარ!— წაიბურტყუნა რალაცით უკმაყოფილო მისამ.

— ახლა, დად, ყაზილბაკ, დაიწყე!— მიმართა ყაზილბაკს სეიდიყმა.

— შენ დაიწყე, სეიდიყ, შენ!

— ჩვენ, დადრაა, მუშაობას უნდა შეუდგეთ,— დაიწყო სეიდიყმა.— გულზე ხელდაკრებილები ვერ დავსხდებით. გამარჯვებული ლობეში ჩაგაწნავსო, ნათქვამია. ჩვენც ასე დაგვემართება. თავადებს და აზნაურებს ბოლო მოულეს და ეხლა ხელი მიჰყეს მდიდარ გლეხებს...

— სწორია, სეიდიყ, სწორი!— დაუდასტურა საბაყაიმ.

— შენც, სეიდიყ, ჩვენსავით კულაკად გამოგაცხადებენ. ჩვენზე ნაკლები არც შენა გაქვს... — სთქვა ყელამათმა.

— რა მაქვს, დად! — არ ესიამოვნა სეიდიყს ყელამათის სიტყვები. — მაგრამ ენა უძვლოა... ყველაფერს იტყვის...

ბიბლიოთეკა

ამ დროს მივიდა შეკრებილებთან მკითხავი ქალი, ჩამომხმარი და სარივით დაგრძელებული ყეითმითხანი.

— ვინ არის აქ? — წარმოსთქვა მან კაცური ხმით და დააკვირდა შეკრებილთ. — შენა ხარ, სეიდიყ? — სთქვა და გადაუსვა თავზე ხელი. თვალი მოჰკრა ყაზილბაკს: — ნან, ყაზილბაკ! — წამოიძახა და გადაეხვია.

— მერე, მერე, ყეიმითხან! დაჯექ, დრო ცოტა გვაქვს! — უთხრა სეიდიყმა.

— კარგი, ნან, კარგი.

— ამბობენ, ყეიმითხან, რომ შენ ბოლშევიკები ძალიან გიყვარს! — გაეხუმრა სელიმი.

— უი, ღმერთმა მომასწროს მათ ქელეხს!

მისა მოშორებით დაჯდა და ფიქრს მიეცა. დღეს გუნებაზე არ იყო. ეს საიდუმლო თათბირი რატომღაც აშფოთებდა. „ვინ არიან აქ? — გაიფიქრა. — ყაზილბაკი თავადია“. ყაზილბაკი არ უყვარდა და საზოგადოდ არ უყვარდა თავადები და აზნაურები. „რა მინდა მასთან? — განაგრძო ფიქრი. — ვინ არიან საბაყაი და ყელამათი? კულაკები. სელიმი? შეძლებული გლეხი. მე ვარ აქ მარტო ღარიბი“...

— მაშ ასე, დადრაა, — დაიწყო კვლავ სეიდიყმა. მისამ ყურები ცქვიტა. — ამ ხელისუფლებამ მიწა და ქონება ჩამოართვა თავადაზნაურებს და გადასცა ღარიბ გლეხებს...

„ძალიან კარგად მოიქცა!“ — გაიფიქრა მისამ, ამასთან გაახსენდა, როგორ დაუბრუნა ამ ხელისუფლებამ მას და სხვებს თავადაზნაურების მიერ ოდესღაც მითვისებული მიწები, როგორ ეხმარებოდა და ეხმარება იგი ღარიბ გლეხებს...

— ეხლა, დადრაა, ბოლშევიკებმა ხელი მიჰყვეს შეძლებულებს... მათ ქონებასაც ღარიბებს გადასცემენ, — განაგრძო სეიდიყმა.

„არც ეგ იქნება ურიგო!“ — გაიფიქრა ისევ მისამ. დღეს სეიდიყის სიტყვები სხვანაირად ესმოდა მის ყურს. მისა მუდამ სეიდიყის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მის სიტყვას ყოველთვის უყოყმანოდ ასრულებდა და არც აძლევდა თავის თავს იმის ანგარიშს, თუ რატომ იქცეოდა ასე. დღეს კი ყოველი მისი სიტყვა სხვანაირად ეჩვენებოდა.

— ეხლა გადაწყვიტეს შერეკონ ღარიბი და საშუალო გლეხები კოლმეურნეობაში, — სთქვა სეიდიყმა.

სიტყვა „კოლმეურნეობა“ აღარ აშინებდა მისას. „ვინ იცის, იქნებ ღარიბისათვის კარგიც იყოს“, — გაიფიქრა. ვეღარ მოითმინა მისამ და ჩურჩულით დაუძახა სეიდიყს:

— სეიდიყ!

— რა გინდა?

— იქნებ კოლმეურნეობა კარგი გამოდგეს?.. ჯერ ხომ [illegible]ცით?..

— აი როგორი კაცი ხარ შენ მისა! — მიმართა საყვედურით სეიდიყმა. — სიმტკიცე გაკლია. გეშინია შენი ჩრდილისა. გეუბნები, სიკვდილია ჩვენთვის კოლმეურნეობა!

— არავითარი ყოყმანი ჩვენ შორის არ შეიძლება! — წამოიძახა თვალების ბრიალით ყაზილბაკმა. — ვინც ყოყმანს დაიწყებს და გვიღალატებს, მას ტყვია შუბლში!

მისას ცივმა ოფლმა დაასხა, ენა ჩაუვარდა, ხმა ჩაუწყდა, თითქოს ყელში ტყვია გაეჩხირაო. მხოლოდ ეხლა აეხილა საბოლოოდ თვალები, მხოლოდ ეხლა დაინახა, ვისთან ჰქონდა საქმე... „დავიღუპე! — გაიფიქრა. — აი თურმე რა ყოფილა! შე სულელო ჩემო თავო, ვის უჯერებდი? სეიდიყს!“ — სთქვა გონებაში და თავი დახარა.

— მალე სოფელი უნდა შეიკრიბოს... კოლმეურნეობაზე იქნება ლაპარაკი, სოფლის საბჭოს სხდომაზე სთქვეს... სელიმმა და მისამ იციან ეს... — განაგრძობდა სეიდიყი.

„სულელი ვარ, სულელი, რა წამოვროშე იმ სხდომაზე“, — შერცხვა მისას, როცა გაახსენდა თავისი სიტყვები საბჭოს სხდომაზე.

— ხელი უნდა შევუშალოთ ამ საქმეს, მაგრამ როგორ? აი ამაზე უნდა მოვილაპარაკოთ! — დაამთავრა სეიდიყმა.

— მართალს ამბობ! სეიდიყ! ხელი უნდა შევუშალოთ... თითონ უფალი ღმერთი გვირჩევს ამას... თორემ დავიღუპებით, — სთქვა მღვდელმა და განაგრძო: — აი აქ არის მოლა ესიფიც, ჩემი მოწინააღმდეგე სარწმუნოების საქმეში. მაგრამ დღეს ერთად ვართ აქ. რამ შეგვაერთა? საერთო საშიშროებამ, საერთო საფრთხემ, რომლითაც გვემუქრებიან ღვთის მგმობელნი, მოძალადენი, ურწმუნონი...

— მართლმორწმუნენიც! — დაუმატა მოლა ესიფმა.

— სწორედ, სწორედ, მართლმორწმუნენიც, — დაეთანხმა მღვდელი.

— ვინ არის ჩვენთვის ყველაზე საშიში? — დაიწყო ისევ სეიდიყმა. — კუბრიცი. მთელი ძალა მის ხელშია...

— მოვიშოროთ თავიდან! — წამოიძახა გადაჭრით ყაზილბაკმა.

— მართალს ბრძანებ, დად, ყაზილბაკ! — მიუგო სეიდიყმა. — მაგრამ ამჟამად არ შეიძლება... უნდა დავიცადოთ...

— მომეცით ორი სიტყვის ნება, — ითხოვა სტუმარმა. — მართალია, უგუნურმა ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, მაგრამ დღეს არა ხვალ ისინი უსათუოდ დაიღუპებიან, უსათუოდ. — სთქვა მან დარწმუნებით. მერე გაიხსენა მენშევიკური საქართველო და სინანულით განაგრძო: — თქვენ ალბად გეცოდინებათ, რა შესანიშნავი სახელმწიფო დაანგრიეს მაგ ანარქისტებმა...

— რომელი, დადე?

— საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. გონიერი საქართველო არ აჰყვა ბოლშევიკების ხმას... მან დააარსა რესპუბლიკა, მერე როგორი? არსად დედამიწაზე არ ნახული. კულტურულმა ევროპამ იცნო იგი. ყველა პატივისცემით გვეპყრობოდა. ჩვენ ზურგი შევაქციეთ აზიას და პირი ვიბრუნეთ ევროპისაკენ... ვაფართოვებდით ტერიტორიას, ვეძებდით ისტორიულ საზღვრებს... და თქვენმა პატარა აფხაზეთმაც, საქართველოს ამ შენაკადმა, თავისი ტალღები საქართველოს დიდი მდინარისაკენ მიმართა. ხალხები და ერები ყვაოდენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშის ქვეშ... მაგრამ იგი დღეს აღარ არის!... — დაამთავრა შესანდობარი, მიმოიხედა და განაგრძო: — მაგრამ ბოლშევიკები დაიღუპებიან! უნდა დავაჩქაროთ მათი სიკვდილი. უნდა ავამხედროთ ხალხი კოლმეურნეობის წინააღმდეგ. ეს საუკეთესო საბაბია ამჟამად ხალხის ასაღელვებლად ბოლშევიკების წინააღმდეგ... უნდა ვუჩვენოთ, რომ ხალხს არ უნდა ეს ხელისუფლება. ამას ყურადღებას მიაქცევენ სხვა სახელმწიფოები და მაშინ მოფრინდება ნოე ჟორდანია...

მისამ, რომელიც ყაზილბაკის „ტყვიით" მოკლული, სულგანაბული იჯდა, ჟორდანიას სახელის გაგონებაზე თავი ასწია და ყური დაუგდო. მისას ეს სახელი გაგონილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1924 წელს, მენშევიკური აჯანყების დროს. მაშინაც ეუბნებოდენ ხალხს, რომ მალე მოფრინდება ჟორდანია და იხსნის ხალხს ბოლშევიკებისაგანო. მაგრამ იგი დღემდე მოფრინავს და მაინც ვერ მოფრინდა. გაუკვირდა ეს მისას.

— ჩვენც, მენშევიკები, სოციალიზმისკენ მივდივართ, — დაიწყო ისევ სტუმარმა. — მაგრამ მივდივართ ნელა, აუჩქარებლად, მივდივართ დემოკრატიზმით სოციალიზმისკენ... ხელს არ ვახლებთ კულაკებს და ბურჟუაზიას. ბურჟუაზიას თან წავიყვანთ, შევიყვანთ მას სოციალიზმში, სადაც იგი თავისთავად გადნება, როგორც თაფლის სანთელი ცეცხლზე. მაშ რა უნდა გავაკეთოთ, რომ ავაღელვოთ ხალხი, ავამხედროთ დემოკრატია კოლმეურნეობის წინააღმდეგ? უნდა უთხრათ ხალხს, რომ კოლმეურნეობა სიკვდილია გლეხებისათვის, რომ მათ უნდა გადასცენ კოლმეურნეობას მთელი ქონება: მიწები, ბაღები, სახლკარი, პირუტყვი, ქათმები, ბატები, იხვები, წიწილები...

— ცოლებიც კი, — დაუმატა ყაზილბაკმა.

— არ არჩევენ, ნან, დედებსა და დებს, — ჩაურთო ყეიმითხანმა.

— ფეხით თელავენ ძველ ჩვეულებებს, მამაპაპურ წესებს. — არ ჩამორჩა სხვებს არც სელიმი.

— ღმერთი კოლმეურნეობის წინააღმდეგია! — დაიმოწმა ღმერთი ხუცესმა. — კოლმეურნეობაში შედიან მხოლოდ ცოდვილები, უძღები შვილები, ანგრევენ ღვთის ტაძრებს...

— მეჩეთებსაც, მეჩეთებსაც! — გაახსენდა მოლას.

— ანტიქრისტეს მოციქულები არიან, ანტიქრისტეს! — დაიძახა თავისი ბოხი ხმით დიაკვანმა.

ბიბლიოთეკა

— ყველაფერი ეგ უნდა გააგებინოთ ხალხს, — დაიწყო ისევ სტუმარმა. — არ დაივიწყოთ ისიც, რომ ბოლშევიკებს უნდათ შეყარონ ხალხი ყაზარმებში, ერთ ჭერქვეშ...

— დააწვინონ ერთად, ერთ ლოგინში და გადახურონ ორმოცმეტრიანი საბანი! — დაუმატა ყაზილბაკმა.

— მაშ ასე, არც ერთი წუთი არ უნდა დავკარგოთ, — განაგრძო სტუმარმა. — უნდა გავავრცელოთ ხალხში ეს ლოზუნგები.

— ქელეხებში ბევრი ხალხი იკრიბება, იქ უნდა გავავრცელოთ ყველაფერი ეგ. — სთქვა ყაზილბაკმა.

მისა გაოცებული, პირდაღებული შეჰყურებდა მოლაპარაკეებს. ეხლა მისთვის ცხადი იყო ყველაფერი: მოტყუებით, სიცრუით ცდილობდენ ხალხის აღელვებას კოლმეურნეობის წინააღმდეგ. უნდოდა დაეყვირა: „რას სჩადიხართ, თქვე მატყუარებო, არამზადებო“, მაგრამ „ტყვიამ“ კვლავ შეაჩერა.

— სოფლის ყრილობაზე თქვენ არ უნდა გამოხვიდეთ! — დაიწყო ისევ სტუმარმა. — უნდა ილაპარაკონ სხვებმა, ღარიბმა გლეხებმა, აი, მისამ, მაგალითად...

— მე არ შემიძლია, მე საბჭოს წევრი ვარ! — გაბედა მისამ.

— მაშ მოამზადე შენ მაგიერ სხვა ღარიბი გლეხი, — მიუგო სტუმარმა.

— კარგი იქნება, თუ ქალებს მიუსევთ! მათ ვერაფერს ვერ უზამენ, — სთქვა ყაზილბაკმა.

— ეს შენი საქმეა, ყეიმითხან! — მიმართა მას სელიმმა.

— იქნება, დად, იქნება! — მიუგო ყეიმითხანმა.

— „აუაუ“ გათავდა, უნდა წავიდეთ, დადრაა! — სთქვა სეიდიყმა.

— მაშ ასე, ფხიზლად იყავით! — სთქვა სტუმარმა და წამოდგა. წამოდგნენ დანარჩენებიც.

— თითო-თითო წადით! — ურჩია დამსწრეებს სეიდიყმა. სტუმარი და ყაზილბაკი გამოეთხოვენ სხვებს და წავიდნენ.

— ვაჟკაცურად მოიქეც, მისა, ვაჟკაცურად! — წასჩურჩულა სეიდიყმა წასვლის წინ.

მისა ქელეხში აღარ წასულა. შუა გზიდან გადაუხვია და თავის სახლისაკენ გაემართა, დაღონებულ-დაძმარებული.

ქელეხის წინა ღამე ჭამა-სმით დამთავრდა. შეიჭამა ერთი ხარი და ერთი ძროხა. დარჩენ მახუას ბავშვები ურძეოდ, უსიმინდოდ...

გამომძღარმა მღვდელმა და დიაკვანმა აავსეს ჭრელი ხურჯინი და გზას გაუდგნენ, რათა მეორე დღეს კვლავ დაბრუნებულიყვნენ ახალი ნადავლისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

მეორე დღეს ნათელი მზიანი ამინდი დადგა. შუა ეზოს კვლავ ამშვენებდა ჭრელი აკაიანი. ნელი ნიავი ოდნავ არხევდა მასზე ჩამოკიდებულ ნივთებს. ყველა მხრიდან ხალხი მოდიოდა. მოდიოდნენ ცხენოსანნი და ქვეითნი, მამაკაცნი და დედაკაცნი. მამაკაცები ეზოში, მაგიდაზე აწყობდენ თავის მოსართავებს და იარაღს და მერე მიდიოდენ სატირლად, დედაკაცები კი ეზოში შესვლისთანავე კივილით და თმების გლეჯით პირდაპირ სახლისაკენ მიემართებოდენ. ჯერ კიდევ შორიდანვე მოისმოდა ხან აქ, ხან იქ „აზარა". მღეროდენ ჯგუფად მომავალი ცხენოსანნი. ეზოში მარცხნივ, მოშორებით რამდენიმე ადგილას ბოლავდა ცეცხლი. იქ უზარმაზარ ქვაბებში ხორცი და სხვა საჭმელი იხარშებოდა.

ჯერ კიდევ წინა დღეს დაიწყო კულაკური აგიტაცია. ახლა ეს აგიტაცია დაცოცავდა, იზრდებოდა, აშფოთებდა ყველაზე უფრო მერყევ ღარიბ და საშუალო გლეხებს. ყველაზე მეტად გამოეხმაურენ მას ქალები, როგორც უფრო ჩამორჩენილი და კონსერვატიული ელემენტი.

გაისმა პირველი სროლა. ხალხი გაეშურა იქითკენ, საიდანაც სროლის ხმა მოვიდა. ესროდენ ნიშანს ჯილდოს მისაღებად. შორს, 300 მეტრის მანძილზე, ტყეში, მწვანე შტოებში თეთრად მოსჩანდა ეს ნიშანი, რომელიც შაურიანს არ აღემატებოდა. ეს იყო რცხილის გახლეჩილ რტოში ჩადებული საინი. ჯილდოს მიიღებდა ის, ვინც ტყვიით საინს გასტეხდა.

ისროდენ ახალგაზრდები და მოხუცები, ისროდენ შაშხანებს და კაჟიან თოფებს. მათ შორის იყო მოხერხებული მსროლელი შხანიყვა, რომელიც მთაში ხშირად ნადირობდა არჩვებზე და ჯიხვებზე. ხელში ეჭირა ვერცხლში შეჭედილი კაჟიანი თოფი. თავზე ეხურა განიერ-ტოტებიანი წაბლის ქუდი, ეცვა მოკლე ჩოხა. სარტყელზე ეკიდა თოფისწამლით გატენილი „ახტრა". შხანიყვამ გადაწყვიტა შეეჯიბროს თავისი კაჟიანი თოფით შაშხანა თოფებს. ბევრს ღიმილი მოსდიოდა კაჟიანი თოფის დანახვაზე.

— ე-ე-ე, შხანიყვა, კარგი მსროლელი ხარ, მაგრამ გაჯობებენ. შაშხანასთან ვერ მოვა შენი თოფი! — შენიშნა ვილაცამ.

— ნუ ჩქარობ, დად, ნუ ჩქარობ! ვის უჭირავს შაშხანა, ესაა პირველი საქმე! — მიუგო ღიმილით შხანიყვამ.

— შენც მართალი ხარ! — დაეთანხმა უცნობი.

შხანიყვამ გახსნა ახტრა, აავსო საზომი თოფის წამლით და ჩაყარა იგი ლულაში, შემდეგ ამოიღო მასრიდან ტყვია, ჩასდო ისიც ლულაში

და ზუმბით ძირამდე დაიყვანა. მერე ასწია ჩახმახი, წააყარა წამალი ფალიას, კვლავ დაუშვა ჩახმახი და დაუწყო ცდა.

სროლა უკვე დაიწყო. ჯერჯერით მიდიოდენ იქვე თხმელებთან, სდებდენ თოფის წვერს თხმელაში გეზად ჩარჭობილ დანას და ისროდენ. ჰაერში თოფის წამლის სუნი დადგა, მაგრამ ნიშანი ჯერ კიდევ გამოიყურებოდა თეთრ წერტილად. ბოლოს შხანიყვას ჯერიც დადგა. იგი მივიდა თხმელასთან, ასწია ჩახმახი და დაუმიზნა ნიშანს. გაისმა სროლის ხმა.

ნიშანი უვნებელი დარჩა.

— ეჰ, ოდნავ ზევით მომივიდა! — წარმოსთქვა სინანულით შხანიყვამ.

— როგორ მიხვდი მაგას? — შეეკითხენ აქეთ-იქიდან.

— ფოთლებზე შევატყე. გასროლის დროს წამწამს არ ვახამხამებ. მივეჩვიე. — სთქვა ეს, განზე გადგა და ხელახლა გატენა თოფი.

— ეხლა ოდნავ ქვევით დავუმიზნებ, — სთქვა შხანიყვამ თავისთვის, როცა მისი ჯერი მოვიდა და მეორედ დადგა თხმელასთან. გავარდა თოფი და თეთრი წერტილი გაქრა. ყოველი მხრიდან გამარჯვებას ულოცავდენ შხანიყვას. ჯილდო მას ერგო.

— ატარჩეი! — ატარჩეი! — გაისმა ამ დროს აივნიდან.

ახალგაზრდა ცხენოსნებმა აივნისაკენ გააქანეს თავიანთი ცხენები.

აივანზე ქალიშვილები აფრიალებდენ ატარჩეებს: ხელსახოცებს, პირსახოცებს, ქისებს, მატერიის ნაჭრებს. თვალის დახამხამებაზე ცხენოსნებმა აივანთან მოიყარეს თავი. ყველამ ხელი აივნისაკენ გაიშვირა. ყველა მუხლებში იმართებოდა, ზევით იწევდა. ყველას უნდოდა მიეღო ატარჩეი.

ერთმა თავალებულმა ცხენი კიბისკენ გააქანა, დაუშინა მათრახი და ააგდო ცხენი აივანზე.

— მაგას მიეცით ატარჩეი, მაგას! — ყვიროდა ხალხი.

ერთ-ერთმა ქალიშვილმა გადასცა წითელი მატერია. მან კბილებში დაიჭირა იგი, მოატრიალა ცხენი, კვლავ დაუშინა მათრახი და ცხენიანა გადმოეშვა ძირს.

— გზა, გზა! — დაიჭყივლა ახალგაზრდამ და მიაშურა ეზოს.

ყველა ცხენოსანი მას დაედევნა. ცდილობდენ გამოეგლიჯათ მატერია. დააჭენებდენ ცხენებს ეზოში, ხეებში. ხტოდენ ღობეებზე, ხრამებზე, ბუჩქებზე. ზოგ ცხენოსანს მოსართავები უწყდებოდა, ზოგს უნაგირი გვერდზე ელრიცებოდა. ზოგი ცხენი მუხლის თავებზე ეცემოდა, ზე მჯდომი ყირამალა გადადიოდა, მაგრამ უმალვე ცხენზე ჯდებოდა. ერთმა ცხენს თავი ვეღარ შეუკავა დიდ რცხილასთან, რომელსაც დაბალი ტოტი განზე ჰქონდა გაშვერილი. ის იყო უნდა დატაკებოდა ტოტს, რომ ცხენოსანმა უშვა ხელ-ფეხი ცხენს და ტოტზე ჩამოეკიდა. ბოლოს ატარჩიანი ცხენოსანი დაიჭირეს. ცხენოსანნი კვლავ შეჯგუფდენ აივანთან. ერთმა

მათგანმა მიიღო ქალიშვილისაგან ნაკერი ქისა, და ხელახლა დაიწყო დოლი.

ატარჩეის შემდეგ გაიმართა ჯირითი, რომლის დროსაც ახალგაზრდე-ბი ერთმანეთს ეჯიბრებოდენ სიმარჯვესა და მოხერხებაში.

სხვებთან ერთად კუბრიცი და კუჭირიც უყურებდენ ამ ხალხურ გა-სართობებს.

— რა საუცხოო გასართობებია! — წარმოსთქვა აღტაცებით კუჭირმა.

— არის ბევრი სხვა გონიერი საზოგადო გასართობიც, — მიუგო კუბ-რიცმა და დაუმატა: — უნდა ხელი შევუწყოთ მათ აღორძინებას და შე-ვუფარდოთ ისინი ჩვენ რევოლუციონურ დღესასწაულებს. ამით დავი-ვიწყებთ ხალხს რელიგიურ დღესასწაულებს და ძველ წარმართულ ჩვეუ-ლებებს.

— აი ეს საქმეა! — წამოიძახა კუჭირმა.

— კეთილშობილი ამოცანაა კომკავშირისათვის! — დაუმატა კუბ-რიცმა.

ჯირითი გათავდა. ამ დროს ვიღაცამ ხალხიდან თოფი გაისროლა. აკა-იანს მოსწყდა ხელსახოცი და ფრენით ძირს დაეშვა. სროლას მოუხში-რეს. ისროდენ რევოლვერებს და დამბაჩებს. ზევიდან ცვიოდა ნივთები. მალე აკაიანზე აღარაფერი აღარ დარჩა. მოჩანდა მხოლოდ კენწეროზე წა-მოცმული თოფის წამლით გატენილი ჩიტი. აქეთ-იქიდან დაუშინეს ტყვია ამ ჩიტს. ბოლოს მასაც მოხვდა. ჩიტმა იფეთქა, აკაიანს ცეცხლი წაეკიდა. ალი გასანთლული მატერიით ძირს ეშვებოდა.

ამ გასართობს მოჰყვა უკანასკნელი სამგლოვიარო ცერემონია — „აჭი-კუგალარი“ *). ეზოში შეკრებილმა ხალხმა განზე გაიწია. წრეში შევიდა ქალთა ნაწილი. ნახევარი ერთ მხარეს ჩამწკრივდა, ნახევარი — მეორე მხარეს, პირით ერთმანეთისაკენ. ესენი ჯერჯერით ამბობდენ „აუაუ“-ს. შემდეგ დაიწყო მსვლელობა. წრეში სამჯერ შემოატარეს სამი შეკაზ-მული ცხენი. ცხენებს მოთქმით მისდევდა შავებში გამოწყობილი და თმაგაწეწილი უამრავი ქალი. ამით დამთავრდა „აჭიკუგალარი“.

სამგლოვიარო ცერემონია დასრულდა სმა-ჭამით. მზე ჩადიოდა, რო-დესაც ხალხი წასასვლელად აიშალა.

ჭიშკართან იდგნენ სეიდიყი და სელიმი.

— რას იტყვი, სეიდიყ, როგორ ჩაიარა აფსხურამ? — ჰკითხა სელიმმა.

— კარგად, დად, კარგად.

— არ შევრცხვით, ნამუსიანად გამოვედით! — ჩაილაპარაკა კმაყოფი-ლებით სელიმმა.

ამ დროს ფიზიკურად და მორალურად დაუძლურებული მახუას ქვრი-ვი იჯდა ბავშვებთან სამზარეულოში და გულგრილად შეჰყურებდა წა-

*) აჭიკუგალარი — ცხენების შეყვანა მოზარე ქალთა წრეში.

სასვლელად მომზადებულ ხალხს, რომელმაც გადაჭამა მთელი მისი ავლადიდება. „რით უნდა ვიცხოვრო ამის შემდეგ და გამოვკვებო ბავშვები“, — ფიქრობდა იგი და მწარე სევდა ულრღნიდა ს[illegible]ისხანე და შესაზარი მომავალი ისახებოდა მისი გონების თვალწინ.

## თავი X

მზიანი დღეა. აქა-იქ ცაზე, ზღვის მხარეს, გაჩნდა ბუმბულის მსგავსი თეთრი ღრუბლები. დინჯად მიცოცავდენ ღრუბლები მწვერვალებისაკენ, ხან იშლებოდენ ბამბის ნართებივით, ხან მიცურავდენ თეთრი გედებივით, ხან კიდევ დოლბანდად ეხვეოდენ მწვერვალებს.

ხალხი ყოველი მხრიდან სოფლის საბჭოსაკენ მიეშურებოდა. საბჭოს წინ მოედანზე დაღვრემილი იდგა ბებერი ცაცხვი — წარსულ დროთა მოწმე. მრავალი მშვიდობიანი და სისხლისმღვრელი საქმე ახსოვს ამ ცაცხვს. მის ჩრდილ ქვეშ ხშირად იკრიბებოდა ხალხი. ცოტა მოშორებით მოჩანდა მეფის მოხელეების მიერ დადგმული თეთრი ძეგლი. მის ქვეშ იწვნენ მეფის ყაზახები, რომელთაც ნახევარი საუკუნის წინათ აჯანყებული ხალხი აკუწეს და აჩეხეს.

სოფლის დღევანდელი კრება არ გავდა ჩვეულებრივ კრებას. ხალხი დაუსრულებლად მოდიოდა. მოდიოდენ მამაკაცები და დედაკაცები, მოზარდები და ჭაბუკები. წინანდელ კრებებზე ქალები იშვიათად თუ გამოჩნდებოდენ, დღეს კი ჩვეულებრივზე ბევრად მეტი იკრიბებოდა. ისინი ცალკე ჯგუფებად გროვდებოდენ, ცხარედ ლაპარაკობდენ, ღელავდენ.

მოედანი გაიჭედა. აქა-იქ იდუმალი ჩურჩული გაისმოდა.

ამ დროს ეკლესიაში, რომელიც სოფლის საბჭოს მოშორებით იდგა, შეუმჩნევლად შეძვრენ მღვდელი და დიაკვანი. აიღეს ეკლესიაში ნოხი და მიხვეულ-მოხვეული კიბით სამრეკლოზე ავიდენ, საიდანაც მოედანი და იქ შეკრებილი ხალხი ხელისგულივით მოსჩანდა. გაშალეს ხალიჩა. მღვდელი მაშინვე მუცლით წამოწვა და წვერიანი ნიკაპი ხელებს დააბჯინა, დიაკვანი კი ორ სვეტს შუა დადგა.

თვალები თავმოყრილ ხალხს მიაპყრეს. ორივე შფოთავდა და ღელავდა. ეშინოდათ, ვაი თუ სასურველად ვერ დაგვირგვინებულიყო მათ მიერ დაწყებული შავბნელი საქმე. რამდენი ხანია უკვე მოტყუებით, სიცრუით და ჭორებით აღელვებენ ხალხს კომუნისტების, კომკავშირელებისა და კოლმეურნეობის წინააღმდეგ. და ახლა მოუთმენლად მოელოდენ ამ მუშაობის შედეგს — კრების ჩაშლას და არეულობას. მღვდელმა შენიშნა, რომ დიაკვანი ფეხზე იდგა.

— დაწექ, დაწექ, თორემ დაგინახავენ!

დიაკვანმა დაუჯერა და ისიც ნოხზე წამოწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს გაიყურებოდენ სულგანაბულნი. ბოლოს მღვდელმა პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— ვხედავ სეიდიყს, — სთქვა მან.

— სად?

— ცაცხვქვეშ, ხეზეა მიყუდებული. მაგრამ სელიმი არსად არა ჩანს...

— როგორ არა, აგერ მფილდის გვერდით დგას, — ანუგეშა დიაკვანმა.

— ქალები, ქალები, რამდენი შეიკრიბა! ხედავ, ზღვასავით ღელავენ... ღმერთო გვიშველე! — სთქვა გახარებულმა მღვდელმა და პირჯვარი გადაიწერა...

ასე ინუგეშებდენ თავს მღვდელი და დიაკვანი.

ამ დროს ეკლესიის პირდაპირ, მოედნის მეორე მხარეს, მოშორებით, ბუჩქნარში ვიღაცის ძაღლი მიძუნძულებდა. ერთ ბუჩქთან ძაღლი ერთბაშად შეჩერდა. მერე ყეფა ასტეხა. ძაღლი არ ეშვებოდა ბუჩქს, ხან მივარდებოდა, ხან განზე გადახტებოდა. მოედანზე ზოგიერთებმა ყურადღება მიაქციეს ძაღლის უცნაურ ქცევას.

— ზღარბი იქნება, — წარმოსთქვა ერთმა მოხუცმა.

— არა, გველია, — სთქვა იქვე მდგომმა ახალგაზრდამ, ამოიღო ბუდიდან რევოლვერი და გაემართა ბუჩქისაკენ.

ბუჩქის ძირში მიმალულიყვნენ მოლა ესიფი და კულაკი საბაყაი. ისინიც კრებაზე მოსულიყვნენ და რაკი ახლო მისვლა ვერ გაებედათ, შორიდან ადევნებდენ თვალს. ძაღლმა თავისი ყეფით ცივი ოფლი დაასხა ორივეს. ვერ იქნა ვერ გააჩუმეს: ხან მიუალერსეს, ხან დაუბღვირეს და კენჭები დაუშინეს, მაგრამ ძაღლი თავისას არ იშლიდა. ამ დროს მოლა ესიფმა შენიშნა მათკენ მიმავალი კაცი რევოლვერით ხელში.

— არიქა, თავს ვუშველოთ! რევოლვერიანი კაცი მოდის!... — სთქვა მან და ცოცვით წავიდა უკანა ბუჩქებისაკენ. მალე საბაყაიც დაედევნა.

ცოტა მოშორებით ბუჩქებითვე შემოსილი ღრმა ხევი იწყებოდა. ორივე ამ ხევისაკენ დაეშვა. ხევის ძირში მოსჩანდა სიგრძეზე გაწოლილი ჭაობი, რომელზედაც გადებული იყო ვიწრო მორი. საბაყაიმ, რომელმაც ამ დროს გაუსწრო მოლას, გაირბინა მორი, ხოლო მოლას ზედ შუა ხიდზე ფეხი დაუსხლტა და წელამდე მწვანე წუმპეში გადაეშვა...

— ალახ, ალახ! — წამოიძახა მოლამ სასოწარკვეთილებით.

— რა დაგემართა? ვერ ხედავ მორს? თვალები სად გქონდა? — უსაყვედურა საბაყაიმ და უშველა ტალახიდან ამოსვლა.

ნაპირზე მოლა ესიფი შეუდგა ჯოხით კალთების წმენდას, მაგრამ საბაყაიმ აღარ დააცადა.

— მერე, მერე! — უთხრა მან და ტყისაკენ წაიყვანა.

* * *

ბიბლიოთეკა

სოფლის საბჭოში მაგიდასთან ისხდენ თავმჯდომარე და კუბრიცი. შევარდა კუჭირი.

— არ მომწონს დღევანდელი კრება! — წარმოსთქვა მან და მიუჯდა მაგიდას.

— რატომ?

— დიდძალი ხალხი იკრიბება, ჩურჩულებენ, ღელავენ...

კუბრიცი და თავმჯდომარე ფანჯარასთან მივიდენ მოედანი გაჭედილი იყო. ბევრი მოუსვენრად დაძვრებოდა ხალხში.

— მართლაც, რაღაც ამბავია!.. — ჩაილაპარაკა კუბრიცმა. — სისულელე არავინ ჩაიდინოს! — მერე კუჭირს მიმართა: — კომკავშირის აქტივი აქ არის?

— აქ არის.

— შეიძლება ცხარე კამათი მოგვიხდეს. ფხიზლად იყავით... ღარიბი გლეხები უფრო გაბედულად უნდა გამოვიდენ. — მცირე ფიქრის შემდევ სთქვა, — მოგვისწრებს კი ტრაქტორი? — მერე დაუმატა: — გავხსნათ კრება.

და გავიდენ გარეთ.

მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდა.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა კუბრიცი შეკრებილებს.

— მშვიდობით გამყოფოს! — გაისმა ყოველი მხრიდან.

კუბრიცი, თავმჯდომარე და კუჭირი მაგიდას მიუსხდენ. მფილდიმ, თავმჯდომარის მოადგილემ, ჩვეულებისამებრ, მაგიდის ბოლოში დაიჭირა ადგილი, მერე თვალი გადაავლო ხალხს, ჩაახველა, განზე გადააფურთხა და ჩიბუხის გატენა დაიწყო.

ხალხი მაგიდის ირგვლივ შეჯგუფდა. სეიდიუმა კვლავ გაიკვლია გზა მაგიდისაკენ.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა კუბრიცს და ხელი ჩამოართვა.

— ვაცხადებ კრებას გახსნილად! — გაისმა თავმჯდომარის მაღალი ხმა: — თუ არის ვინმე აქ უფლებააყრილი, ვთხოვ კრება მიატოოს.

შეკრებილებმა ერთმანეთს გადახედეს. არავინ არ ფიქრობდა წასვლას.

— ყეიმითხან, შეგიძლია წახვიდე! — გადასძახა კუჭირმა.

— რა დაგიშავე, მე არ დასაცალებელო? რა გინდა ჩემგან? — შეუკურთხა ყეიმითხანმა, რომელიც ქალებს შუა იდგა სარივით აყუდებული.

— დარჩეს, დარჩეს!.. — ახმაურდენ ქალები. მათ ბანი მისცა თითოოროლა შეძლებულმა და მოკულაკემ.

— უფლება არა აქვს დარჩეს კრებაზე! რამდენჯერ გვითქვამს აიღოს ხელი მკითხაობაზე. ეგ მაინც თავისას არ იშლის, ატყუებს და ყვლეფს ხალხს! — სთქვა თავმჯდომარემ.

— უნან, მე ვატყუებ და ვყვლეფ ხალხს? რატომ ენა არ დაგიდუმდება მაგისთვის! — არ ისვენებდა ყეიმითხანი.

— ხე-ხე-ხე! — გადიხარხარა მფილდიმ და გადახედა ყეიმითხანს: — აღარ გახსოვს, ჩემი სისულელით შარშან შენთან რომ [illegible] სამი მანეთი გაძლიე, შენ კი ხუთი მომთხოვე...

— მე მოგთხოვე?

— ჰო შენ! შენა ხარ მკითხავი, მე ხომ არა!

— რატომ მეხი არ ჩაგიტანს მიწაში! მე წავალ... მაგრამ...

— დარჩი, დარჩი! — კვლავ დაიძახეს ქალებმა.

— რას ჩააცივდით ყეიმითხანს? დარჩეს ისიც, თუ არა და ყველანი წავალთ! — წამოიძახა ერთბაშად თეთრმოსახვევიანმა დაბალ-დაბალმა ქალმა.

— მოიცა, ელანა! — მიუგო თავმჯდომარემ. — წასვლას ყოველთვის მოასწრებ... რატომ ესარჩლები სხვებს? ჩვენ თუ ვამბობთ და ვაკეთებთ რამეს, ჩავდივართ ამას მშრომელთა დასაცავად მატყუარებისაგან.

ყეიმითხანს აღარავინ გამოსარჩლებია, მაგრამ თითონ არ ისვენებდა: იწყევლებოდა და ილანძღებოდა.

— მე თითონ არ დავრჩები აქ... ათასი მანეთი რომ მომცეთ, მაინც არ დავრჩები!.. — სთქვა ბოლოს, ხელების ქნევით გამოვიდა და გზას გაუდგა.

— სიტყვა ეკუთვნის კუბრიცს, — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

— არ გვინდა, ნან, არ გვინდა! — წამოიძახა ამ დროს ერთმა ქალმა.

— რა არ გინდა? ჯერ ხომ არაფერი არ მითქვამს, — გაიცინა კუბრიცმა.

გაეცინა სხვებსაც.

— რას ეჩრები? — მისცვივდენ იმ ქალს მახლობლად მდგომნი — ყველანი შეგვარცხვინე!..

— სად არის ხსა? — იკითხა ვილაცამ ქალების წრეში.

— ჯერ არ მოსულა, უნან.

— ის გვიხსნის... გაბედული ქალია, ლაპარაკი იცის...

— რატომ იგვიანებს? — ეკითხებოდენ ერთმანეთს ქალები.

კუბრიცმა დაიწყო თავისი სიტყვა. ლაპარაკობდა ხმამაღლა, ხელების ქნევით. ხშირად მიმართავდა შედარებებს, ანდაზებს, სახეებს, რაც უფრო დამაჯერებელს ხდიდა მის სიტყვას.

— კარგად ლაპარაკობს, დად, კარგად! შენ რას იტყვი? — ჰკითხა ერთმა მოხუცმა მეზობლად მჯდომ სელიმს.

— წიგნიდან ლაპარაკობს, წიგნიდან *), იმიტომ გამოდის კარგად, — მიუგო გესლიანად სელიმმა.

*) ე. ი. ჩაწერილი აქვსო.

საქმის გასაშუქებლად კუბრიცი მოკლედ შეეხო სოციალისტურ მშენებლობას. ეს მშენებლობა მან დაუკავშირა რესპუბლიკის, რაიონის და სოფლის წინაშე დასახულ ამოცანებს. ხალხი სულგანაბული და დიდი ყურადღებით უსმენდა. კიდევ დიდხანს ილაპარაკა კუბრიცმა, მაგრამ ახსენა თუ არა კოლმეურნეობა, სიჩუმე ერთბაშად [illegible] შეინძრა, შეირხა, აგუგუნდა, თითქოს ქარიშხალმა გადაუარა ტყესო. საერთო ყაყანსა და განგაშში სმენას აყრუებდა რომელიღაც ქალის კივილი:

— არ გვინდა, არ გვინდა კოლმეურნეობა! ნუ გაგვაგონებთ კოლმეურნეობას!

**სხვა მხრიდან მოისმოდა მამაკაცის მჭექარე ყვირილი:**

— ჰაიტ!.. აი რისთვის შეგვყარეს!.. კოლმეურნეობისათვის!.. არ გვინდა, გესმით თუ არა!.. ჰაიტ!..

— დაწყნარდით!.. მოისმინეთ ბოლომდე!.. — გადასძახა კრებას თავმჯდომარემ.

მაგრამ მას ყურს არ უგდებდენ. ყვირილი, ღრიანცელი, აურზაური მატულობდა. ღარიბი გლეხები, კომკავშირის აქტივი, საშუალო გლეხთა ნაწილი ცდილობდენ ბრბოს დამშვიდებას, სიწყნარის ჩამოგდებას. დადიოდენ ხალხში, ხან აქ, ხან იქ ეკამათებოდენ მყვირალებს და შფოთის ჩამომგდებებს, ხელების ქნევით უმტკიცებდენ რაღაცას...

სეიდიყი სიხარულით ცას ეწეოდა. გავარვარებული თვალებით შეჰყურებდა ბრბოს და გულში ნატრობდა, რომ აღშფოთებულ ხალხს წაელეკა მაგიდა და მის გარშემო მსხდომნი კუბრიცი, კუჰირი, თავმჯდომარე და მდივანი. იმავე დროს თვალთმაქცურად, თითქოს აღშფოთებული წამოიძახებდა ხოლმე:

— ვის გაუგონია ასეთი ამბავი! დაწყნარდით, დადრააა!

სელიმი ხალხში დაძვრებოდა და აქეზებდა თავისიანებს.

მისა გონება-დაბნეული, გაშტერებული იდგა და უაზროთ თვალებს აცეცებდა. ვერ 'გაებედა ლაპარაკი ვერც კოლმეურნეობის სასარგებლოდ და ვერც მის წინააღმდეგ. ყაზილბაკის „ტყვიამ“ შებოჭა, ენა დაუდუმა.

— განა ეს საქმეა?! — სთქვა კუბრიცმა მტკიცედ და ხმამაღლა, როდესაც ყვირილი მიწყნარდა.

— არ გვინდა კოლმეურნეობა, არა! — დაიძახა სელიმის გვერდზე მდგომმა ყუნთამ. მაგრამ ეს უკვე ერთეული წამოძახილი იყო და ყუნთას არავინ აღარ გამოეხმაურა.

— ადამიანები ვართ და არა ნადირები! — განაგრძო კუბრიცმა. — ჯერ მოისმინეთ წყნარად, მერე კამათი დაიწყება და მაშინ წარმოსთქვას, ვისაც რა უნდა!

— სწორია, დად, სწორია! — გაისმა ხალხში.

— ნუ დავაცდით ლაპარაკს, თორემ ყველას თავისკენ გადიბირებს! — წასჩურჩულა ერთმა ქალმა მეორეს.

— მე რას ჩამციებიხარ, თქვი თითონ შენ, რაც გინდა! — მიუგო მან.

კუბრიცი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ყველაფერს, რაც მოედანზე ხდებოდა. ზოგიერთები სარგებლობდნენ ხალხის ფეხზე დგომით, დაძვრებოდნენ და აქეზებდნენ ნაცნობ-მეგობრებს. კუბრიცმა [illegible] ყველას დამუნჯდარიყო. ხანგრძლივი დგომით დაქანცული ხალხი ერთბაშად დაეშვა მიწაზე.

კუბრიცმა არ იცოდა პირდაპირ დაეწყო ლაპარაკი კოლმეურნეობაზე, თუ შორიდან მოევლო. გადასწყვიტა დასდგომოდა ამ მეორე გზას.

— საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა მიწები ყაზილბაკს, სოსრიყვას და სხვა თავადებსა და აზნაურებს და დაგიბრუნათ თქვენ. სწორია თუ არა?

— სწორია, დად, სწორი! — დაუდასტურეს აქეთ-იქიდან.

— არ უნდა ჩამოგვერთმია მიწები... — სთქვა კუბრიცმა.

— როგორ, დად?.. რატომ?.. ხუმრობ თუ? — გაისმა ყოველი მხრიდან. კუბრიცმა წყნარად და სერიოზულად განაგრძო:

— თუ თქვენ თქვენივე ხელისუფლების წინააღმდეგი ხართ, თუ ხელახლა გინდათ დაიდგათ კისერზე თავადებისა და აზნაურების უღელი, უკანვე დუბრუნებთ მათ ჩამორთმეულ მიწებს... და ყაზილბაკი ხელახლა მოიკალათებს სოფლის საბჭოს შენობაში, თავის სახლში...

— ღმერთმა ნუ ქნას! — დაიძახა ვილაცამ.

— ჩვენ კოლმეურნეობის წინააღმდეგი ვართ და არა საბჭოთა ხელისუფლების! — დაიძახა მეორემ.

— მერე რატომ ხარ კოლმეურნეობის წინააღმდეგი? — ჰკითხა კუბრიცმა.

ის სდუმდა, რადგან თითონაც არ იცოდა — რატომ.

— კაცი ზოგჯერ თავისი თავის მტერია, — დაიწყო ისევ კუბრიცმა — და ხდება ეს მაშინ, როცა არ ესმის, რა არის კარგი და არის ცუდი, და არც უნდა გაიგოს, რას ურჩევენ ისინი, ვისაც მისთვის კეთილი უნდა, როცა ყურს უგდებს ჭორებსა და ზღაპრებს... განა ჩვენც ასე არ ვიქცევით? ჩვენ მზად ვართ ყური დავუგდოთ არა ჩვენთვის კეთილის მოსურნეებს, არამედ ყაზილბაკს, სოსრიყვას, საბაყაის, ყელამათს — ჩვენ მტრებს, რომლებიც აი აქ, კისერზე გვესხდნენ!

— სწორია, დად, სწორი! — მოისმა ხალხიდან.

— ქათამმა ჩიჩქნა მიწა და თავისი ყელის გამოსაჭრელი დანა გამოჩიჩქნაო. ჩვენც ასე ვიქცევით! — დაუმატა მეორემ.

მოწინააღმდეგენი ხედავდნენ, რომ საქმე ცუდად მიდიოდა. გულში ლანძღავდნენ კუბრიცს იმისათვის, რომ მან ხალხი დასხა, ველარ ახერხებდნენ გაძრომ-გამოძრომას და ხალხის წაქეზებას. ყუნთა მოუსვენრად ტოკავდა ერთ ადგილზე. სელიმმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, მო-

შორებით მჯდომ შეძლებულ გლეხს ქაჭბეის მიუჩოჩდა და რაღაც წასჩურჩულა. სეიდიყი თავის მოუსვენარ თვალებს აშტერებდა ხან ერთ თანამოაზრეს, ხან მეორეს — აბა, ხმა ამოიღეთო. ვეღარც ქალები ახერხებდენ ჩოჩქოლს და აურზაურს. შეძლებული გლეხმა [illegible] ხანიფამ თითი წაჰკრა მეზობელს და ჩურჩულით მიმართა:

— ხედავ, ჩააჩუმა ყველანი... დავიწყოთ! დავიწყოთ! სწორედ ამ დროს გამოჩნდა ხსა. მის დანახვაზე ქალთა ერთი ჯგუფი წამოიშალა. აქეთ-იქიდან ეკითხებოდენ:

— სად დაიკარგე, შე ქალო?

— რატომ დაიგვიანე?

— საქმე ცუდად მიდის და შენ კი ეხლა მოხვედი!

— არ გილაპარაკნიათ?

— ვილაპარაკეთ... ვიყვირეთ... და გავჩუმდით... აბა შენ იცი ეხლა! ამით წაქეზებულმა ხსამ ხელი გაიშვირა მაგიდისაკენ და დაიძახა,

— სიტყვის ნება მომეცით! — და აღარ დაუცადა თავმჯდომარეს, დაიწყო ლაპარაკი: — რის კოლმეურნეობა? რომელი კოლმეურნეობა? რა გამოგიგონიათ?! ნავთი არ არის... საპონი არ არის... არაფერი არ არის... კოოპერატივი ცარიელია! ფუ, ასეთ კოოპერატივს!.. დეე ისევ ვაჭარი კოსტა მოვიდეს!.. ასე არ არის? — მიუბრუნდა ქალებს და მათაც ხელებისა და თავების ქნევით მოუწონეს ნათქვამი.

ამაოდ ცდილობდა თავმჯდომარე ხსას შეჩერებას, ის თავისას განაგრძობდა:

— უკაცრავად ვარ თქვენთან, მამაკაცებთან, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა... აი ეს კაბა უკანასკნელია, შიშველი... — აქ ჩაფიქრდა, მერე, მიუბრუნდა ქალებს და შეეკითხა: „ვთქვა თუ არაო“.

— თქვი, თქვი ყველაფერი! — გაამხნევეს აქეთ-იქიდან.

— ეს კაბა, — და წაივლო ხსამ კაბაზე ხელი, — უკანასკნელია... ქვეშ არაფერი გვაცვია... შიშველი ვართ... ნიფხვები არა გვაქვს...

— ნუ აიწევ კაბას, ნუ, შე სულელო, სირცხვილია! ხე-ხე-ხე! — ჩაიცინა მფილდიმ.

გაისმა საერთო ხარხარი.

— გაიკმინდე ხმა, მფილდი! შენ ყოველთვის კომუნისტებს უჭერ მხარს! — იკბინებოდა ხსა. — ნიფხავი არ გვაცვია, ნიფხავი, თქვენ კი კოლმეურნეობაო!.. არ გვინდა კოლმეურნეობა!

— არ გვინდა, არა! — დაიძახა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყუნთამ. მას ბანი მისცეს სხვებმა და ატყდა საერთო ხმაურობა, ყვირილი, სტვენა. ხალხი წამოიშალა. ზოგმა მაგიდისკენ გაიწია.

საერთო მასაში მტრულად განწყობილნი დიდ უმცირესობას შეადგენდენ. უმეტესობა — კომკავშირელები, ღარიბი გლეხები და საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხთა ნაწილი — ხმას არ იღებდა. ისინი ჩუმად ისხდნენ და ყურს უგდებდნენ სხვებს. მაგრამ ახლა მათაც გამოიღეს თავი.

— შენ რა გაყვირებს? — დაეტაკა კომკავშირელი ერთ საშუალო გლეხს — რა დაგიშავა საბჭოთა ხელისუფლებამ?

— მე... არა... სხვები ყვირიან...

— ჭკუა სად დაკარგე! — შეუტია ქობლუხმა ყუნთას, რომელიც ყველაზე მაღლა ყვიროდა. — ვის წინააღმდეგ ილაშქრებ? ვის გინდა მიუსიო ბრბო?

ყუნთამ შეხედა ქობლუხს, შერცხვა და ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

— ჰაიტ! რა გიყრია მაგ თავში? — ეჩხუბებოდა ვიღაცას ღარიბი გლეხი მახაზი. — ჩვენ მტრებს ეხმარები შენ! ფუი!

— დაიწით უკან დაიწით! — დაუყვირა მაგიდასთან შეჯგუფებულ ბრბოს ოსმანმა. — რას ჩადიხართ! სად დაკარგეთ გონება!

სეიდიყმაც საჭიროდ დაინახა ხმის ამაღლება:

— დაწყნარდით, დადრაა, დაწყნარდით!.. მოუსმინოთ კუბრიცს ბოლომდე...

— დასხედით, დასხედით! — გაისმა სხვადასხვა მხრიდან.

ხმაურობა თანდათან მინელდა. ხალხი დასხდა.

კუბრიცმა თვალი გადაავლო ხალხს და წყნარად სთქვა:

— არ ვარგა, როცა სხვის თავით ფიქრობ კაცი... უფრო ცუდი იქნება, თუ აი ამ ხსას ავყვებით და დაუჯერებთ...

ხსამ თავი დახარა. პირველმა ატაცებამ გაუარა. ეხლა იგი სირცხვილს გრძნობდა.

— ხსა ღარიბია, ქვრივია, წვრილშვილის პატრონი, — განაგრძო კუბრიცმა. — ჩვენ არა ერთხელ დავეხმარეთ მაგას... ეხლა კი გამოდის და სხვის ჩაგონებულს იმეორებს...

— ყეიმითხანის ჩაგონებულს! — დაიძახა კუჭირმა.

„საიდან გაიგო მაგ დასამიწებელმა!“ — გაიკვირვა ხსამ და გაახსენდა ყეიმითხანი, რომელიც წუხელ თითქმის გათენებამდე ეჩიჩინებოდა.

— რისთვის შევიკრიბეთ დღეს? — დაიწყო ისევ კუბრიცმა. — იმისთვის, რომ განვიხილოთ ჩვენი მთავრობის წინადადება, მოვილაპარაკოთ მეურნეობის წარმოების ახალ ფორმაზე. ჩვენმა მამებმა და პაპებმა თავი ვერ დააღწიეს სიღარიბეს... ჩვენც დღე და ღამ ვმუშაობთ ამ მიწაზე, მაგრამ მაინც ვერ ამოვძვერით სიღარიბიდან. რატომ? იმიტომ, რომ ძველებურად ეჩიჩინით მიწას კავით... არ ვასუქებთ, ნაკელს არ ვაყრით... გამოიფიტა მიწა, მოსავალს არ იძლევა... ასე ცხოვრება აღარ შეიძლება! ჩვენ ხელისუფლებას, სურს დაგვეხმაროს მეურნეობის გაუმჯობესებაში. მაგრამ მეურნეობის გაუმჯობესება, მისი ამაღლება შეიძლება არა კავით, არამედ ტრაქტორით, სასოფლო-სამეურნეო იარაღით...

— ჭკუა არა გვაქვს, დად, ჭკუა! — ჩაილაპარაკა ლორიბმა გლეხმა ხაზარათმა.

— არ ვიცით, რა არის კარგი ჩვენთვის და რა არა! — ჩაურთო მეორე გლეხმა.

— უმადურები ვართ, უმადურები! — წარმოსთქვა მესამემ.

— ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო იარაღი არ მოგვივა აქ ყუნთას ერთ მტკაველა მიწაზე სამუშაოდ, — დაიწყო კვლავ კუბრიცმა. ყუნთამ თავისი სახელის გაგონებაზე კისერი დაიგრძელა და ყურები ცქვიტა. — ერთი კაცის მიწაზე ტრაქტორი ვერ იმუშავებს. მას ბევრი მიწა სჭირია... აი, შენ ყუნთა, — მიმართა კუბრიცმა, — დღეს ყველაზე უფრო ყვირი და შფოთავ...

— მეე?

— ჰო, შენ... მითხარი ერთი, რამდენ დღეში მოხნავ კავით ერთ დესეტინას?

ყუნთა დაფიქრდა. მერე მიუგო:

— სამ დღეში.

— ტრაქტორი კი სამ საათში მოხნავს...

— ალახ, ალახ! — გაიკვირვა ყველამ.

— ასე აადვილებს ტრაქტორი გლეხის შრომას!.. — წარმოსთქვა კუბრიცმა. — როცა ახალი წესით დავიწყებთ მუშაობას, მაშინ ყველაფერი გვექნება, ტრაქტორებიც, მანქა...

— ეგ ხომ კოლმეურნეობაა! — დაიძახა ვილაცამ.

— ეს არის მიწების ერთად დამუშავება, — მიუგო კუბრიცმა, — ეს არის გაერთიანება...

ამ სიტყვებზე მაგიდასთან ახლო მჯდომმა მოკულაკო სმეილმა ულვაშებში ჩაიცინა, მეზობელს რაღაც წასჩურჩულა და კუბრიცს მიმართა:

— დად კუბრიც, გვითხარი, რა უნდა გავაერთიანოთ? — სთქვა ეს და თვალი ჩაუკრა მეზობელს, ვითომ ამ საათში დავიჭერ კუბრიცს ტყუილშიო.

— რა და მიწები, მუშა-საქონელი და სასოფლო-სამეურნეო იარაღი.

— ე-ე, კუბრიც, ყველაფერს არ ამბობ... გვიმალავ, გვიმალავ... ხი-ხი-ხი! — ჩაიცინა სმეილმა და კვლავ თვალი ჩაუკრა მეზობელს.

— არაფერსაც არ გიმალავ, ეგ შენი მოგონებაა ან ვილაცამ მოგატყუა...

— ხი-ხი-ხი! იცი, კუბრიც, მაგრამ არ ამბობ...

— შენ თითონ თქვი, რაც გითხრეს! — დაუყვირა ანთებული თვალებით კომკავშირელმა.

— მე მითხრეს?

— ჰო გითხრეს! სახეზე გატყობ, რომ ვილაცამ ტყუილებით გაგბერა! თქვი, ვინ გითხრა და რა გითხრა?

სმე ლი დაიბნა და უმწეოდ აქეთ-იქით იყურებოდა.

— ეგ თუ არ ამბობს, მე ვიტყვი! — არ ისვენებდა ყუნთა. — კოლმეურნეობა ყველაფერს წაილებს: სახლკარს, პირუტყვს, ქათმებს, ბატებს, იხვებს... ყველაფერს!..

ბიბლიოთეკა

— არ გვინდა კოლმეურნეობა! — წამოიძახა ვიღაცამ.

და კვლავ გაიჭედა ჰაერი ყვირილით და ხმაურით:

— ყაზარმებში შეგვრეკენ ყველას!

— ერთ ლოგინში ჩაგვაწვენენ!

— ერთ დიდ საბანს გადაგვაფარებენ!

— ჯერ ძროხებს, ცხენებს, კამეჩებს გაგვაერთიანებინებენ, მერე ცოლებს! — წამოიძახა ვიღაცამ უკანა რიგებიდან.

ამის გაგონებაზე ქალებმა ერთი აურზაური ასტეხეს.

ერთმა ქალმა თავის მეზობელს ხელი წაჰკრა და სიცილით წასჩურჩულა:

— იქნებ უკეთესიც იყოს ეგ! რას იტყვი?

— შენ იმიტომ ამბობ მაგას, რომ ბებერი ქმარი გყავს, ჩემი ქმარი კი ახალგაზრდაა! — მიუგო მან.

— უი, წყალმა კი წაგიღოს!

— წავიდეთ! წავიდეთ! არ გვინდა მაგათი კოლმეურნეობა! — დაიყვირა ხალხიდან ერთმა გლეხმა.

— წავიდეთ! დეე თითონ შევიდენ კოლმეურნეობაში! — გამოეხმაურენ მას სხვებიც.

ხალხი აიშალა. ბევრი წასასვლელად მოემზადა.

ამ დროს საიდანღაც გადმოხტა და მაგიდის წინ სარივით დაერჭო თემირი. გაისმა მისი ძლიერი, მჭექარე ხმა. წასასვლელად მომზადებულნი შეჩერდნენ. ყველამ მაგიდისკენ იბრუნა პირი.

— „მრუდე კაკლის“ ახალის გლეხთა ერთი ჯგუფის სახელით ვუცხადებ კრებას, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ შევუერთდეთ და საერთო ძალღონით დავამუშაოთ ჩვენი მიწები...

ძლიერმა ტაშმა დაფარა თემირის სიტყვები. ტაშს უკრავდნენ კომკავშირელები.

სიღიღყი ამ დროს თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. თემირმა კი უფრო მაღალი ხმით განაგრძო:

— ტყუის ის, ვინც ამბობს, რომ კოლმეურნეობაში ყველაფერს აერთიანებენო. აი ჩვენ გავაერთიანეთ მხოლოდ ის, რაც საჭიროა საერთო მეურნეობისათვის: ჩვენი მიწები, მუშა-საქონელი, გუთნები და სახნისები. ეს არის სულ. დანარჩენი ჩვენვე გვრჩება.

— ვინ გაერთიანდით? — იკითხეს ხალხიდან.

— მე, ქობლუხი, ბაზალა და სხვები! — მიუგო თემირმა.

— ჰაიტ! სულ წყალწაღებული ხალხია! მკვდარსაც ვერ დაიტირებენ და ვერ დაასაფლავებენ ეგენი!

— ჩვენ სიკვდილს არ ვფიქრობთ, ჩვენ კარგი ცხოვრების მოწყობას ვაპირებთ! — მიუგო თამამად ქობლუხმა.

— ნებას არ მივცემთ! — დაიძახა ყუნთამ.

— აბა ერთი გაბედე! გიკრამ თავს, სადაც საჭიროა! — დაუყვირა თავმჯდომარემ.

სეიდიყი კვლავ მოტყუვდა. ერთხელ კიდევ გაუცრუვდა იმედი. მისი და მისი ამხანაგების საქმე აშკარად ჩაიშალა. სისხლი ყელში ებჯინებოდა. თვალთ უბნელდებოდა. მაგრამ ეჭვი რომ არავის მიეტანა, რამდენიმე სიტყვა მაინც წამოისროლა:

— დადრაა... ხელს ნუ შეუშლით... თუ მათ ნებაყოფლობით მოისურვეს, დეე იმუშაონ...

კუბრიცმა იგრძნო სიყალბე სეიდიყის სიტყვებში და შეხედა.

— დეე იმუშაონ, — გაიმეორა სეიდიყმა და თვალი კუბრიცისაკენ გააპარა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. სეიდიყმა უნდობლობა ამოიკითხა კუბრიცის სახეზე, სწრაფად მიიბრუნა პირი და გაბრაზებულმა კბილები დააკრაჭუნა.

ამდროს შორიდან გუგუნი მოისმა. მოხუცმა მზოუჩმა ყურში თითი ჩაიყო, ხომ არაფერი ჩამივარდაო.

— რა გუგუნებს? — ჩაილაპარაკა მისმა მეზობელმა.

— შენ ყურშიაც გუგუნებს, დად? — ჰკითხა მზოუჩმა.

— ყურში კი არა, მზოუჩ, სადღაც სხვაგან გუგუნებს! — მიუგო მან.

— აეროპლანი ხომ არ არის! — წამოიძახა მათ გვერდით მჯდომმა, ხელი შუბლზე მიიდო და ზევით აიხედა.

კუბრიცი თვალს ადევნებდა, უნდოდა გაეგო, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს გუგუნი. შემდეგ ღიმილით სთქვა:

— აეროპლანი კი არა, ტრაქტორია... გაიგო, რომ კოლმეურნეობა ეწყობა ჩვენს სოფელში და მოდის, — იოხუნჯა მან.

— ტრაქტორი?.. სად არის, სად? — გაიკვირვა ყველამ.

გუგუნი ძლიერდებოდა. ახლა უკვე გარკვევით ისმოდა იგი შარაგზიდან.

— დასხედით, დასხედით! თითონ ტრაქტორი მოვა აქ! — დაიძახა საბჭოს თავმჯდომარემ. მაგრამ მას ყურს აღარ უგდებდენ.

ჯერ პატარა ბიჭები გაიქცნენ შარაგზისაკენ. მალე მათ დიდებიც დაედევნენ. უზარმაზარ ცაცხვის ქვეშ ოთხი კაცი-ღა დარჩა: კუბრიცი, კუჭირი, თავმჯდომარე და მფილდი. მფილდიმ ვეღარ მოითმინა. პირველი წამოხტა და კარგი სარდალივით გაუძღვა დანარჩენებს.

ტრაქტორი უკვე გამოჩნდა შარაგზაზე. წინ რადიატორზე პატარა წითელი დროშა ფრიალებდა. ტრაქტორი უზარმაზარ შავ კუსავით მობობ-

ლავდა. ჰაერი თრთოდა მისი გუგუნისაგან. ხეებიდან აფრენილი ჩიტები თავზე დასტრიალებდენ და თვალს არ აშორებდენ ამ უცნაურად მოგუგუნე საშინელებას. გზასთან ცხენი სძოვდა. გუგუნზე თავი აწია და შეხედა ტრაქტორს. უცბად მოსწყდა ადგილს და ქვემოთკენ დაეშვა. მერე გაჩერდა, მოტრიალდა, ხელახლა შეხედა, დაიჭიხვინა და კვლავ მოუსვა.

ტრაქტორი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ხალხი იყო თავმოყრილი. ერთხანს მან სუნთქვას მოუხშირა, მერე მძლავრად ამოიხვნეშა და გაჩერდა. ახალგაზრდა, გამტვერიანებული ტრაქტორისტი ფეხზე წამოდგა.

— დილა მშვიდობისა!

— მშვიდობით შენი მოსვლა!

— ვინაა ეგ?

— უნან, ეგ ხომ ჩვენი ოზამატის შვილია!

— ჰო! ის არის!

— დად, ჩვენ გვეგონა შენ სოხუმში სწავლობდი... სადაური ცხენით მოხვედი? — ჰკითხა ღიმილით ჩახმათმა.

— განა ეს სწავლა არ არის, ჩახმათ? შევიძინე ცოდნა და შევისწავლე ტრაქტორი, რომ ვამუშაო ჩვენი სოფლის გლეხებისათვის, — მიუგო მან ღიმილით: — აი მოგიყვანეთ ეს ფოლადის ცხენი ჩვენი მეურნეობის ასამაღლებლად.

— ალახი იყოს შენი შემწე, დად!

— მაგრამ ეს ფოლადის ცხენი ერთი კაცისათვის არ მუშაობს. ბევრი მიწა უყვარს მას.

— კოლმეურნეობა უნდა, კოლმეურნეობა! — იოხუნჯა ვილაცამ.

— სწორედ, სწორედ! თუ კოლმეურნეობა არ იქნება, უკანვე დაბრუნდება.

— არის, არის კოლმეურნეობა!

— მაშინ დარჩება აქ და იმუშავებს! — მიუგო ღიმილით ახალგაზრდა ტრაქტორისტმა.

სეიდიყი მოღუშული შეჰყურებდა ტრაქტორს, რომელმაც შეიძლება აფიქრებინოს გლეხებს მისი მიწების მითვისება და მოხვნა. სელიმმა რაღაც წასჩურჩულა ყუნთას. ამ უკანასკნელმა მიმართა ახალგაზრდა ტრაქტორისტს:

— ტრაქტორი, დად, ჩვენი მიწებისათვის არ გამოდგება...

— ვინ გითხრა მერე, ყუნთა, ეგ? კულაკმა თუ ყაზილბაკმა, ჰა? — მიუგო ტრაქტორისტმა. — აბა ვნახოთ, გამოდგება თუ არა! ვისია ეს მიწა?

— ჩემი, დად! — სთქვა ერთმა გლეხმა.

— შეიძლება?

— შეიძლება, დად, შეიძლება, რაღას მკითხავ!

— აბა, ჩემო ცხენო, მოემზადე! — სთქვა ღიმილით და დააჭირა ხელი ფოლაქს. ტრაქტორმა შეჰყვირა, თითქოს მოსყიდულ ყონთას შეუტიაო.

ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ ხალხი დაფრთხა...

— ალახ, ალახ! — მოისმა აქეთ-იქიდან.

ტრაქტორი გადასცდა გზას და ყანაში შევიდა. ტრაქტორისტი გადმოხტა, გაასწორა უკან მიბმული გუთანი და კვლავ შეახტა ტრაქტორს.

— აბა, გასწი ეხლა!

ტრაქტორი დაიძრა. სამსაკვეთიანი გუთანი ღრმად ჩაიჭრა მიწაში და ბელტო ბელტოზე გადააბრუნა. ტრაქტორი ბოლოში გავიდა, მერე ნახევარი წრე გააკეთა, უკან დაბრუნდა, კვლავ ამოიხვნეშა და გაჩერდა.

ტრაქტორისტი ფეხზე წამოდგა და აღფრთოვანებული დიდხანს ლაპარაკობდა. ხალხი არ იშლებოდა, ყურადღებით ისმენდა ახალ სიტყვას. ოზამატის შვილი ლაპარაკობდა ტრაქტორის მნიშვნელობაზე, რკინის ფარცხის, კულტივატორის და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღის მნიშვნელობაზე. ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ ცდილობს საბჭოთა ხელისუფლება მანქანების შეტანას სოფლის მეურნეობაში, გლეხის შრომის გაადვილებას, მოსავლიანობის გადიდებას...

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, მისმა სხივებმა ალისფრად შეღებეს მთები და გორები, მაგრამ ტრაქტორისტი დაუღალავად, ახალგაზრდული გატაცებით, აღფრთოვანებით განაგრძობდა ლაპარაკს ახალ ცხოვრებაზე... ყველა სულგანაბული უსმენდა. ბევრის გულში დნებოდა, ლხვებოდა მტრული აგიტაციის შედეგად დაგროვილი ყინული.

უკვე ბინ-ბუნდი მოეფინა არემარეს, როდესაც საღამოს სიჩუმე დაარღვია კომკავშირულმა სიმღერამ.

სეიდიყი დაძმარებული გაუდგა გზას. უკანიდან ფეხის ხმა მოესმა. მოიხედა.

— შენა ხარ, სელიმ?

— მე ვარ!

ჩუმად განაგრძეს გზა. გულზე მოწოლილი ბოღმა ორივეს ენას უბორგავდა. ეკლესიასთან გადაუხვიეს და შეუმჩნევლად კარებში შეიმალნენ.

— დავიღუპეთ! — ჩაწყვეტილი ხმით შეხვდა მათ ხუცესი.

— დავმარცხდით! — მიუგო სასოწარკვეთილებით სეიდიყმა.

— ეხლა რა უნდა ვქნათ? — შეეკითხა ხუცესი.

— რა უნდა ვქნათ? ძირი უნდა გამოუთხაროთ კოლმეურნეობას, ვავნოთ ყოველნაირად...

— ტრაქტორი უნდა დავამსხვრიოთ... დავლეწოთ!.. — ჩაურთო სელიმმა.

— სწორედ, სწორედ!.. გადავწვათ ყაზარმა, თუ ააშენეს... და თუ ეს არ უშველის, უნდა ჩავიდინოთ ის, რაც ყაზილბაკმა სთქვა...

— ტყვია შუბლში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ტყვია შუბლში!
— გაკურთხოთ მაღალმა ღმერთმა! — დალოცა ხუცესმა.
— ამინ, ამინ! — დაარტყა ბეჟედი დიაკვანმა.

## თავი XI

მზის ამოსვლისთანავე უცნაურმა გუგუნმა დაარღვია დილის სიჩუმე მრუდე კაკლის ახაბლაში. ხშირ ფოთლიანში ჩიტებმა ერთბაშად შეწყვიტეს თავიანთი დილის გალობა. სამაგიეროდ აყაყანდენ ქათმები, სადღაც უცნაურად შეჰკივლა ბატმა, თხმელის ტოტზე შესკუპებულმა მამალმა აღარ დაამთავრა თავისი „ყიყლიყო“, და მეზობელი მამლები ამაოდ ელოდენ გამოხმაურებას. შეშფოთებულმა ძროხებმა შებღავლეს, სეიდიყის ცხენმა თავი ასწია, ნესტოებით ხმამაღლა დააფრუტუნა და ფეხი მაგრა დაჰკრა მიწას.

სახლის კარი გაიღო და სეიდიყმა გადაჰხედა თემირის ფაცხას: იქ, ფაცხის მახლობლად, ყანაში ტრაქტორი მუშაობდა.

ხაბაში ამდროს თავის თხებთან იყო, ტყეში. გუგუნის გაგონებაზე თხებმაც თავები ასწიეს. ხაბაში თვალის დახამხამებაზე ავარდა მაღალ ხეზე, გასწი-გამოსწია შტოები და გაიხედა იქითკენ, საიდანაც ხმა მოისმოდა: ყანაში გუგუნით და ხმაურით რაღაც შავი დაბობღავდა.

უცბად გაახსენდა გუშინ სოფლის ყრილობიდან დაბრუნებულთა ნაამბობი: ლაპარაკობდენ ტრაქტორზე. გუშინვე გაეღვიძა ცნობისმოყვარეობა, გულით უნდოდა ტრაქტორის ნახვა. მაგრამ ამდროს გახსენდა თემირის გუთანი. გულზე ბოღმა მოაწვა. სინიდისი ქეჯნიდა, სირცხვილი ცეცხლს უკიდებდა...

ბაზალისა და თემირის მიწების მიჯნაზე, სადაც ეკლიანი ღობე იყო გავლებული, გულმოდგინედ მუშაობდა ცეცხლის ალი: ბოლო ეღებოდა კერძო საკუთრების სიმბოლოს, მიჯნას, რომელიც მტრობას თესდა ძმებსა და მეზობლებს შორის, რომელიც მორწყული იყო ცრემლითა და სისხლით...

თემირი ცას სწვდებოდა, ციბრუტივით ტრიალებდა, მის ხელში სამუშაო ერთბაშად დნებოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: ძველი მონური ცხოვრება უკან მოიტოვა, იწყებდა ახალ ცხოვრებას, და იწყებდა ამ ცხოვრებას სხვებთან ერთად, მეზობლებთან ერთად — მრუდე კაკლის ახაბლის ძველი დახავსებული ცხოვრების ფონზე უკვე იშვა კოლმეურნეობა...

საღამოთი სეიდიყი მარტოდ-მარტო იჯდა სამზარეულოში. დაუძახა ხაბაშს.

— დაჯექ, დად, — უთხრა ალერსიანად და დაიწყო: — ეჰ, ხაბაშ, ჩემო შვილო, მინდოდა დღეს არა, ხვალ გამომეყო აქვე, გვერდით, მიწა

და ამეგო ზედ პატარა სახლი შენთვის და ხიკუჩისთვის... მაგრამ, როგორც ვატყობ, ეს ჩვენი მეზობლები არ მოგვასვენებენ... არ გვაღირსებენ მშვიდობიან ცხოვრებას! — ჩაილაპარაკა სეიდიყმა სერიოზული კილოთი და ხშირი მოღუშული წარბებიდან თვალი შეავლო ჭაბუკს!

ხაბაში ჩუმად იდგა, თვალებ დახრილი. მან უკვე იცოდა სეიდიყის განზრახვა — მიეთხოვებია ხიკუჩი კოსტასათვის. და ახლა, გაბოროტებული, მზად იყო პირში მიეხალა ყველაფერი, მაგრამ თავი შეიკავა. ასეთ ცბიერ ლაპარაკს სეიდიყი იწყებდა მხოლოდ მაშინ, როცა სხვის ხელით რაიმე დანაშაულის ჩადენას ფიქრობდა.

— ხომ ხედავ, დად, ჩვენი მეზობლები ველარ ეტევიან თავიანთ კანში, — განაგრძო სეიდიყმა. — გამოიგონეს კოლმეურნეობა... დაურიდებლად აფურთხებენ ჩვენი მამა-პაპის საფლავს... ფეხით თელავენ ძველ ჩვეულებებს... არ ესმით, რას სჩადიან... მერე ინანებენ, მაგრამ გვიან იქნება... ხომ გაიგე, რა გუგუნებდა დღეს?.. ტრაქტორია, დად, ტრაქტორი... მას ბევრი მიწა უნდა... ჩვენი მიწები კი კოლმეურნეობის გვერდზეა... შეიძლება მოგვთხოვონ, ჩამოგვართვან... მათგან ყველაფერს უნდა მოველოდეთ... სინიდისი დაჰკარგეს... თავი უნდა დავიცვათ... რამე უნდა გამოვიგონოთ... — შესწყვიტა ლაპარაკი, შეხედა და სთქვა: — დაჯექ, დად, დაჯექ! რატომ დგეხარ?.. ხი-ხი-ხი!.. სხვებთან კარგია ეგ, შეგაქებენ სიძეს, პატივს სცემს მოხუცს, თავის სიმამრსო, იტყვიან. ხი-ხი-ხი! — ჩაიცინა და კვლავ შეხედა.

ხაბაშს ბრაზი ახრჩობდა. მას კარგად ესმოდა მთელი ეს ფარისევლობა.

— ჩვენ თავზე უნდა ვიფიქროთ, — განაგრძო ისევ სერიოზულად სეიდიყმა. — მე და ჩემი ცოლი დავბერდით, დღეს არა, ხვალ აღარ ვიქნებით. ვის უნდა დარჩეს ყველაფერი ეს? თქვენ, ჩვენ შვილებს... დაეპატრონეთ, მოუარეთ, აი ჩემი მამაშვილური დარიგება... — ცოტა ხნით შეჩერდა, მერე სთქვა: — შენ, დად, ხაბაშ, ერთხელ უკვე დაამტკიცე, რომ ვაჟკაცი ხარ, რომ შეგიძლია დაიცვა ის, რაც შენია... ღვიძლი შვილი არ გააკეთებდა იმას, რაც შენ გააკეთე. ამიტომ შვილზე უფრო მეტად შემიყვარდი... როცა გუთანი დაიკარგა... მთელი ტყე გადააბრუნეს, მაგრამ ჭა არავის გახსენებია... ხი-ხი-ხი!.. ეხლაც, თუ გვინდა, რომ დავრჩეთ აქ, ხელი უნდა შევუშალოთ კოლმეურნეობას... როგორ?.. მე ვფიქრობ, ტრაქტორი უნდა გავაფუჭოთ...

ხაბაშს შეაჟრჟოლა. თავი ასწია, მაგრამ ისევ დახარა.

— ვინ ჩაიდენს ამას? მე ბებერი ვარ... ესეც არ იყოს, თითონ შენ არ მომცემ ამის ნებას... სირცხვილი იქნება თქვენთვის, ჩემი შვილებისათვის, მოხუცი გამგზავნოთ... შვილო, ხაბაშ, შენზე უკეთ ამას ვერავინ შეასრულებს...

— მეე? — შესძახა ხაბაშმა სახე ალეწილმა.

— რამ შეგაშინა, შე კაცო?.. ფერიც კი გეცვალა!.. მე ვაჟკაცად მიმაჩნია, ქალიშვილი უნდა მივათხოვო, ამას კი უბრალო რამე აშინებს!.. ახალგაზრდობით მოგდის... დაწყნარდი, დად, დაწყნარდი!.. აჰა — აიღე ეს ჩაქუჩი, წადი, ახადე სახურავი ტრაქტორს და შიგ გულში ჩაჰკარ... ვერავინ ვერაფერს გაიგებს... წადი, დად... — და გაუწოდა წინასწარ მომზადებული ჩაქუჩი.

— ვერა, ვერ ვიზამ მაგას! — სთქვა მტკიცედ ხაბაშმა.

სეიდიყმა ჩაქუჩი უკანვე წაიღო. „გაინაზება, როგორც მაშინ, მაგრამ ბოლოს მაინც წავა“, — გაიფიქრა გულში.

ხაბაში თრთოდა აღელვებისაგან. მზად იყო გამოერთმია ჩაქუჩი და თავში ჩაეცხო თითონ სეიდიყისათვის.

მოხუცმა წყნარად განაგრძო:

— არ გააკეთებ და თითონ შენ დარჩები წაგებაში... გაიხსენე, რას ვფიქრობ შენთვის... სისულელით ბედნიერებას ნუ დაკარგავ...

მოხუცის უსირცხობამ მოთმინებიდან გამოიყვანა ხაბაში.

— არა მჯერა მე ეგ! — შეჰყვირა მან.

— ხი-ხი-ხი!.. ახალგაზრდა ხარ... მოხუცს არ უჯერებ!...

— განა კოსტას არ უნდა მიათხოვო ხიკუჩი?

სეიდიყმა თვალები დააჭყიტა. „მოხუცმა ხომ არ წამოაყრანტალა“, — გაიფიქრა და სიბრაზისაგან სისხლი ყელში მოებჯინა.

— ვინ გითხრა ეგ?

— თითონ კოსტამ..

— კოსტამ?.. ხი-ხი-ხი! და შენც დაუჯერე? ალბათ შენი გაჯავრება უნდოდა... იცის, რომ ხიკუჩი გიყვარს... ეჰ, ახალგაზრდა ხარ, ახალგაზრდა... მეც ვიყავ ახალგაზრდა... — ჩაილაპარაკა სეიდიყმა და ისე დაიჰირა თავი, თითქოს მნიშვნელობას არ აძლევს ამას, შემდეგ ისევ სერიოზულად განაგრძო: — იმას კი არა, მე უნდა დამიჯერო, დად, მე, შენ მამას... მე შენთვის ცუდს არ მოვისურვებ... აიღე ეს და წადი, გააკეთე, რასაც გეუბნები, — და კვლავ გაუწოდა ჩაქუჩი.

— არ შემიძლია, ვერ წავალ! — მოუჭრა ხაბაშმა.

— მაშ ჩემი ლაპარაკი სულ ტყუილი ყოფილა... მერე ინანებ, მაგრამ გვიან იქნება... დაუჯერე, დად, ჩემ მამაშვილურ დარიგებას... ჰა, აიღე!

— ვერა, ვერ წავალ!

— მაშ გამეცალე აქედან! — მოუვიდა უცბად გული. ჰაიტ! სულელი ყოფილხარ! არ გესმის, რა არის შენთვის კარგი და რა არის ცუდი! მოვტყუვდი! რად მინდა ისეთი შვილი, რომელიც მამის წინააღმდეგ მიდის?!.. — მერე დაუმდაბლა ხმას და ისევ ალერსით მიმართა: — გეყოფა, დად, გეყოფა... გაახარე მოხუცის გული... აჰა, აიღე და წადი! — და ერთხელ კიდევ გაუწოდა ჩაქუჩი.

— ვერ წავალ, სეიდიყ!

— თუ ვერ წახვალ, გაეთრიე აქედან! — დაუყვირა გულმოსულმა სეიდიყმა და ფეხზე წამოვარდა: — ჰატ! ჰატ! ჰატ! აღარ ვნახო შენი ფეხი ჩემ სახლში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, მოგშორდები, სეიდიყ! — სთქვა გადაჭრით ხაბაშმა და პირი კარებისაკენ იბრუნა.

— ჰატ, ჰატ, ჰატ! გამეცალე, წადი!

ხაბაში გარეთ გავიდა. სეიდიყმა გაიფიქრა: „მართლა არ წავიდეს ეგ სულელი“-ო. მივიდა კარებთან და გადასძახა:

— მოიფიქრე ერთხელ კიდევ! დაუჯერე კაცს, რომელსაც შენთვის სიკეთე უნდა... თუ არ გინდა სამუდამოდ დაგვკარგო მე, მოხუცი და ხიკუჩი... ჰა, აიღე! — სთქვა და გადაუგდო ჩაქუჩი. მერე მიტრიალდა, ისევ კერასთან ჩამოჯდა და დაიმედებით გაიფიქრა — შეიცვლის აზრს, როგორც მაშინ, და შეასრულებს ბრძანებასო.

*

* *

ხაბაში ბარბაცით განშორდა სამზარეულოს. ფარეხისაკენ გაემართა და როცა თხმელასთან მივიდა, ჩაიკეცა, ზურგით ხეს მიეყუდა და თავი დახარა. გონება ვერ მოეკრიბა. თავში ჩაქუჩივით ხვდებოდა სეიდიყის ურცხვი, ცბიერი სიტყვები. გონებას უხვრეტდა ჩადენილი დანაშაულის შეგნება, ხოლო გული უკვნესდა ხიკუჩისათვის.

„არ შემიძლია!.. მეორედ ველარ ჩავიდენ ცუდ საქმეს!.. მაშ უნდა წავიდე ამ სახლიდან... მერე სად?“ — ეკითხებოდა თავს, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა. არა ჰყავდა მშობლები, არც მახლობელი ნათესავები... „თემირთან... თითონ მეუბნებოდა, იცხოვრე ჩემთანაო“. მაგრამ სინიდისი აწუხებდა, სირცხვილი სწვავდა და არ იცოდა, როგორ შეეხედა თვალებში მეგობრისათვის. „მე დამნაშავე არა ვარ... სეიდიყმა ჩამადენია!“ — გაიფიქრა. „მაგრამ შენ შეგეძლო უარი გეთქვა“, — თითონვე უპასუხა თავის თავს. „დამნაშავე ვარ, რაღა თქმა უნდა... ხიკუჩის სიყვარულით ჩავიდინე“... გრძნობდა, რომ ვერც ამით იმართლებდა თავს, და შეეზიზღა თავისი თავი, უფრო მწვავედ გრძნობდა სინიდისის ქეჯნას. მაგრამ ბევრი ფიქრისა და ტანჯვა-წამების შემდეგ მაინც თემირთან წასვლა გადასწყვიტა. ამ დროს კისერზე, უკანიდან თბილი სუნთქვა იგრძნო. სწრაფად თავი მიიბრუნა. მის წინ წვერგრძელა თხა იდგა. სიყვარულით გადახვია კისერზე ხელი და მისი ტუჩები ლოყაზე მიიკრა.

— მშვიდობით, ჩემო საყვარელო თხებო... ველარ გნახავთ, ველარ გაძოვებთ... — ეალერსებოდა ხაბაში. — ყველაფერი გათავებულია... აქ ველარ დავრჩები... სეიდიყი ფეხით მთელავს, მტანჯავს... ერთხელ შევცდი... დავუჯერე მის სიტყვას... ეხლა კი აღარ შემიძლია!.. მშვიდობით! — წარმოსთქვა, მაგრა აკოცა თხას და სწრაფად ფეხზე წამოდგა. მერე გადა-

ხედა ფარეხს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მის სახლს წარმოადგენდა, თვალი შეავლო ოდას, სადაც ხიკუჩი ეგულებოდა გადაჭრით გაემართა თემირისაკენ.

ბიბლიოთეკა

*
* *

ხაბაშის წასვლამ თავზარი დასცა ხიკუჩს. ველარ ისვენებდა ერთ ადგილზე, აჩრდილივით დადიოდა, ვერავითარი საქმის გაკეთებას ველარ ახერხებდა. ამავე დროს სეიდიყი მოსვენებას არ აძლევდა, მთელი კვირა ჩასჩიჩინებდა — კოსტას უნდა მისთხოვდეო. ხიკუჩი ხმას არ იღებდა. ხაბაშის წასვლის შემდეგ იგი მთელი საათობით ტიროდა... მის გულში ორი გრძნობა იბრძოდა: ერთი — მორჩილება, დედმამის სიტყვის ასრულება, მეორე — ინსტინქტიური სურვილი თავისი ბედი თითონვე გადაეწყვიტა. ბოლოს ამ მეორე გრძნობამ გაიმარჯვა: ხიკუჩმა მტკიცედ გადასწყვიტა არ დაემორჩილოს მამის განზრახვას. კუჭირსაც მოელაპარაკა. უამბო ყველაფერი: გადასცა თავისი ეჭვები მამისა და ძმის ყოფაქცევის შესახებ, აცნობა, რომ, მისი აზრით, სეიდიყი კულაკი უნდა იყოს, არ დაივიწყა არც ის, რომ მამას ძალით უნდა მიათხოვოს იგი კოსტას. კუჭირმა მოუწონა ხიკუჩს, რომ ის კომკავშირის საქმეს მაღლა აყენებს ოჯახურ კეთილდღეობაზე და დაჰპირდა დაცვა მამის თვითნებობისაგან.

ამის შემდეგ უფრო მეტად სწყუროდა ხიკუჩს ხაბაშის ნახვა. „საწყალი დატანჯა მამამ, ველარ აიტანა და გაიქცა“, — სწუხდა გულში. ამავე დროს სწყინდა, რომ ხაბაში მის უნახავად წავიდა. ხშირად გარბოდა მახლობელ გორაკზე, რომელიც ზევიდან დაჰყურებდა თემირის ფაცხას, მის ეზოს და კოლმეურნეობას, საიდანაც მოისმოდა კოლმეურნეთა მხიარული სიმღერა. მუდამ ბევრი ხალხი ირეოდა იქ და ხიკუჩი მათ შორის გაფაციცებით ეძებდა თვალებით ხაბაშს. ბოლოს თემირის ეზოში შენიშნა იგი. გულმა ძალზე ცემა დაუწყო. თვალს არ აშორებდა ეზოს, ეგონა ხაბაში მოიხედავსო, მაგრამ საქმეში გართული ხაბაში სულ არ ფიქრობდა გორაკისაკენ გახედვას. ხიკუჩს გული მოუვიდა, ველარ მოითმინა, ჩაიდო თითები პირში და დაუსტვინა. მაგრამ უცბად ისე შეეშინდა, რომ დამფრთხალი თვალებით მიმოიხედა. ხაბაშმა ასწია თავი და გორაკზე დაინახა ხიკუჩი, რომელიც ხელებით ანიშნებდა — წყაროსთან მოდიო. ხაბაში მიხვდა და წყაროსკენ გაეშურა. ხოლო ხიკუჩი სწრაფად გაიქცა სახლისაკენ. შესვლისთანავე დაავლო დოქს ხელი და მანაც წყაროს მიაშურა. როდესაც მივიდა, დოქი წყაროს შეუდგა და გაჰხედა ბილიკს, საიდანაც ხაბაში უნდა მოსულიყო.

ბოლოს ისიც გამოჩნდა. მოდიოდა თავჩაღუნული, თითქო დამნაშავეაო.

— რა ჰქენი?.. სად წახვედი? რატომ არაფერი მითხარი? ჰა? — დაესხა თავს ხიკუჩი.

— ეჰ, ხიკუჩ, მეშინოდა... შენ რომ მენახე, ველარ წავიდოდი, — სთქვა მან მწუხარედ და განაგრძო: — წასვლით კი უნდა წავსულიყავ... სეიდიყი ისეთ რამეს მავალებდა, რის შესრულებაც არ შემეძლო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას, რას გავალებდა?

— ნუ მკითხავ მაგას... რა საჭიროა, იცოდე...

— სადა ხარ? ვისთან ცხოვრობ? — სეტყვასავით აყრიდა ხიკუჩი კითხვებს.

— კოლმეურნეობაში ვარ... თემირთან ვცხოვრობ... კარგია კოლმეურნეობაში, მეგობრული მუშაობაა! — სთქვა თემირმა და თვალები გაუბრწყინდა. — მაგრამ მე მაინც ცუდად ვგრძნობ თავს... — ჩაილაპარაკა მწუხარედ. — ძალიან შეგეჩვიე... შენ ყოველთვის გულკეთილი იყავი... ვერ გამიძლია, ხიკუჩ... უშენოდ... თხებიც მებრალება... — სულ დაუმდაბლა ხაბაშმა ხმას. ყელში რაღაც ეჩხირებოდა, თვალებზე ცრემლები ადგებოდა.

ხიკუჩი გაფაციცებით ადევნებდა თვალს. ხაბაშის ყოველი სიტყვა გულზე ხვდებოდა. მერე გაახსენდა მამის მოთხოვნა — გაჰყოლოდა კოსტას. ველარ გაუძლო მოწოლილ ბოღმას, თავი დაღუნა, ხელები სახეზე მიიფარა და ტირილი მორთო. ხაბაში გაოცდა.

— რა დაგემართა, ხიკუჩ?.. რატომ ტირი? — ეკითხებოდა აბნეული და არ იცოდა, რა ექნა.

ქვითინისაგან ხიკუჩს მთელი ტანი უკანკალებდა... უკან გადაგდებული ნაწნავები გველებივით გაწოლილიყვნენ მის ზურგზე.

— ხიკუჩ... გეყოფა ტირილი... მითხარი, რა მოხდა? — ეკითხებოდა უმწეოდ და არ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა.

ხიკუჩმა თავი ასწია, ცრემლიანი თვალებით შეხედა და სთქვა:

— სეიდიყი ძალას მატანს, გათხოვდიო.

— ვისზე? კოსტაზე? — წამოიძახა ხაბაშმა. — მაშ მართალია?

— შენ საიდან იცი?

— თითონ კოსტამ მითხრა!.. მეგონა მეხუმრებოდა... ის ხომ ბრუციანია!.. როგორ შეიძლება? — წამოიძახა ბრაზ-მორეულმა ხაბაშმა.

ხიკუჩმა კვლავ მორთო ქვითინი.

— ნუ ტირი, ხიკუჩ... ნუ მისთხოვდები... მორჩა და გათავდა! ძალით ვერ გაგათხოვებს მოხუცი... — სთქვა და მის გვერდით მიწაზე დაეშვა. ქალი ქვითინს განაგრძობდა. ებრალებოდა ხაბაშს, უნდოდა მიალერსებოდა, თავზე ხელი გადაესვა, მაგრამ სიჭაბუკის მორცხობა აკავებდა. ბოლოს ველარ მოითმინა, მორცხვად ხელი წაავლო ნაწნავს და აღელვებულმა სთქვა:

— ნუ, ნუ, ხიკუჩ... ნუ ტირი. — და უნებურად ხელი გადაუსვა თავზე.

ხიკუჩმა თავი ასწია, აცრემლებული თვალები შეანათა, მერე გაუღიმა, მორცხვად თავი მკერდზე მიადო და კვლავ ხელები აიფარა სახეზე. ხა-

ბაშმა აღელვებულ მკერდზე მაგრა მიიკრა საყვარელი თავი და უფრო გულმოდგინედ დაუწყო ხელის სმა.

— გეყოფა, ხიკუჩ... მოვიფიქროთ... რა გიდევს გულში, რა გწადია?.. მე შენთვის ადიდებულ მდინარეში გადავვარდები...
ბიბლიოთეკა

— არ ვიცი, ხაბაშ... თუნდაც მომკლან, ბრუციან კოსტას არ მივთხოვდები... როგორც შენ გინდა, ისე მოვიქცევი... — ამბობდა ახალგაზრდა ქალი და თავს არ აშორებდა მკერდს.

ხაბაშს ვერ გაემხილა გულში ნადები. ამიტომ მან შორიდან დაიწყო:

— ხიკუჩ... წაგიყვან თემირის შორეულ ნათესავებთან... ჯერ იქ დარჩები... მერე... მერე... გამოჩნდება ვინმე, მოგეწონება... შეგიყვარდება... — დაიწყო ხაბაშმა. ხიკუჩს შეაჟრჟოლა.

— არა, ხაბაშ... შენთან დავრჩები... შენ მოგთხოვდები... — სთქვა მორცხვად და სახეზე ხელები მიიფარა.

— მართალს ამბობ, ხიკუჩ? — შეჰყვირა გახარებულმა ხაბაშმა.

— მართალს ვამბობ...

ხაბაშმა მაგრა მიიკრა მკერდზე, დაიხარა და თავში აკოცა. ხიკუჩი ერთხანს სულგანაბული უსმენდა ვაჟკაცის მკერდის ცემას, მერე შეშფოთებული შეეკითხა:

— რა ვქნათ, ხაბაშ, მამაჩემმა რომ ძალით წამომიყვანოს შენგან?

— მოვკლავ და შენ თავს კი არავის დავანებებ! — წამოიძახა ხაბაშმა. ხიკუჩს გაახსენდა კომკავშირი. ღიმილით სთქვა:

— გვყავს დამცველი!

— ვინ?

— კომკავშირი. ის წინააღმდეგია, რომ ქალი ძალით გაათხოვონ...

— უფრო კარგი! — წამოიძახა გახარებულმა ხაბაშმა, მერე დაუმატა: — ხაბაშ, არ გაგიძნელდება ჩემთან ცხოვრება? მე ხომ არაფერი გამაჩნია, არც სახლი, არც სხვა რამე...

— შენთან ერთად მეც კოლმეურნეობაში ვიმუშავებ... არ დავიღუპებით...

ხაბაშს გაეღიმა. დაიხარა და კვლავ აკოცა თავში.

— ეხლა, აი, რას გეტყვი, ხიკუჩ, — მიმართა ხაბაშმა. — გამოიკარ ბოხჩაში, რაც დაგჭირდება, და ხვალ საღამოთი შეუმჩნევლად გამოდი აქ, წყაროსთან. მე და თემირი მოვალთ და წაგიყვანთ.

ხიკუჩმა თავი დაუქნია. წამოდგა. დაავლო დოქს ხელი და სახლისკენ გაიქცა. ხოლო ხაბაში ღელე-ღელე თემირის ფაცხისაკენ დაეშვა.

## თავი XII

ხიკუჩის გაქცევის შემდეგ სეიდიყი შავად მოღუშული დადიოდა. ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ მისი ქალიშვილი წაიყვანა ვიღაც უთვისტომო მათხოვარმა, ვიღაც მწყემსმა. მან საჩივრით სოფლის საბჭოსაც კი მი-

მართა. ხაბაში და ხიკუჩი სოფლის საბჭოში დაიბარეს და ყველაფერი გამოჰკითხეს. მათ განაცხადეს, რომ ურთიერთის თანხმობით შეუღლდნენ. სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ არ მოუწონა საქციელი [illegible], რომელმაც ამდენი აურზაური ასტეხა, მიუთითა იმაზე, რომ ისიც, როგორც სოფლის საბჭოს წევრი, ორივე ხელით ებღაუჭება ძველსა და დახავსებულს, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს საბჭოთა კანონების განხორციელებას, ამასთან დაემუქრა, რომ თუ ის კვლავ დაუწყებს დევნას ახალგაზრდებს, გამორიცხული იქნება სოფლის საბჭოდან. სეიდიყი გამწარებული და გაბოროტებული გამობრუნდა, თან გულში წყევა-კრულვას უგზავნიდა ხაბაშს, ხიკუჩს, თემირსა და საბჭოთა ხელისუფლებას.

ამავე დროს სოფლის საბჭოს დახმარებით ვითარდებოდა და მაგრდებოდა ურთიერთ ნდობაზე დამყარებული და ერთსულოვანი მუშაობით ზურგგამაგრებული ახალი კოლმეურნეობა.

გაზაფხულმა უხვად დააჯილდოვა იგი: ლურჯი ცა ნამს არ აკლებდა მრუდე კაკლის კოლმეურნეობის მინდვრებს. გაზაფხულის მზე მაცოცხლებელ სხივებში ახვევდა არემარეს. თვალს ახარებდა ზურმუხტისფრად ამწვანებული მინდორ-ველი. ხშირ ფოთლიანში ყურს აყრუებდა მოუსვენარი ჩიტების ჟივილ-ხივილი. გაისმოდა კოლმეურნეთა სიმღერა. ყოველივე ეს გულის გამხარებელ საზეიმო ჰიმნად შეზავებულიყო.

ოზამატის ახალგაზრდა შვილი თავის ფოლადის ცხენს დასტრიალებდა, მაგრა უჭერდა „მოსართავებს“ და სამუშაოდ ამზადებდა.

კოლმეურნეობის გაფხვიერებული მინდორი მწვანე ზოლებით იყო აჭრელებული: კოლმეურნეთა ცოლები მწკრივად რგავდენ თამბაქოს ნაზ ნერგებს. კოლმეურნე ქალთა შორის ხიკუჩიც მოსჩანდა. მოშორებით ქობლუხი, ბაზალა და სხვები მუხის ბოძებს არჭობდენ მიწაში. აგებდენ ფარდულს თამბაქოს ფოთლისათვის.

ხაბაშმა სარტყელში წალდი გაირჭო და ის იყო მოემზადა თხმელაზე ასასვლელად და იმ ზედმეტი შტოების მოსაჭრელად, რომლებიც ნახნავს ჩრდილავენ, რომ თემირის ხმა მოესმა. როცა მიიხედა, თემირის მოღიმარე სახე დაინახა. ხაბაშმა თვალები დახარა.

ერთი კვირაა უკვე, რაც თემირის სახლში ცხოვრობს, — თემირის, რომელსაც ვნება მიაყენა. სჭამს მის პურსა და მარილს, გუთანი კი ჭიდან საყვედურს საყვედურზე უთვლის ხაბაშს. ეს სტანჯავდა, გულს უღრღნიდა. რამდენჯერ შეეკითხა თავის თავს: „ვუთხრა თუ არა“-ო. მაგრამ სირცხვილი აჩერებდა. თემირს მასთან არა ერთხელ გაუხსენებია მწუხარებით დაკარგული გუთანი. ყოველი მისი სიტყვა ცხელ ტყვიად ხვდებოდა ხაბაშის გულს. საგონებელში ჩავარდა, სწუხდა, გაურბოდა ხალხს. აღარ გავდა იგი წინანდელ მხიარულ, მუდამ მოღიმარე ხაბაშს. ეს არ გამოეპარა თემირს, და მან გადასწყვიტა მოლაპარაკებოდა მეგობარს. და აი ახლა მისვლისთანავე ჰკითხა:

— რა ამბავია, ხაბაშ, ცოლი შეირთე და მოწყენილი გახდი? პირველად გხედავ დარდიანს... სახეზე გატყობ: სახეზე ეტყობა კაცს, რაც გულში უდევს... ან იქნებ ნანობ, რომ სეიდიყს მოშორდი...

— რას ამბობ, თემირ, რას? — შესძახა ხაბაშმა. თავი ასწია, მაგრამ მაშინვე დახარა.

თემირმა შეატყო, რომ ხაბაში თვალს არიდებდა.

— აი თვალსაც კი მარიდებ!.. რა დაგემართა? ხომ იცი, როგორ მიყვარხარ... ღვიძლ ძმად მიმაჩნიხარ... სეიდიყთან ცხოვრების დროს ერთად ვიყოფდით სიხარულსაც და ჭირსაც... გატყობ იტანჯები... — ეუბნებოდა თემირი.

ყოველი მისი სიტყვა გულს უსერავდა ხაბაშს.

„უკეთესი იქნება დამიყვიროს, გამიჯავრდეს... არა, აღარ შემიძლია... უნდა ვუთხრა, უნდა ვუთხრა“, — გაიფიქრა გულში, თხმელას მიეყრდნო და მწუხარებით განზე გაიხედა.

— ეჰ, თემირ... უმჯობესია დამბაჩით შუბლი გამიპო... — აღმოხდა უნებურად გულიდან.

— რას ამბობ, ხაბაშ? ხომ არ შეიშალე! რაშია საქმე?.. განა ცუდად ცხოვრობ ჩემთან?..

— არა! არა!.. ნუ მეუბნები მაგას, თემირ!.. — გააწყვეტინა სიტყვა. — მე ღირსი არა ვარ შენი... ცუდი კაცი ვარ... ძალიან ცუდი... დამნაშავე ვარ შენს წინაშე... — და სახეზე ხელები მიიფარა.

— არაფერი არ მესმის, ხაბაშ!.. რა მოხდა, რა დაგემართა?.. რას მიმალავ?.. ენა გულის თარჯიმანიაო... აალაპარაკე ენა, მითხარი ყველაფერი შენ მეგობარს. გულზე მოგეშვება... მითხარ! — ეუბნებოდა თემირი.

და ხაბაშმა დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თან ხელებს არ აშორებდა სახეს:

— ძალზე დავიტანჯე... ძილი გამიფრთხა... ჩემი ტვინი ჯერ არ იყო მომწიფებული, აი რაშია საქმე... მშობლები არ მყავდა... მეშინოდა არ გავეგდე... ხიკუჩი მიყვარდა... სეიდიყი მძიმე ლოდად დამაწვა... და გუთანი... გუთანი... ჭაში გდია... — წარმოსთქვა ბოლოს ტანჯვით.

— რაო? რა სთქვი, ხაბაშ? — შეჰყვირა თემირმა და თვალები დააჭყიტა.

— გუთანი ჭაში... გდია.

— რომელ ჭაში?

— ტყეში... ძველ ჭაში...

— მართალს ამბობ?

— მართალს ვამბობ...

— შენ ჩააგდე?

— ტყვია უნდა დამცე შუბლში...

თემირი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა. გაწამებული ხაბაში სადღაც შორს გაიყურებოდა.

— ხაბაშ! — გამოერკვა ბოლოს თემირი. ხაბაშმა პირი მიიბრუნა და მეგობრის მოღიმარე სახე დაინახა. თემირმა ხელი სტაცა და მაგრად მიიკრა.

— ეგ იყო სულ? მაგისთვის იტანჯებოდი? — მიმართა მან.

— შენმა მეგობარმა ბოროტად გადაგიხადა მეგობრობა...

— არა, არა! შენ ბოროტს ვერ მომაყენებ... ეგ სეიდიყმა ჩაიდინა! — და თვალებში ცეცხლმა გაუელვა თემირს. — არაფერია, პირიდან წამოვარწყევინებთ გუთანს!.. დაჯექ, მიამბე, როგორ მოხდა! — სთქვა და მიწაზე დასხდნენ.

ხაბაშმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი. გადასცა ისიც, თუ როგორ აიძულებდა სეიდიყი გაეფუჭებინა ტრაქტორი.

— ძაღლი! — წამოიძახა თემირმა. — სხვის ხელით ცდილობს ნარის მოგლეჯას... მაგრამ ვინც მეზობელს ორმოს გაუთხრის, თითონვე ჩავარდება შიგ! — სთქვა და ფეხზე წამოდგა. გადასწყვიტა ეცნობებინა ეს ამბავი სოფლის საბჭოსათვის.

თემირი წავიდა. ხაბაშს უკვე გულზე მოეშვა და გახარებულმა გაიხედა იქითკენ, სადაც ხიკუჩი მუშაობდა. მერე ციყვივით ავარდა თხმელაზე და დაუშინა წალდი შტოებს.

*
* *

სოფლის საბჭოს შენობაში კუბრიცი, საბჭოს თავმჯდომარე და მფილდი სხდომის დღის წესრიგს არკვევდენ. მოულოდნელად კუჭირი შევარდა.

— მზად არის! — წამოიძახა მან.

— რა არის მზად? — ჰკითხა კუბრიცმა.

— შენი დავალება.

— რომელი დავალება? — ვერ გაიხსენა კუბრიცმა.

— სეიდიყის შესახებ.

— მერე, გამართლდა?

— მთელი ასი პროცენტით.

— მაშ... ასე... — ჩაფიქრდა კუბრიცი.

— კულაკი გამოდგა!.. ხე! ხე! ხე!.. კულაკი! — ჩაილაპარაკა თავისებური ხითხითით მფილდიმ.

— დიახ, კლასობრივი მტერი იჯდა სოფლის საბჭოში... სიფხიზლე ვერ გამოვიჩინეთ... — სთქვა კუბრიცმა.

— როგორ მოხდა? კომისიამ ხომ შეამოწმა მისი ქონებრივი მდგომარეობა? — იკითხა საბჭოს თავმჯდომარემ.

— ხე! ხე! ხე! შეამოწმა, შეამოწმა... მაგრამ ეშმაკმა სეიდიყმა ყინულზე გაასრიალა კომისია, — წარმოსთქვა მფილდიმ.

— დაფარა თავისი ქონება, — სთქვა კუჭირმა. — თხები შორეულ ნათესავებთან მიმალა. დაქირავებული მწყემსი ჰყავდა, მაგრამ მას ნათესავად ასაღებდა... ჩახმათმა ყველაფერი გვიამბო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამდროს კარებში თემირი გამოჩნდა.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა იგი ოთახში მყოფთ და მარჯვენა ხელი ასწია.

— მშვიდობით გამყოფის! — მიუგეს მათ.

— რას იტყვი, თემირ? რა ამბავია თქვენს კოლმეურნეობაში? — მიმართა მას კუბრიცმა.

— კოლმეურნეობა მუშაობს... გუთანიც აღმოვაჩინეთ... — დაუმატა მან.

— სად?..

— ჰაში დამხჩვალიყო...

— როგორ თუ დამხჩვალიყო? — გაიკვირვა ყველამ.

— სეიდიყს დაეხრჩო.

— სეიდიყს?

და თემირმა დაწვრილებით გადასცა მათ გუთნის ჰაში ჩაგდებისა და აღმოჩენის ამბავი.

— სეიდიყი აქ არის? — ჰკითხა კუბრიცმა თავმჯდომარეს, როდესაც თემირმა ლაპარაკი გაათავა.

— აქ არის.

— ჯერჯერობით წყნარად გაგებინებთ. სთქვით, რომ გუთანი შემთხვევით ვიღაცამ აღმოაჩინა. სხდომა გადაიდება და საბჭოს წევრები, გამოუკლებლივ ყველანი ეხლავე ტყეში წავალთ ჰიდან გუთნის ამოსაღებად. შენ გამოუცხადე ეს საბჭოს წევრებს, — მიმართა მან მფილდის.

მფილდი გარეთ გავიდა.

— დღესვე კომკავშირიდან უნდა გამოვრიცხოთ სეიდიყის შვილი, — სთქვა კუჭირმა.

— ქალიშვილი? — იკითხა კუბრიცმა.

— ქალიშვილი თითონ დაგვეხმარა მამის ამბებისა და ძმის როლის გამორკვევაში. ოჯახიდან წავიდა, გაწყვიტა მასთან კავშირი. ის აქტიური კომკავშირელია.

ამდროს გარედ მფილდიმ ჩაახველა და აივნიდან ხმამაღლა გადასძახა ხალხს:

— ეი, ხალხო, მოდით, მოგროვდით აქ!

ხალხმა აივანთან მოიყარა თავი.

— ხე! ხე! ხე! — ჩაიცინა მფილდიმ და სთქვა: — კრება აღარ მოხდება... ყველანი ჰასთან მივდივართ.

— ჰასთან?

— რომელ ჰასთან?

— განძი ხომ არ აღმოჩნდა იქ?

— ხე! ხე! ხე! აღმოჩნდა, განძი აღმოჩნდა... მერე როგორი განძი! სეიდიყს ცივმა ოფლმა დაასხა. „ხაბაშმა გამცა"-ო, გაიფიქრა.

— ვიპოვეთ დაკარგული გუთანი... — განაგრძო მფილდიმ.

— სად? სად? — შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— ვიღაც ბიჭი ჯოხით უჩხიკინებდა ჭას და გუთანს წააწყდა. — სთქვა მფილდიმ.

სეიდიყს გულზე მოეშვა, გაიფიქრა: „შემთხვევით მიაგნეს"-ო.

სოფლის საბჭოდან გამოვიდნენ კუზრიცი, საბჭოს თავმჯდომარე და თემირი. ყველანი მრუდე კაკლის ახაბლისაკენ გაემართნენ.

*
* *

ხაბაშმა თხელიდან დაინახა მათკენ მომავალი უამრავი ხალხი.

„როგორ უნდა დავენახო მათ?" — გაიფიქრა შეშფოთებულმა, შტოების ჭრას თავი გაანება, წალდი ძირს ჩააგდო და თითონაც სწრაფად დაეშვა.

საბჭოს წევრებს გზაში მრავალი ხალხი შეუერთდა ყველანი ხმაურით და ლაპარაკით კოლმეურნეობას მიადგნენ.

— კეთილად თქვენი საქმე, კოლმეურნეებო! — მიესალმა მათ მოხუცი ოსმანი, ხოლო მის შემდეგ — სხვებიც.

— კეთილი ნუ მოგაკლოთ! — გამოეხმაურენ მათ კოლმეურნეები.

— ხომ ხედავთ, როგორი კოლმეურნეობაა! — გადასძახა შეკრებილთ მფილდიმ.

— დიდრაა, დეე თქვენი ახალი საქმე კეთილ შრომად გადაიქცეს ყველა თქვენთვის! — უსურვა კოლმეურნეებს ოსმანმა, როგორც უხუცესმა დამსწრეთა შორის.

— ამინ! — დაუდასტურეს სხვებმა.

— წავიდეთ, წავიდეთ ჭისკენ! — დაიძახეს აქეთ-იქიდან. და ყველანი ტყისაკენ წავიდნენ.

კოლმეურნეების წალდებმა სწრაფად გასწმინდეს ჭა ეკლიანი ბუჩქებისაგან. მოიტანეს ერთ თავში მოკაუჭებული, იქვე ტყეში მოჭრილი გრძელი კეტი. საბჭოს თავმჯდომარემ კეტი მფილდის გადააწოდა.

— ხე! ხე! ხე! დიდი კაცი ვარ და იმიტომ მაძლევთ მე! — ჩაიცინა მფილდიმ და ჩაუშვა კეტი ჭაში. კეტი რაღაც მაგარს მოხვდა. — ხე! ხე! ხე! აი სად დამალულა! გეზარებოდა განა კოლმეურნეობაში მუშაობა? ხე! ხე! ხე! — იცინოდა მფილდი და მასთან ერთად ხალხიც ხარხარებდა.

— არა, მფილდი, გუთანს კი არა, მაგის ჩამგდებს ეზარებოდა მუშაობა! — სთქვა ხაუდმა.

— სწორია, სწორი! ხე! ხე! ხე! მტრის ხელი სჩანს ამ საქმეში, — სთქვა მფილდიმ, რამდენჯერმე მიატრ-მოატრიალა კეტი და მოკაუჭებული ბოლო მოსდო გუთანს.

ხალხი ქას შემოერტყა. წყლის ზედაპირზე გამოჩნდა გუთნის რკინის ნაწილები. ირგვლივ სიხარულის ხმები გაისმა.

— მიშველეთ, რაღა! აკამბაში ხომ არა ვარ, რომ მარტომ ამოვათრიო! — დაიძახა მფილდიმ. — წყალში მსუბუქი იყო, ეხლა დამძიმდა. ხე! ხე! ხე!

მიეშველნენ და გუთანი ამოათრიეს. ერთხანს ყველა უჩუმრა შესცქეროდა. საკვეთი აღარ ბრწყინავდა, აღარ ელვარებდა მზეზე. გუთანი „ცრემლისაგან“ იცლებოდა.

— ეე, დადრაა, რა არ მომხდარა ჩვენში?.. იპარავდენ ცხენებს, ძროხებს, ხარებს, მაგრამ აი სამოცდაათ წელს გადავცდი და არ გამიგონია, რომ გუთანი მოეპაროთ! — დაარღვია სიჩუმე ოსმანმა.

— დაივიწყეს მამა-პაპური ჩვეულებები! არაფრად აგდებენ ძველ წესებს! იტყვის ზოგი — აფხაზმა ჩაიდინაო. აფხაზი ამას არ იზამდა! — მოისმა ხალხიდან სელიმის წვრილი ხმა. არ იცოდა მან, რომ სეიდიყის ოინები იყო ეს, თორემ ხმას არ ამოიღებდა.

— ვის უნდა ჩაედინა?

— უცხო კაცი არ იზამდა, ამავე ახაბლიდან იქნება! — გაისმა ხმები.

— ვის უნდა ჩაედინაო, კითხულობთ თქვენ, — წარმოსთქვა კუბრიცმა, როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა. სეიდიყს შეაჟრჟოლა. კუბრიცის სიტყვა ყოველთვის ჩაქუჩად ხვდებოდა მას. — ეს ჩაიდინა ჩვენმა საერთო მტერმა, კოლმეურნეობის მტერმა, საბჭოთა ხელისუფლების მტერმა, რომელსაც სწადია ძველი ხელისუფლების დაბრუნება, ყაზიბლაკის, მათრახის, მეფის ურიადნიკის ხელისუფლების დაბრუნება!

— სწორია, დად, სწორი! — გააწყვეტინა მოხუცმა ხაუდმა. — მე ჩემ ზურგზე გამოვცადე ყაზახების მათრახები... ცივ ციმბირში ამომაყოფინეს თავი! სულ თავადებმა და აზნაურებმა მიყვეს ეს! — და მუშტით დაემუქრა თავადებსა და აზნაურებს.

— დიახ, მტრებმა ჩაიდინეს!.. მაგრამ მოკლე ხელები აქვთ მათ! — დაამთავრა კუბრიცმა.

— მთელი ახაბლა შეარცხვინეს! — წარმოსთქვა ბაზალამ.

სეიდიყმა გაჩუმება უხერხულად ჩასთქვა და კვერი დაუკრა ბაზალას:

— მართალი ხარ, ბაზალ, არა თუ შეარცხვინეს, ყელი გამოსჭრეს ჩვენ ახაბლას!

აქ კი ხაბაშმა ველარ მოითმინა და ჭარხალივით წამოწითლებულმა ხმა მაღლა დაიძახა:

— მე ჩავაგდე გუთანი!

ყველამ ერთბაშად მისკენ მიიხედა.

— სეიდიყმა მაიძულა! — სთქვა ეს და თითი სეიდიყისაკენ გაიშვირა. — თავი მივანებე, წამოვედი... რადგან ძალას მატანდა, უნდოდა ტრაქტორიც გამეფუჭებინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოხზე დაბჯენილი სეიდიყი გაქვავებული იდგა და უაზროდ მისცქეროდა ხაბაშს.

ამდროს მისას შეაკანკალა. ფერწასული იდგა და რაღაცას ბუტბუტებდა.

— რა მოგივიდა მისა? ფერი აღარ გადევს? — ჰკითხა მეზობელმა.

— მეე?.. ჰო... არ ვიცი... — ამბობდა უაზროდ და თვალებს აცეცებდა. გაახსენდა ყაზილბაკის საზიზღარი სახე და მისი საშინელი „ტყვია“. იგრძნო, თითქო ტყვია ყელში გაეჩხირა. უაზროდ ბუტბუტებდა.

— ტყვია... ტყვია... ტყვია...

— რა დაგემართა, ხომ არ შეიშალე? რას ბუტბუტებ? — დაუყვირა მფილდიმ.

— ქელეხი... თხილიანი... საიდუმლო თათბირი... უნდოდათ სოფლის კრება ჩაეშალათ... — ამბობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად მისა.

— ვინ დაესწრო მაგ თქვენ საიდუმლო თათბირს? — შეეკითხა კუბრიცი.

— მე... სეიდიყი... ყაზილბაკი... ყეიმითხანი.... ყელემათი... საბაყაი.. მღვდელი... დიაკვანი... მენშევიკი... მოლა ესიფი... და... და... — დაუწყო ვიღაცას ძებნა თვალებით და, შენიშნა რა ოთხად მოკაკული სელიმი, გაიშვირა მისკენ ხელი: — აგერ ის...

— მეე? — დაიწრიპინა საცოდავად სელიმმა.

— ყაზილბაკი ტყვიით დამემუქრა, თუ გავცემდი... — განაგრძო მისამ. — ამიტომ ხმას არ ვიღებდი... დეე მომკლას ეხლა ყაზილბაკის ტყვიამ...

— გაჩუმდი, შე მშიშარავ! ყაზილბაკის ტყვია შენამდე ველარ მოაღწევს! — დაუყვირა საბჭოს თავმჯდომარემ.

— რას იტყვი, სეიდიყ? — ჰკითხა კუბრიცმა.

სეიდიყი დადუმებული იდგა.

— წადით, დააპატიმრეთ ყაზილბაკი და სხვები, ვინც აქ მისამ დაასახელა! — უბრძანა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ორ მილიციონერს. ისინი წავიდნენ. სხვა მილიციონერებმა სეიდიყი და სელიმი წაიყვანეს.

— მე? — დააჭყიტა თვალები მისამ.

— შენ სულელი ხარ! ხე! ხე! ხე! — ჩაიხარხარა მფილდიმ. — სულელის ხელით გველს იჭერდენ.. მეფე უნდოდათ დაესვათ! ხე! ხე! ხე!

* * *

დილაა. მთის ნამით პირდაბანილმა მზემ თავი ამოჰყო მთების უკანიდან, ერთი წუთით შეჩერდა ორ მწვერვალს შუა, გადაავლო თვალი ველებს და გაფანტა გაწოლილი ჩრდილები — ღამის ნაშთები.

„მრუდე კაკლის ხის“ კოლმეურნეობაში გულმოდგინედ მუშაობდენ კოლმეურნეები, რომლებმაც ძველი მამა-პაპური ცხოვრება — განკერძოებული, მარტოხელა ცხოვრება — შესცვალეს ახალი, კოლექტიური ცხოვრებით...

შორს გაისმოდა ოზამატის შვილის სიმღერა. მას მხიარულ ბანს აძლევდა ტრაქტორი. წკრიალებდენ კოლმეურნეების თოხები.

მზემ გაუღიმა კოლმეურნეებს, უსურვა წარმატება მუშაობაში, შემდეგ, თითქოს მოსწყდა მაღალ კლდეს, აიწია ზევით და ცეცხლის ბურთის მსგავსად იწყო ცურვა ცაზე.

კოლმეურნეობა ძლევამოსილად იკაფავდა ახალ გზას და უკან იტოვებდა ძველ, დახავსებულ ცხოვრებას.

ამდროს მის გვერდით, სოფლის დიდ გზაზე, მიჰყავდათ მისი მტრები. მიდიოდენ ჩუმად, თავდახრილები, „გადამტვრეული“ ხერხემლებით. წინ მიაბიჯებდა მაღალი, ურმის ნახევართვალივით მოხრილი ყაზილბაკი, მოღუშული და დაღვრემილი; ფაფახი ჩამოფხატული ჰქონდა თვალებამდე, რომლებიც ბოროტად გამოიყურებოდენ დიდი მოკაკული ცხვირის აქეთ-იქიდან. მას მისდევდა მხრებაკრეფილი სეიდიყი. ჩაბალახის წვერი, რომელიც წინათ ამაყად ჰქონდა აშვერილი, ახლა საცოდავად ძირს იყო დაშვებული. სეიდიყი ჰგავდა იმ მოუსვენარ ძროხას, რომელსაც რქები მოამტვრიეს. ხუცესს, რომელიც სეიდიყს მისდევდა, ფეხები გრძელ ანაფორაში ებლანდებოდა, მას წინ გაეშვირა თავისი დიდი დაკოჟრებული ფუღურო ცხვირი. ხუცესის გვერდით ძლივს მიათრევდა ფეხებს დიაკვანი. მისი გამხდარი სახე, ჩავარდნილი ლოყებით, უფრო აგრძელებდა ისედაც წაგრძელებულ თავს, ხოლო იხვისებური ცხვირი ისე დაშვებულიყო ძირს, გეგონებოდათ ყბას გაჰკრობიაო. მას წვრილი ნაბიჯით მისდევდა ტანმორჩილი მოლა ესიფი ჩაბალახით, რომელიც თავზე უზარმაზარ დოლბანდად ჰქონდა შემოხვეული. მძიმე ნაბიჯით მიდიოდენ ყელამათი და საბაყაი. მათ შუაში ჩასდგომოდა მთელი თავით ყველაზე მაღალი, ჩამომხმარი ყეიმითხანი. ყველაზე უკან მიდიოდა მუჭადქცეული, ხმელ-ხმელი სელიმი, რომელსაც კეფაზე ჩრჩილისაგან შეჭმული პატარა ქუდი ედო.

— ხაბაშ, ხაბაშ! — დაუყვირა თემირმა, როდესაც გზაზე პატიმრები დაინახა.

— ჰა, რა გინდა? — გამოეხმაურა ხაბაში.

— აბა გზისკენ გაიხედე!

— ვერაფერს ვხედავ.

— ბუჩქებს მოეფარნენ.

ხაბაში მივარდა თხმელას და თვალის დახამხამებაზე ხეს კენწეროზე მოექცა. დაინახა რა სეიდიყი და სხვები, მაგრა დაუსტვინა.

კოლმეურნეებმა პირი იბრუნეს გზისკენ. იქ, ბუჩქებს იქით, გამოჩნდა პატიმართა ჯგუფი.

— ამბობენ, მშრომელთა დაწყევლისაგან ხეც კი ხმებაო. ასე მოუხდება მაგათ! უფრო გაადვილდება, დადრაა, ახალი ცხოვრების აშენება, — ჩაილაპარაკა მოხუცმა ჩახმათმა.

— ვინც ხელს შეგვიშლის ახალი ცხოვრების მოწყობაში, დაუნდობლად მოვიშორებთ გზიდან! — დაუმატა ქობლუხმა.

— აბა, დად, დაიწყე „კოლხოზ-აშვა!" *) — გადასძახა ოსმანმა ტრაქტორისტს, ოზამატის შვილს.

მანაც წკრიალით გააბა სიმღერა, რომელიც ცას სწვდებოდა. კვლავ აგუგუნდა ტრაქტორი, თითქოს მეორეს ეუბნებაო. ერთხმად მისცეს ბანი კოლმეურნეებმა. უფრო მკვეთრად ახმაურდა თოხები. ხოლო ხაბაშმა, რომელიც ამდროს ხიდან ძირს ეშვებოდა, თავისი სტვენა კოლმეურნეების სიმღერას ააყოლა.

და დიდხანს გაისმოდა მუშაობაში შეჯიბრებული კოლმეურნეების გამარჯვებული სიმღერა.

---

*) კოლმეურნეთა სიმღერა.

# ვასილ ბარნოვი

## 1857—1934

ვასილ ბარნოვი დაიბადა 1857 წ. სოფ. კოდაში. მამა მისი ზაქარია მღვდლად იყო იმავე სოფელში. წინაპრები ვ. ბარნოვისა კოდაში გადმოსულან ჯავახეთის სოფელ ბარნავიდან და აქედან გვარად დარქმევიათ ბარნაველები, მერე რუსულად ბარნოვად გადაკეთებული.

ვ. ბარნოვი ჯერ სწავლობდა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, მერე ტფილისისავე სემინარიაში და ბოლოს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაასრულა 1882 წელს.

1882 წელსვე ვ. ბ. სამსახურში გაამწესეს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში (სენაკში), ინსპექტორად. სამის წლის შემდეგ 1885 წელს, გადმოიყვანეს ტფილისის სასულიერო სემინარიაში; იქიდან 1886 წელს გადაჰყავთ მასწავლებლად თელავის სასულიერო სასწავლებელში, სადაც დარჩა 1910 წლამდე. ამ წელს ისევ ტფილისში აბრუნებენ სემინარიაში ქართულის სიტყვიერების მასწავლებლად. ტფილისის სემინარიის გაუქმებიდან 1930 წლამდე ვ. ბ. ასწავლიდა ქართულს ტფილ. მუშათა ფაკულტეტზე.

1931 წელს ავად გახდა და იძულებული შეიქნა საპედაგოგო მუშაობისათვის სრულებით თავი დაენებებინა. ამ ხნიდან მოკიდებული მხცოვანი მწერალი თითქმის გამოუსვლელად შინ ატარებდა დროს. სამის წლის განმავლობაში კალამი ხელიდან არ გაუგდია და დაგვიტოვა მთელი რიგი ისტორიულ რომანებისა, ამ პერიოდში დაწერილები. სიცოცხლის უკანასკნელ წელიწადს, როცა ხელი არ ემორჩილებოდა, თავის ქალებს უკარნახებდა თავის მოგონებებს ტფილისის გარდასულ ცხოვრებიდან.

პირველად ვ. ბ-ვის ნაწერი დაიბეჭდა 1875 წლის ქართულ გაზეთ „დროება“-ში. ეს იყო ლექსი — „ქ ა რ თ ვ ე ლ  ქ ა ლ ს“. ამას მიჰყვა ლექსები: „თამარ მეფე“ და „შოთა რუსთაველის სურათზე“. ეს ლექსები იყო ვ. ბ-ვის პირველი ლიტერატურული ცდა. ეტყობა თვითონ მიხვდა, რომ ლირიკა მისი სავლელი გზა არ იყო და ამის შემდეგ არც დაბეჭდილი და არც დაუბეჭდავი მისი ლექსი არსადა სჩანს. 1878 წელს იბეჭდება მისი „რამდენიმე სურათი ხევსურების ცხოვრებიდან“ (ეთნოგრაფიული წერილი). 1879 წ. იმავე „დროებაში“ იბეჭდება „პ ი რ ვ ე ლ ი  ს კ რ ი პ კ ა“ (გადმოკეთებული მოთხრობა). 1880 წ. „დროების“ №-ში იბეჭდება მისი მეთაური წერილი სასულიერო წოდების ჭირ-ვარამზე. 1881 წელს,

როცა უკვე აკადემიის სტუდენტი იყო, იბეჭდება მისი ფელეტონი-1884 წ. ჰბეჭდავს „ს ა მ შ ვ ი ლ დ ე"-სა (ისტორიულ აღწერას). 1886 წ. გაზეთ „ივერიაში" იწყება ბეჭდვა ვ. ბ-ვის მიერ თარგმნილი ფრანგ მოგზაურ შარდენის საქართველოში მოგზაურობა სათაურით „შარდენი საქართველოში". იმავე წლის „ივერიაში" დაიბეჭდა ვ. ბ-ვის ნათარგმნი



„რ ო ს ტ ო მ მ ე ფ ე დ ა მ ი ს ს ა ს ა ხ ლ ე შ ი ქ ო რ წ ი ლ ი" (შარდენის ნახული და აღწერილი). ამავე ხანებში დავ. ღამბაშიძის „მწყემსში" იბეჭდება თარგმანები ფრანგ მოგზაურის დიუბუასი და ცამპასი — „მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი".

ბელეტრისტული ორიგინალი, ნაწერი ვ. ბ-ისა, ცალკე გამოდის პატარა წიგნაკების სახით 1888 წ., როცა დაიბეჭდა „პ ა პ უ ნ ა" (მერე „ხარაზად" გადაკეთებული) და „ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ხ ე". სისტემატიურად მის მოთხრობებს ვხვდებით 1890 წლიდან ჟურნალ „ჯეჯილში", ყოველკვირეულ „კვალში" 1893 წლიდან, ყოველთვიურ ჟურნალ „მოამბეში"

1898 წლიდან, გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (1901 წლიდან) და მის მომდევნო გაზეთებში.

სულ დაწერილი აქვს ვ. ბ-ვს 100 სათაური ისტორიული რომანი და მოთხრობა. აქედან ცალკე წიგნებად გამოიცა: მისი ნაწერების I და II ტომი (ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზ-ბის გამოც. 1920 წ.) „ხაზართა სასძლო“ (1922); „ამქრის მშვენება“ (1923); „არმაზის მსხვრევა“ (1926); „მრუდე მსხალი“ 1928); „ვარდ-ფანჯები“ (1929); „ტფილისის აჩრდილები“ (1929); „სამი რომანი“ (გარდასრულთ. ხმანი) (1930); „ფერად-ფერადი“ (1934).

ცალკე გამოცემულია ვ. ბ-ის „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“, I ტ., 1919 წ. ამავე „გაკვეთილების“ მეორე და მესამე წიგნი დამზადებულია დასაბეჭდად. შიგ შევა მონოგრაფიები: შუშანიკა, ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, არსენა, გრ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი და სხვ.

დაუბეჭდავი დარჩა ისტორიული რომანები და მოთხრობები:

გიორგი სააკაძე (ტრილოგია).

1. ქუფრი ლანდები,
2. ბჭესთან დიდებისა,
3. გადატყდა ხმალი,
4. თეთრი გვირგვინი,
5. შურის გება,
6. მეჩვენა,
7. ცოდვა სიჭაბუკისა,
8. ქალი კახელი (იბეჭდ. ამ ნომერში),
9. აჩრდილი სიკვდილისა,
10. ძვირფასი განძი,
11. სამწუხრო ღიმი,
12. წოდებული,
13. პირიმზე,
14. დედოფალი ბიზანტიისა,
15. რაინდი სული,
16. კრებული მოგონებათა.

ვ. ბარნოვის ნაწერების გამოცემა ნაკისრები აქვს გამომცემლობა „ფედერაციას“, რომელთანაც შემდგარია სარედაქციო კომისია. პირველი ტომი, რომელშიც შევა ჯერ დაუბეჭდავი ნაწერები მწერლისა, უკვე მზადაა სტამბაში გადასაცემად.

განზრახულია აგრეთვე რუსულად გამოიცეს ვ. ბარნოვის ნაწერების ერთი წიგნი. „ამქრის მშვენების“ რუსულად თარგმანის (ნატროშვილისა) ნაწყვეტი უკვე დაიბეჭდა გაზეთ „ნა რუბეჟე ვასტოკა“-ში.

მთელი ნაწერები (სიტყვა-კაზმული) ვასილ ბარნოვისა შეადგენს 400 გვერდიან წიგნის 25 ტომს.

თ. სახოკია

# კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბიბლიოთეკა

გ. აბზიანიძე

## ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა ქართულ ლიტერატურაში

60-იანი წლების ჩვენი ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის განვითარებაზე რუსეთის მწერლებიდან უდავოდ ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ.

60-იანი წლების ქართული სოციალური აზროვნების დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულების საუკეთესო წარმომადგენლების — გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ანტ. ფურცელაძის, კ. ლორთქიფანიძის და სხვ. მსოფლმხედველობა გარკვეულად განიცდის ჩერნიშევსკის რადიკალურ-დემოკრატიულ იდეების გავლენას. ჩვენმა დემოკრატიულად განწყობილმა მესამოციანელებმა ჩერნიშევსკის უშუალო გავლენით გადმოიღეს რუსეთის „განმანათლებლობის“ მთავარი თვისებები: „განათლების, თვითმართველობის, თავისუფლების, ცხოვრების ევროპიულ ფორმის — მხურვალე დაცვა“ და „ბატონყმობისადმი უძლიერესი სიძულვილი“.

აქამდე სრულიად არ ექცეოდა ყურადღება 60-იან წლებში დაწერილ გ. წერეთლის შესანიშნავ ნაწარმოებს, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ნარკვევს, „მგზავრის წიგნს“, რომელშიაც ნათლად არის გამოხატული რადიკალურ-დემოკრატიული ტენდენციები. აქ გ. წერეთელი შეუდარებელი სისადავით გვიხატავს ბატონ-ყმობის უღელ ქვეშ მოქცეულ გლეხების უდიდეს სოციალურ ტრაგედიას, მთელი თავის სიძლიერით ილაშქრებს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და თავისი რაზნოჩინელი გმირის სალათას პირით ქადაგებს პროგრესიულ და დემოკრატიულ იდეებს. სალათას მხრით ქალთა განათლების, ქალთა თანასწორობის მხურვალე აპოლოგია უეჭველად ატარებს „Что делать“-ის გავლენის ნიშნებს.

1865 წ. ჰერცენის „კოლოკოლში“ გამოქვეყნებული ნიკო ნიკოლაძის წერილი „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ დაწერილია ჩერნიშევსკის უშუალო იდეური გავლენით. ნიკოლაძე, აღწერს რა „მშრომელთა ბრძოლას შთამომავლობისა და კაპიტალის პრივილეგიების წინა-

ალმდეგ“ იძლევა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ „რეფორმის“ გამანადგურებელ კრიტიკას. რეფორმას იგი უწოდებს „მძარცველობის და ყაჩაღობის, სიყალბის და დანაშაულობის დაკანონებას. [illegible] წერილში ნიკოლაძე აყენებს „თემობრიობის“ გზით ახალ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წესწყობილებაში გადასვლის იდეას. ჩერნიშევსკის გავლენას უნდა მიეწეროს აგრეთვე ნიკოლაძის გალაშქრება რუსეთის „თვითმყოფობის“ (самобытность) სლავიანოფილური თეორიის წინააღმდეგ. ნიკოლაძის დამოკიდებულებას ჩერნიშევსკისთან კიდევ დავუბრუნდებით ქვემოდ.

ჩერნიშევსკით დიდათ არის დავალებული ჩვენი მივიწყებული, მაგრამ მეტად საინტერესო და თავისებური მესამოციანელი ანტონ ფურცელაძე. ანტონ ფურცელაძის წერილები 60-იანი წლების „ცისკარში“ („ქართული ლიტერატურა“ 1863 წ., „სურამის ციხის განხილვა“ და სხ.), 70-იანი წლების „მნათობში“ და „გუთნის დედანში“ („ჩვენი სალტილველი“ - 1871 წ. „მამულის საერთო მფლობელობა“ — 1874 წ.) და მისი მხატვრული შემოქმედება („სამის თავგადასავალი“, „ავაზაკნი“, „ვაი მართალთა“ და სხ.) რაზნოჩინულ-რადიკალურ მსოფლმხედველობის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში. ამ მხრით განსაკუთრებით საინტერესოა მისი მოთხრობა „ვაი მართალთა“, რომელიც დაწერილია „Что делать“-ის პირდაპირი გავლენით. — თუმც „ვაი მართალთა“ პირველად დაიბეჭდა 1866 წ. (გამოვიდა ცალკე წიგნათაც ორჯერ), მაგრამ, როგორც ანტონ ფურცელაძის არქივზე მუშაობის დროს ჩვენ გამოვარკვიეთ ეს მოთხრობა დაწერილია 1863-ში, იმ წელს, რომელსაც ჩერნიშევსკის ცნობილი რომანი დაიბეჭდა „სოვრემენიკში“.

ფურცელაძის მოთხრობის გმირი სვიმონ ბადლაძე ჩერნიშევსკის რახმეტოვისა და კირსანოვის გავლენითაა შექმნილი.

სვიმონ ბადლაძე ჩერნიშევსკის რაზნოჩინელი გმირების მსგავსად მდაბიო ხალხისათვის თავდადებული პატიოსანი, კეთილშობილი ადამიანია, მაგრამ მას თავის გრძნობისა და განცდების გამომჟღავნება არ უყვარს. იგი ისევე, როგორც რახმეტოვი, გატაცებულია ბუნებათმეცნიერების შესწავლით და ოცნებობს საზღვარგარეთ წასვლაზე, რასაც ვერ ანხორციელებს მძიმე ნივთიერი პირობების გამო.

„სამის თავგადასავალის“ გმირი ქალი მაშა შექმნილია ჩერნიშევსკის ვერა პავლოვნას ანალოგიით. ვერა პავლოვნას დედა ყავდა გარყვნილი, იგი მზად იყო ფულისათვის საკუთარი ქალიშვილიც-კი გაეყიდა, მაგრამ სპეტაკი სულის ვერა პავლოვნა დედის გზას არ გაყვა, ფურცელაძის მაშას ყავს ლოთი მამა, რომელიც თავის ქალიშვილს საროსკიპოში ყიდის, სადაც ეს უკანასკნელი სულიერ სიმდიდრეს ბოლომდე ინარჩუნებს. მაშას საროსკიპოდან იხსნის სვიმონ ბადლაძე და ცოლად შეირთავს, რის შემდეგ ვერა პავლოვნას მსგავსად მაშა სწავლობს ბუნებათმეცნიერებას

და თავის ნიჭით და ერუდიციით დიდ ყურადღებას იპყრობს. იგი უკმაყოფილოა არსებული წესწყობილებით და უკეთესს მერმისზე ოცნებობს.

ანტონ ფურცელაძეს თავის მოთხრობაში არა აქვს მოცემული, ჩერნიშევსკის მსგავსად კომუნისტურ საზოგადოების სურათი, მაგრამ მისი რაზნოჩინული გმირები გარკვეულად „Что делать"-ის გავლენით არიან შექმნილი. ანტ. ფურცელაძის ერთი მოთხრობის გმირი („ვაი მართალთა") რევოლუციონერი მიშო, რომელიც ცნობილი ხალხოსნის მიშო ყიფიანისაგან არის გადახატული, თავის სიცოცხლეს პარიზის კომუნის ბარიკადებზე აბოლოებს. იგი გმირულად კვდება ვერსალელების ტყვიით.

მოყვანილი მაგალითები საკმაოდ ნათელყოფენ ჩერნიშევსკის გავლენის კვალს 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩერნიშევსკის დიდი როლი 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ-ესთეტიურ აზროვნების შემუშავებაში. ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის რეალისტურ-ლიტერატურული კონცეპცია ჩერნიშევსკის და ბელინსკის ესთეტიკიდან იღებს სათავეებს. გ. წერეთლის და ნ. ნიკოლაძის უტილიტარულ-ესთეტიური პრინციპები ჩერნიშევსკის ცნობილ დისერტაციის ძირითად დებულებებს იმეორებენ. გ. წერეთელი ჯერ კიდევ თავის სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში 1863 წ. „საქართველოს მოამბის" ფურცლებზე ლიტერატურას და პოეზიას მოუწოდებს ასახოს ხალხის ცხოვრება და ემსახუროს მას. ამ აზრს იგი არა ერთგზის ატარებს თავის პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწერებში. ნ. ნიკოლაძე კი, 70-იანი წლების „კრებულში" მოთავსებულ წერილებში სწერდა, რომ „ხელოვნური მწერლობის" დანიშნულება ნამდვილი ცხოვრების დახატვაა და მისი მახინჯი მხარეების ახსნა. გარდა ამისა „მწერლობას უკეთესი ცხოვრების გამოხატული იდეალი უნდა ქონდესო".

ვისაც წაუკითხავს „Эстетические отношения искусства к действительности" არ შეიძლება არ მოაგონდეს ჩვენი მწერლების ზემოდ მოყვანილი აზრები.

ჩერნიშევსკის და მისი წრის გავლენით უნდა აიხსნას აგრეთვე 60-იანი წლების ჩვენი საზოგადოებრივ აზროვნებაში ნათლად გამოხატული ხალხოსნური სოციალიზმის ტენდენციები, თავისუფალი შრომის საკითხის წამოყენება და კაპიტალიზმის თავისებური კრიტიკის ცდები (ა. ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, დ. ყიფიანი და სხვ.).

ჩვენი 60-იანი წლების ახალი თაობა უშუალოდ იცნობდა ჩერნიშევსკის და დაახლოებული იყო მასთან. ნ. ნიკოლაძე თავის ცნობილ მოგონებებში 60-იან წლებზე, აღნიშნავს, რომ ქართველ სტუდენტთა წრე პეტერბურგში ახლო კავშირში იმყოფებოდა ჩერნიშევსკისთან (ნ. ნიკოლაძე — თხზულებანი, ტ. I).

ამ დროის სტუდენტი ი. ისარლიშვილი ჩერნიშევსკისთან ქართველი ახალგაზრდობის დამოკიდებულების შესახებ წერს: — „კავკასიელებიდან, რომლებიც დადიოდენ ჩერნიშევსკის ოჯახში, მე მახსოვს ნ. ი. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. ვ. ლოლობერიძე, დ. ვ. ლოლობერიძე, [illegible] და სხვ. ჩვენ იქ ხშირად ვხვდებოდით „სოვრემენნიკის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს — ნ. ა. დობროლიუბოვს, პიოტროვსკის, პანტელეევს და სხვ.

სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებულ საქმეებზე ვ. ლ. ლოლობერიძე ხშირად თათბირობდა ჩერნიშევსკისთან. „სოვრემენნიკის“ წრის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ქართველი სტუდენტი კირ. ბეჟ-ძე ლორთქიფანიძე შემდეგში ქართველი ჟურნალისტი და პოეტი“ (Г. М. Туманов — „Характеристики и воспоминания“, кн. I, მეორე გამოცემა, 1913 წ. გვ. გვ. 232 — 233).

მე-III განყოფილების აგენტურის მასალებში ჩერნიშევსკისთან „განსაკუთრებით დაახლოებულ პირებში აღნიშნულია სტუდენტი ლოლობერიძე, რომელიც „ცხოვრობს პავლოვსკში მალულად რამდენიმე ამხანაგთან ერთად“ („Красный Архив“, 1928, XXIX, გვ. 178, 182, 186).

ჩერნიშევსკის ნაცნობ სტუდენტებიდან ნ. ნიკოლაძე სხვათა შორის იგონებს ი ვ ა ნ ე ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ს, რომელმაც, მისი თქმით, მიხაილოვის გმირობით აღფრთოვანებულმა ჩერნიშევსკის ოჯახში „გამოაშკარავა თავის შეხედულებანი და საბრალმდებლო სიტყვა წარმოსთქვა მთავრობის წინააღმდეგ“ (ტ. I, 122). შემდეგ ამ ანდრონიკაშვილს კახეთში შეხვედრია ა. ნ. პიპინის ქალიშვილი ვ. ა. პიპინა, რომელიც თავის წიგნში „Любовь в жизни Чернышевского“, (П. — 1925 წ.) — დაწვრილებით აღწერს მასთან შეხვედრას. — „თვითონ ანდრონიკაშვილი, — სწერს ვ. ა. პიპინა, — იყო პირველი ქართველი სტუდენტთაგანი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში გაემგზავრა სასწავლად. მას შემდეგ თავისუფალ დროს თავის შორეულ საქართველოში ის ატარებდა „სოვრემენნიკის“ კითხვაში, რომლის დაკანულ მთლიან ეკზემპლიარს იგი უფრთხილდებოდა, როგორც რელიკვიას. იგი ცრემლმორეული იგონებდა ჩერნიშევსკის პიროვნებისაგან მიღებულ იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ელოლიავებოდა. აღელვებულმა მოხუცმა ბოლოს დალია სადღეგრძელო ჩერნიშევსკის და იმ რუსი ახალგაზრდობისა, რომელთათვის ძვირფასი იყო 60-იანი წლების იდეალები“.

ივანე დავითის ძე ანდრონიკაშვილს (1840 — 1904), მისი მეუღლის გადმოცემით, რაღაც საკითხზე მიწერ-მოწერა ქონია ჩერნიშევსკისთან. მისი მეუღლე იგონებს, თუ როგორი გატაცებით კითხულობდა მერამდენჯერმე ი. ანდრონიკაშვილი „Что делать“-ის არალეგალურ გამოცემას (ეს ი. დ. ანდრონიკაშვილი არ არის აგრონომი ივანე ანდრონიკაშვილი, ავტორი ნარკვევისა „Скотоводство в Закавказьи“, როგორც ამას ფიქრობდა განსვენებული სიმ. ხუნდაძე.— ნ. ნიკოლაძის თხზულ. I, გვ. 401).

60-იანი წლების სტუდენტთა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სტუდენტებმაც. 1861 წ. მომხდარ პეტერბურგის სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულ იქნენ ქართველი სტუდენტები (გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კირ. ლორთქიფანიძე, ი. ისარლიშვილი, ა. ჩოლოყაშვილი, დავ. ღოღობერიძე, ალხაზაშვილი და სხვ.). ნ. ნიკოლაძე იგონებს, თუ რა დიდ გავლენას ახდენდა ჩერნიშევსკი ამ პერიოდში ქართველ სტუდენტებზე.

როგორც ცნობილია ნ. გ. ჩერნიშევსკი უდიდესი წარმომადგენელია რუსეთში ბუნებათმეცნიერულ მატერიალიზმისა. ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ვხვდებით ჩერნიშევსკის მატერიალისტური მსოფლმხედველობის გავლენის კვალსაც. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ გ. წ ე რ ე თ ლ ი ს 60—70-იანი წლების ნაწერები, რომლებშიც გარკვევით გატარებულია მატერიალისტური შეხედულებანი („ს ა უ კ ე თ ე ს ო ც ო დ ნ ა“ და სხვ.). რა თქმა უნდა, აქ შეიძლება ლაპარაკი საერთო გავლენაზე, იმდენათ რამდენათაც 60-იან წლებში ჩერნიშევსკიმ მოუპოვა მატერიალიზმს სამოქალაქო უფლება. არსებითად უნდა ითქვას, რომ გიორგი წერეთელი და ამ მხრით მისი თანამოაზრე სხვა ქართველი მესამოციანელები არ მისულან ჩერნიშევსკის ფეიერბახიანული მატერიალიზმის დონემდე, ისინი უმთავრესად ფოხტის და მოლეშოტის ვულგარულ მექანისტური მატერიალიზმით შემოიფარგლენ.

ქართველ მოღვაწეებიდან ჩერნიშევსკის სახელთან ყველაზე მეტად დაკავშირებულია ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე, განსაკუთრებით თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში. 80-იან წლებში კი ეს უკანასკნელი მტკიცედ დგება ლიბერალური ბურჟუაზიის პოზიციაზე.

ჩვენ აქ არ შეგვიძლია არ შევეხოთ ნ. ნიკოლაძის ჩერნიშევსკისთან დამოკიდებულების ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც.

ნ. ნიკოლაძე 1866—68 წ.წ. ჟენევის ახალგაზრდა ემიგრაციის სათავეში მოექცა. იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო იმ წრისა, რომელიც ჩერნიშევსკის მომხრედ ცნობდა თავს და უპირდაპირდებოდა ჰ ე რ ც ე ნ ს და ო გ ა რ ი ო ვ ს. არსებითად ჟენევის ახალგაზრდა ემიგრაციის ხელმძღვანელები უმეტეს შემთხვევაში თავისებურად იგებდენ ჩერნიშევსკის მოძღვრებას და მის ტაქტიკურ ხაზს ამახინჯებდენ (ტერორის, აჯანყების საკითხი და სხვ.).

ამ პერიოდში ნიკოლაძე აგროვებდა მასალებს ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოსაცემად. 1866 წ. იგი თავის მეგობარს კირ. ლორთქიფანიძეს წერს: — „გაიცანი ვინმე პიპინის ნაცნობი, და მიშოვნე სრული (ძალიან სრული) სია „რა ვქნათ“-ის ავტორის თხზულებების. ამ სიის გარდა მიშოვნე გამოშვებული ალაგები. ...თუ ნაცნობი ვერ გაიცანი აიღირე თავი და წადი პირდაპირ, უთხარი, ასე და ასე, ერთ ჩ-კის (ჩერნიშევსკის — გ. ა.) თაყვანისმცემელს სრულს შეაგროვოს მისი სრული თხზუ-

ლებაები თქო და იმედი მაქვს, რომ არ დამიკავებთ თქვენ[illegible] და გამოშვებული ალაგების თქვენი თვალების წინ გადაწერას თქო" (ნიკოლაძე, თხზულებანი, I, გვ. 445). ნიკოლაძემ თავის მიზანი განახორციელა. მან 1868 წ. ჟენევაში ელპიდინთან ერთად თავის წინასიტყვაობით გამოსცა ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომი.

1882 წ. ნ. ნიკოლაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო „Священная дружина"-ს და „Народная воля"-ს მოლაპარაკებაში, რომელშიც ნაროდოვოლცები ერთ-ერთ მთავარ პირობად ჩერნიშევსკის განთავისუფლების საკითხს აყენებდნენ. ნიკოლაძე ამ ხანებში საზღვარგარეთ წავიდა „ნაროდნაია ვოლიას" ცენტრალურ კომიტეტის წევრებთან სათათბიროდ. ამ მოლაპარაკებამ, რა თქმა უნდა, შედეგი ვერ გამოიღო. თვითონ ნიკოლაძე კი ამის გამო „მკაცრ პოლიციურ ზედამხედველობის ქვეშ მოექცა" („Деятели революционного движения в России", Биобиблиографический словарь, 1928 წ., ტ. I, გვ. 272).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩერნიშევსკი ნაცნობებიდან 23 წლის შემდეგ იგონებს ნიკოლაძეს და მას ერთ პირად საქმეზე წერილს წერს (ამ ბარათს, რომელიც გამოგზავნილია 1884 წ. სარატოვიდან ნიკოლაძის მიმართ, — ვაქვეყნებთ „ლიტერატურულ მემკვიდრეობის" პირველ წიგნში).

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩერნიშევსკის გავლენა ჩვენს მოაზროვნეებზე არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ეს უკანასკნელები ჩერნიშევსკის იდეურ დონემდე ამაღლდნენ. ეჭვს გარეშეა — ჩერნიშევსკის იდეებმა ქართულ ნიადაგზე გარკვეული ცვლილებები განიცადა, რის დახასიათებაზე აქ არ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ქართველი „მესამოციანელები" უმთავრესად სოციალური წყობილების გარდაქმნას ევოლუციის გზით ცდილობდნენ. მათთვის უცხო იყო ჩერნიშევსკის აზროვნების მკვეთრი კლასიური ხასიათი და მისი რევოლუციონური მეთოდი.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს თვით რუსეთშიც ჩერნიშევსკის შემდეგ თეორეტიულ დონის დადაბლებას (მარქსიზმის წარმოშობამდე). რა თქმა უნდა, გასაკვირველი არ არის, რომ ჩერნიშევსკის იდეებს ეკონომიურად ჩამორჩენილ საქართველოში ისეთივე ნოყიერი ნიადაგი არ დახვდა, როგორც მის სამშობლოში.

მიუხედავად ამისა ჩერნიშევსკის იდეური გავლენა 60-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე განუზომელია და იგი მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ხავთასი

# მარქსი და ფრაილიგრატი

მარქსის დამოკიდებულება ფრაილიგრატთან საყურადღებოა არა მარტო ისტორიულ-ლიტერატურულ თვალსაზრისით, არამედ მუშათა მოძრაობის განვითარების თვალსაზრისითაც. მარქსის წერილები ფრაილიგრატისადმი ყველგან მეგობრული კილოთია გამსჭვალული.

რით დაიმსახურა ფრაილიგრატმა მარქსის ასეთი თანაგრძობა? ცნობილია თუ როგორ სათუთად ეპყრობოდა მარქსი რევოლუციის მგოსნებს, თუ როგორ აფასებდა იგი თავისუფლების პოეტს ჰ ა ი ნ ე ს, და როგორ გაკიცხა მან ლიბკნეხტი, როდესაც ამ უკანასკნელმა პარიზში ყოფნის დროს, ნიშნად პროტესტისა, არ ინახულა ჰაინე. მიუხედავათ იმისა, რომ ჰაინე ძრწოდა კომუნიზმის მოახლოებული აჩრდილის წინაშე, მარქსი მას მაინც უდიდეს პოეტად სთვლიდა.

მარქსს კარგად ესმოდა, რომ ადამიანი არ არის ჩინური კედლებით შემოფარგლული სხვა კლასების გავლენისაგან, რომ მხატვარზე ხშირად გავლენას ახდენს მოწინააღმდეგე კლასის იდეოლოგია, რომ მხატვრული დოკუმენტის სოციალურ-კლასობრივი დეტერმინაცია სრულებით არ გამორიცხავს ამ გავლენის შესაძლებლობას. მარქსისათვის ნათელი იყო, რომ ჰაინეს შიში და მერყეობა მოახლოებული ქარიშხლის წინაშე ნაყოფი იყო იმ განსაკუთრებული მდგომარეობის, რომელიც ჰქონდა წვრილ ბურჟუაზიას გერმანიის რევოლუციაში.

მარქსი ხედავდა, რომ ფრაილიგრატის მოსვლა რევოლუციასა და სოციალიზმთან, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ამ მწერლის დადგომას მეცნიერული სოციალიზმის პოზიციებზე. ამისთვის არ იყო საკმაო რევოლუციის და სოციალიზმის დეკლარატორული მიღება. საჭირო იყო მეცნიერული სოციალიზმის იდეების ძვალსა და რბილში გაჯდომა; მაგრამ მარქსი გენიალურად მიხვდა, რომ 40 — 50 წლების რევოლუციურ მწერლებს შეეძლოთ დიდი სამსახურის გაწევა, პროლეტარიატის გამანთავისუფლებელი ბრძოლისათვის, რომ რევოლუციასთან ეს სტიქიური მისვლაც კი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იქნებოდა.

მარქსს ესმოდა, რომ ძნელი იყო ამ მწერლებისათვის ერთბაშად გაიარაღება, მაგრამ იმ თავითვე შეიძლებოდა თქმა, რომ გზა ფრაილიგრატის შემდგომი განვითარებისა მარქსის განჭვრეტას დაადასტურებდა. მარ-

ქსი თავიდანვე მიუხვდა ფრაილგრატს არა მარტო, როგორც მხატვრული სიტყვის უდიდეს ოსტატს, არამედ როგორც ერთხელ აღებული მიზნისათვის თავდადებულ და პატიოსან ადამიანს. ეს ეპი[illegible]სანი“ მარქსმა საბოლოოდ მიაკუთვნა ფრაილიგრატს და იგ[illegible]წაუ-ლია მასთან დამოკიდებულობის უკიდურეს გამწვავების მომენტშიც კი.

რით იყო გამოწვეული, რომ ფრაილიგრატმა ასეთი ყურადღება დაიმსახურა მარქსისა, ისე რომ უკანასკნელი სულ მუდამ ცდილობდა შეენარჩუნებია მეგობარი? მარქსი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან ცოტას აკუთვნებდა ასეთ ბედს. ამ საკითხს ფრაილიგრატის შემოქმედებაში გადავყევართ.

40-იან წლებში გერმანია უშუალო რევოლუციის წინ იდგა. გერმანიის ბურჟუაზია ემზადებოდა ძველ წყობილებაზე იერიშების მისატანად. მრეწველობის განვითარებამ წარმოშვა, თუმცა არა მრავალრიცხოვანი, მაგრამ საკმაო ძლიერი პროლეტარიატი, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ უტოპიურ სოციალიზმის იდეებით იკვებებოდა. გერმანიის ბურჟუაზიას არ გააჩნდა ის რევოლუციური გამბედაობა, რომლითაც ხასიათდებოდა საფრანგეთის ბურჟუაზია. სისუსტე და გაუბედაობა ამ კლასისა გამოხატულებას ნახულობს მის სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ იდეალებში. პროლეტარიატს თუმცა ჯერ არ გააჩნდა ბრძოლის საკუთარი პროგრამა, მაგრამ იგი სწრაფად იწყებდა თავის კლასობრივ შეგნების სიმაღლემდე ასვლას. რევოლუციურ მასების ხელმძღვანელად ბურჟუაზია უნდა გამოსულიყო, მაგრამ რევოლუციაში მან მოახდინა თავისი მოლაღატური ბუნების დემონსტრაცია, დაკმაყოფილდა რა „საპარლამენტო კრეტინიზმით“.

რევოლუციური სიტუაციის შექმნამ გამოხატულება პოვა მხატვრულ ლიტერატურაში. ძველი რომანტიზმის ხანა გავიდა, გავიდა ხანა აღმოსავლურის სიუჟეტებით და ეკზოტიკური ამბებით გატაცებისა, ხანა ფერიების და ცისფერი ყვავილებისა. დღის წესრიგში დაისვა სოციალისტურ პოლიტიკური ლიტერატურის შექმნის აუცილებლობა. გაჩნდა ახალი წყება რევოლუციონერ მწერლებისა; ჰაინე, ჰერვეგი, ფრაილიგრატი და სხვა.

ფერდინანდ ფრაილიგრატი, რომელიც დღემდე გატაცებული იყო რომანტიული ამბებით და უგალობდა აღმოსავლეთის სიუჟეტებს, იწყებს თავის გადაიარაღებას. რომანტიულიდან რევოლუციურ კოლორიტზე გადასვლა ფრაილიგრატისათვის არ იყო სწრაფი პროცესი. მეორე მხრივ ისტორიული უმართებულობა იქნებოდა, თუ ფრაილიგრატის შემოქმედების ამ პირველ პერიოდში ჩვენ მარტო რომანტიულ პერსონაჟებს დავინახავდით. მართალია მას იზიდავდა რომანტიული სურათები, მაგრამ ის მისი მშფოთარე ბუნების გამოხატვის მისწრაფებიდან იყო ნაკარნახევი. მომავალი რევოლუციონერის მხატვრულ გაქანებას გამოთქმის სხვა ფორმები ჯერ კიდევ ვერ მოეძებნა.

ეს არ იყო სინამდვილის რომანტიული უარყოფა, წარსულის იდეალიზაცია; ფრაილიგრატი ამისგან შორს იყო. ამიტომ ფრაილიგრატი 40-იან წლებამდეც კი არ შეიძლება რომანტიკოს მწერალთა რიცხვს მიაკუთვნოთ, როგორც ამას ბევრი ამტკიცებს. რომ ეს ასე იყოს, მაშინ ძნელი ასახსნელი იქნებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთი მძაფრი გარდატეხა მის შემოქმედებაში. უსაფუძვლოა ბურჟუაზიის კრიტიკის ცდა ფრაილიგრატის შემოქმედების პერიოდიზაციის ნიადაგზე გამოყოს ფრაილიგრატი რევოლუციამდე და გამოაცხადოს იგი რომანტიკოსად. ამ ტენდენციის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ შეცდომათ და სამწუხარო ვაუგებრობათ იქნას გამოცხადებული ფრაილიგრატის შემოქმედების ის უმაღლესი რევოლუციონური პერიოდი, რომლითაც შეუძლია იამაყოს მსოფლიო პროლეტარულმა ლიტერატურამ.

ფრაილიგრატი თავის შემოქმედებაში არსად არ არის გაორებული პიროვნება. რევოლუციის წინა დროის ფრაილიგრატს ბევრი საერთო ძაფები აკავშირებს რევოლუციის „მესაყვირესთან“. ასეთივე კავშირია რევოლუციის პერიოდის ფრაილიგრატსა და 60-იან წლების „მსხვილ ფილისტერს“ შორის.

ფრაილიგრატი თავიდანვე ხასიათდებოდა მშფოთვარე და დაუდგრომელი ბუნებით და არაჩვეულებრივისადმი მისწრაფებით. რევოლუციამდე ამ მისწრაფებას მხოლოდ რომანტიულ ფერებში შეეძლო გამოხეთქა.

ამბების შემდგომმა განვითარებამ დააჩქარეს ფრაილიგრატის რევოლუციური გარდაქმნის პროცესი, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ქონდა შეთვისებული პოლიტიკურ სოციალური ბრძოლის ამოცანები. ასე მაგალითად იგი პოეტ ჰერვეგთან ერთად ღებულობს მეფისგან პენსიას. ხელოვნების ფუნქციის გაგებაში იგი ჯერ კიდევ არ დამდგარიყო ეპოქის მოთხოვნილების სიმაღლეზე. მან გაილაშქრა ჰერვეგის წინააღმდეგ, რომელიც ხელოვნების საზოგადოებრივ ფუნქციას აღიარებდა და მას პარტიის ამოცანებს უმორჩილებდა. ხელოვნების ასეთმა გაგებამ ფრაილიგრატი იქამდე მიიყვანა, რომ იგი ლექსში „წერილი“ აღტაცებით შეხვდა ჰერვეგის პრუსიიდან გადასახლებას, რისთვისაც მარქსისაგან გაკიცხვა დაიმსახურა.

1843 წელს იგი ქება დიდებას უძღვნიდა მეფეს. ეს იყო გაურკვევლობის და ძიების პერიოდი. იგი ყურს უგდებს თავისუფლების შორეულ ხმებს. მას ყურში ჩასწვდის რეინის გაღმა ნაპირიდან გადმოსროლილი თავისუფლების და სამართლიანობის ლოზუნგები. იმავე 1834 წ. იგი მონტესკიეს და რუსსოს სახელმწიფოებრივი თეორიების გავლენით წერს ლექსს: „თავისუფლება! სამართალი!“.

თავისუფლება ცოცხლობს და მასთან ერთად ცოცხლობს სამართალიც. სადაც ერთია, იქ მეორეც არსებობს. თავისუფლება და სამართლიანობა გაიმარჯვებს და გაიმარჯვებს საბოლოოდ. თავისუფლების გამარჯვება სამართლიანობის საშუალებით მოხდება; მათი გამარჯვება [illegible] გვირგვინით შეიმკობა. მანამდე კი საჭიროა მზად ყოფნა — ასეთია ფრაილიგრატის შეხედულება.

თანდათანობით წინ მიდის ფრაილიგრატის რევოლუციური გარდაქმნის პროცესი. 1844 წელი. გაისმა ახალ ჰანგებზე საომარი მუსიკა. რიჟრაჟის მაუწყებელი ნიავი დაქრის რაინის ჩრდილოეთიდან. ფრაილიგრატი ესალმება ამ ახალ მუსიკას თავის „Feldmusik“-ში.

ფრაილიგრატის წინაშე ისმება დილემა: როგორ შეხვდება გერმანია ამ განახლების გრიგალს. ვინ იქნება მისი მამოძრავებელი და სულის ჩამდგმელი. ამ პრობლემას იგი აყენებს ლექსს „Hamlet“-ში.

ფრაილიგრატმა დაზვერა რევოლუციის მამოძრავებელი ძალები; მან იგრძნო, რომ მოახლოებული ქარიშხალისათვის ბურჟუაზია არ არის მომზადებული, აკლია გამბედაობა და დასახული მიზნის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა. ამ პერიოდის ნაწარმოებებშიც გაისმოდა პროტესტი მშიერი და ტანჯული მასების, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის ნამდვილი ორგანიზატორის — პროლეტარიატის როლი ფრაილიგრატს ჯერ კიდევ არ ესმოდა.

1845 წელში ფრაილიგრატი იძულებული ხდება გერმანიიდან ბრიუსელში გადასახლდეს. აქ იგი შეხვდა მარქსს და მათ შორის იწყება მეგობრული ურთიერთობა. მარქსის გაცნობამ დააჩქარა ფრაილიგრატის გარდაქმნის პროცესი. 1845 წლებში იგი უკვე რევოლუციის ბუნდოვანი იდეალებით აღარ კმაყოფილდება.

იგი რევოლუციურ ლირიკაზე გადადის. რევოლუციური რომანტიზმის ფერებმა შესცვალეს ძველი აღმოსავლურ ეგზოტიური პერსონაჟები, მაგრამ მას მაინც არ ქონდა გაგებული თუ როგორი ხასიათის იქნებოდა მომავალი რევოლუცია, თუ როგორი იქნებოდა მშრომელი კლასების როლი ამ რევოლუციაში.

ამავე ხანებში ფრაილიგრატი აქვეყნებს ლექსს („ქვევიდან ზევით“), სადაც აშკარად გადადის პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ქადაგებაზე. მუშა მემანქანე, რომელსაც შეგნებული აქვს ისტორიის ბორბლის ტრიალი, ეუბნება მეფეს, რომელიც გემის ბაქანზე დასეირნობს, რომ ის სიღრმეში ჰედავს თავის ბედს და არა მარტო თავისას, არამედ მეფის ბედსაც, ვის უპყრია ისტორიის ბორბალი თუ არა მას, იგი ფლობს მშფოთვარე ვულკანს; საკმაოა მხოლოდ ერთი დაკვრა, რომ დაინგრეს სულ ყველაფერი, რომლის მწვერვალზედაც მეფე იმყოფება, მიწა გასქდეს და ალმა ზევით ამოხეთქოს. ძლიერია ძალა პროლეტარების. ისინი მოიტანენ

ახალ დროს, ახალ რწმენას, ისინი გმირები არიან, რომლებიც არაფერს არ უფრთხიან.

1848 წელს ფრაილიგრატი ბრუნდება გერმანიაში და უახლოვდება მარქსს. იგი ხდება ერთ ერთი რედაქტორთაგანი „ა ხ ა ლ ი  რ ე ი ნ ი ს  გ ა ზ ე თ ი ს ა“. იგი შედის „კ ო მ უ ნ ი ს ტ თ ა  კ ა ვ შ ი რ შ ი“ და თავის თავს თვლის პროლეტარიატის პარტიის წევრად. ეს იყო უმაღლესი და უნაყოფიერესი წლები ფრაილიგრატის შემოქმედებისა. გაზეთის ფურცლებზე ფრაილიგრატი წერს ლექსებს, ხშირად მოწინავეების სახითაც კი. აქ განიცადა ფრაილიგრატმა მარქსის დიდი გავლენა, მაგრამ იგი თავის მხრივ გავლენას ახდენს მთელ რიგ რევოლუციურ მწერლებზე. რეინის გაზეთის ფურცლებიდან მარქსთან ერთად ფრაილიგრატი უტევდა რევოლუციის ყველა მტრებს, ყველა ფილისტერებს.

აქედანვე უძღვნა მან თებერვლის რევოლუციას საფრანგეთში თავისი ნაწარმოები (მთებში გაისმა პირველი გრგვინვა), სადაც რევოლუციური პათოსი უმდიდრეს მხატვრულ სახეებში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში მის შემოქმედებას ახასიათებს, როგორც შინაარსის სიმდიდრე, ისე ფორმის პლასტიურობა და მრავალფეროვნება. მისი რევოლუციური ბუნება ვერ მოთავსდა ტრადიციული ლექსთწყობის ფორმებში. ფრაილიგრატი აღწევს ლექსთწყობის უმაღლეს საფეხურს. იგი ხდება ერთ ერთი უშესანიშნავესი მწერალი რევოლუციური ეპოქისა. პოეტი სიხარულით აგვიწერს საფრანგეთის მონარქიის დაცემას, გიზოს გადადგომას და რევოლუციური ჰანგებით აღფრთოვანებული უბრუნდება გერმანულ სინამდვილეს, სადაც რევოლუციამდე რამოდენიმე დღე ღა დარჩენილიყო. პოეტი ღრმადაა დარწმუნებული, რომ რევოლუციის მოხეტიალე ტალღა სადაცაა გერმანიასაც მიწვდება.

არა მარტო გერმანიას, არამედ პოლონეთს, უნგრეთს. ეს უდიდესი ბედნიერებაა ეპოქისათვის. ეს უბედნიერესი წელია...

„ახალი რეინის გაზეთი“-ს დახურვისას უკანასკნელ ნომერში ფრაილიგრატი წერს გ ა მ ო ს ა მ შ ვ ი დ ო ბ ე ბ ე ლ  ლ ე ქ ს ს. აქ ოდნავადაც არ არის უკან დახევის ტენდენცია, არც სინანული, არც წუწუნი: ფრაილიგრატს წამს, რომ მშრომელი დაფლეთილი ტანთსაცმელით მას დახმარებას გაუწევს, მშრომელი გოგონები მას ყვავილების გვირგვინს დაუწნავენ. პოეტი ემშვიდობება მებრძოლ ქვეყანას, მებრძოლ გმირებს, საბოლოოდ, რადგან ჯალათებს არ ძალუძთ გატეხონ მისი რევოლუციური სული. ისინი შრომის ფარაჯებში დაბრუნდებიან ხელახლა. და რევოლუციის ჯალათებს ხალხი თავის სიტყვას ეტყვის. დ ა უ მ თ ა ვ რ ე ბ ე ლ  რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს  ხ ა ლ ხ ი  ბ ო ლ ო მ დ ე  მ ი ი ყ ვ ა ნ ს. ფრაილიგრატმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა რევოლუციის ჯალათები.

ამ მხრივ ლექსი „მ კ ვ დ რ ე ბ ი  ც ო ც ხ ლ ე ბ ს“ ფრაილიგრატის მხატვრული შემოქმედების აპოგეას წარმოადგენს.

ზიზღი და წყევა კრულვა გაისმის კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ. ეს არ არის ისტერიული წყევა კრულვა. პოეტი ელაპარაკებს რევოლუციის მსხვერპლთ — მკვდრებს. მათ შუბლზე [illegible]ხატული; ისინი სამარიდანაც მოსვენებას არ აძლევენ ჩაგვრის [illegible]; ისინი ხედავენ თუ როგორ დაფრთხა საკუთარი გამარჯვებით დამთვრალი კონტრრევოლუცია. ისინი არხეინად განისვენებენ საფლავში; ამათა მტრების განზრახვა ალგავონ მათი ხსენება დედამიწის ზურგიდან. საცაა გაიღვიძებს დამარხული სიძულვილი.

ამ ლექსის გამო ფრაილიგრატი კელნის კომუნისტთა პროცესში ჩაურთეს.

რეაქციის გამარჯვების და მიუხედავად ფრაილიგრატი არ იხევს უკან თავის პოზიციიდან. ასეთი ტონითაა დაწერილი მისი შემდგომი ლექსები, პირველი რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ეს არის ნაბიჯი მეორე რევოლუციისაკენ. პოეტი ხმამაღლა გაიძახის: რევოლუცია არ არის მკვდარი და როგორადაც არ დახლართონ მტრებმა ქსელი, რამდენი რევოლუციონერიც არ გადაასახლონ ჯალათებმა, სულ ერთია მათ თვალში ცრემლებს მაინც ვერ დაინახავენ, სინანულს ვერ გაიგონებენ; მათი ხმა, მათი სიმღერა ეს მომავლის სიმღერაა, გამარჯვების, მათ ვერ ჩაახშობენ გაიძვერები, ფილისტერები. პოეტი კი მუდამ მოწინავეთა რიგებში იქნება. იგი იძიებს შურს, მტრების სხეულებს და მათ გვირგვინებს იგი ფეხით გასრესს, იგი იქნება შურისმაძიებელი გათავისუფლებული კაცობრიობისა.

რაინის გაზეთის დახურვისას მარქსის გადასახლების გამო ფრაილიგრატი წერს მარქსს: „შენი გადასახლება არის უსაზიზღრესი საზიზღრობათა შორის". იგი მატერიალურადაც ეხმარება მეგობარს.

1851 წ. ფრაილიგრატი გაექცა პრუსიის პოლიციას და ინგლისში გადასახლდა. ლონდონში ემიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფი შეეცადა ჩაეთრიათ ფრაილიგრატი თავიანთ ფრაქციებში, მაგრამ ფრაილიგრატი მათგან შორს იდგა. ასე მაგ. მას მიმართა რ უ გ ე მ თხოვნით მონაწილეობა მიეღო ემიგრანტთა გაერთიანების ასოციაციაში, მაგრამ ფრაილიგრატისაგან უარი მიიღო. უარის მიზეზად ფრაილიგრატი ასახელებდა კომუნისტთა კავშირის წევრობას. ფრაილიგრატი ცდილობდა არ დაეკარგა თავისი პოლიტიკური ხაზი ლონდონის ემიგრანტთა წრეში, განსაკუთრებით რ უ გ ე ს ა და კ ი ნ კ ე ლ თ ა ნ დამოკიდებულებაში. ეს ის კინკელია, რომელიც ვითომდა რევოლუციონერი დადიოდა ამერიკაში და აგროვებდა „რევოლუციის საქმისათვის". მარქსისადმი მიწერილ წერილში ფრაილიგრატი დასცინის კინკელს, ამ უწინდელ ღვთის მეტყველს, ხოლო დღევანდელ ხელოვნების ისტორიის პროფესორს. მარქსი ავალებს ფრაილიგრატს დაწეროს სატირული ლექსი კინკელის წინააღმდეგ და თანაც აძლევს მითითებებს, თუ როგორი უნდა იყოს აღნიშნული სატირა. ამავე ხანებში ფრაილიგრატი ცდილობს დაეხმაროს მარქსს მის შრომების გამოცემაში.

მას ამ მიზნით შემუშავებული აქვს საანქციონერო საზოგადოების მოწყობის გეგმა, მაგრამ მარქსი უარს აცხადებს ასეთ წინადადებაზე.

50 წლებიდან დაწყებული მარქსის და ფრაილიგრატის ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა. ამ დროს ფრაილიგრატი ლონდონში ცხოვრობდა. მუშაობის მძიმე პირობების გამო იგი იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებია, მაგრამ თავის რჩენა ძნელი შეიქნა: ხელი ძიყო ლიტერატურულ მუაშობას, გერმანული ანთოლოგიის გამოცემას, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. 1856 წელს იგი დაინიშნა ჟენევის ბანკის ლონდონის ფილიალის ერთერთ განყოფილების მმართველად. აქედან ფრაილიგრატი დახმარებას უწევდა გადასახლებულ ამხანაგებს და მათ შორის მარქსს. კელნის პროცესის შემდეგ ფრაილიგრატი მოწყდა პარტიულ მუშაობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი ჯერ კიდევ მტკიცედ იდგა ერთხელ აღებულ ხაზზე. ასე მაგალ. მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია პრუსიის პრინცის ტახტზე ასვლის გამო გამოშვებულ საიუბილეო ჟურნალში „მუზების ალმანახში“ და ეს მაშინ, როდესაც ემიგრანტების დიდი ნაწილი, და მათ შორის კინკელიც, იმედით შეყურებდა პრინცის გამეფებას და მისგან ამნისტიას მოელოდა.

მარქსსა და ფრალიგრატს შორის განხეთქილების ჩასახვის მიზეზი კინკელი იყო. ფრაილიგრატმა დაწერა ლექსი, მიძღვნილი კინკელის გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნისადმი, რაც მარქსის და ენგელსის მიერ გაკრიტიკებული იქნა. მარქსი და ენგელსი ფრაილიგრატის ამ ნაბიჯში ხედავენ გერმანიაში კინკელის ავტორიტეტის გაზრდისათვის ხელის შეწყობას. აი რას წერდა ფრაილიგრატი მარქსს 1858 წ. 6 დეკემბ. „ქ-ნი კინკელის სიკვდილმა ღრმად შემაშფოთა... „ეს ერთ ერთი უსაშინელესი შემთხვევთაგანია, რომელიც ოდესმე მინახავს და მე მგონია, რომ მტრებსაც და მეგობრებსაც კინკელის მიმართ უნდა ქონდეს ერთი გრძნობა: გულითადი, წმინდა ადამიანური თანაგრძნობა“.

მარქსის საპასუხო შენიშვნა მიზანს მოხვდა. ფრაილიგრატი 1859 წ. უპასუხებდა მარქსს: „სავსებით გეთანხმები შენ, ძვირფასო მარქს; თავისთავად ცხადია თუ მე სულით და გულით თანავუგრძნობ კინკელს მისი დიდი მწუხარების და ტრაღიკულ მდგომარეობის გამო, ამით სრულებით არ თანაუგრძნობ მის პოლიტიკას“.

მაგრამ ეს მხოლოდ მობოდიშება იყო. ფრაილიგრატის მიერ კინკელისათვის თანაგრძნობის გამოცხადების ფაქტს უფრო შორს მივყევართ: ამის მიზეზი იყო ფრაილიგრატის შემარიგებელ პოზიციაში ყოფნა სხვადასხვა ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან. შემდგომმა ამბებმა სავსებით დაადასტურეს მარქსის ეს წინასწარი განსჯა.

საქმე გართულდა ფოგტის ისტორიით. ფოგტს ემიგრანტთა წრეებში ბლინდმა და კოლბმა ბრალი დასდვეს ნაპოლეონის აგენტობაში. ფოგტმა სასამართლოში იჩივლა. ბლინდი და ლიბკნეხტი ამ საქმეში ფრაილიგრა-

ტის ჩათრევას შეეცადნენ. ამან ხელი შეუწყო და დააჩქარა ფრაილიგრატისა და მარქსის განხეთქილება. ფრაილიგრატმა ოფიციალურად განაცხადა პროტესტი მისი სახელის ბოროტად გამოყენების გამო. მიუხედავად ამისა, საქმე ჯერ კიდევ სრულ განხეთქილებამდე არ [illegible] მაგ. 1859 წ. ფრაილიგრატი უგზავნის მარქსს ბერძენ მწერლის (ანტიპარტის) ლექსის თარგმანის ნაწყვეტს, რომელიც მარქსმა თავის „კაპიტალში" გამოიყენა.

ფოგტის ამბავს ზედ დაერთო შილლერის ისტორია. 1859 წ. ემიგრანტები შეეცადნენ შილლერის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის დღესასწაული თავიანთი ფრაქციული მიზნებისათვის გამოეყენებიათ. საჭირო შეიქნა ამ საქმეში ფრაილიგრატის ჩაბმა, ფრაილიგრატმა თანხმობა განაცხადა და დასწერა სპეციალური კანტატა. მარქსი და ენგელსი უკმაყოფილო იყვნენ ფრაილიგრატის მონაწილეობით შილლერის დღესასწაულში, რადგან სხვადასხვა ჯურის ემიგრანტები ამით თავის საქმეს აკეთებდნენ. ფრაილიგრატი ამის შესახებ სწერდა მარქსს: „შილლერის დღესასწაულმა მე ბევრი საზრუნავი გამიჩინა, აქ შესაძლებელია ადგილი ექნეს ზოგიერთ წვრილმან თავმოყვარეობას, მაგრამ მე, როგორც გერმანელ პოეტს, არ შემიძლია ამისგან სავსებით გარეთ დავრჩე. ეს თავისთავად ცხადია, ბოლოს და ბოლოს მთავარი თვით საქმეა და არა მეორე რიგის მიზეზი რომელიმე ფრაქციისა, თუ დაუშვებთ, რომ ასეთი ფრაქციები არსებობენ. ამასთანავე შენ სავსებით გეთანხმები, რომ რაღაც არასასიამოვნო ამ საქმეში მაინც არის". შემდგომ წერილშიც ფრაილიგრატი იძულებულია აღიაროს მარქსის პოზიციის სისწორე, მაგრამ თავის დამოკიდებულებაში აღნიშნულ ფრაქციებთან იგი სულ უფრო და უფრო შორს მიდიოდა.

ლონდონში ყოფნის დროს ფრაილიგრატის შემოქმედებას აღარ ახასიათებს პათოსი და გაქანება, რასაც ვამჩნევდით 40 — 50 წლებში. ამდროინდელი ნაწარმოებები უფრო მეტად შემთხვევით ნიადაგზეა დაწერილი.

ფოგტის ისტორია იქცა მარქსის და ფრაილიგრატის დაშორების მთავარ მიზეზად. ფრაილიგრატის საქციელში ამ პროცესის დროს მარქსმა დაინახა პოეტის გადახვევა წინანდელი პოზიციებიდან, მაგრამ იგი ყოველ ღონეს ხმარობდა არ მიეყვანა საქმე განხეთქილებამდე. 1859 წელს მარქსი არწმუნებდა ფრაილიგრატს, რომ მან ოდნავადაც არ იცოდა უკანასკნელის დამოკიდებულება ფოგტის წინააღმდეგ დაწერილ საბრალმდებლო ფურცელთან: „მე წერილში მხოლოდ ფოგტის ლიბერალური ლაყბობა დავინახეო", სწერდა მარქსი. მარქსმა იცის რომ ემზადებიან მის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად, რომ მას ბრალად წამოუყენებენ აჯანყების ორგანიზატორობას, ფრაილიგრატზე ზეგავლენას და სწერს:

„თუ მიუხედავად საქმის ნამდვილ ვითარებისა, მოიწადინებენ მომაწერონ შენზე გავლენის მოხდენა, ეს დასაშვები იქნებოდა მხოლოდ „რეინის

გაზეთის“ არსებობის იმ ხანმოკლე პერიოდისთვის, როდესაც შენ სწერდი ჩინებულსა და პოპულიარულ ლექსებსო“.

ამ წერილში გაისმის საყვედურის კილო, რომელმაც რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე მძლავრად გადმოიხეთქა. იმავე წერილში მარქსი უბრუნდება ფოგტის ისტორიას. განსაკუთრებით აწუხებს მარქსს ლიბკნეხტის ბედი. „კოლბი ცდილობს შენს გამართლებას და ლიბკნეხტის მსხვერპლად შეწირვას“, სწერს იგი ფრაილიგრატს.

ფრაილიგრატი თავს შეურაცხყოფილად თვლიდა, რომ ის უმიზეზოდ გახვიეს ფოგტის პროცესში, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ აქ პოეტის პატივმოყვარეობის გრძნობამ დაჩრდილა მისი რევოლუციური მისწრაფებები. ფოგტის ისტორიაში ასეთი ნეიტრალიტეტის პოზიცია ფრაილიგრატის მხრივ ფაქტიურად უკვე აღარ ლაპარაკობდა მის ნეიტრალობაზე. ჟინიანი კილო და გაზვიადებული თავმოყვარეობა გამოსჭვივის ფრაილიგრატის საპასუხო წერილში: „რაც შეეხება ლიბკნეხტის წერილს, მე ვერ გამაკვირვებს მისი წერილის ვერც გაიძვერული კილო და ვერც შინაარსი, რომლის მიზანია ბრალდება ჩემსკენ გადმოხაროს. უბრალოდ შევნიშნავ: არავითარ მდგომარეობაში და არავითარ პიროვნულ თუ პარტიულ მოსაზრებებით მე არ მივცემ ვინმეს ნებას მომიწყოს ასეთი რამეები“.

მარქსი ცდილობს შემოაბრუნოს გზა კვალ აბნეული მეგობარი. ფრაილიგრატი მეორეჯერ პროტესტს აცხადებს პროცესში მისი ბოროტად ჩარევის გამო. მარქსი, რომელიც ფოგტის ისტორიაში თავიდან ნეიტრალიტეტის დაჭერას ცდილობდა იძულებული გახდა მასში ჩარეულიყო. მან მიწასთან გაასწორა მატყუარა ბ ლ ი ნ დ ი, რომელიც ფოგტის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებში დაიბნა და ბოლოს ყველა ბრალდებები უკანვე წაიღო. ახლა მარქსისათვის საჭირო შეიქნა ფოგტის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება.

1860 წ. სასამართლოში ფოგტის საქმე დასრულდა. ფოგტმა დასწერა ბროშურა, სადაც მარქსს „შაიკების“ მეთაურად აცხადებდა, რომელსაც თითქოს განზრახვა ჰქონდა გაეცა გერმანელი ემიგრანტები. ამან შექმნა ცუდი ატმოსფერო მარქსის გარშემო. მარქსმა გაიგო, რომ ფოგტმა გამოიყენა ბროშურაში ფრაილიგრატის ორი წერილი; გაცხარებულმა შეიარა ფრაილიგრატის ბინაში და მოსთხოვა პოეტს მისი „მეგობრის“ ბროშურა. ეს იყო პირველი ცივი შეხვედრა მარქსსა და ფრაილიგრატს შორის. ამან კიდევ უფრო გააღრმავა ისედაც გაღრმავებული უთანხმოება.

მარქსი შეუდგა ფოგტის მხილებას. სასამართლოს პროცედურის გზით არაფერი გამოვიდა. საჭირო შეიქნა ლიტერატურული გამოსვლა ფოგტის წინააღმდეგ, მაგრამ ბრძოლის წარმატებისათვის მნიშვნელობა ექნებოდა ფრაილიგრატის პოზიციას, რომელსაც თვით დოკუმენტალური მასალების

საშუალებით შეეძლო ნაყოფიერი გაეხადათ. ხანმოკლე დუმილის შემდეგ მარქსი სწერს ფრაილიგრატს:

„შენთვის ცნობილია, რომ მე შენგან მაქვს მიღებული ორასამდე წერილი, რომელშიაც საკმაო მასალაა იმისათვის, რომ საჭიროების დროს აღინიშნოს შენი დამოკიდებულება ჩემთან და პარტიასთან“.

შემდეგ მარქსი მოაგონებს აღძრულ პროცესს და სწერს: „ამ პროცესს აქვს გარდამწყვეტი მნიშვნელობა პარტიის ისტორიული დაცვისათვის და მისი მომავალი მდგომარეობისათვის გერმანიაში... „პირველ ყოვლისა მე ღრმად შემაწუხა, რომ შენ ბლინდს თითქოს უფრო ენდობოდი, ვიდრე მე“... „იმავე ხანებში მე მივიღე გერმანიიდან წერილი, რომელშიაც მატყობინებდენ, რომ ფოგტის საზიზღარ წიგნში „აუგსბურგის გაზეთში“ მოთავსებული განცხადების გარდა არის შენი წერილიც, საიდანაც ცხადი ხდება შენი ახლობელი მეგობრობა ფოგტთან და აგრეთვე ისიც, რომ შენი სახელი ერთად ერთია, რომელიც პოლიტიკურ წონას აძლევს ფოგტის განზრახვას და ხალხის წინაშე ფარავს იმის სისაძაგლეს... „კიდევ ვიმეორებ: ამ წერილში ლაპარაკი არ არის პირად ინტერესებზე... „ორივე მხარის ინტერესებისათვის და საქმის ინტერესებისათვისაც უნდა ვიმოქმედოთ en entente“.

„შენ თავის მხრივ დამეთანხმები, რომ ამ საქმეში შენი განზე დატოვება არ შეიძლება. პირველი იმიტომ, რომ ფოგტი პოლიტიკურად სპეკულიაციას ეწევა შენი სახელით და ისეთ სახეს ღებულობს, რომ თითქოს დარწმუნებულია შენს თანხმობაში, და შეუძლია ტალახში გასვაროს მთელი პარტია, რომელიც ამაყობს იმით, რომ შენ ხარ მის რიგებში“

„თუ ორივე შევიგნებთ, რომ თითოეული ჩვენთაგანი ივიწყებდა რა კერძო ინტერესებს და მისწრაფებებს, მთელი რიგი წლების განმავლობაში ფილისტერების მაღლა ატარებდა დროშას classe la plus laborieuse et la plus misérable-სათვის, მაშინ მე ჩავთვლიდი წვრილმანურ შეცდომებად ისტორიის წინაშე, რომ ამ უბრალო საქმისათვის დავშორებოდით ერთმანეთს, რომელიც ბოლოს და ბოლოს შეიძლება გამორკვეული იქნას“.

აი როგორ ცდილობდა მარქსი შეენარჩუნებია პროლეტარიატისათვის ფრაილიგრატი. მიუხედავათ წერილის საყვედურით აღსავსე კილოსი იგი ყველგან ცდილობს ზომიერება დაიჭიროს და საქმე განხეთქილებამდე არ მიიყვანოს. მარქსი აღშფოთებული იყო ფრაილიგრატის მერყეობით. ამ წერილში იგი თავს ძალას ატანდა რომ წერილის მკაცრ კილოს არ ჩამოეგდო უთანხმოება ფრაილიგრატისა და მას შორის. „1859 წელს ამ საკითხზე მარქსი წერდა ენგელსს, „მე არ შემიძლია და არ უნდა მივიყვანო საქმე განხეთქილებამდე ამ ვაჟბატონთან“.

საპასუხო წერილში ფრაილიგრატი არწმუნებს მარქსს თავის მეგობრობაში, მაგრამ პრინციპულ საკითხებში იგი მას არ ეთანხმება. პარტიასთან თავისი დამოკიდებულების შესახებ ფრაილიგრატი წერს მარქსს: „იგი

დამტკიცებას არ საჭიროებს. ისინი საკმაოდ დამტკიცებულია ჩემი მონაწილეობით „ახალი რეინის გაზეთში“ და კელნის პროცესში, და ჩემი მეორედ გადასახლებით 1851 წელს... „ჩემი წარსული ცნობილია ყველასათვის და მე მისთვის პასუხს ვაგებ“...

ბიბლიოთეკა

„მიუხედევად იმისა, რომ მე მუდამ ვიყავი და დავრჩები ერთგული დროშისა de la classe la plus laborieuse et la plus misérable, შენ ჩემზე ნაკლებად არ იცი, რომ ჩემი დამოკიდებულება პარტიასთან წარსულში და ახლა — ორი სხვადასხვა რამაა. როცა 1851 წ. კელნის პროცესის შემდეგ გამოცხადდა კავშირის დაშლა, მე გავნთავისუფლდი ყველა იმ ხუნდებისაგან, რომლითაც მე მბორკავდა პარტია და შევინარჩუნე მხოლოდ პირადი დამოკიდებულება *შენთან*, *მისწრაფებით* ჩემს მეგობართან და ამხანაგთან. *პარტიიდან* მე შვიდი წლის განმავლობაში შორს ვიდექი, მის სხდომებს მე არ ვესწრებოდი, მისი მოქმედება და დადგენილებები ჩემთვის უცხო რჩებოდა. ამგვარად ჩემი დამოკიდებულება პარტიასთან დიდი ხანია უკვე აღარ არსებობს... „ამით მე საუკეთესოდ ვგრძნობდი თავს. ჩემთვის ისე, როგორც ყველა პოეტისათვის, აუცილებელია თავისუფლება. პარტია იგივეა, რაც გალია და სიმღერები თვით პარტიისათვისაც კი უმჯობესია ვიმღერო გალიის გარედან, ვიდრე შიგნიდან. მე რევოლუციის და პროლეტარიატის პოეტი ვიყავი დიდი ხნით ადრე, ვიდრე გავხდებოდი „კომუნისტთა კავშირის“ და „ახალი რეინის“ გაზეთის რედაქციის წევრი. მომავალშიაც ასევე მინდა ვიდგე საკუთარ ფეხებზე, საკუთარ თავს ვეკუთვნოდე და თითონ ვაძლევდე ჩემ თავს განკარგულებას“.

მარქსი კვლავ შეეცადა გავლენა მოეხდინა ფრაილიგრატზე. 1860 წ. 2 თებერვალს იგი სწერდა მას: „ოფიციალური ნაწილი შენი წერილისა უდიდეს გაუგებრობაზე არის აღმოცენებული“. „მის შემდეგ, რაც რომ ნოემბრის 1852 წ. დაშლილ იქნა ჩემი წინადადებით კავშირი, მე მეტად აღარ ვეკუთვნოდი და არ ვეკუთვნი არავითარ არც აშკარა და არც *ფარულ* საზოგადოებას და რომ ამ ჟამად — *პარტიამ* ამ სიტყვის გარეგნული (ephemeren) მნიშვნელობით ჩემთვის შეწყვიტა არსებობა. აი უკვე რვა წელია... „მე მაშინ დავწერე, რომ 1852 წლიდან მე არავითარ კავშირში არა ვარ რომელიმე გაერთიანებასთან და რომ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი თეორეტიული მუშაობა უფრო მეტად სასარგებლო იქნება მუშათა კლასისათვის, ვიდრე მონაწილეობა იმ საზოგადოებაში, რომლის დრო კონტინენტზე უკვე გავიდა... თანაც შევეცადე გამეფანტა გაუგებრობა, თითქოს „პარტიის“ ქვეშ მესმოდეს კავშირი, რომელიც მოკვდა რვა წლის წინეთ, ანდა რედაქცია გაზეთისა, რომელიც 12 წელია, რაც არ არსებობს. პარტიის ქვეშ მე მესმის პარტია ამ სიტყვის ფართე ისტორიული გაგებით“.

ამის შემდეგ მეგობრების შორის თითქოს დუმილი ჩამოვარდა, თითქოს დაივიწყეს წამოჭრილი სადაო საკითხები, მაგრამ რომ ეს ასე არ არის, ამას

ამტკიცებს მარქსის წერილი ენგელსისადმი 1860 წ. „კიდევ არ ჩანს ფრაილიგრატი, სწერს მარქსი, — ჩემთვის აუტანელია ამ ვაჟბატონთან შეხვედრა, მაგრამ უნდა გადავყლაპო ეს აზიც თუნდ პოლიტიკური მოსაზრებით, მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი დავარწმუნეთ მეგობრობაში. [illegible] შემდეგ მარქსსა და ფრაილიგრატს შორის სადაო საკითხებზე მიწერ მოწერა შეწყდა. როცა 1860 წელს მარქსმა გაუგზავნა ფრაილიგრატს ფოგტის წინააღმდეგ დაწერილი წიგნი, ფრაილიგრატმა მადლობასთან ერთად ხაზი გაუსვა თავის წინანდელ პოზიციას ფოგტის მიმართ.

მიუხედავათ იმისა, რომ ემიგრანტთა ჯგუფებს დიდი იმედი მიეცათ ფრაილიგრატის მხრივ, ეს უკანასკნელი მაინც ახერხებს შეინარჩუნოს გარკვეულად პოლიტიკური ხაზი, რაც მხოლოდ და მხოლოდ მარქსის გავლენით უნდა აიხსნას. ასე რომ რენეგატობამდე ფრაილიგრატი არ დასულა.

მეგობრებმა თითქოს დაივიწყეს თავიანთი უკმაყოფილება. 1863 წ. ფრაილიგრატმა მარქსს გააცნო კუგელმანი. ამ წლებში მას აქვს ხანგრძლივი მიმოწერა მარქსთან, მაგრამ უფრო შემთხვევითი საკითხების გარშემო.

სამსახურისათვის თავის განებების გამო ფრაილიგრატი მძიმე მატერიალურ პირობებში ჩავარდა. ემიგრანტები შეეცადენ დაეწყოთ ე. წ. „ფრაილიგრატის დოტაციის“ შეკრება, რასაკვირველია, იმავე ფრაქციული მოსაზრებებით, მაგრამ ფრაილიგრატი ამაზე დაეთანხმა მხოლოდ იმ პირობით, თუ დახმარება გერმანიის ხალხის თანხმობით იქნებოდა გაღებული.

თავისი „კ ა პ ი ტ ა ლ ი ს“ ერთი ეკზემპლიარი მარქსმა ფრაილიგრატსაც გაუგზავნა. ფრაილიგრატის საპასუხო წერილიდან მტკიცდება, რომ პოეტს ვერ გაეგო „კაპიტალის“ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. იგი მასში ხედავდა დიდ მეცნიერულ ნაწარმოებს, მაგრამ ვერ აფასებდა მის მნიშვნელობას მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლების საქმისათვის.

1868 წ. ფრაილიგრატი გერმანიაში გადასახლდა და ჩაება ქვეყნის ნაციონალური აღორძინების ფერხულში. ამის შემდეგ მარქსსა და მას შორის სავსებით შეწყდა მიმოწერა. ეს იყო გერმანიის გაერთიანების და საფრანგეთ-პრუსიის ომის დასაწყისი.

ნაციონალური და პატრიოტული მოტივები სპორადიულად ყოველთვის მოიპოებოდა ფრაილიგრატის შემოქმედებაში. ნაციონალური მთლიანობის იდეით აღფრთოვანებული იგი 27 ივლისს წერს ლექსს „H u r r a G e r m a n i a“, სადაც შეაქებს გერმანელთა მამაცობას საფრანგეთ პრუსიის ომში. ამ ლექსში კვლავ თავი იჩინა მძლავრმა პოეტურმა პათოსმა, მაგრამ ნაციონალური იერით შეფერილმა.

ნაციონალური მთლიანობის იდეის ქვეშ ბ ი ს მ ა რ კ მ ა მართლაც მოახერხა სამოქმედო პროგრამის შექმნა; ფრაილიგრატიც ჩაითრია ამ ახალმა ტალღამ. მიუხედავათ იმისა, რომ ზემოდაღნიშნული ლექსი განსხვავდება ფრაილიგრატის წინა ნაწარმოებებიდან, იგი მაინც არ შეიძლე-

ბა პოეტის ღალატად ჩაითვალოს. იგი არ გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ინტერნაციონალისტი და რევოლუციონერი ფრაილიგრატი 1870 წ. ნაციონალისტი და რენეგატი გახდა — ეს ისტორიული უმართებულობა იქნებოდა. ამას ნათლად ამტკიცებს ფრაილიგრატის შემოქმედების მომდევნო საფეხური, როგორც მაგალ. 1870 წ. ოქტომბერში დაწერილი ლექსი „An Deutschland“, სადაც იგი გამარჯვებულ გერმანელებს მიმართავს: შენ მართლა გიჭირავს მახვილი ხელში, ეუბნება იგი მათ, და დაფიხარ გვირგვინებით შემკული, მაგრამ შავია შენი ტანთსაცმელი, შენ მაინც ვერ მოუტანე მშვიდობა გერმანელ ხალხსო.

სათუთი ადამიანური გრძნობები იღვიძებს პოეტში, როდესაც იგი გადახედავს ომის აუარებელ მსხვერპლს, ათასობით დაღუპულ მამაკაცებს, უპატრონო ქვრივებს და ობლებს. თავისუფლების ადრინდელი იდეა პოეტს აქაც არ ტოვებს.

წინად მოყვანილ მოსაზრებას ამტკიცებს თვით ფრაილიგრატის მიმოწერა. 1870 წ. იგი წერდა აუერბახს: „მე ვაზროვნობ და ვგრძნობ ისევე გერმანულად, როგორც დღემდე, მაგრამ უბედურება კეთილშობილ, ქვეყნის და მამაც ხალხისა, გამოუთქმელი მწუხარება, რომელიც შეემთხვა საფრანგეთს, მე ძალიან მაწუხებს“. როცა მწერალმა ვოლფმა დაწერა ჰიმნი ომის პერიოდში აღმართულ სახრჩობელისადმი, მან ფრაილიგრატისაგან გაკიცხვა დაიმსახურა.

„ასეთი საზიზღარი აუცილებლობა, სწერდა იგი ვოლფს, არ შეიძლება გახდეს საბაბი სადღესასწაულო და სასიხარულო ლექსებისა. პოეტს არ აქვს უფლება შეადაროს საცოდავი სახრჩობელის მსხვერპლნი (თითოეულ მათგანს ჰყავდა დედა) მახეში გაბმულ ფრინველს. ადამიანობა მაღლა სდგას პატრიოტობაზე“.

პოეტმა თითქოს იგრძნო, რომ მას ბრალს დასდებენ ადრინდელი მისწრაფებების დავიწყებაში; ამიტომ 1874 წ. წერდა აუერბახს: „არ ვსაჭიროებ მოგაგონოთ, რომ საშიშროებათა წლებში მე შეუდრეკლად დავდექი ნაციონალურ განთავისუფლების მხარეზე, მაგრამ აქედან სრულებით ის არ გამოდის, რომ ამ ბრძოლას მე ვთვლიდი უმაღლეს იდეალად, რომლისკენაც ჩვენ ყველანი მივისწრაფოდით, რომლისთვისაც ჩვენ არ ვერიდებოდით ციხეს და გადასახლებას“.

მარქსთან დაშორება ფრაილიგრატისა არ არის შემთხვევითი მოვლენა. ეს იმ ხანგრძლივი მერყეობის შედეგი იყო, რომელსაც იგი განიცდიდა. ფრაილიგრატს არ ქონდა შემუშავებული მტკიცე მსოფლმხედველობა; იგი ვერ ამაღლდა მეცნიერული სოციალიზმის სიმაღლემდე. გარეშე მოვლენებიდან მას უფრო წუთიერი და მღელვარე ამბები იტაცებდა. ფრაილიგრატის გადახვევა რევოლუციურ მოძრაობიდან სავსებით კანონზომიერი მოვლენა იქნებოდა, თუ იგი ვერ მოახერხებდა პროლეტარიატის გამათავისუფლებელი მოძღვრებით შეიარაღებას. მარქსის ფრაილიგრატთან მე-

გობრობა ნაკარნახევი იყო არა პიროვნული, არამედ ისტორიული და პარტიული ინტერესებით, რომელსაც არა ერთხელ უსვამდა ხაზს მარქსი თავის წერილებში. ფრალიგრატის, როგორც რევოლუციის დიდი მხატვრის, პარტიის რიგებში ყოფნა, მართლაც რომ საამაყო იქნებოდა პარტიისათვის.

მარქსს კარგად ესმოდა, რომ ფრაილიგრატი ვერ ჩასწვდა მეცნიერული სოციალიზმის თეორიას, მაგრამ პოეტს იგი იღებდა განვითარებაში. იგი ყოველმხრივ ერიდებოდა პოეტთან განხეთქილების ჩამოგდებას და ფიქრობდა, რომ ფრაილიგრატი შეძლებდა ამ ახალი მოძღვრების სიმაღლემდე ასვლას; მას შემდეგაც კი, რაც ცხადი შეიქნა, რომ ფრაილიგრატისათვის უცხოა მუშათა მოძრაობის ახალი ფორმები, მარქსი მაინც ცდილობს არ გაწყვიტოს კავშირი პოეტთან, რადგან ფრაილიგრატს კიდევ შეეძლო ნაყოფის მოტანა რევოლუციისათვის.

ფრაილიგრატის უკან დახევა უეჭველად უფრო შორს წავიდოდა, ამ გადახვევას შესაძლებელია ის მართლაც რომ სხვა კლასების ბანაკში საბოლოო გადაბარგებამდე მიეყვანა, მაგრამ მარქსის უდიდესი როლი სწორედ იმაშია, რომ მან მწერლის განვითარება აქნამდე არ მიიყვანა.

ფრაილიგრატი რომ სრული ნაციონალისტი და რენეგატი გამხდარიყო, მარქსი არ დააყოვნებდა გაეკრა იგი სამარცხვინო ბოძზე. თვით ისეთ სადაო და პრინციპულ საკითხებშიაც კი, როგორიც იყო ფრაილიგრატის პარტიასთან დამოკიდებულება, მარქსს არ დაუნახავს ფრაილიგრატის ღალატი და რენეგატობა. თავის საპასუხო წერილში მარქსი ფრაილიგრატს თავს დაესხა არა იმ პუნქტში, რომ პოეტს მეტად აღარ უნდოდა კომუნისტთა კავშირში ყოფნა, არამედ იმაში, რომ მას არ ესმოდა პარტია თავისი ფართე ისტორიული მნიშვნელობით. პარტიის ცნების ქვეშ ფრაილიგრატს ესმოდა „კომუნისტთა კავშირი“, რომელმაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, კონტინენტზე თავისი დრო უკვე მოჭამა. მუშათა მოძრაობის ახალმა ფორმებმა პარტიის ცნების გაგებაშიც ახალი თავისებურება შეიტანა, რაც შეუმჩნეველი დარჩა ფრაილიგრატისათვის.

პარტიასთან ფრაილიგრატის მხრივ ასეთი დამოკიდებულების გამომჟღავნება, რომელიც მან ბოლო დრომდე შეინარჩუნა, არ იყო ახალი მოვლენა. ჯერ კიდევ 40-იან წლებში იგი ჰერვეგთან პოლემიკაში პოეტის და პარტიის ურთიერთობაზე იმავე თვალსაზრისს იცავდა. უშუალო რევოლუციური სიტუაციის დროს პარტიაში ყოფნამ მას საშუალება მისცა აეღო მოქმედების ფართე ტილო. რევოლუციური ტალღის აზვირთება და პარტიის ლოზუნგები სავსებით შეესაბამებოდენ ფრაილიგრატის მისწრაფებებს. პარტია და პარტიის ბეჭდვითი ორგანოები მისთვის საუკეთესო საშუალება იყო მშფოთვარე და დაუდგრომელი ბუნების გამოსამჟღავნებლად, მაგრამ მას შემდეგ, რაც რევოლუცია დამარცხდა და მუშათა მოძრაობამ ახალი ფორმები მიიღო, როცა უკვე აღარ იყო უშუალო რევოლუციური სიტუაცია, ფრაილიგრატმა მარტოობა იგრძნო და პარტიის და

პოეტის ურთიერთობაში პირველი წარმოიდგინა როგორც ხუნდები, გალია, მომღერალი ფრინველისათვის.

ბურჟუაზიული ლიტერატორები სიხარულს ეძლევიან ფრაილიგრატის შემოქმედების უკანასკნელი პერიოდის გამო. ისინი აღტაცებით გაიძახიან, რომ ფრაილიგრატი გამოერკვა ბურუსიდან და დაუბრუნდა თავის ქვეყანას, ეროვნულ მოტივებს.

„მისი განვითარება დღეს ჩვენ ყველას შეგვიძლია შევაქოთ და აღვნიშნოთ როგორც უდიდესი საქმე“ ამბობს რ. მაიერი.

ისინი გახარებული არიან, რომ რევოლუციის „საწამლავმა“ ვერ გაიყოლა საბოლოოდ პოეტი. ბურჟუაზიული ლიტერატურა ცდილობს გაავლოს გარდაუვალი მიჯნა ფრაილიგრატის შემოქმედების პირველსა და მეორე პერიოდს შორის. ეს იმისთვის, რომ შეცდომად და გზის აბნევად იქნას გამოცხადებული პირველი პერიოდი და წინსვლათ იქნა მიჩნეული ის ხანა, როდესაც ფრაილიგრატმა მართლაც, რომ უკანსვლა გააკეთა და ვერც შინაარსის და ვერც ფორმის მხრივ რევოლუციური პერიოდის პროდუქცია ვერ მოგვცა.

მიუხედავათ იმისა, რომ ფრაილიგრატს მიუძღვის მძიმე დანაშაული მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობის წინაშე, მისი შემოქმედებითი პროდუქცია მხატვრული ოსტატობის ისეთი მიღწევაა, რომელიც წაუშლელი დარჩება არა მარტო გერმანულ, არამედ მსოფლიო რევოლუციურ ლიტერატურის საგანძურში.

ფრაილიგრატის შემოქმედებითი განვითარება, მისი გადახრა რევოლუციური ბრძოლის პოზიციებიდან, მისი უთანხმოება მარქსთან მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში, მისი პარტიასთან დამოკიდებულება მაგალითი უნდა იყოს თანამედროვე საბჭოთა მწერლისათვის, თუ როგორ მტკიცედაა საჭირო დგომა სოციალისტური საზოგადოების მშენებლებთან — პროლეტარიატთან და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიასთან.

ფრაილიგრატის შემოქმედება გვიჩვენებს თუ სად მივყევართ ისეთ მოვლენას, როდესაც ესა თუ ის მწერალი „ობიექტივობის“ დაცვის ნიშნით ცდილობს მოწყვიტოს თავისი თავი რევოლუციურ სინამდვილეს, მუშათა კლასს და მის პარტიას. იგი გვიჩვენებს რომ ასეთ „ობიექტივობას“ მწერალი ფაქტიურად მუშათა კლასისადმი მტრულად განწყობილ კლასების მსოფლმხედველობისაკენ მიყავს და შინაარსობრივადაც და ფორმითაც ფიტავს მის შემოქმედებით პროდუქციას.

მარქსი მუდამ ცდილობდა ფრაილიგრატის ამაღლებას რევოლუციური თეორიის პოზიციამდე, იგი აფასებდა მას განვითარებაში და ყოველ ღონეს ხმარობდა ხელი შეეწყო მისთვის მერყეობის დაძლევაში.

მარქსის დამოკიდებულება პოეტ ფრაილიგრატისადმი მაგალითად უნდა გახდეს ჩვენი კრიტიკოსებისათვის — მწერალთა დამოკიდებულების საქმეში.

დოც. დ. კარბელაშვილი

# აკად. ნიკო მარრის ხსოვნას

საბჭოთა კავშირმა დაკარგა უდიდესი ენათმეცნიერი-მოაზროვნე, დაუღალავი მებრძოლი-მეცნიერი სოციალისტური მშენებლობისათვის. მარრის, როგორც მეცნიერის ძირითად დამახასიათებელ თვისებას ის შეადგენს, რომ იგი ვერ ეგუებოდა აზრის ერთს ადგილზე შეჩერებას, იგი მუდმივ ძიებაში იყო და ამ ძიების გზაზე ერთად-ერთი კრიტიკოსი თავისთავისა თვითვე იყო. იგი ულმობლად ანგრევდა საკუთარ შეხედულებებს, უკეთუ მათ უნიადაგობას შეამჩნევდა. ამის გამო იგი შეუჩერებლივ იზრდებოდა, შინაგანი წვის პროცესში ახალ გზას იკაფავდა მეცნიერებაში.

ნ. მარრი 1864 წლის 28 დეკემბერს დაიბადა ქ. ქუთაისში; საშუალო განათლება იქვე მიიღო კლასიკურ გიმნაზიაში, ბავშობა გაატარა მდ. სუფსის ნაპირებზე ს. დაბლაციხეში (ჩოხატაურის რ.), 1884 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, ენების შესწავლას დაეწაფა და ჩინებულად დაეუფლა: არაბულს, სპარსულს, თათრულს, ებრაულს, სირიულს, სომხურს და სხვ., რამდენჯერმე მოიარა ევროპის კულტურული ცენტრები; პირველად 1894 წ. იქ ყოფნისას გერმანიაში ისმენდა ვინდელბანდის კურსს — ძველ ფილოსოფიას, ჰუბშმანის ძველ სპარსულსა და ბერძნული ენის შედარებით გრამატიკას და ნელდეკეს — სირიული, მანდეური და სპარსული (ფირდოუსის ენა); მეორედ, 1896 წელს, ვენაში, რომში, ვენეციაში და ინსბურგში გატაცებით მუშაობდა ძველ ხელნაწერებზე და საშ. საუკუნეების ლიტერატურის ნიმუშებზე; დიდი ყურადღებით სწავლობდა ხალხურ შემოქმედებას — იგავ-არაკებსა და მოთხრობებს. მან ზედმიწევნით შეისწავლა ძველი ხელნაწერები ათონზე (1898 წ.), სიმის მთაზე (1902), ტფილისში და ეჩმიაძინში.

ეს დიდი მომზადება საჭირო იყო იმისთვის, რომ ნ. მარრს ახალი სიტყვა ეთქვა მეცნიერებაში და ეს სიტყვა კიდევაც თქვა, მან მედგრად შეუტია მაშინდელ ჭაობს, წმინდა აკადემიზმის სახით რომ იყო გაბატონებული.

ერთსა და იმავე დროს ნ. მარრი იყო ბრწყინვალე ფილოლოგი, არქეოლოგი, ისტორიკოსი, ლიტერატურათ მცოდნე, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, მაგრამ უპირველესად ყოვლისა იგი ენათმეცნიერია, ენათმეცნიერ-ისტორიკოსი, ცოდნა მომიჯნე დისციპლინებში მოსამზადებელი ეტაპი იყო საენათმეცნიერო კონცეპციების ასაგებად და დასაბუთებისათვის.

ნ. მარრი ჯერ კიდევ უნივერსიტეტის მე-II კურსზე იყო, როცა გამოაქვეყნა „ბ უ ნ ე ბ ა  დ ა  თ ვ ი ს ე ბ ა  ქ ა რ თ უ ლ ი  ე ნ ი ს ა (მ ც ი რ ე  შ ე ნ ი შ ვ ნ ა)“, რომელშიც ქართული ენა სემიტური სისტემის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ენებს დაუკავშირა. ამის თქმა მაშინდელ სამეცნიერო გარემოში ყუმბარის აფეთქებას უდრიდა, ვინაიდან ენათმეცნიერებაში უკვე საბოლოოდ იყო „დადგენილი“ არსებობა ცალ-ცალკე ენათა ოჯახებისა, რომელთა შორის თითქო უფსკრული ყოფილიყო. ნ. მ ა რ რ ი ამ შრომით იწყებს

ამ უფსკრულის წაშლას და მსოფლიოს ენათა შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას..

აქედან მოყოლებული ნელნელა და შეუდრკელად [illegible] ნ. მარრი პირველ შრომაში ჯერ კიდევ ჩანასახად დასმულ [illegible] და 1920 წლის შემდეგ აყენებს მას მთელი სისავსით, როცა მისი სამკვლევრო ხელი ხმელთაშუაზღვეთის უძველეს ენებს პელასკურ-ეტრუსკულ-ბისკურს შეეხო, დაუკავშირა ისინი 1916 წელს პამირის მთის კალთებზე აღმოჩენილ ვერშიკულ (ბურშიკულ) ენას და კავკასიის იაფეტურ ენებს, ჩამოშველებით ჩუვაშურის, უნგრულ ფინურის, შორეული აღმოსავლეთის და აღმოსავლეთი ევროპის ენებისა.

ახლა მის მიერ შექმნილი ენის ახალი მოძღვრება (იაფეტიდოლოგია) ის აღარაა, რაც იყო იქამდის. მართალია მისი თქმით, იაფეტიდოლოგია ზევსის თავიდან არ გამოფრენილა მსგავსად ათინა პალადასი, არამედ დაიბადა ბურჟუაზიულ სამეცნიერო გარემოში, ინდოევროპული „ენათმეცნიერების“ ნორმებში, მაგრამ იგი დაიბადა, როგორც მისი ანტითეზა, ებრძოდა მას, ანგრევდა მის პოზიციებს, აგებდა ახალ შენობას და თავისუფლდებოდა (დიდი წვალებით) მისგან და საბოლოოდ განშორდა მას მაშინ, როცა ენის შექმნის და განვითარების ზოგადი პრობლემა დააყენა (გლოტოგონიის პრობლემა); აღნიშნული პრობლემის წინ-წამოწევა კი შედეგი იყო ახალი მეთოდის ხმარების. ეს მეთოდი იყო მარქსისტული მეთოდი კვლევისა, პალეონტოლოგიური მეთოდი, რომელიც პრიმიტიული სახით ჯერ კიდევ 1914 წლის შრომაში ჩანს (Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, როცა ზოგიერთმა მოწაფემ მიუთითა ნ. მ ა რ რ ს, რომ ის თავის შრომებში მარქსიზმს ანვითარებს, მან უპასუხა, მით უკეთესი მისთვის (იაფეტიდოლოგიისათვის) და უარესი მისი მტრებისათვისო, მაგრამ ჩაუკვირდა რა ამ გარემოებას, დაადასტურა იგი: „იაფეტური ენათმეცნიერება. ...მჭიდროდ მივიდა საზოგადოებრივობის განვითარების ისტორიასთან, როგორც ენის შემოქმედების ფაქტორთან, და... მოულოდნელად და მოუმზადებლად თურმე ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრების დებულებებს ამტკიცებდა, ე. ი. მეთოდში მარქსისტულ მოძღვრებას გადაექცა“ (Чуваши — яфетиды, 1925, გვ. 11). მაშასადამე, საოცარია, რომ მ ა რ რ ი თავიდანვე სწორად და მართებულად მიუდგა ენას, (ენებს), გამოამჟღავნა მასში ჩამარხული კანონზომიერებანი და სწორი გეზი აიღო კვლევისა, რამაც მარქსიზმთან მიიყვანა „სტიქიურად“ (1921 — 1925), შემდეგ კი შეგნებულად დააყენა მის პოზიციებზე, 1925 წლიდან უკვე იაფეტიდოლოგია მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების შენობას აგებს, რაც მოცემულია უკანასკნელი წლების შრომებში (მთავარი მათგანი: Яфетическая теория — 1928. Постановка учения об языке в мировом масштабе и абхазский

язык — 1928. Почему так трудно стать лингвистом теоретиком — 1929. Карфаген и Рим — 1929. Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теорий — 1929, და სხვ.).

აღნიშნული შრომებიდან ჩანს, რომ ერთი მხრით იაფეტიდოლოგია ამართლებს ენობრივი მასალის ანალიზით და ენაში ჩამარხული კანონზომიერებათა გამომზეურებით მარქსისტულ დებულებებს ენათმეცნიერებაში, და მეორე მხრით — მარქსისტულ დებულებებს მოიმარჯვებს იმავე ენობრივი ფაქტის ასახსნელად.

იაფეტიდოლოგიის დებულებათაგან მთავარია:

1. მოძღვრება ენობრივი მოვლენების განვითარების შესახებ მარტივიდან — სირთულისაკენ, კონკრეტულიდან — აბსტრაქტიულისაკენ, პოლისემანტიზმიდან — მნიშვნელობათა დიფერენციაციისკენ, ენების მრავლობიდან — ერთიან ზოგადსაკაცობრიო ენისაკენ.

2. ერთიანი ენის შემოქმედების (გლოტოგონიის) პროცესის დადგენა, ე. ი. რომ თითოეული ცალკე ენა, თუნდაც სრულიად ჩამორჩენილად მიჩნეული ახლა, ნაწილია, რგოლია იმ უზარმაზარი ჯაჭვის, რომელსაც ერთიანი ენის შემოქმედებითი პროცესი ეწოდება და რომელიც ნახტომების გზით მოედინება.

3. ამოხსნა ენის მოვლენების და ენათა სისტემების ხასიათის და თვისებების — დამოკიდებით იდეოლოგიისაგან და საბოლოო ანგარიშში საზოგადოების ყოფისაგან (საწარმოო ურთიერთობანი, ტექნიკის დონე და სხვ.).

4. მოძღვრება ენის დიალექტიკურ განვითარებაზე: ენათა ერთი სისტემა სცვლის მეორეს, წინამავალს, მისი მემკვიდრეობის გამოყენების გზით.

5. კლასობრივ საზოგადოების ყველა ენების კლასობრივი ბუნების გამომზეურება (აღნიშნულია ჯერ კიდევ 1903 წლის ნაშრომში „Грамматика древ. армянскаго языка").

6. ენის და აზროვნების ერთიანობის ჩვენება კონკრეტულ ენობრივ მასალაზე, მთელი ყურადღების შეჩერება აზროვნების და მისი ქცევადობის მარქსისტულ ენათმეცნიერულ ანალიზზე, აზროვნების პრობლემის პირველხარისხოვნად ჩათვლა და სამოსამსახურო როლის მიკუთვნება მეტყველების ტექნიკისათვის, ხნიერია იგი, თუ ხელის ენა. სიტყვათა მნიშვნელობის ცვლა დამოკიდებულია მატერიალური კულტურის და საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა და ყოფის განვითარებაზე (ფუნქციური სემანტიკა).

შედეგად ამ დიდი მეცნიერის 46 წლის მუდმივი სამეცნიერო მუშაობისა ჩვენ დაგვრჩა თავისი მოცულობით 500-ზე მეტი ნაშრომი და მეცნიერული სიღრმითაც უზარმაზარი სამეცნიერო მემკვიდრეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა

# ჩემი პოემების შესახებ

(გამოუქვეყნებელი თავი წერილიდან „ფიქრები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ“)

საკვირველი მკვლევარნი აღმოუჩნდენ „ვეფხის-ტყაოსანს“, ამ უკვდავ ნაწარმოებს უკვდავის ადამიანისას და ლამის ბედაურზე მჯდომი ავტორი დიდებული პოემისა, ჯაგლაგა დონკიხოტის როსინანტზე შესვან. ვინ ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები? გგონიათ უცხოელნი იყვნენ? არა. ნამდვილი ქართველები, ქართულის სისხლისანი: ისტორიკოსები, მეცნიერები და თუ ნამდვილი მცოდნენი არ არიან ქართული ენისა, პრეტენზიას მაინც დიდს იჩენენ. ჯერ იყო და ბ. მ ა რ რ მ ა ამ 20 წლის წინად ამცნო ქვეყანას, რომ მას ვითომ ბრიტანიის მუზეუმში ენახოს სწორედ ვეფხის-ტყაოსნის მსგავსი ნაწარმოები. ველით დღეს-ხვალეობით ბ. მარრისაგან დაპირებულს ძღვენს, მაგრამ არ იქნა ვერ ვეღირსენით, ან რას უნდა ვეღირსოთ, როცა არსად არაფერი მოიპოვება?! იმას მოჰყვნენ სხვა გამქიქებელნი, რომელნიც სასწორს მარრისაკენ ჰხრიან, — ყალბი ადგილების აღმომჩენნი, რომელთაც მართლაც და ყალბ ადგილებს წიხლითა და ქისტის ცემით ნამდვილი პოეტის გონების და გრძნობის ნაყურიც ზედ მიაყოლეს...

ამ გარემოებამ მე, ცოტა არ იყოს დამაფიქრა და გინდ უზრდელობაში ჩამომართვათ, გინდ განდიდების სურვილი მომახვიოთ თავსა და დამძრახოთ, მე მაინც ჩემი უნდა ვსთქვა. რა გაიგება თუ ათას წელს არ გასძლებს ჩემი ნაწარმოებები, ასს ხომ გასძლებს და რად ვისმე უნდა გაუხადოთ ისინი თავ-სამტვრევად, საქექ-საჩხრეკად, როცა შეიძლება საიდუმლო ჩემის შემოქმედებისა ეხლავე ვაღვიარო, თუ რაშიმე ვიცრუე თანა-მედროვენი ცოცხლები არიან და შეუძლიანთ პირში ბურთი ჩამჩარონ, გამამტყუვნონ და სიმართლე გამოირკვეს. მე, რასაკვირველია, რუსთაველი არ გახლავართ: სად იალბუზი და სად კვერნაკი?! მაგრამ კვერნაკი, ცოტად თუ ბევრად, უფრო გავს იალბუზს, ვიდრე ტირიფო-

ნის მინდორი. მზე მზეა, მაგრამ მას სულ უკანასკნელი ჭიტა ვარსკვლავი უფრო მიემსგავსება, ვიდრე სხვა რამ საგანი ცის სივრცეზე, ვინაიდგან ვა[რ]სკვლავი და მზე ერთს ბუნების კანონს ემორჩილებიან — და მათი ბუნება ცოტა თუ ბევრად ერთი მეორისას ეთანხმება... ამიტომ თამამად ვიტყვი, არ შეიძლება დიადს შოთას შემოქმედებას ჩემი შემოქმედება, როგორც ჯაგლაგი პოეტისა, ცოტად თუ ბევრად არა ჰგავდეს და მაშასადამე რად იქნება ცოდვა, დანაშაული, დასაძრახისი ჩემის შემოქმედებისა მკითხველს რომ გაუზიარო? რა არის აქ დასამალი და დასაფარავი?! რაშია გამოსადეგი ჩვენი შემოქმედება, რომ პოეტებმა საიდუმლოების ნისლით და ჯანღით შევბუროთ? უამისოდ მათ ვითომ ძალა და მნიშვნელობა დაეკარგებათ? სრულიადაც არა. როგორც „ვეფხის-ტყაოსანი“ არაფერს დაჰკარგავს ერის გულში, მას არ მოაკლდება სიყვარული ერისა თუნდა ათასმაც დაამტკიცოს მისი სპარსულიდან „ნათარგმანობა“, ისე ჩვენი ნაწარმოები თუ ნამდვილად პოეტურია, არაფერს წააგებს, პირიქით, იქნება კიდეც მოიგოს, შემოქმედების საიდუმლოება რომ გამოვამჟღავნოთ. ეს გამომჟღავნება შეიძლება გამოიყენონ „ვეფხის-ტყაოსნის“ მკვლევართ, თუ მოიწადინეს, რასაკვირველია, ამით სარგებლობა და არ უკუ აგდეს იგი როგორც „არა მეცნიერული“ საბუთი, და საკუთარ სახელების თვისებაზე აშენებული დასკვნა არ ამჯობინეს შემოქმედების პროცესსის შესწავლას.

„ბახტრიონი“, მაგალითად რამ დამაწერინა? რა მასალა მქონდა ხელთა? საიდან წარმოიშვნენ პოემის გმირები? აი, რაზე უნდა გესაუბროთ სიმართლით, უნაკლოდ, გადაუჭარბებლად. ხალხური თქმულება დაწვრილებით მასალას არაფერს იძლევა ბახტრიონის აღებისას, იმ დროს მებრძოლთ[ა] სახელებიც-კი დაკარგულია, გარდა ზეზვასი (თუშია). ზეპირგადმოცემა ჰლაღადებს, რომ ფშაველებისათვის ამ ღვაწლისათვის ნაჩუქარი აქვთ პანკისი, ალვანი და სხვ. ეს ერთი. მეორე სახალხო ლექსები:

ბიჭი ვარ გოგოლაური (ზოგ ვარიანტშია
თუში ვარ მე მეტაური)
რად მწუნობ ტალავარზედა
წინ-წინ მე გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა.
მე მოკვლავ თარაქამასა ზედ მივალ ფალავანზედა

---

კიდევ:

პანკისს იყრება ლაშქარი
ბელადსა ღონდებიანო
ზეზვავ, შე გაფრანდაულო,
ლურჯას შენ გიქებდიანო...
წინ თუშნი, უკვენ ხევსურნი.
ფშაველნ ნელ-ნელა დიანო.
ჯავრობენ თუში შვილები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხევსურნი არ გინდიანო!“
— მაგას რად იტყვით, თუშებო,
ომი ჩვენც ქვე გვწადიანო.
ფშაველნი, უკვენ ხევსურნი
ბახტრიონს გადადიანო.

---

დალიევს თათრის ლაშქარი,
თავებს უკვენა ჰყრიანო.
მეორე დილა გათენდა
თუშებიც ჩამოდიანო.
„სად ეყარენით თუშებო,
სადიაცენო, თმიანნო?!“

---

ზეზვა რა სანახავია (თათრებო)
მოკლული თქვენის ხელითა
მაშინ კარგ იყო ზეზვაი
როცა მოვდევდათ ცხენითა,
მოგდევდათ, მოგაწუხებდათ
მოგჩხვლეკდათ შუბის წვერითა!

ყველაზე მეტი გამბედაობა „ბახტრიონის“ დაწერისა მომცა იმ შემთხვევამ, თუმც მაშინვე ეს ზემორე მოყვანილი ლექსებიც ვიცოდი და ხალხური მშრალი თქმულებაც ბახტრიონის აღებისა, რომ ხელში ჩამივარდა „კალმასობა“ (იხ. გვ. 406 — 407 — 408). წავიკითხე ის ადგილი, სადაც ბერი იოანე ხელაშვილი შეჰხვდება ლალის ყურისაკენ მიმავალ ორ ფშაველს და გაუბამს მათ საუბარს. ამან მუჯლუგუნი წაჰკრა ჩემ ფანტაზიას, გაათამამა, როგორც უტყუარმა დოკუმენტმა მთიელთა გმირობისამ და გაბედულად ამაღებინა ხელში კალამი. ურიგო არ იქნება ეს ადგილი ამოვწეროთ: „მიმავლობასა შინა იხილა ორნი ფშაველნი მიმავალნი ბახტრიონისაკენ და მათ იცნეს იოანე, რომელიც ენახათ ალავერდს და მოვიდნენ იოანესთან და შენდობა მოითხოვეს. მაშინ ერთმა მათგანმან უთხრა იოანეს, უცხოდ აამე გულსა ჩემსა, და ჩვენი დედოფალი კარგად აქეო, მე ასე არ ვიცოდი, თუ ამდენის სატანჯველით იმ წყეულმან შაჰ-აბასმან ჰსტანჯა ჩვენი დედოფალიო. ის დედოფალი ლაშქრის ჯვრის მოსავიც იყო, თუ არაო, გვითხარიო. ი ო ა ნ ე. ლაშქრის ჯვრის მოსავი იქნებოდა, რასაკვირველია, რომ ლაშა გიორგის ქალობა ეთქმოდაო და იმან მოგაქცივათ თქვენ, რომელიც იქ ფშავში მარხია და თავის უნჯ ყმად გამოგელოდათ. ეს დედოფალიც ქეთევან თქვენის გულისათვის ეწამა და სისხლი დააქცია, წყეულმან შააბას, რომ კახეთი მოაოხრა მერეთ თქვენზედ გამოგზავნა ჯარი. პირველად ბაჩალზედ წამოვიდნენ და თქვენ იმ ფშავის გადასავალში დაჰხვდით და გამოაბრუნეთო და მერე გაჯავრებულმან კიდევ ფშავის არაგვის წყალზედ ასიათასი კაცი გამოგზავნა თქვენ წასახდენად და ის ჯარი მოვიდა შუაფხოს

ქვევით რომ წყალის პირზედ დიდი კლდის ქვაბია, — იქამდის — მოაწივა იმათმა მხედრობამ და თქვენ წმინდის ლაშქრის ჯვრის და წმინდის ქეთევან დედოფლის მადლით ჰსძლიეთ და გააქციეთ იქამდის ის მტერი და ესე ოდენი მტერი გასწყვიტეთ, რომელ მთლად ის წყალი სულ სისხლმან ასე შალება, რომ აღარ დაილეოდა და სულ ხოცით მოჰყევით ჟინვალის ხიდამდისინა და აქეთ თქვენთვის ველარავის შემოუბედნიაო. ეს სულ იმათის მადლით არის და უნდა ძლიერ გიყვარდეთ ბაგრატიონები, რომ თქვენთვინ ასე თავ-დადებით ყოფილანო და თქვენ ჰყვარებიხართო“ და სხვ.

ასეთსავე ქება-დიდებას ასხამს ბერი ხელაშვილი თუშებს („კალმასობა“, გვ. 410). აი ყველა ის მასალა, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი „ბახტრიონის“ წერის დროს, ხოლო გმირები პოემისა — ლუხუტი, ხომარეული, სუმელჯი, კვირია, სანათა, გარდა ზეზვასი, ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღოს რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლისა, თუმცა-კი გმირებად იხსენიებიან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს — ასეთები არიან ლუხუმი, ხოშარეული. ხოლო სუმელჯი და სანათა ეკუთვნიან იმ შავსა და ბნელს დროს, როცა ფშაველები და თუშები ერთი მეორესა ჰლაშქრავდნენ, არ იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა, თოფი მაშინ ხმარებაში არა ყოფილა, არამედ მშვილდ-ისარი და ბოძალდი. თქმულება ხალხური და ლექსი ასე განმარტავენ, რომ თილისძის ბელადობით მოსული თუშის ლაშქარი მთლად გასწყვიტეს ფშაველებმა, მხოლოდ სარდალი-ღა გადურჩათ ცოცხალი და შინ როცა მივიდა, დედას უამბობს თუშების დამარცხების ამბავს ფშაველების მიერ:

„დაგვლივნა ხოშარის [1]) გორმა
იქ წყლის არ გამოდენამა
ვიწრო-ვიწრომა ხევ-ხუვმა
მოკლედ ფშავლების დენამა
წოწკურაულის [2]) ისარმა
სანათაიასა ენამა
ნელად მოვიდა სუმელჯი
სუმელჯი სუროლვიანი [3])
გაიხვნა ისრის ქოჯონნი [4])
ლალის არწივის ფრთიანი —
ესროლის, გამოაგორის
თუში ფეხ-ჩითაიანი [5])

[1]) სოფ. ფშავში.

[2]) თემი.

[3]) ეშხიანი, ზავთიანი.

[4]) ტვირთები.

[5]) წინდის მსგავსი ფეხსაცმელი, რომელსაც დღესაც იცვამენ თუშები და ჩითაჲქძახიან.

ეს ორივე გმირი — სუმელღჯი და სანათა მე შევქმენი „ბახტრიონის“ გმირებში; სანათა როგორც ენით, სიტყვით გამამხნევებელი დიაცი და სუმელღჯი-კი როგორც თავის ქვეყნისათვის მებრძოლი. ქაჯები, კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფნი. იმათი ხსენება არც ხალხურ ლექსში და არც ზეპირ-გადმოცემაში არსად არ მოიპოვება: დედაკაცს რომ რაიმე როლი ეთამაშნოს ბახტრიონის აღებაში, ამაზე არც ლექსები, არც ზეპირ-გადმოცემა არავითარ ცნობას არ იძლევა.

„გოგოთური და აფშინა“. ეს პოემა საკუთარმა ინციდენტმა დამაწერინა, გოგოთურად ვგულობდი თავის თავს. ხედავთ საქმე სანამდის მიდის, მხოლოდ სახეში მყავანდა ის გოგოთური, რომელიც მართლა სცხოვრობდა ამ მეცხრამეტე საუკუნეში, იყო მცხოვრები სოფელ ყოფჩისა, როგორც პოემაშია მოხსენებული, იყო ძალიან ღონიერი, მძლავრი და მშრომელი ადამიანი. იმისი მოტანილი ბტყელი სიპი ქვა დღესაც გდია კოპალის სამლოცველოსთან და ორ კაცს გაუჭირდება ასაწევად, იყო წყნარი და სათნოიანი ადამიანი, როგორც გამიგონია. იმის ვაჟკაცობისა მხოლოდ ის მსმენია და, რომ ერთხელ ქურდ-ბაცაცობისათვის შაეპყრო ორი ხევსური, მოეყვანა სახლში შეკონილები. ცოლისთვის ეთქვა: სალაფავი გააკეთე ამ ძაღლებს უნდა ვაჭამოვო. სალაფავი ცარიელ წყალში ნადუღარი ქატოა. მართლაც ძაღლის საჭმელ გეჯაში ჩაესხა ქურდ ხევსურებისათვის და დაედგა წინ: „ეს ჭამეთ, ქურდი და სხვის სარჩოს მტაცებელი ამის ღირსიაო!“ ხევსურები თურმე შაეხვეწნენ ოლონდაც, გოგოთურის ჭირიმე, ძაღლის სალაფავს ნუ გვაჭმევ და ჩვენს სიცოცხლეში აღარ ვიქურდებთო. გოგოთურმა შეიწყნარა მათი თხოვნა, ჩამოართვა ფიცი და გაანთავისუფლა. ეს ხევსურები ორი ერთკაცად — აფშინად გარდავქმენ და ამ გვარად პოემა დაიწერა...

„სტუმარ-მასპინძელი“. ზეპირ-გადმოცემამ მომცა მხოლოდ ერთი ადამიანის, ზვიადაურის, სახელი და ერთი ეპიზოდი, სახელდობრ ის, როცა მას ქისტები თავიანთ მკვდრის, დარლას, საფლავზე ჰკლავენ, ხანჯარს ურჭობენ ნელა-ნელა ყელში და ცდილობენ როგორმე შეაშინონ, მოდრიკონ, რომ მსხვერპლი მსხვერპლად გამოდგეს, მაგრამ ზვიადაური ქვავდება და გაიძახის: „ძაღლი იყოს თქვენის მკვდრისადა!“ დანარჩენი პოემაში საკუთარი ფანტაზიის ნაჩმახი გახლავთ.

„გველის-მჭამელი“. ამ პოემისათვის ხალხის თქმულებამ მომცა მხოლოდ შემდეგი მასალა: მინდია ქაჯეთს იყო ტყვედ; დამტყვევებელთ მოუხარშეს გველი და აჭამეს, რომ მოეწამლათ. მაგრამ საწამლავმა, ქაჯების მიერ შემზადებულმა, ზიანის მაგივრად არგო მინდიას: ხევსური შეიქნა ბრძენი, იმას ესმოდა ყველა მცენარეთა-ყვავილების ენა, ამის წყალობით იმან შეისწავლა ექიმობა და პირველი ჯანაოზი დადგა: ყველა მცენარე შესძახოდა: მე ამა და ამ სნეულების წამალი ვარ, ამ გვარად სახმარიო და ისიც ამ ყვავილებს აგროვებდა და ყოველგვარ სნეულს

არჩენდა. ამის მეტს ხალხური თქმულება მინდიაზე არაფერს არ გვეუბნება.

საზოგადოდ, უნდა ვსთქვა, რომელ ლეგენდას, თუ წლობით გაუვლია ჩემის ფანტაზიის მანგანაში, რომელიც თავისებურად შემიმუშავებია, კვალი დაუმჩნევია მკითხველების გულ-გონებაში და, რომელიც პირდაპირ გამილექსია — არც ერთს შეგნებულ მკითხველს, როგორც მაგ. „ნახევარ-წიწილა", ჩემთვის სახელად არ მოულოცია. აქედამ ცხადია, რომ პოეტმა თუ ყოველივე თავისებურად არ შეიმუშავა, თავის გრძნობა-გონების საკუთრებად არ გადააქცია, ამაოდ დაშვრება, მის ნაწარმოებს არავინ ჭკვათა-მყოფელი ხელოვნურს არ უწოდებს. ეს ჭეშმარიტება დღესავით, მზესავით აშკარაა. ჩემთვის ძალიან ადვილად გასაგებია ის მოვლენა, რომ ლეგენდას ფაუსტზე ათასი ჰყავდა ავტორი, მაგრამ იმათი ნაწარმოებნი შთაინქნენ უფსკრულში, ხოლო ფაუსტის ნამდვილი ბატონ-პატრონი შეიქმნა გიოტე. რადა? რისთვის? მადა, რომ ეს ლეგენდა ჩაუვარდა ხელში დიადის ტვინისა და გრძნობის პატრონს, იმან შეასხა მას ახალი ხორცი და შთაჰბერა სული ცხოველი. რას იტყვით? როგორ გგონიათ? ფაუსტზე არსებულმა ლეგენდამ განადიდა, შექმნა გიოტე, გამოააშკარავა მისი გენიოსობა, თუ ფაუსტმა განადიდა, ახლად შექმნა და უკვდავ ჰყო ეს ლეგენდა? რა უფლება გაქვთ არ დამეთანხმოთ, რომ უგიოტეოდ „ფაუსტი" არ ექნებოდა კაცობრიობას? მაშასადამე, თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა. ეს ლეგენდაც რომ არ ყოფილიყო, ის აზრი, რაც „ფაუსტშია" გამოთქმული, მაინც გამოითქმოდა გიოტეს პირით და ფაუსტსაც შეიძლება სხვა რამ სახელი ჰრქმევოდა.

## ვაჟა-ფშაველას გამოუქვეყნებელი წერილის შესახებ

ვაჟა-ფშაველამ სამი წერილი დასწერა შ. რუსთაველის გენიალურ „ვეფხის-ტყაოსანზე". მათ შორის უკანასკნელი, სათაურით: „ფიქრები „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ" დაიბეჭდა 1911 წელს, ჟურნ. „განათლების" მე-8 ნომერში. საქ. სახ. მუზეუმში დაცულ ვაჟას ავტოგრაფებს შორის მოთავსებულია ამ წერილის პირველი ვარიანტი, რომელიც დაუმთავრებელია და „განათლება"-ში გამოქვეყნებულ ტექსტთან შედარებით, საერთო ვარიანტულ სხვაობასთან ერთად, პირველ თავს (დასაწყისის გამოკლებით) სრულიად განსხვავებულს, მეტს შეიცავს. დასახელებული ავტოგრაფის ეს მეტი ნაწილი, რომელიც პირველად ქვეყნდება, ვაჟას პოემების: „ბახტრიონი"-ს, „გოგოთური და აფშინა"-ს, „სტუმარ-მასპინძელი"-ს, „გველის-მჭამელი"-სა და „ნახევარ-წიწილა"-ს გენეზისს ეხება, — რაც პოეტს, მის მიერ „ვეფხის-

ტყაოსნის“ შესახებ გამოთქმული შეხედულებების საილუსტრაციოდ შეუტანია წერილში.

ვაჟა-ფშაველას აქვს ამ ნაწყვეტის ანალოგიური „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ *). მაგრამ წინამდებარე დოკუმენტი გამოქვეყნებულ წერილთან შედარებით, მრავალ უპირატესობას შეიცავს. სახელდობრ, წერილში — „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“, „ბახტრიონი“-ს საფუძვლად დასახელებულია მხოლოდ ხალხური გადმოცემები და ლექსები, აქ გამოქვეყნებულ დოკუმენტში კი პოეტი იმავე ხალხური მასალის მოყვანის შემდეგ, წერს: „ყველაზე მეტი გამბედაობა „ბახტრიონის“ დაწერისა მომცა იმ შემთხვევამ, თუმც მაშინვე ეს ზემორე მოყვანილი ლექსებიც ვიცოდი და ხალხური მშრალი თქმულებაც ბახტრიონის აღებისა, რომ ხელში ჩამივარდა „კალმასობა“ (იხ. გვ. 406 — 407 — 408). წავიკითხე ის ადგილი, სადაც ბერო ივანე ხელაშვილი შეხვდება ლალის ყურისაკენ მიმავალ ორ ფშაველს და გაუბამს მათ საუბარს. ამან მუჯლუგუნი წამკრა ჩემ ფანტაზიას, გაათამამა, როგორც უტყუარმა დოკუმენტმა მთიელთა გმირობისამ და გაბედულად ამაღებინა ხელში კალამი“. ამ სიტყვებს შემდეგ პოეტს მოყავს ეს „მუჯლუგუნის წამკვრელი“ ადგილი „კალმასობიდან“. ამასთანავე ერთად, აქვე პოეტი იძლევა „ბახტრიონი“-ს ცალკე პერსონაჟების გენეზისს და მათთან დაკავშირებულ ფოლკლორულ მასალას, რაც 1914 წელს გამოქვეყნებულ წერილში სრულიად არ არის მოცემული. ასეთივე განსხვავებული (ახალი) მეტად საინტერესო ცნობებია მოცემული წინამდებარე დოკუმენტში „გოგოთურ და აფშინა“-სა და სხვა პოემების შესახებაც. კერძოდ, „გოგოთურ და აფშინა“-ს განხილვის დროს, ვაჟა გულახდილად აღიარებს, რომ ამ პოემის წერის დროს „გოგოთურად ვგულობდი თავის თავსო“, მაშინ როდესაც ივ. ვართაგავას წინააღმდეგ დაწერილ წერილში წერს: „თუ რა პირადმა განცდამ, რა შემთხვევამ დამაწერინა „გოგოთური და აფშინა“, ან ვინა მყავს გოგოთურად, ვინ აფშინად დახატული, ეგ ჩემი საიდუმლოებაა და საფლავში თან ჩავიყოლებ“.

შეიძლებოდა სხვა განსხვავებებზე მითითებაც, მაგრამ ჩვენი აზრით, აღნიშნულიც კმარა იმის საილიუსტრაციოდ, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქ გამოქვეყნებულ ნაწყვეტს მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის ვაჟა-ფშაველას „მთაში დაბადებულისა და ქართული პოეზიის მთად ქცეულ“ შემოქმედების შესწავლისათვის. მეტიც: ეს დოკუმენტი შესანიშნავ მასალას წარმოადგენს იმ, ჩვენში ჯერ კიდევ განუვითარებელ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან და აუცილებელ სამეცნიერო დისციპლინისათვის, რომელსაც მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგია ეწოდება.

ტექსტი ავტოგრაფიის ზუსტი განმეორებით იბეჭდება.

**მ. დუდუჩავა**

---

*) ეს წერილი დაიწერა და გამოქვეყნდა 1914 წელს გაზ. „სახ. ფურცელში“ (№№ 21, 22, 23).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვალია ბახტაძის და მ. ჯავახიშვილის მიმოწერა „თეთრი საყელოს“ შესახებ

ამხ. მიხეილ!

ვბედავ გაგაცნოთ ეს ნაუცბათევად დაწერილი ჩემი შენიშვნები თქვენი ახალი მოთხრობის შესახებ. ვფიქრობ, არ გამიჯავრდებით. მოთხრობის დედა-აზრის თანახმა, ცხადია, არა ვარ. საერთოდ იდეის განვითარების მხრივ ნაწარმოები ჩემთვის, როგორც რევოლუციონერისათვის, მისაღები არ არის.

არის ბევრი ყალბი ადგილები. ყაზბეგის შემდეგ ხევსურებზე ასეთი წერა სახიფათო საქმეა. მხოლოდ ვაჟას შეეძლო ეს.

არც საინტერესო საკითხია დასმული ნაწარმოებში — აბა ვის აინტერესებს ახლა — ტილები თუ რადიო?

მე ვფიქრობ — თვით ხევსურებშიაც იმარჯვებს დღეს რადიო. ტილები იქაც მარცხდება.

ეს საკითხი უკვე საკითხი არ არის, რადგან იგი — უკვე დიდი ხანია გადაჭრილია.

საინტერესო იქნებოდა — ხევსურეთის სურათი რომ იყოს ეს მოთხრობა, მაგრამ ეს ასე არ არის — რადგან ავტორს არ ქონია მიზნათ დასახული — ასეთი რამ. ცხადია: ავტორს ჯერ აზრი დაბადებია თავში: ძველი უბრალოება და ახალის კულტურა. ვისთან? და შემდეგ აუღია ხევსურეთიც და ხევსურებიც — დასამტკიცებლად იმისა, რასაც ვხედავთ მოთხრობის დედა აზრში.

რომელ ადგილს დაიკავებს ჯავახიშვილის შემოქმედებაში ეს ნაწერი? უფრო მაღალს, ვიდრე — „ოქროს კბილი“, მაგრამ გაცილებით უფრო დაბალს — შედარებით არა მარტო „ჯაყოს ხიზნებთან“, არამედ „ლამბალო და ყაშასთან“ და — თუ დამეთანხმებიან, — „მუსუსთანაც“.

გულახდილად ვიტყვი: ახლა ჩვენ ჯავახიშვილისაგან უფრო მეტს მოველით, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ამ მოთხრობაშია.

მე მგონია — ჯავახიშვილი ამ უკანასკნელ ხანში — როგორღაც ემალება — „ჯაყოს ხიზნებში“ და „ლამბალო და ყაშაში“ აღებულ ხაზს — ჯანსაღ რეალიზმისა, — ამიტომ კოჭლობს ის. კოჭლობს კი აუცილებლივ. მისივე ბრალია. საკოჭლო ჯავახიშვილს არაფერი აქვს. თუ კი ის — სა-

ბოლოოდ დაადგება — ერთხელვე აღებულ ხაზს. ცხადია, ტილების მომხრე არა ვარ — რადიოსთან, მაგრამ არა ყოველი ძველი უარსაყოფია —

ეროვნული ბიბლიოთეკა



კერძოდ მხატვრული რეალიზმი — კლდიაშვილის, ნინოშვილის, ილიასი და თუ გნებავთ იმავე — „ჯაყოს ხიზნების“ ავტორის.

მოკლეთ ჩემი შეხედულება ამ ნაწარმოებზე. დაწვრილებით ჟურნალში.

ვალია (ბახტაძე).

## ამხანაგო ვალია

თქვენმა შენიშვნებმა „თეთრი საყელოს“ შესახებ ერთხელ კიდევ ჩამაფიქრა. პირადი ბაასი ბევრ დროს წაგვართმევთ, ამიტომ ვამჯობინე მოკლე წერილი მომეწერა. მეტისმეტად ნუ გავამარტივებთ პრობლემას. მე ტილისა და რადიოს შედარება კი არ მინდოდა, არამედ პრიმიტივის და კულტურისა, საშუალო საუკუნეების კარჩაკეტილობის და დღევანდე-

ლი კარლიობისა, განდეგილობის და ქალაქის სოციალობისა, ცოცხალი რომანტიკისა და მიწა-ქალაქის რეალობისა.

ნუ იტყვით, ასეთი პრობლემა არ არსებობსო. ვინ დაითვლის, რამდენი ქალაქელი გაჰქცევია ქალაქურ კულტურას. და სოფლის ატავიზმის ძალა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ზოგს ჰგონია. ჩვენი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი რამდენიმე წლის წინათ „გაწიკლაურებას“ ოცნებობდა და ჩემი გაბრიყვებაც კი მოინდომეს — რა თქმა უნდა ყველანი დამარცხდებოდნენ „ვაჟიკასავით“, ე. ი. ისევ ქალაქს დაუბრუნდებოდნენ. კაცობრიობის 90% სოფელია, ე. ი. ქალაქთან შედარებით პრიმიტივია. მე განზრახ ავიღე ორი პოლიუსი — ჩაკეტილი ხევსურეთი და დიდი ქალაქი, განზრახ გამოვტოვე საშუალო ზოლი — ბარი.

თემამ ფორმა მომცა. იგი წინათვე ჩაქსოვილი იყო თემაში. რაკი პრიმიტივს დავუწყე ძებნა საქარ — ოს არეში, ძალაუნებურად ან სვანეთი უნდა ამელო, ან ხევსურეთი. რაკი ხევსურეთს მივადექი, იგი უნებურად უნდა შემელებნა რომანტიული საღებავით, ვინაიდან ხევსურეთი პირწავარდნილი ცოცხალი რომანტიკა გახლავთ: ზნე-ჩვეულებანი, ლეგენდები, ტრადიციები, გმირული სული. ხევსური დღესაც ჯავშნით, დაშნით და ფარით დადის დღეობაში. განა ამაზე მეტი რომანტიულობა კიდევ შეიძლება? მე მგონია, რომ ხევსურეთის მსგავსი ნაშთი შორეულისა სადმე ტიბეტში თუ მოიძებნება. რასაკვირველია, ეს რომანტიული სული სწრაფად დნება, მაგრამ ის ჯერ კიდევ არსებობს და მანამდის იარსებებს (თუნდაც ოდნავ), სანამ მთა და ბარი არ გასწორდება.

თქვენ გგონიათ, თითქოს მე ჯანსაღ რეალიზმისთვის მეღალატნოს. არა. საერთოდ მწერალი არ მეგულება, რომ მას სადმე ოდნავი რომანტიული იერი არ გადაჰკრავდეს. საკითხავი მხოლოდ ის არის, თუ რამდენი აქვს მას რომანტიული და რეალისტური დოზა. თუ „ჯაყოში“ და „ყამაში“ რომანტიული ელემენტი მხოლოდ 10% (ასე ვთქვათ) მოიპოვება, „საყელოში“ 20%-იც არ იქნება, ე. ი. „საყელო“ მაინც რეალისტურია. ვიმეორებ: ამ თემის შესრულება არ შეიძლებოდა 100%-იანი რეალიზმით.

გამოვტყდები: ძალიანაც რომ მოვინდომო ასეთივე იერით ავწერო ქალაქი, შესაძლოა ვერ მოვერიო, ვინაიდან მე ვერ გავხვევ რომანტიულ ლეჩაქში იმ ქვეყანას, რომელსაც იგი სრულებით არა აქვს, ან მე ვერ ვხედავ მას.

ერთი რამეც უნდა აღვიარო: მე მომბეზრდა ზოგთა ყაყანი: ჯავახიშვილი მშრალი რეალისტია, უსულო ნატურალისტია; მას არ ძალუძს მიწას მოსწყდესო... მე მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ერთიც *შემიძლიან* და მეორეც. ნუ გაგიკვირდებათ თუ ოდესმე ამავე მოსაზრებით ერთი ლექსი და ერთი ლირიკული დრამა დავწერე. სხვაფრივ კი, თქვენი თქმისა არ იყოს, „მოსაკოჭლი“ არაფერი არა მაქვს. ალბათ ჩემი

ნათქვამი გაგახსენდებათ: „საყელო“ პროგრამულია მეთქი, მე ვეძებ პროგრამულ რომანს ან მოთხრობას, ნიმუშს ნეორეალისტურ მიმართულებისას. „ჯაყო“ სჯობია? კეთილი, მაგრამ მათ შორის არც იმდენი განსხვავებაა, როგორც თქვენა გგონიათ. მესამეჯერ ვიმეორებ: თემამ დაბადა ეს განსხვავება და გარეგნული ნახტომი.

ერთი რამეც უნდა აღვნიშნო: თემატიკურად „თეთრ საყელოში“ ახალი არაფერია. ეს თემა — ქალაქიდან გაქცევა და პრიმიტივისა და კულტურის დაპირისპირება — რუსოს, ჰამსუნს, კელერმანს და სხვა მწერლებსაც გამოუყენებიათ. მე იმით გავსხვავდები მათგან, რომ გმირი ისევ ქალაქში დავაბრუნე, ე. ი. კარჩაკეტილობა დავგმე და გამარჯვება კულტურას მივაკუთვნე.

დანარჩენი პირადი საუბრისათვის გადავდოთ.

29/I — 1926 წ. მიხეილ ჯავახიშვილი.

### ვ. გორგაძე

# ვალია ბახტაძე

## პორტრეტი

შუატანის, გამხდარი ფიგურა. ფართე შუბლი. სახის ლამაზი ნაკვთები. ღრმა ცისფერი თვალები ოდნავ სევდიანი გამომეტყველებით. აცვია სამხედრო ჩექმები და შავი ტყავის კურტკა. ნაბიჯი — ენერგიული, ჩქარი. იშვიათად ნახავთ მოსვენებულს. მუდამ საქმეშია გართული. „წელს შემოდგომაზე რამოდენიმე თვით მაინც წავალ ტფილისში სამუშაოდ“, — წერს მძიმე ავადმყოფი აბასთუმანიდან თავის დას. კითხულობს ბევრს. განსაკუთრებით უყვარს მხატვრული ლიტერატურა. სწავლობს უცხო ენებს. აქვს მდიდარი და მრავალფეროვანი ბიბლიოთეკა. წიგნს არ იშორებს არსად. სადაც არ უნდა იყოს, ყველგან შემოიკრებს მოწინავე მწერლების ჯგუფს. იცის ტკბილი საუბარი. ამხანაგებთან უყვარს მეგობრული დამოკიდებულება. მეგობრებთან ურთიერთობაში მუდამ გულწრფელია. ყველაზე მაღლა აყენებს რევოლუციის ინტერესებს. „პოლიტიკურ ბრძოლაში ჩემთვის ყველა ერთია: ვინტოვკა რომ გაიმართება, მან არ იცის ბარიკადის იქითა მხარეს მოყვრისა და ნათესავის გარჩევა“. არის პირდაპირი, გულკეთილი, გამბედავი.

## ფიცრული ქოხი

იმერეთის ვაკე, ჩრდილოეთით და სამხრეთით შემოზღუდული მთების ლურჯი ზოლით. მაღალი, კოშკივით ამართული, ჭადრის ხეები. ასწლოვანი მუხები, დაკლაკნილი მკვრივი ტოტებით. მცენარეთა მწვანე

ფონზე კოხტა ოდები, ქვიტკირის სახლები. სკოლები, ახლად აგებული ჩაისა და აბრეშუმის ქარხნები. ესაა ძველის ძველი დაბა ხონი. ამჟამად ქალაქი, სარაიონო ცენტრი. საშობლო ძველი რევოლუციონერების, ბოლშევიკთა მაგარი მოდგმის. ქალაქის შუაგულ ადგილას [illegible]ების ჩირჩოში ჩასმული ლამაზი ბაღია. გაცდებით თუ არა ბაღს, გახვალთ სამეგრელოს გზატკეცილზე. გზატკეცილის ნაპირას, მარცხნივ ხის ჭიშკარი შეგიყვანთ ოთხკუთხედ, მწვანე ბალახით დაფარულ, პატარა ეზოში. აქ ორი ნიგვზის ხის იქით იდგა ფიცრული ქოხი მიწის იატაკით. ეს ქოხი ეკუთვნოდა მანთაშევის ქარხნის მუშას — სამსონ ბახტაძეს. ქოხი და ერთი ქცევა მიწა შეადგენდა მთელს მის ქონებას. ამ ქოხში 1896 წ., 27 ივნისს სამსონ და ტასია ბახტაძეების ოჯახში დაიბადა ერთადერთი ვაჟი ვალია.

## ლუკმა პურისათვის

სამსონის ოჯახი მრავალრიცხოვანია. მას ჰყავს რვა სული. აქედან ექვსი შვილი: ერთი ვაჟი, ხუთი ქალიშვილი. მას არ ყოფნის მიწა. იგი იძულებულია წავიდეს სადმე სამუშაოდ. და, აი, სამსონი მიდის ბათომში, მანთაშევის ქარხანაში, შავ მუშად. აქ იგი რჩება 1906 წლამდის.

რეაქციის დროს, ქარხნის დახურვის გამო, სამსონი ბრუნდება ისევ სახლში. მაგრამ აქაც იგივე გაჭირვება ხვდება. მძიმე მატერიალურ პირობებს დიდხანს ვერ დააღწია ოჯახმა თავი. ამ სიღატაკის ნიშნით მიდის ვალიას ახალგაზრდობა.

„ჩემი ახალგაზრდობა თავიდანვე აღიბეჭდა გაჭირვების და ეკონომიური ვაი-ვაგლახის ბეჭედით. სულ ხშირად სიმშილი და სიცივე". ასე იგონებს ვალია ახალგაზრდობის წლებს.

## სკოლისაკენ

1902 წელი. ვალია ექვსი წლისაა. მამამ პატარა ვალია მიაბარა სამრევლო სკოლაში.

სკოლას აქვს ორი განყოფილება. ვალია პატარაობიდანვე იჩენს სწავლაში დიდ ნიჭს. ჩქარა ამთავრებს სამრევლო სკოლას და იგი გადაჰყავთ ხონის ორკლასიან სასწავლებელში. 1907 წ. ამ სკოლასაც ამთავრებს, მაგრამ ამას არ ჯერდება. თუმცა ხელს უშლის სიღარიბე და ოჯახის ხელმოკლეობა.

„როდესაც 11 წლისამ გავათავე ორკლასიანი სასწავლებელი, საკითხი დაისვა: „რა ვქნათ ეხლა". „პატივცემული მოყვრების რჩევით, და უკიდურესი ეკონომიური მდგომარეობის მიზეზით, განიზრახეს ჩემი გაგზავნა ქუთაისში, ვაჭარ ანანოვთან შეგირდათ. პირველი „ბრძოლა" აქ გაუ-

მართე მშობლებს, და ანანოვის მაგივრად თავი ამოვყავ უფრო „დიდ“ სასწავლებელში, როგორიც იყო სამოქალაქო სასწავლებელი“.

სამოქალაქო სასწავლებელი ვალიამ დაამთავრა 1910 წ. წლინახევრის შემდეგ, 1912 წლის იანვარში, შევიდა ქ. ხონის ექვსკლასიან გიმნაზიაში. აქ დაჰყო 1914 წლის სექტემბრამდის. ამავე წლის სექტემბერში შევიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მეშვიდე კლასში. კლასიკური გიმნაზია ვალიამ წარმატებით დაამთავრა 1915 წელს.

## პირველი ნაბიჯი

სამოქალაქო სასწავლებელში ყოფნისას, ვალია, ჯერ კიდევ ბავშვი, პირველად ეცნობა სოციალისტურ ლიტერატურას (ბროშიურების სახით), რამაც „გააღრმავა და გააფართოვა მისი სიძულვილი არსებულ ეკონომიურ რეჟიმისადმი“.

ხონის ექვსკლასიან გიმნაზიაში, ვალიას დროს, არსებობდა მოწაფეთა თვითგანვითარების წრეები. ეს წრეები, მართალია, ლიტერატურულ წრეებს წარმოადგენდენ, მაგრამ ისინი, ვალიასავე სიტყვით, „პოლიტიკური ელფერით იყვნენ შეღებილი“. წრეებიდან განირჩეოდა ორი: სოციალ-დემოკრატების და ფედერალისტების. წრეების მუშაობა უმთავრესად თეორეტიულ ხასიათს ატარებდა.

ვალია მოწაფეთა წრეში პირველად 1912 წელს ჩაეწერა. ეს იყო სოც.-დემოკრატიული წრე. ამ წრეში ვალიამ დაჰყო 1914 წლის სექტემბრამდის.

ვალია ხშირად კითხულობდა რეფერატებს, რომლის დროს ამჟღავნებდა პოლიტ. სიმწიფეს და მომზადებას. 1914 წლიდან, ვალია, როგორც ვიცით, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გადავიდა. ქუთაისში, ღარიბ მშობლებისაგან მატერიალურ დახმარებას მოკლებული ვალია, გაკვეთილებით ირჩენდა თავს. აქაც განაგრძო მან მოწაფეთა წრეში მუშაობა. ცოტა ხნის შემდეგ, იგი აირჩიეს ქუთაისის სოც.-დემოკრატიულ მოწაფეთა ორგანიზაციის ბიუროს წევრად. ბიურომ ვალია გამოჰყო არალეგალურ ჰექტოგრაფიულ ჟურნალის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ რედაქტორად. ამ ჟურნალს სცემდა თითონ ბიურო. მოწაფეთა ბიუროს კავშირი ჰქონდა ქუთაისში არალეგალურად მომუშავე რევოლუციონერებთან.

დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი. ომის დაწყებისას, ომის საკითხის გარშემო, მოწაფეთა ორგანიზაციაში განხეთქილება ჩამოვარდა. გაჩნდა ორი ბანაკი: ციმმერვალდის მომხრენი და მოწინააღმდეგენი. ერთი ბანაკი ომის მომხრეა, მეორე — წინააღმდეგი. ვალია დადგა ციმმერვალდის პოზიციაზე. მას აქ მოუხდა გამოსვლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც აღნიშნულ პოზიციას არ იზიარებდენ. ამის გამო, ვალია, რო-

გორც ჟორდანიას მოწინააღმდეგე, მოწაფეთა ბიურომ ჟურნალის რედაქციიდან გარიცხა.

კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1915 წლის ზაფხულში ვალია ხონშია. აქ იგი, უფროს ამხანაგებთან ერთად აწყობს ახალგაზრდა მუშების ორგანიზაციას. ვალია ამ ორგანიზაციის მდივანი და ლიტერატურული ხელმძღვანელია.

ახალგაზრდა ორგანიზაცია დასაწყისიდანვე საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს. ვალიას ხელმძღვანელობით ხონის ძაფსახვევ ქარხანაში რვა დღიანი გაფიცვა ეწყობა. ვალიას უფროსი დის განცხადებით, რომელიც იმ ხანებში ძაფსახვევ ქარხანაში მუშაობდა, გაფიცვის მიზანი იყო ხელფასის მომატება და სამუშაო საათების შემცირება.

ახალგაზრდა მუშების ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ხონის კოოპერაციის არჩევნებში. არჩევნებს იმ ხანებში მეტად მწვავე ხასიათი ჰქონდა.

ვალიას ამ პერიოდის მოღვაწეობა მარტო მუშათა ორგანიზაციით არ შემოფარგლულა. იგი ხონში აწყობს აგრეთვე მოწაფეთა ორგანიზაციას.

მაგრამ ვალიას, .ამავე დროს, ცოდნის წყურვილი არ ასვენებს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ზაფხულზე გაკვეთილების აღებით ცოტაოდენი ფული შეაგროვა და 1915 წ. სექტემბერში გაემგზავრა ქ. ხარკოვში უმაღლესი სწავლის მისაღებად. აქ იგი შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ხარკოვში ყოფნისას, დიდ დახმარებას უწევდა ვალიას ყოფილი მასწავლებელი ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი, რომელიც ქუთაისიდან ყოველთვიურად 15 მანეთს უგზავნიდა.

ვალია გულმოდგინეთ კიდებს ხელს მეცადინეობას. მისი თაოსნობით ხარკოვში არსდება ქართული ლიტერატურის შესწავლის წრე. იგი პარტიულ მუშაობასაც არ ივიწყებს, ეწერება სტუდენტთა სოც.-დემოკრატიულ ფრაქციაში. მაგრამ ჯანმრთელობა არ აძლევს საშუალებას დიდხანს მოიცადოს ხარკოვში. მალე ავადმყოფობის გამო, ბრუნდება საქართველოში, ქ. ხონში. აქ იგი განაგრძობს მის მიერ დაარსებულ წრეების ხელმძღვანელობას. არც აქ დააცალეს მუშაობა. 1916 წლის აგვისტოს ვალიას სამხედრო სამსახურში იწვევენ. როგორც სტუდენტს, მას აგზავნიან ძველ პეტერგოფში, პრაპორშჩიკების სკოლაში.

სამხედრო სკოლაში ყოფნის დროს, მიუხედავად სასტიკი რეჟიმისა, ვალია არ ანებებს თავს საყვარელ საქმეს — პარტიულ მუშაობას. იგი ძველი და ახალი პეტერგოფისა და ორანიენბაუმის ხუთი სამხედრო სკოლის იუნკრებს შორის აწყობს სოციალ-დემოკრატების ვიწრო წრეს. ამ წრეს უხდება ძალიან საშიში მუშაობა, რადგან სრულიად უბრალო ნაბიჯსაც კი შეეძლო გამოეწვია მომუშავეთა სიკვდილით დასჯა. იმ ხანებში კრონშტადტში დახვრიტეს მატროსები, რომლებთანაც ვალიას და მის

ამხანაგებს კავშირი ჰქონდათ გაბმული. ორგანიზაცია [illegible] იყო პეტერგოფის კომიტეტთანაც — ბოლშევიკ რუსერის *) [illegible]ებით.

ორი დღით ადრე თებერვლის რევოლუციამდის, [illegible]თავრა პეტერგოფის სამხედრო სკოლა. და მას პრაპორშჩიკ[illegible] დროს რევოლუციის მღელვარე ტალღები დახავსებულ ყაზარმების კედლებსაც აღწევდა. 1917 წლის 25 თებერვალს, ვალია ამხანაგებთან ერთად ღამით გაიპარა სკოლიდან და შეუერთდა ორანიენბაუმიდან პეტროგრადისაკენ მიმავალ სამხედრო ნაწილებს. უდიდეს თოვლში, ქარბუქში და ყინვაში მათ გაიარეს 40 ვერსი ფეხით პეტროგრადამდის. პეტროგრადში ამ დროს საბარიკადო ბრძოლის გაგანია ჩაღდებოდა. ვალიაც სწორედ ამ ბრძოლის შუაგულ ცეცხლში შეიჭრა. იგი იბრძოდა ობუხოვის ქარხანასთან და აქტიური მონაწილეობა მიიღო ძველი მთავრობის დაპატიმრებაში. შემდეგ დაბრუნდა ისევ პეტროგრადში.

პეტროგრადიდან ვალია გადმოიყვანეს ტაგანროგში, 275 ქვეითა პოლკში. პოლკში სამსახურის დროს, ვალია იყო გაერთიანებულ რევოლუციონურ ორგანიზაციის წევრი. სწორედ ამ ხანებში მოხდა კერენსკის ავანტურისტული შეტევა ავსტრიის ფრონტზე. ვალიას პოლკს აქეთ უკრეს თავი. მაგრამ პოლკი აჯანყდა. მრავალი ამხანაგი დაატუსაღეს. სასტიკი რეპრესიების აცილების მიზნით, ვალიამ მოასწრო საქართველოში გამოქცევა. ჩამოვიდა თავის სამშობლო, ქ. ხონში — უკვე პროლეტარული რევოლუციისათვის საბრძოლველად.

## რევოლუციის ცეცხლში

ხონში დაბრუნებული ვალია, ახალის ენერგიით განაგრძობს მუშაობას თავის აღმზრდელ ხონის ორგანიზაციაში. ამ დროს საქართველოში მენშევიკების მწუხრი სუფევს. 1918 წ. დასავლეთ საქართველოს ხან ერთს, ხან მეორე ნაწილში იფეთქებს აჯანყება. ვალია ამ აჯანყებათა სულისჩამდგმელია (სამეგრელოს აჯანყება). პირველად იყო მდივანი ბათომის და შემდეგ ბათომ-გურიის კომიტეტის, საზღვაო რაზმის უფროსი. ბათომში ვალიას ხელმძღვანელობით გამოდის გაზ. „ბათომის სიმართლე". მას ირჩევენ დასავლეთ საქართველოს კომიტეტის წევრად.

1919 წლის დასაწყისს ქუთაისის ორგანიზაციიდან სათანადო დირექტივებით გაემგზავრა სოხუმის ოლქში, სადაც მიიღო აქტიური მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

აქ იგი მეთაურობს ბოლშევიკურ ფრონტს. ამ თანამდებობაზე იგი გამოჰყო ჩრდილოეთ-კავკასიის რესპუბლიკის საბჭოს მთავრობამ. აქედან

*) ამხ. კ. რუსერი 1917 წ. მოკლულ იქნა რუმინეთის ფრონტზე კერენსკის მომხრე ხულიგნების მიერ.

მოყოლებული ვალია ფრონტზეა განუწყვეტლად. ინიშნება მთიელების სამხედრო კომისრად პიატიგორსკში. ხელმძღვანელობს დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლ კომუნისტურ რაზმს. ბრძოლის დროს, რაზმი დამარცხდა. ვალია ტყვედ ჩაუვარდა კაზაკებს. გამოიქცა ტყვეობიდან და 60 ვერსი თოვლით დაფარული მთები ფეხით გაიარა.

1919 წ. ვალია კავკავშია, ავადმყოფი. ამასობაში ბოლშევიკური ფრონტი დროებით მარცხდება. ვალია ჩრდილო-კავკასიაში მომუშავე მებრძოლ ამხანაგებთან ერთად, იძულებულია ტყვედ ჩაუვარდეს მენშევიკებს. მაგრამ ჩქარა ამ ტყვეობასაც დააღწია თავი. ამ დროს იგი ავად გახდა პარტახტიანი ტიფით. მაგრამ, ამხანაგების დახმარებით, ჩქარა განიკურნა. წამოდგა თუ არა ფეხზე, ვალია ისევ ხონისაკენ გაეშურა.

ვალიას ხონში ჩასვლა მენშევიკებს არ გამოეპარათ. ერთი კვირის შემდეგ დაატუსაღეს და მოათავსეს ქუთაისის საპყრობილეში. ვალია ციხეში უქმად არ კარგავდა დროს. მან შეჰქმნა წრე. ამეცადინებდა ამხანაგებს. მეცადინეობდა თვითონაც მომავალი ბრძოლებისათვის. აქ ვალიამ დაჰყო რუსეთ-საქართველოს ზავამდის. ზავის დადების შემდეგ, ვალია გაანთავისუფლეს. ქუთაისიდან ვალია სასწრაფოდ გაემგზავრა ტფილისში. აქ იყო იგი გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის წევრი და მდივანი. მაგრამ მხოლოდ 15 დღით. აქ ხელახლა დააკავეს, და საქართველოში მომხდარ გადატრიალებამდის, ქუთაისის ციხეში მოათავსეს. რამოდენიმე დღით ადრე გადატრიალებამდის, ვალია გადაასახლეს ბაქოში. ბაქოში ვალიამ დაჰყო მხოლოდ ერთი ღამე. იქ ჩასვლისას, სამხედრო რევოლუციონურმა საბჭომ დანიშნა ცხენოსან დივიზიის პოლიტიკურ ხელმძღვანელად. ვალია დივიზიასთან ერთად ჩამოვიდა ტფილისში. აქ მან დაჰყო ერთი თვე გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში. იგი იყო პირველი რედაქტორი ამ გაზეთის. შემდეგ გადაიყვანეს ქუთაისში. ქუთაისში ვალია მუშაობდა სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელ მდივნად. აქვე მისი რედაქტორობით იწყო გამოსვლა გაზეთმა „მუშა და გლეხმა“.

1924 წელს ვალია დაინიშნა სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალის „მნათობის“ რედაქტორად, რომელსაც რედაქტორობდა რამოდენიმე წლის განმავლობაში. აქვე ათავსებდა იგი კრიტიკულ წერილებს.

ვალიამ „მნათობის“ გარშემო თავი მოუყარა ქართულ ლიტერატურის საუკეთესო რევოლუციონურ ძალებს. ხელი შეუწყო ამ მწერლების პროლეტარულ რევოლუციასთან მჭიდროდ დაახლოებას.

აქვე, ვალიას თაოსნობით, ჩამოყალიბდა და განმტკიცდა პროლეტარული მწერლობის ახალი კადრები.

1924 წელს მენშევიკური ავანტურის დროს, ვალია გაგზავნილ იქნა ქუთაისში ქართული დივიზიის სამხედრო კომისრად. ქუთაისში მისი ხელმძღვანელობით გამოვიდა ყოველდღიური გაზეთი „წითელი ვარსკვლავი“.

1925—26 წ. იყო საქართველოს კომ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე.

1925 წელს მოსკოვში ყოფნისას, ვალია გაცივდა და ტფილისში ჩამოსვლისას, მას მძიმე სენი, ფილტვების ტუბერკულოზი, გამოაჩნდა.

ბევრი ეცადა პარტია და ხელისუფლება დაეგლიჯათ იგი სიკვდილის ბრჭყალებისაგან, მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა.

ოთხი წლის ავადმყოფობის შემდეგ, იგი გარდაიცვალა 1930 წელს 4 დეკემბერს, სრულიად ახალგაზრდა, ენერგიით სავსე.

ვალიას დარჩა აუარებელი კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები.

გარდა „მნათობისა“, იგი მუდმივი თანამშრომელი იყო ჟურნალ-გაზეთების: „კომუნისტი“, „მუშა“, „მუშა და გლეხი“, „სოფლის კომუნისტი“, „წითელი ვარსკვლავი“, „ახალი სოფელი“, „დროშა“ და სხვა.

„მნათობის“ რედაქტორის ამხ. გ. ყურულაშვილის ინიციატივით, მისი კრიტიკული წერილები იბეჭდება ცალკე წიგნად. წიგნს ცემს სახელმწიფო გამომცემლობა ამხ. გრ. მუშიშვილის რედაქციით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანნა ანტონოვსკაია

# ძველი ქართული წიგნი

(ნაწილი წიგნისა „ნამდვილი და რუსულ მწერლობაში გამოსახული საქართველო)

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველ ქართულ ხელნაწერების და ისტორიულ საბუთების შემკრებმა განყოფილებამ შეაგროვა რვა ათასი ხელნაწერი წიგნი და ოცდაათასზედ მეტი გუჯარი — წარსულის ყოველ მხრივ აღმნიშვნელი საბუთები.

დიდ კვლევით შრომას ეწევა განყოფილება შეკრებილ მასალის გასარჩევად და გასაანალიზებად. ეს მეტად რთული და მნიშვნელოვანი კვლევა საშუალებას გვაძლევს ზედმიწევნით შევისწავლოთ საქართველოს კულტურა.

ფასდაუდებელ წიგნებს, და მათთან ერთად ამ წერილში მოხსენებულებს, განყოფილება ინახავს ფოლადის სეიფებში.

ძველმა ქართულმა წიგნმა ათას წლების რთული წარსული გამოიარა. მის ფურცლებზედ არის გამოხატული ეკონომიური წყობილება ძველ საქართველოს სახელმწიფოსი, ქართველი ხალხის ცხოვრების ამშლელი პოლიტიკური გარემოებანი, ხანები ქართულ კულტურის განვითარებისა.

ძველი ქართული წიგნი — უუიშვიათესი საბუთია ეროვნულ აზრის მრავალმხრივობისა. მაგრამ საქართველოს გასაბჭოებამდე ეს მასალა, საქართველოს გაცნობის მიზნით, მიუწდომელი იყო არა მარტო ხალხისთვის, არამედ ისტორიკ-მკვლევართა და მწერალთათვისაც.

ამგვარ მდგომარეობას ხელს უწყობდა აგრეთვე რომანოვების ხელისუფლების მისწრაფებაც — ჩაეკლათ ყოველი ცდა ეროვნულ კულტურისა და რაოდენადმე საქართველოს ისტორიულ წარსულის თავისებურობა.

საქართველოს უუმდიდრესი ვაჭრობა ჰქონდა აბრეშუმის და მატყლისა; ინდოეთს, სპარსეთს და ჩინეთს მიმავალ გზების ცენტრში მდებარეობდა და თავის საზღვრებისკენ იზიდავდა ყვითელკანიან აზიელებს და დასავლელ ევროპელებს. და ამ სასარგებლო ვაჭრობის ხელში ჩასაგდებად ყოველგვარ საშუალებას ხმარობდენ სხვა ხალხები.

ბიზანტიელები საქართველოს დედაქალაქიდან დაშორებულ მხარეებს ავსებდენ მისსიონერებით, აჟურულ ჯვრებით, შეოქრვილ ხატებით და ცდილობდენ თავის პროვინციად გაეხადათ კოლხიდა.

ოსმალეთი მჭიდრო ფუძის შესაქმნელად კავკასიის ქედის და დასავლეთ საქართველოს მთების ფერდობებზედ მცხოვრებ, თავის მონათესავე ლეკებს უერთდებოდა, ჩერქეზებს, აჭარელებს.

სარწმუნოებრივ განხეთქილებასაც კი ხმარობდენ საქართველოს დასასუსტებლად კონსტანტინოპოლელი სულთანები და ერზერუმელი ფაშები და ხელს უწყობდენ რომის პაპების მიერ გამოგზავნილ კათოლიციზმის გასავრცელებლად იბერიისკენ მომავალ მისსიონერებს.

ეკონომიური მიზეზები აიძულებდენ სპარსეთს თვალყური ედევნა რუსეთის კავკასიისკენ მოწევას და საქართველოს მეფეების მძლავრ მართლმადიდებელ მოსკოვისადმი მიდრეკილებას, კარგად ჰხედავდა, რა შედეგი მოჰყვებოდა მოსკოველ მეფეების განძრახვას. ისპაჰანელი შახები ცდილობდენ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის შუა გარდუვალ ბუფერად გარდაექმნათ საქართველო. ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა ისლამი საქართველოს გამაჰმადიანებას.

საქართველო თავგამოდებით იცავდა თავის საზღვრებს ქოჩადმავალ ხალხებისგან. ქალაქ უირპარის დარიალის ხეობაში, შუა საქართველოს ციხეების და რკინის კარისა დარუბანდში დანიშნულება იყო საფარად ყოფილიყვნენ და არ გადმოეშვათ გაშმაგებით მომავალი სკიფები და სხვა ჩრდილოელი ხალხები, რომლებიც კარგ საძოვარს და სანადიროს ეძებდენ.

ისტორიულ ხანის განმავლობაში ტფილისი ოცდახუთჯერ იქმნა აკლებული ავარელების, სარაცინების, სელჯუკების, მონღოლების, ოსმალების, სპარსელების და სხვა დამპყრობთა მიერ.

უბოლოვო მტრის შემოსევამ და ბრძოლამ, რომლის ალში იწვოდენ მთელი ქალაქები, ასწავლა ქართველებს თავის კულტურულ განძის მიუვალ მონასტრების და ციხეების სამალავში შენახვა.

მონასტრების და ციხეების სამალავების წყალობით მოაღწია ჩვენამდე ხანძარსა და აოხრებას გადარჩენილმა გუჯრებმა, მატიანეებმა და ხელნაწერმა წიგნებმა.

მაგრამ ხანდახან მონასტრის სამალავი ძვირფას წიგნების აკლდამადაც ხდებოდა. მაგ. თემურლენგის შემოსევის დროს (1400 წ.) კავთის მთების ერთ მღვიმეში დამალეს ქვათახეველმა ბერებმა განძეული და მონასტრის ბიბლიოთეკა. მე-XIX საუკუნის დასაწყისში იქმნა აღმოჩენილი ეს სამალავი, მაგრამ რამდენიმე ასი წიგნი სრულიად გახრწნილიყო ნესტისაგან.

და რამდენი იქნება ჯერაც მიუგნებელი?

ძვირფას წიგნების საიდუმლო სამალავში შენახვა ტრადიციად იქცა და საქეზად გახდა ქვეყნის კულტურულ საგანძურის დასაცავად, და აღმოსავლელ დამპყრობებს აღუძრა სურვილი ძვირფას ხელნაწერ წიგნებზედ ნადირობისა.

ტყვედ მიჰქონდათ წიგნები.

ტყვესავით გამოიყიდდენ ხოლმე წიგნებს.

დიპლომატიური მოლაპარაკება წარმოებდა წიგნებ[illegible]

მაგრამ სხვა გვარი „სამალავიც“ მოიპოვებოდა: [illegible] ტახეოგრაფიული ნაწერები შემდეგში კათალიკოსებს ჰქონდათ შენახული, მერმე საქართველოს არქიერებს, რომლებიც მალავდენ ეროვნულ განათლების საბუთებს და მით ხელს უწყობდენ რომანოვების თვითმპყრობელობის წადილს, — შეეფერხებინათ ხალხის განათლება.

მიუხედავად რომის და სტამბოლის სარწმუნოებრივ განხეთქილებისა, საქართველო მედგრად იცავდა თავის ეროვნულ მე-ს, რადგან სარწმუნოებას თავის დღეში არა ჰქონია უპირატესი მნიშვნელობა ქართველ ხალხისთვის. საქართველოს ისტორიამ არ იცის სარწმუნოებრივ განსხვავებისა გამო სხვა ერების დევნა. წმ. ნინოს მიერ მოტანილ ჯვარს (III ს.) მთელი ორი საუკუნის განმავლობაში გვერდით უდგა არმაზის კერპი თავის ბრწყინვალე, ძვირფას თვალმარგალიტით მოფენილ ჯავშანით საქართველოს მამამთავარ ქართლოსის საფლავზედ (2100 წ. ქრისტემდე).

და დღესაც ქუთაისში ბაგრატის ტაძარის ნანგრევების მოკაზმულობაში არეულია ქრისტიანული და კერპთაყვანისმცემლური ქანდაკება: ჯვართან ერთად ადამიანის მსგავს ცხოველებს ხელში უჭირავთ თასი ვაზის რტოებით.

ქრისტიანულ დებულებათა სხვადასხვა გვარმა შეგნებამ და განმარტებამ კერძოდ VI ს. დასაწყისში ქართულის და სომხურ ეკლესიების შუღლმაც კი ვერ შესძლო შექმნა ურჯუკულ მწვალებლებისა. საქართველო, მგონია, ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც ქრისტიანობა ცეცხლითა და მახვილით არა ვრცელდებოდა. „წმინდა ინკვიზიციის“ ტერორი, ბართოლომეს ღამე, სარწმუნოებრივი ომი, ბრძოლა — ორი თითით უნდა ვიწერდეთ პირჯვარს, თუ სამით, — სრულიად უცხო იყო თავისუფლების მოყვარე ქართველებისთვის.

პოლიტიკურ გარემოებათა გამო მართლმადიდებელნი იყვნენ ქართველები, კათოლიკები, მაჰმადიანები, და მშვიდობიანად ცხოვრობდენ ერთმანერთთან, მიუხედავად იმისა, რომ არღვევდენ ეროვნულ ტრადიციებს.

რაღა თქმა უნდა, სარწმუნოება საქართველოშიც გაბატონებულ კლასებს ემასხურებოდა და თავისი მიტროპოლიტი ფოტიებიც ჰყავდა და კარდინალი რიშელიებიც.

მაგრამ დაუსრულებელმა შემოსევამ და რბევამ უჯიათ აღმოსავლელებისამ, როგორც იყო მოხსენებული, შეჰქმნა ერთგვარი თავისებურობა ქართველების ცხოვრებისა. გლეხიკაცი მინდვრად სამუშავოდ ხმლითა და შუბით შეიარაღებული გადიოდა, და მონასტრების უმრავლესობა, მიუვალ მთებში აშენებული დიდი ხნის წინად ფეოდალიზმის დამყარებამდე, წარმოადგენდა მიუვალ სიმაგრეს. დიდი მამული ჰქონდათ მონასტრებს

და თავის მამულის დასაცავად შუბით და ხმალ-ხანჯლით აღიჭურვე-ბოდნენ ბერები, ცხენს მოახტებოდნენ და გაშმაგებით ემგერებოდნენ მტერს შავად მოსილი მხედრები, რომელნიც იძულებულნი იყვნენ დაევიწყათ სახარების მცნება, — მარჯვენა ლოყაც მიუშვირე, რო[illegible]ცხენაში შემოგკრესო.

სარწმუნოებრივი მიბრჯნილობა — ფანატიზმი, რომელიც სისხლითა რწყავდა დასავლეთს და აღმოსავლეთს, არას დროს არა ჰქონია საქართველოს, და ამიტომ იყო, რომ აქ უფრო ადრე აღორძინდა და განვითარდა ჰუმანიზმი და, როგორადაც მისი ნაყოფი, საერო მწერლობა. სარწმუნოებრივ მიმართულებას ერევა საერო და სარწმუნოების წიგნებში ჩართული სურათები, მეტად თუ არა, ლიზღებად ეჩვენებოდა რომის პაპებს.

ქართული მწერლობის ისტორიას სამი დამწერლობა ჰქონდა: მთავრული, ძველ V და VI ს. ნაშთებში; ნუსხური IX ს-იდან, და მხედრული XII-იდან ჩვენ დრომდე.

ეტრატის და პაპირუსის ნაცვლად გაჩნდა ქაღალდი (X ს.). არაბელმა მხედრებმა VIII ს. სამარყანთან ბრძოლაში ჩინელი წაიყვანეს ტყვედ და იმისგან გაიგეს საიდუმლოება ქაღალდის გაკეთებისა. ასეთი იყო რთული გზა ადამიანის აზროვნობის სარკისა: ჩინეთი, არაბეთი, საქართველო, ბიზანტია, სიცილია, ისპანია, დასავლეთი ევროპა.

ქართველმა მწიგნობრებმა სიტყვის ჰარმონიის და მშვენების ძებნაში გამოიჩინეს საკვირველი ხელოვნება ხელნაწერ წიგნის შედგენისა.

კალიგრაფიულმა ხელოვნებამ მიაღწია გარდაუვალ სიმაღლეს.

მელანს თავდაპირველად მცენარეულ ფერებისას აკეთებდენ საქართველოში. ძვირფას ტექსტის გადაწერისას მელანს ოქროს ურევდენ. სათაური წითელი ასოებით იწერებოდა. ლელწამის და ბატის ფრთის კალმით სწერდენ.

წიგნების ილლუსტრაციების ხელოვნურ მხატვრობას ხელთა ჰქონდა საიდუმლოება უკვდავ ფერებისა. ილლუსტრაციები შეადგენდენ უმთავრეს კუთვნილებას ძვირფას წიგნებისას და პირვანდელ სიახლით მოაღწიეს ჩვენ დრომდე. მაგალითად მხატვრების მაღალ ხელოვნებისა შეიძლება დავასახელოთ განსაცვიფრებელი მინიატურა: შავ ფართობზედ ნაქანდაკევ გამომეტყველებით რელიეფურად მოჩანს იმავე ტონის შავი ფიგურა, თუმცა კონტურით არ არის შემოვლებული.

მინიატურული წიგნები ძველებურ ხელოვნებისა ძვირფას აბჯარში იყო ჩაჭედილი. ძველი ქართული უნიკუმ-წიგნები ინახებოდენ ცალკე სეიფში. განსაკუთრებით საინტერესო არის ძეგლები: მრავალ-თავი (V ს.) — კრებული რამდენიმე ნაწარმისა. ეს ორიგინალური ნაწარმი გადაწერილია X ს. ფორხალში, პონტის ქედის დაბაში. გადამწერი — გაბრიელ პატარაი.

ხელნაწერი ტყვედ ჩაუვარდათ ოსმალებს და გამოყიდულ იქმნა დედოფალ მარიამის მიერ, რომელმაც გადარჩენილ ნაწილს ტყავის ყდა გაუკეთა. ამ წიგნის დასაკმაზავად საჭირო ეტრატის მისაღებად სამასოცდაცხრა ხბორი იქმნა დაკლული. ეტრატი დაკერილია [illegible] მხოლოდ აქა-იქ, კალიგრაფია — განსაკუთრებულ ხელოვნებისა.

აბოს, საქართველოს მოღვაწის სასახელოდ საგალობელთა კრებული (VIII ს.) ანალიზავს ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სარწმუნოებათა ბრძოლას.

787 წ. საქართველოს შემოესივნენ გაჩუნ-ალ რაშიდის არაბების ბრბოები და ჩვენი ქვეყანა ორი საუკუნის განმავლობაში არაბულ შალში ეხვევოდა. მაგრამ მსწავლულთა აზრი არა ცხრებოდა და სარწმუნოებრივ წიგნების გარდა, ახალ კულტურულ ძალების გავლენით, გაჩნდა მრავალი ახალი ნაწარმი ხელოვნებისა.

უუძვირფასეს ძეგლებს ამ დროისას წარმოადგენენ:

მეცნიერული ტრაქტატი ქართულ წელთაღრიცხვისა (870 წ.).

სახელოვანი შატბერდის ხელნაწერი (ეტრატი), რომელმაც განსაცვიფრებელ სიახლით მოაღწია ჩვენამდე.

კრებული რამდენიმე ნაწარმისა და მათ შორის ბიოგრაფია ესტატე მცხეთელისა, ორიგინალური ქართული თხზულებები VI ს. მეორე ნახევრისა.

ხელნაწერი X ს. ბოლოისა, გადაწერილი სამ გადამწერის მიერ სტეფანე ერწინელის მინდობილობით, ეს კრებული უფრო ძველია, ვიდრე ევროპაში არსებული უუძველესი ხელნაწერები.

პირველი ჯერუჩის სახარება (936 წ.). გადაწერილია შატბერდში — ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ნაწილი საქართველოსი — დატვიფრულ ტყავის ყდაზედ ჯვარია ლურსმებისა და სახე ქრისტესი. საკვირველია ამ ორნამენტის სიწვლილე. მხატვარმა თევდორემ გამოჰსახა იესო უწვერო ჭაბუკად. ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს მეტად ძველი-დროის, VI ს. ნაწარმად ჩავთვალოთ ეს თხზულება.

X ს. ბოლოს ჩნდება ხელნაწერი საგალობლები ნოტებრივ ნიშნებით.

XI საუკუნის დასაწყისი გვაძლევს ლიტერატურულ-ბიოგრაფიულ მწერლობას. მრავალი ხელნაწერია საინტერესო მწერალთა შესწორებებით და გვაძლევს საშუალებას გამოვიკვლიოთ თანდათანობა შემოქმედებითი შრომისა.

გიორგი უმცროსი სწერს თავის მასწავლებლის, მწერლის გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიას. ავტოგრაფი შესანიშნავია მეტისმეტად წვლილ ასოებით.

ხელნაწერი ეტრატზედ (1065 — 1072 წ.). ოდენობა, გარკვევითი ხელი, ხელოვნური სურათები, ოქროს ნუსხითი მოკაზმულობა ჰქმნის ამ ხელნაწერს უნიკუმად (საქართველოს ბატონიშვილმა მარიამმა, რომელიც ბი-

ზანტიის დედოფლად გახდა, თავის ხელით გადასწერა მთელი წიგნი, რომ არ დავიწყებოდა დედაენა.

ავტოგრაფი ეფრემ მცირისა, მწერლისა და მსწავლულისა. ნაწილი თითონვე დაუწერია დამახასიათებელ ხელით, შესწორებებით და წაშლილებით, ნაწილი კი მის მდივანს კალიგრაფიულ ხელით. ხელნაწერი ქაღალდზედ არის, ყდიანი (1092 — 1100 წ.).

ავტოგრაფი XII ს. ფილოსოფოსისაც მსწავლულის არსენ იყალთოელისა, ქაღალდზედ, შესწორებებით, წაშლილებით, დაწერილი დამახასიათებელ ხელით.

ეტრატის ხვეული ბაგრატ IV-სა, წყალობის სიგელი XII.

საინტერესო ნაწილია საქართველოს ისტორიის დავით-აღმაშენებლის ხანა (1084 — 1126 წ.) — ხანი მაშმადიანთა სიცბილისა. ქართლი აოხრებული იყო, ტფილისს ოსმალური ერგმთვარე დაპყურებდა, კახეთში ბრძანებლობდა სპარსეთი, იმერეთში — ბიზანტიელები, თათრების ბრბოები დათარეშობდენ საქართველოს გარემხარეებში.

მაგრამ არ დაუშვა ქართველმა ხალხმა სახელმწიფო წყობილების ნგრევა, შეკრბა ლიხის მთასთან, ქ. თავგულისთავში და ოსების დახმარებით განდევნა თავის დამმონავებელნი.

მოვაჭრე ბურჟუაზიის დახმარებით ჭაბუკმა დავითმა აღვირი ამოსდო შთამომავლობით დიდებულთ, შეჰქმნა ნამდვილი ლაშქარი და მზიან აბხაზეთიდან კლდიან დარუბანდამდე, რა დაანგრია ხალხმა „რკინის კარი“, ისევ თავის მამაპაპეულ სამფლობელოს დაეპატრონა.

სავაჭრო მეურნეობის და ქვეყნის პოლიტიკურ ძლიერების განვითარების ფუძეზედ იმატა და გაბრწყინდა მატერიალური და გონებრივი განვითარება.

განახლებულ ქალაქებში აყვავდა ხუროთმოძღვრობა და მხატვრობა. მონასტრებში გახსნეს სასწავლებლები, დაიწყეს ბერძნულიდან საეკლესიო წიგნების თარგმნა, აღორძინდა ისტორიული მწერლობა, გაჟღენთილი, რაღა თქმა გვინდა, მეფის ხელისუფლებრივ ტენდენციებით. წიგნთსაცავებში აგროვებდენ ძველ ხელნაწერებს და ხალხურ თქმულებებს.

თამარ დედოფლის დროს (XII ს.) სოციალ-ეკონომიურ ფუძეზედ ბიზანტიის და აღმოსავლეთის გადაჯვარედინებულ გავლენით საქართველოს კულტურას დაუდგა ოქროს ხანა. ახალი წვლილად განვითარებული საზოგადოება უკვე ზნეობრივ და ფილოსოფიურ საკითხებით არის გატაცებული. საერო მწერლობისადმი მიდრეკილებას საზოგადოებისას ხელს უწყობდა ენერგიულად მოღვაწე ინსტიტუტი „მწიგნობრებისა“, რომლენიც ემსახურებოდენ ეროვნულ კულტურას.

უკვდავმა პოეტმა ოქროს ხანისამ შოთა რუსთაველმა „ხელობით“ გატაცებულმა შეჰკადრა თამარს ხოტბა, კალმად იხმარა „მინა რხეული“ და უკვდავი პოემა შეჰქმნა „ვეფხის ტყაოსანი“. ორი დასურათებული,

ტყავის ყდიანი ხელნაწერი ვეფხის ტყაოსნისა გვიხატავს ზეშთა გრძნობათა სამყაროს. ერთი მათგანი XII ს. ბოლო ხანის დასახასიათებელი დამამშვენებელ ნახატებით. სცენები ცხოვრებისა, ეტნოგრაფიისა, მითოლოგიისა, ფანტასტიკურ ამბებისა და სტილოვან პეიზაჟებისა, [illegible] გასაკვირველ ფერებით. სურათებს გარს ახვევია ფერადი ყვავილების კონები, უპირატესად ოქროსი ლურჯი, ვერცხლის, მწვანე, ცისფერი, ყვითელი ფერები. ვეშაპს ცეცხლი სდის პირიდან, ჩამავალ მზის კაპრაშში გარბიან დათვები, მუზიკოსები წვრილ თითებით ეხებიან ოქროს სიმებს. აწვდილია სავსე ფიალები ოცნებრივ ნადიმისა, ჰაერში ტრიალებენ მცეკვავები. ოქროს ტანსაცმელით მორთული მონადირეები მიაჭენებენ არაბულ რაშებს, მზის სხივში ბრწყინავს მონადირეთა მოსახმობი საყვირი, აბრეშუმოვან ბალახზედ ხოხობსა სწვავს ჭაბუკი.

XVII ს. ვეფხის ტყაოსანი ორი მხატვრის მიერ არის დასურათებული. პირველმა უაღრეს ხელოვნებას მიაღწია ცალკე სცენების, სახეების, იარაღის, ტანსაცმელის, ცხენების, მთის ნაკვეთის და ცხოველების დასახვით. ნახატი წუნდაუდებელი ხაზებისაა და განუმეორებელ ფერადებისა.

აღმოსავლეთის გატაცება ვარსკვლავთ-მრიცხველობით საქართველოსაც მოედო. შესანიშნავია ასტროლოგიური ტრაქტატი 1188 წლისა. დამახასიათებელია ამ თხზულების სურათები, — ნახატი იშვიათი ხელოვნებისა თორმეტი ზოდიაქის და მთვარის მოქცევის სიმბოლურ გამოსახვით. მაგ. მშვილდისარი გამოხატულია ცხენკაცად მშვენიერ ჭაბუკის სახით, რომელიც მშვილდს იწევს, რომ თავის კუდს, ვეშაპის რქიან თავით დამშვენებულს, ჰკრას ისარი. ვეშაპს ცეცხლი ამოსდის პირიდან და აბრიალებს უშველბელ, აცეცხლებულ თვალს. სურათის ქვეშ მოკაზმულობაა დამამშვენებელი და ზემოდან წითელ ასოებით შინაარსი.

ვანის სახარება XII ს. ბოლოსი ძვირფასია თავის მოწვლილ სურათებით. ეს გახლავთ პირადი სახმარი თამარ მეფისა, და საგანგებოდ შენახულად მოაღწია ჩვენამდე. მწერალმა იოანემ ეტრატზედ ოქროიან მელნით გამოსახა წუნდაუდებელი კალიგრაფიული ასოები. მხატვარმა, რომელმაც არ დაგვიტოვა ცნობა თავის ვინაობისა, ლაღი ოცნებით აღზნებულმა, ქრისტიანულ ზნეობრივობის სწორ რიგების გარეშემო დახატა რუხი ეშმაკები წითელ და მწვანე ყულფაქებით, მცხინვარ ლურჯ გასტილიზებულ ხეზედ ამცოცავნი უცხო ფრინველის დასაჭერად, და ტანალვალი მშვენიერ ქალის სახით. ფრთიან ვეფხის აგებულობით, რომელიც მლოცავისკენ მიბრუნებულა კეთარის დასაკრავად.

მეორე ჯრუჩის სახარება (XII ს.) განსაცვიფრებელია თავის სამასოცდაჩვიდმეტი ფერად მინიატურულ ილუსტრაციით და ჰხატავს ცხოვრების სცენებს, დამახასიათებელს საქართველოს ფეოდალიზმის აყვავებისას. განსაცვიფრებელ მხატვრულ ხელოვნებით ცოცხლებად არიან წარმოდგენილნი ეტრატზედ სხვადასხვა გუნების სახეები. შეუდარებლად არის და-

ცული სიახლე ტანისამოსისა, ტვრიანობა ყურძენისა, მცხინვარება მცენარისა. მთავრული ასო გამოსახულია ორნამენტებით და ფიგურებით: ა-ნაზე მოლუნული ტურფა ანგელოზი მიფრინავს ცის ლაჟვარდისკენ.

უკვე XII ს. ბოლოს წარმოებს მეცნიერების კითხვათა თეორიული დამუშავება. ამას მოწმობს დიდი თხზულება — საექიმო ტრაქტატი XIII ს. დასაწყისისა. შინაარსი — ფიზიოლოგია, ანატომია, მკურნალობა. ეს თხზულება ქაღალდზედ არის გადაწერილი XVI ს.

მაგრამ „ოქროს ხანის“ შემდეგ იწყობა ხანა მონგოლებისა. ველურმხეცური შემოსევა ჩინგის-ხანისა და თემურლენგისა ძირს უთხრის განათლების განვითარებას და საქართველო უკან იწევს სამას გასისხლიანებულ საფეხურით.

XVI ს. დასაწყისში მხოლოდ ჩნდება მატერიალურ კულტურის აღორძინება. საერო მწერლობა ხელახლად გვაძლევს ძვირფას განძს. ამ განძიდან თავის გაფორმებით ღირსშესანიშნავია ქართლის ცხოვრება — ქართული ისტორიული თხზულებები XIII ს-დან XIV ს-მდე, რომლებიც გადაწერილია ცალკე კრებულად დედოფალ მარიამის ბრძანებით XVII ს.

„დიდი მოურავიანი“, პოემა ეროვნულ გმირის, გიორგი სააკაძის შესახებ, რომელიც ქართველ ფეოდალებს უწევდა ბრძოლას და ოსმალსპარსელების დესპოტიზმს. პოემა დაწერილია XVII ს. სააკაძის შვილისშვილის იოსებ ტფილელის მიერ.

კრებული ბატონიშვილის არჩილის თხზულებებისა, „არჩილიანი“ 1705 წ. და, სხვათა შორის, თიემურაზის და რუსთაველის ბაასი გიორგი სააკაძეზედ.

ხელოვნური ატლასი საქართველოსი, დახატული ვახუშტის მიერ 1715 წ. ღირსშესანიშნავია ეს ატლასი არა მარტო იმითი, რომ წარმოადგენს პირველ ცდას საქართველოს სრული ისტორიის შედგენისას მეცნიერულ მეთოდების მიხედვით, არამედ დამუშავების სიწვლილით, რაიც გვიმტკიცებს სახელოვან ისტორიკოსის და გეოგრაფის დიდ ხელოვნურ მიღწევას.

ძველი ქართული მწერლობის ამ მოკლე სიით შეუძლებლია დავასახელოთ ყველა ქართული მწერლობითი ნაწარმი, და მის მეტოდოლოგიური თანდათანობა და სოციოლოგიური ანალიზი. ამგვარ მეცნიერულ შრომისთვის მწერლობის მარქსისტულ კვლევაში საჭირო იქნება არა ერთი წელიწადი და არა ერთი ტომი.

ზემოხსენებული ხელთნაწერი წიგნები დამახასიათებელია როგორადაც საფეხურები ქართულ კულტურის განვითარებისა და ღირსშესანიშნავნი არა მარტო შინაარსით, რომელიც გვიადვილებს სხვადასხვა დროის ანალიზს, არამედ როგორადაც ფასმიუწვდომელი ნიმუშები ქართულ მწიგნობრულ-კალიგრაფიულ ხელოვნებისა.

1921 წელს ერთხელ კიდევ გაატარეს სტამბოლზედ, ახლა მენშევიკებმა, და საფრანგეთში მიიტანეს ასამდე ძვირფასი ხელნაწერი წიგნი, მათ შორის განუმეორებელი უნიკუმები, — საგალობელ-ნოტებიანი კრებული მიქელ მოდრეკილისა, ძირითადი ძეგლი ქართული მუსიკისა; ხელნაწერი ქართველ ნეოპლატონიკ ფილოსოფოსის იოანე პეტრიძის თხზულებებისა; შესანიშნავი მინიატურებიანი გელათის სახარება; შოთა რუსთაველის ვეფხის ტყაოსანი, გადაწერილი XVII ს. აბრეშუმოვან ქაღალდზედ განუმეორებელ ხელოვნურ მინიატურებით.

ამხ. ფილიპე მახარაძემ, თავმჯდომარემ საქართველოს ცაკისამ, უკვე მოითხოვა საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკიდან დაბრუნება ქართული წიგნებისა, რომლებიც წარმოადგენენ განუნაცვლებელ წყაროს მრავალ მეცნიერულ საკითხების გამოსაკვლევად და გადასაწყვეტად. საბჭოთა მთელმა მწერლობითმა საზოგადოებრივობამ და სსრ-ის მოკეთეებმა, რომენ როლანმა და ანრი ბარბიუსმა მხარი დაუჭირონ ამხ. მახარაძის მოთხოვნილებას და ხელახლად აღძრან საკითხი, რომ საბჭოთა საქართველოს დაუბრუნდეს განუმეორებელი თავის ღირებულობით ძველი ქართული წიგნები.

# „მნათობი“-ს 10 წლის თავისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

10

1924–1934

ლ. რუხაძე

## „მნათობის“ ათი წლის თავის გამო

მინდა პატარა მოგონება გავიზიაროთ ჟურნალ „მნათობის“ დაარსებიდან ათი წლის თავზე! მით უმეტეს: როდესაც „მნათობი“ ჩაისახა, მე ვიყავი იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელმაც იკისრა ამ ჟურნალის გამოცემა.

მას შემდეგ ათი წელი შეიფარა ისტორიამ... ამ ხნის განმავლობაში დავაჟკაცდა „მნათობი“ და დღეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის უკვე ღირსეული ორგანოა.

1924 წელს პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო მოსახლეობაში სათანადო პოლიტმუშაობას აწარმოებდა და პარტიის ხელმძღვანელობით ფანტავდა იმ ყვითელი ბურუსის ნაშთებს, რაც საბჭოების საქართველომ „მემკვიდრეობად“ მიიღო დემოკრატიულ პამპადურების „მთავრობისაგან“.

აქედან გამომდინარე პ/განათლების სამმართველომ გაშალა მუშაობა ქართველ მწერლებს შორისაც მათი საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახ-

ლოვების მიზნით, ხელს უწყობდა საქართველოს მწერლებს მათი ნაწარმოებების გამოცემის საქმეში და სხვ. ამ მუშაობას კონკრეტულად ბ/განათლების სამმართველოს გამომცემლობა ატარებდა, [illegible] ამხ. სანდრო ეული იყო.

მიუხედავად ამისა საქართველოს მწერლების. ნაციონალისტურმა ნაწილმა, უკეთ ამ ნაციონალისტური ნაწილის ერთმა ჯგუფმა სქელტანიანი, „აპოლიტიკური“ ჟურნალის ცნობილი „კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი ს“ გამოცემა დაიწყო.

იმ დროს საქართველოს მწერლობა სხვადასხვა სოციალურ-მხატვრულ დაჯგუფებად იყო დაყოფილი, საბოლოო ანგარიშში კი ორ ჯგუფად: პროლეტარულ და არაპროლეტარულ მწერლებად. არაპროლეტარული მწერლები კვლავ განაგრძობდენ მერყეობას, დიდი ნაწილი კი საბჭოთა ხელისუფლებისადმი უნდობლობას ამჟღავნებდა და საბოტაჟის გზას ადგა. ჟურნალი „კავკასიონი“ კი საქართველოს მწერლების ამ ნაწილის შტაბი იყო და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იდეოლოგიურ-მხატვრული ბრძოლის ლიტერატურული იარაღი.

„კავკასიონი“ გატენილი იყო საბჭოთა მკითხველისათვის მიუღებელი მასალით, „კავკასიონიდან“ მოდიოდა — მებრძოლი ნაციონალიზმი, რასობრივი რომანტიზმი, წარსულის იდეალიზაცია, პორნოგრაფია, საბჭოთა სინამდვილის ინგორაცია, „უკეთეს“ შემთხვევაში დამახინჯება.

ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც მემარჯვენე მწერლებში ერიენ ისეთი მწერლებიც, რომელნიც მონდომებული იყვნენ შეექმნათ მაღალი ხარისხის ლიტერატურა, თუ ვინმე დახმარების ხელს გაუწვდიდა მათ.

მახსოვს, ძალიან კარგად მახსოვს, — „კავკასიონის“ ბევრი თანამშრომელი ჩიოდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ რედაქცია არ ეხმარებოდა მათ „კავკასიონში“ მოთავსებული მასალა იდეურ-მხატვრულად მისაღები გამოსულიყო. ეს არის ამ ავტორების მოჩვენებითი გულუბრყვილობა და მიმდინარე სინამდვილესადმი „ვარდისფერი სათვალეებიდან“ ცქერა! როგორ შეეძლოთ ნაციონალისტურ რედაქციას და რასობრივი რომანტიზმის დონკიხოტებს დახმარებოდენ მწერალს, რომ მათ საბჭოთა ნაწარმოები მოეცათ. მწერლობის ფრონტზეც კარგათ მუშაობდა კლასთა ბრძოლის ლოგიკა, კლასობრივი საწყისი.

ეს ჭაობის მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა! არაპროლეტარული მწერლების ნაწილმა შეიგნო და შეიგრძნო საბჭოთა სისტემის უპირატესობა და პირი პროლეტარიატის დიქტატურისაკენ იბრუნა, ყინული გადნა და პარტიის ეროვნულ პოლიტიკას უკვე ნდობით დაუწყო ყურება. ეს ის დრო იყო, როცა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ საგრძნობლად გაშალა თავისი იმ დროს ისტორიულად აუცილებელი და უაღრესად სასარგებლო მუშაობა.

დადგა დრო, როცა იმ მწერლებისათვის, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლებას ცნობდენ და პარტიის ხელმძღვანელობით აპირებდენ მუშაობას, დაარსებულიყო სამხატვრო-სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წინაშე პ/განათლების მთავარმა სამმართველომ ასეთი ხასიათის ჟურნალის გამოცემის აუცილებლობა დასვა.

გამოვიდა „მნათობის“ პირველი ნომერი! მაგრამ არა ისეთი, როგორც სასურველი იყო! ამხ. ვ ა ლ ი ა ბ ა ხ ტ ა ძ ი ს ტფილისში ჩამოსვლით და მეორე ნომრიდან მისი ხელმძღვანელობით იწყება ჟურნალ „მნათობის“ გადახალისება და გაუმჯობესება.

„მნათობს“ მოსიყვარულე და მტკიცე რ ე დ ა ქ ტ ო რ ი გაუჩნდა. ჟურნალმა თავის ირგვლივ ქართველი მწერლების საუკეთესო და ღირებული უმრავლესობა შემოიკრიბა და „თანამგზავრობის“ დიდი ტალღა გაჩნდა. „მ ნ ა თ ო ბ ი“ გადაიქცა მთელი საქართველოს პროლეტარული და თანამგზავრი მწერლების სერიოზულ ორგანოდ.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა! დღეს ქართველი მწერლების უდიდესი უმრავლესობა სოციალისტურ მწერლობასა ქმნის სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლების საფუძველზე, იქმნება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური, ეპოქის სიმაღლეზე მდგომი დიადი მწერლობა. ამაში დიდი ღვაწლი „მნათობსაც“ მიუძღვის.

მხურვალე სალამი და მომავალშიც გამარჯვება „მნათობს“ და საქართველოს საბჭოთა მწერლებს, რომლებიც პარტიის ხელმძღვანელობითა და მთავრობის დახმარებით ქმნიან ფორმით ეროვნულსა და შინაარსით სოციალისტურ დიად მწერლობას.

## სანდრო ეული

# „მნათობის“ იუბილე

დღესაც თვალწინ მიდგას 1923 — 1934 წლების ქართული მწერლობა, რომელიც იმ დროს არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში დიფერენციაციის პროცესს განიცდიდა. ქართველი მწერლების ერთი ფენა აშკარა მტრულ (ნაციონალისტურ-შოვინისტურ) განწყობილებას ამჟღავნებდა საბჭოთა წყობილების მიმართ. მათ თავი მოეყარათ სქელტანიან ჟურნალ „კავკასიონი“-ს გარშემო და მხატვრული სიტყვებით დატენილ ტყვიებს „უშენდენ“ საბჭოთა წყობილებას. მეორე ფენა კი აერთიანებდა მერყევ მწერლებს, რომელნიც მეტნაწილად სიჩუმეს არჩევდენ. მესამე ფენას კი წარმოადგენდენ პროლეტარული მწერლები, რომლებსაც ქართულ მწერლობაში შექონდათ შემოქმედების ახალი ნაკადი. მათთან ერთად იყო საგრძნობი ნაწილი უპარტიო მწერლებისა, რომლებიც საბჭოთა პლატფორმაზე იდგა და თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან. მე იმ დროს ვითვლებოდი საქ. პოლიტგანის სამხატვრო-სააგიტაციო და საგამომცემლო ნაწილის გამგეთ და ვიყავი ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი პროლეტმწერალთა ასოციაციის. პროლეტარული მწერლობა იმ დროს ახლად იდგამდა ფეხს და ცხადია ანტისაბჭოთა განწყობილების მატარებელ მხატვრულ ინტელიგენციას ვერ გაუმკლავდებოდა თუ ამ ინტელიგენციის რიგებში არ დაუკავშირდებოდა მის მოწინავე „თანამგზავრულ“ ნაწილს. ამისათვის კი საჭირო იყო დაახლოვებისა და დაკავშირების ფორმის გამოძებნა. ასეთ ფორმას უმთავრესად გამოხატავდა ისეთი ჟურნალი, რომელიც პროლეტარულ და თანამგზავრულ მწერლებს შემოიკრებდა. ეს აზრი უკვე მომწიფებული იყო იმ დროს, საკითხი იდგა მხოლოდ პრაქტიკულად, რაც ნიშნავდა ჟურნალის გამოცემის ორგანიზაციას.

მახსოვს პირველი თათბირი გაიმართა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. ამ თათბირზე გადაწყდა ჟურნალის გამოცემა და მოგვენდო ამხ. ლ. რ უ ხ ა ძ ე ს და მ ე ხარჯთაღრიცხვის და გეგმის შედგენა და სხვა...

მეორე თათბირზე საკმაო დრო მოვანდომეთ ჟურნალისთვის სახელწოდების გამონახვას.

ჟურნალ „მ ნ ა თ ო ბ ს“ მთელი ათი წლის მანძილზე საბჭოთა ლიტერატურის დროშა მაღლა უჭირავს. მისი როლი ქართულ საბჭოთა და პროლეტარულ მწერლობის საქმეში დიდია. შეუძლებელია მნათობის 10 წლის იუბილეს თავზე არ მოვიხსენიოთ ამხ. ვ. ბ ა ხ ტ ა ძ ე, რომელმაც პირველადვე ჩაუდგა სული ამ ჟურნალს და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მთელი თავისი აზროვნებით დაკავშირებული იყო მასთან.

გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ „მნათობი“ კვლავ განაგრძობს ბრძოლას იმ დიდი ამოცანებისათვის, რომლებიც დგანან დღეს საბჭოთა ლიტერატურის წინაშე.

# ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## როდიონ ქორქია

### გრიგალი. მოთხრობა. სახელგამი, 1934 წ.

უკანასკნელ წლებში პროზის ფრონტზე მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია და ნიჭიერ მწერლის სახელიც დაიმკვიდრა როდიონ ქორქიამ.

სარეცენზიო ნაწარმოები უეჭველად ჩაითვლება მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში წინ გადადგმულ ნაბიჯად.

ის ჩვენი ცხოვრების მართლაც და იმ ნამდვილი გრიგალის ამსახველია, რომელსაც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ეწოდება.. ეს წიგნი წარმოადგენს ავტორისათვის საპასუხისმგებლო თემაზე მუშაობის პირველ ცდას. ამიტომ მას მრავალ ღირსებასთან ერთად აქვს ნაკლულევანებანიც.

მკითხველის ყურადღებას იქცევს უპირველეს ყოვლისა გამართული და დახვეწილი ენა, მოხდენილი და სხარტი თქმები, საინტერესო დიალოგები, ნაწარმოების კომპოზიციური მშენებლობა, სიუჟეტის გაშლა, მოქმედ პირების ერთმანეთთან დაკავშირება.

დიდი მხატვრული დამაჯერებლობით არის გაკეთებული ცხენების დოღი. აგრეთვე ძლიერია ის ეპიზოდი, როდესაც ღარიბი გლეხი ბარდღუ განკულაკებულ ალექსის ტყის პირად კარავში შეხვდება და შვილის დალუპვაზე (მის სამუშაოზე დაიღუპა) პასუხს სთხოვს.

მაგრამ როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ნაწარმოებს აქვს ნაკლულევანებანი, გამოწვეული უმთავრესად ავტორის მსოფლმხედველობის დაბალი დონით. ავტორი კარგად ვერ ერკვევა იმ დიდ ამბებში, რომელსაც ის გვისახავს თავის ნაწარმოებით.

სოფლის კოლექტივიზაცია ისე ხდება, რომ არ ჩანს ამ ამბების მთავარი მომქმედი პირი, პარტია და მუშათა კლასი, წინ არის წამოწეული კომკავშირი. ამასთანავე მკითხველს უჭირს საშუალო გლეხის კულაკისაგან გამოცნობა.

კულაკ ალექსის ბიოგრაფიაც ტიპიურ ხაზებში არ არის გაკეთებული. მისი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდები მოგონილია და მკითხველზე რეალური სინამდვილის შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. ასეთია თუნდაც ფრონტზე მოიჯარადრეთა წასვლა და ბრძოლის ველზე მკვდრების ძარცვა. ალექსის კულაკური ბუნება ვერ არის რელიეფურად ნაჩვენები.

მეორეს მხრივ ალექსის ცოლი კესა ამქვეყნიურ ანგელოზის სახით არის გაკეთებული, „ორტადოქსი სოციალისტი“ ცანუშაც (მათი ნაშვილებისებური) მათი ოჯახიდან არის გამოსული. გამოდის რომ ალექსის სრულებითაც არ ჰქონია თავისი შესაფერი ოჯახი. როგორ მოხდა რომ ეს ოჯახი კოლექტიივზაციის აბობოქრებულ ტალღებმა და კესას ბუნებრივმა სიკვდილმა დაარღვია და არა თავისთავად დაიშალა. ცანუშას ტირილი კესას გარდაცვალებაზე არარეალურია, არაბუნებრივია, კიდევ უფრო არაბუნებრივია ალმასკომის თავმჯდომარე ჯარნას მიერ კესას დაცვა.

ნაწარმოების ფენად სოფელი არის აღებული. ავტორი სოფელში ალმასკომის არსებობას გულისხმობს, რაც არასოდეს არ ყოფილა. სოფლად სოფლის საბჭო ან თემსაბჭო თუ არსებობდა და არსებობს.

მიუხედავად ამ ნაკლულევანებისა სარეცენზიო წიგნი დიდი ხალისით იკითხება.

გ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თავდაცვითი მხატვრულ-ლიტერატურული კრებული" პ. მიროტაძის საერთო რედაქციით

„ფედერაცია". ტფილისი. 1938.

ამ კრებულის სათაური და ის დიდი ყურადღება, რომელიც სრულიად ბუნებრივად ექცევა ახლა თავდაცვითს მხატვრულ ლიტერატურას, თავისთავად ძალიან ბევრს ლაპარაკობს. ამიტომ, როცა კრებულს გადაშლი, მოელი ყველაფერს რჩეულს, საუკეთესოს, შედევრებს იმისა, რაც საბჭოთა ჯარის გმირული თავგადასავლისა თუ მისი საყოფიერი მუშაობით სავსე აწმყოს შესახებ უნდა თქმულიყო ლიტერატურაში. მაგრამ, როგორც სამართლიანად ამბობს წინასიტყვაობის ავტორი, ქართველი მწერლების უმეტესობა ძალიან გულგრილად ეკიდება ამ საქმეს და ამიტომ კრებულსაც შემთხვევითობისა და, — რაც უარესია — მასალის ნაკლებობის დაღი აზის. მის შესახებ წინაწარვე ითქმის, რომ ის სულ სხვაგვარი შეიძლებოდა წარმოედგინა კაცს: ორჯერ უფრო მეტი მოცულობის მქონე, ყურადღებით გამოცემული, რიგიან ყდაში ჩასმული (ამჟამად ის სროლის საქმის სახელმძღვანელოს უფრო ჰგავს თავისი ყდით), ტექსტში ჩართული თუ ცალკე ფურცლებზე დაბეჭდილი, სამხედრო თემებზე დახატული კარგი სურათების რეპროდუქციებით გამდიდრებული და შნო-მიცემული; თვით ტექსტი — ორი ნაწილისაგან შემდგარი: 1) საბჭოთა მწერლები წითელი არმიის შესახებ და 2) წითელარმიელები წითელი არმიის შესახებ. რომ თვით წითელარმიელ ლიტერატურულ ძალებს სრული უფლება ჰქონდათ ამ წიგნში საგრძნობი ადგილის დაკავებისა, ამას მასში მოთავსებულ, თუნდაც ვ. ფხალაძის „მეგობარ მხედარს" ამტკიცებს...

მაგრამ, კრებული... არაა ასეთი. ის ისეთია, როგორსაც ბაზარზე ვხედავთ და როგორიც ძალიან ძნელად თუ მიიპყრობს დაინტერესებულ თვალებს — წიგნის მაღაზიის ფანჯრებში გამოფენილი. ჩვენც ისეთად უნდა მივიღოთ იგი.

კრებული იხსნება ალ. სულავას წინასიტყვაობით. მის მიერ საკმაოდ მკვეთრად გამოთქმულ დებულებებში და მასალების შინაარსის მოკლე მიმოხილვაში არაფერია სადავო და ზედმეტი, მაგრამ, შიგ ერთი ძალიან საკვირველი და კორექტურული შეცდომის მსგავსი ფრაზა გვხვდება: „აქ არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ ყველაფერი, რაც ამ საკითხებზე იწერება და დაიწერება, უთუოდ მისაღებია". როგორ უნდა გაიგოს კაცმა ეს? ისე ხომ არა, რომ რაც არ უნდა უვარგისი რამ დაიწეროს ამ საკითხებზე, მაინც მისაღები და მისასალმებელი იქნება?

„უვარგისი", რა თქმა უნდა, გადაჭარბებითაა ნათქვამი, მაგრამ, რომ კრებულის მასალების საგრძნობი ნაწილი შიგადაშიგ ცდილობს ამ უცნაურ დებულების ასეთი ინტერპრეტაციის გამართლებას, ეს ცხადია. 27 ავტორიდან ათი სრულიად ზრდადამთავრებული, საყოველთაოდ მიღებული საბჭოთა მწერალია. თითქმის ყოველი მათგანის ნაწარმოები გაგაოცებს თავისი დაუდევრობით, ნაჩქარევობით, ან ზოგადობით. აქ თითქოს მცდარად გაგებულ სოციალურ დაკვეთასთანა გვაქვს საქმე. ისევ მწერალთა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებში სჩანს მეტი მონდომება, მეტი ჩაწვდომა და ხალისი.

არ შეიძლება უსაყვედუროთ დაიტოვოს გალაქტიონ ტაბიძე, რომელიც აქ საერთოდ საშუალო ღირსების ლექსითაა წარმოდგენილი. გ. ტაბიძეს ამ თემაზე უკეთესი ლექსებიცა აქვს დაწერილი ამ ბოლო წლებში. მათი დაბეჭდვით კრებული

თუ მოიგებდა, თორემ არ წააგებდა. არა ნაკლებ ეხამუშება ყურს შემდეგი, ვ. გორ-
გაძის ლექსის სათაური: „გამთენიისას მწვანე წნორებთან“. „გამთენიი“ შეიძლება
მოსახერხებელი სიტყვა იყოს ამა თუ იმ შემთხვევაში, მაგრამ, ლიტერატურული სი-
ტყვა იგი ჯერ არ არის. თვით ლექსი ვ. გორგაძისა — კარგია.

წიგნში მოთავსებულია ირ. აბაშიძის ნარკვევი „არტილერისტები“. ნარკვევს, ნო-
ველისა არ იყოს, სისხარტესთან ერთად თხრობაში შეკვრაც სჭირია. აქ კი ეს ორი
პირობა მოკლედ თხრობითაა შეცვლილი, თუმცა კი თემა ძალიან საჭირო და მკა-
ფიოა შერჩეული. გაცილებით უკეთესია ირ. აბაშიძის ლექსები და უფრო კი „პირ-
ველი საბჭოთა თოვლი“.

ძლიერი ზოგადობისა და ლოზუნგურობის ელფერი ადევს (ალბად ძნელია მე-
ბრძოლი განწყობილებისა და ლოზუნგის ერთიმეორისაგან დაშორება) მაშაშვი-
ლის, გაფრინდაშვილის, ქუჩიშვილისა და ეულის ლექსებს.
აქ სრულიად მართლდება წინასიტყვაობის ავტორის საყვედური სქემატიზმისადმი. მარ-
თალია, ისინიც ისევე არიან წითელი არმიისადმი კლასიური სიყვარულით გამსჭვა-
ლული, როგორც შედარებით უფრო ახალგაზრდა ავტორთა ლექსები, მაგრამ, უშუა-
ლობა ძლიერ აკლიათ. ამიტომ ბევრად უფრო მიაღწევს მკითხველის და პირველ
რიგში ისევ წითელარმიელი მკითხველის გულისა და კლასიურ შეგნებას გიორგი
კაჭახიძის, გოგი შატბერაშვილის, ჯ. ბობოხიძის ლექსები.

დარასელის „ბუდიონელის ლურჯა“ მოზრდილი ეპიკური ლექსი, თითქმის
პოემაა. შეიცავს კარგ სიუჟეტურ იდეას და კარგ ადგილებს, მაგრამ, საერთოდ ლექ-
სალურად დაუმუშავებელია.

კრებულში მოთავსებულია ერთი მოზრდილი ნაწყვეტი („შამქორი“) ქუთათე-
ლის „პირისპირ“-იდან. ამ რომანის შესახებ ახალი თუ ითქმის რამე მრავალი ნა-
თქვამის შემდეგ — ისევ ქება, მაგრამ, არ შეიძლება კიდევ ერთხელ სინანულით არ
აღინიშნოს ის დიდი ნაკლი, რომელიც საერთოდ ქუთათელს ახასიათებს: ენის უსუფ-
თაობა. ეს ნაკლი მისი რომანის მრავალ ღირსებას ჩრდილს აყენებს. იგი თითქოს გან-
საკუთრებით რელიეფურად სწორედ ამ ნაწყვეტში მოსჩანს... ისე კი — ნაწყვეტი საუ-
კეთესოდაა შერჩეული, იგი ზედგამოჭრილია ამ კრებულისათვის, როგორც აწ უკვე
ისტორიის საგნად ქცეული სამოქალაქო ბრძოლის ნიჭიერად, ოსტატურად შესრუ-
ლებული მხატვრული მატიანეს ყველაზედ უფრო ამაღელვებელი თავი.

კარგია როდიონ ქორქიას ესკიზი „ძირს ინგლისის დროშა“, საგანგებოდ,
თითქოს სათაურის გასამართლებლად დაწერის ნიშანი რომ არ ედოს. პერეკოპის აღება
წითელი არმიის ძლევამოსილების ერთერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია და მასზედ
დიდი მოთხრობის აშენება ძალიან ეფექტიანიც იქნებოდა და საპასუხისმგებლოც, მაგ-
რამ, ქორქიას „სცენების“ ჟანრზე დაწერილს მოთხრობას საამისო სიღრმე აკლია:
ორი-სამი სურათი, თითქოს ნაჩქარევად მოცემული ეპიზოდი არ დააკმაყოფილებს
მკითხველს. დაახლოვებით ასევე ითქმის აშკარა გულუბრყვილობით მოფიქრებულ
სიუჟეტზე არჩილ ჩაჩიბაიას „ერთი ეპიზოდი“-სა, რომელიც, გარდა იმისა, რომ
ამერიკული „სერიებიანი“ სურათის, მსგავსად იკვანძება, იმითაც იწვევს გაკვირვებას,
რომ ქართველი მწერლის მიერ რუსეთის სინამდვილის შესახებაა დაწერილი და ასე
თავდება: „ვაშა კომსომოლ ვაშაა!“ ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ „ინტერნაციონა-
ლური შინაარსი და ნაციონალური ფორმა“ სხვათა შორის ასეთ რამესაც გულისხმობს:
„ხელოვანს არ დაეძრახება თვისი ნაწარმოები მისთვის ახლობელი გარემოდან, კერ-
ძოდ, მისი ქვეყნის ცხოვრებიდან ამოკრეფილ ფაქტებზედ თუ ტიპებზედ ააგოს“.

მოთხრობიდან ამოღებულ ნაწყვეტს წარმოადგენს ელიზბარ პოლუმორდვი-
ნოვის „რკინის ძმები“. მისი თემაც აგრეთვე სამოქალაქო ომია, 1918 წელს მენშე-
ვიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული ლეჩხუმის მიერ გადატანილი. ეს ნა-
წყვეტი ინტერესით იკითხება ამ კრებულში.

თარგმნილი მასალიდან პირველი — შორეულ აღმოსავლეთში მომხდარი შეტაკების დროს დაღუპული ახალგაზრდა ჟურნალისტის, რუდ. ვოლინის მეტად საინტერესო, ცოცხლად დაწერილი, მაგრამ, ცუდათ თარგმნილი ნარკვევია. მას მოსდევს სამი ნათარგმნი ლექსი: ბეზიმენსკის ზოგადი „საბრძოლო გამოძახება“, ალტაუზენის „მხედრული სიმღერა“ და სვეტლოვის „გრენადა“. მთარგმნელის გვარი მხოლოდ უკანასკნელს უწერია. ყოველ შემთხვევაში, ეს თარგმანი ვალ. გაფრინდაშვილს სუსტ ნამუშევრად უნდა ჩაეთვალოს. „გრენადა“-ში ლექსის გაგება სჭირს. კარგი ნათარგმნია პირველი ორი ლექსი, განსაკუთრებით — ალტაუზენის „მხედრული სიმღერა“.

კრებულის ბოლო ფურცლები აქვს დათმობილი წითელარმიელ მწერლებს. მათგან, როგორც აღვნიშნეთ, უმეტეს ყურადღებას ვ. ფხალაძის „მეგობარ მხედარს“ იქცევს.

საერთოდ კრებული ვერ ამართლებს თავის დიდ აღმზრდელობით და მხატვრულ დანიშნულებას. თავდაცვით ლიტერატურას და წითელ მებრძოლთა ცხოვრების პოეზიაში თუ პროზაში ასახვას მეტი სჭირდება (ეს განსაკუთრებით წ. არმიის დღევანდელ ყოფაზე ითქმის: წარსულის რევოლუციური რომანტიკა უფრო ხშირადაა წარმოდგენილი და უფრო ადვილიცაა). კრებული ნაჩქარევია და სუსტი. გარეგნულადაც მეტად უგემურად არის გაფორმებული.

გ. ლ — ძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პუშკინი ქართულად *)

„ახლა მხოლოდ ის-ღა დამრჩენია რომ მოგახსენოთ, როგორ მოვეპყარ შევტსბიურის წიგნს: წავიკითხე ერთხელ, მეორეთ, გავიმსჭვალე მისი სულით, შემდეგ დავხურე წიგნი და შეუდექი თარგმნას“.

დ ე ნ ი დ ი დ რ ო.

პუშკინის ქართულად თარგმნა ამ ბოლო დროს გაძლიერდა. გადაითარგმნა „ევგენი ონეგინი“ (გრიგოლ ცეცხლაძის თარგმანი), მოთხრობები, წელს პაოლო იაშვილმა გამოაქვეყნა ლექსების თარგმნები, „ფედერაციამ“-კი გამოსცა პოემების მთელი კრებული — ვარლამ რუხაძის მიერ თარგმნილი.

კრებულში პუშკინის სამი პოემაა მოთავსებული „ბ ო შ ე ბ ი“, „კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი ს ტ ყ ვ ე“ და „ა ვ ა ზ ა კ ი ძ მ ე ბ ი“.

ამ სამ პოემაში, რომელიც პუშკინის შემოქმედების ერთი პერიოდით თარიღდება („კავკასიონის ტყვე“ — 1820 — 21; „ავაზაკი ძმები“ — 1821 — 22; „ბოშები“ — 1823 — 24) — „ავაზაკი ძმები“ განცალკევებით დგას, ხოლო „ბოშები“ და „კავკასიონის ტყვე“ დაკავშირებულია პუშკინის შემოქმედების იმ პერიოდთან, როდესაც ბაირონის გავლენაში მყოფი, იგი ხშირად თავის პოემებშიაც ბაირონის გმირებს ალაპარაკებდა. ალეკო და კავკასიის ტყვე ხომ ის „საუკუნეს გასწრებული“ ადამიანები არიან, რომელნიც ვერ პოულობენ ადგილს ამ ქვეყნად. „პუშკინის მიერ გამოყვანილი ბაირონის გმირები „კავკასიის ტყვე“-დან და „ბოშები“-დან ყოველთვის გაურკვეველნი და ბუნდოვანნი არიან; ერთი რამაა მხოლოდ აშკარა — ისინი ვერ არიან კარგად — ვერ მოეწყვნენ ამ ქვეყნად და პუშკინი ამასთან ერთად ხაზს უსვამს, რომ ეს მოხდა არა მათ „მცირეყალიბიანობის“, არა მათი უვარგისობისა და უუნარობის გამო, არამედ სწორედ იმიტომ, რომ მ ა თ გ ა უ ს წ რ ე ს ს ა უ კ უ ნ ე ს“ (ა. ლუნაჩარსკი. პუშკინის ექვსტომეული. ტ. I, გვ. 32).

მართალია თვით პუშკინი არასოდეს სერიოზულად არ უყურებდა თავის „ბაირონიზმს“ — მაგრამ ამ პერიოდის პუშკინის თხზულებების განწყობილება საინტერესოა მით, რომ უკვე მაშინ პუშკინი გრძნობდა „საუკუნეს გასწრებულ“ ადამიანთა ტრაღედიას.

შემდეგში პუშკინი საკუთარის გზით შეეცადა მოეძებნა გამოსავალი ამ მარტოობიდან, რომელსაც მისი გმირები განიცდიდენ; ბაირონის გარუსებულმა გმირებმა — იპოვეს გამოსავალი, უკვე რუსულ ყაიდაზე („ევგენი ონეგინი“); მაგრამ ეს პერიოდი

---

*) ა. პუშკინი — პოემები. თარგმანი ვარლამ რუხაძის. ტფილისი, 1934 წ., გამომცემლობა „ფედერაცია“.

პუშკინის შემოქმედებისა — დასრულდა 1825 წლის დეკემბერს, რომელმაც პოეტის შემოქმედებას სულ სხვა იერი მისცა...

„ავაზაკი ძმები“ — მხოლოდ ნაწყვეტია პუშკინის პოემისა, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ამ ნაწყვეტებში, სხვათა შორის მოთხრობილია [illegible] ამბავი, რომელიც მოხდა 1820 წელს ეკატერინოსლავში, პუშკინის იქ ყოფნის დროს. აღსანიშნავია, რომ პუშკინის თითქმის ყველა, განსაკუთრებით-კი ბოლო წლების გამოცემებში — პოემა თავდება — იქ, სადაც თავდება ნაამბობი, და ლოღიკურად სწყდება ამბავი, ე. ი. სიტყვებით:

„Без памяти в тоске глубокой
За старца брат меня молил“.

ხოლო ვ. რუხაძეს, რატომღაც მოუყოლებია შემდეგი სტრიქონებიც, რომლებიც ამ ეპიზოდის პოემის შემდეგ ეპიზოდებთან დასაკავშირებლად თუ იქნებოდა საჭირო, თორემ ამ ეპიზოდისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ — სრულებით გაუგებარია ის დამოკიდებულება, რომელსაც იჩენს ვ. რუხაძე პუშკინის ტექსტისადმი. „კავკასიის ტყვე“-დან ამოღებულია პროლოგი (მიძღვნა ნ. რაევსკი — შვილისადმი) და ეპილოგი, რომელიც მით უფრო საინტერესო, რომ იქ გამოხატულია პუშკინის დამოკიდებულება კავკასიის დაპყრობისადმი. ასეთი სტრიქონები, როგორიც:

„О Котляревский, бич Кавказа
Куда ни мчался ты грозой,
Твой ход, как черная зараза,
Губил, ничтожил племена“.
ან „Смирись Кавказ: идет Ермолов“.
ან „И смолкнул яркий крик войны,
Все русскому мечу подвластно“.

ასეთი სტრიქონები, რომლებიც პუშკინის მთელ იდეოლოგიურ კონცეპციას ხსნიან. ესეც რომ არ იყოს: რა უფლება აქვს ვ. რუხაძეს პუშკინის ტექსტში კორრექტივების შეტანისა?

ეს რაც შეეხება ტექსტის ერთი გადათვალიერებისათანავე შესამჩნევ ცვლილებებს. ხოლო, როდესაც დაკვირვებული მკითხველი ვ. რუხაძის მიერ არანეირებულ პუშკინს წაიკითხავს და განცვიფრებაში მოსული რუსულ ტექსტს წაატანს ხელს და დაიწყებს სტრიქონ-სტრიქონ შედარებას — მისი განცვიფრება, წამს სინანულით შეიცვლება და ეს სინანული იქნება: პუშკინის ხმიერ და ნარნარ რითმის და მუსიკის დაკარგვის გამო აღძრული.

მკითხველი აღშფოთდება იმით, რომ ტექსტში უმართებულოთაა ნახმარი შედარებები, რომელიც პუშკინს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონოდა (ეს შედარებები ჩვეულებრივ მეორეხარისხოვანია) ჩ ა რ თ უ ლ ი ა მ თ ე ლ ი ს ტ რ ი ქ ო ნ ე ბ ი და ა ხ ს რ ე ბ ი!

ცნობილია, რომ მე-XVIII, მე-XIX საუკუნის მთარგმნელები ხშირად სცდილობდენ გ ა ე ლ ა მ ა ზ ე ბ ი ნ ა თ თარგმანი. ასე, მაგალითად, დონ-კიხოტის თარგმნის გამო, მაშინ ჯერ ახალგაზრდა პოეტი ჟუკოვსკი სწერდა: „В „Дон-Кишоте“ встречаются излишки, черты худого вкуса — для чего их не выбросить? Когда переводить роман, то самой приятной перевод есть, конечно, и самый верный“ (В. И. Рязанов — „Из розысканий о сочинениях В. А. Жуковского“ 1906 г. გვ. 353).

ამ მისწრაფებამ „ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო თ ა რ გ მ ნ ი ს ა დ მ ი“ და თარგმანის გალამაზებისადმი — მიიყვანა ფრანგი მთარგმნელი ა ნ ტ უ ა ნ პ რ ე ვ ო დ ე ქ ზ ი ლ ე — რომ

იგი საჭიროდ სთვლიდა „თავის გემოზე“ შეეცვალა რიჩარდსონის რომანების მთელი თავები და შინაარსიც-კი. ცნობილია ბალმონტის თარგმნები, რომელმაც „თავის გემოზე“ სთარგმნა შელლი, უიტმენი [illegible] ამ ორი პოეტის სრულიად სხვადასხვა პოეზიისა — ორივესი ლექსებ[illegible] დაწერილი გვეგონებათ — და ეს ასეცაა, რადგან კ. ბალმონტმა — „შეასწორა“ და თავის გემოვნებამდე დაიყვანა ორივე პოეტი.

ცნობილია აგრეთვე, რომ არსებობს კანონი, რომლის ძალითაც, როდესაც პოეტი თარგმნის სხვა პოეტს — მან ან უნდა — თავისი მიმართულებისა და სკოლის პოეტი შეარჩიოს ანდა სრულიად უარი სთქვას საკუთარ პრინციპებსა და ხერხებზე და დადგეს იმ პოეტის თვალსაზრისზე, შეითვისოს მისი სტილი, სახეთა სისტემა, რიტმიკა და სხვა. ყოველივე ეს, ეტყობა, ვ. რუხაძისათვის ცნობილი არ ყოფილა, — ამას ნათლად მოწმობს პუშკინის სამივე პოემის თარგმანი.

გავარჩიოთ მაგალითისათვის „ბოშები“.

სრულიად გარკვეულად ვ. რუხაძეს არ აკმაყოფილებს პუშკინის სახეები და მხატვრულობა, განსაკუთრებით კი სისადავე.

თუ პუშკინი სწერს, რომ

„Спокойно все, луна сияет
Одна с небесной вышины
И тихий табор озаряет“. (გვ. 403*).

რუხაძეს არ ჰყოფნის ეს და იგი ასე „ამხატვრულებს“ პუშკინს:

„ელვარებს მხოლოდ პირბადრი მთვარე
და ცის სიღრმიდან მძინარე კარვებს
აფრქვევს ნაზ შუქს და უფერავს თვალებს“ (იხ. „პოემები“, გვ. 9).

პუშკინი სწერს:

„Земфиры нет как нет и стынет
Убогий ужин старика“. (გვ. 404).

რუხაძე სთარგმნის:

„აგერ ვახშამიც უკვე გაცივდა“.

და საჩქაროდ უმატებს:

„და იპყრობს მოხუცს იჭვთა წვალება“ (გვ. 10).

ასეთი ამბები შემდეგაც გრძელდება.

პუშკინი სწერს:

„И бедный звучный их язык“

რუხაძე „თარგმნის“:

„ენა ღარიბი, მაგრამ წკრიალა
ეს პირველყოფილ ხმათა ბარიათი“ (!!!) (გვ. 20).

პუშკინი:

„В селениях в доль степных дорог
Близ молдаванского двора“

რუხაძე:

„სოფლებში, მინდვრის გზის განაპირას
სადაც ღაღანებს ყანები ქარვის“ (გვ. 20).

---

*) პუშკინის ორგინალით ვხმარობთ — „Избранные стихи и поэмы“, Гихл, 1933.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუშკინი:

„Я видел будто между нами
Я видел страшные мечи“

რუხაძე:

„და ვნახე ცხადათ, ვითომ ჩვენს შორის
ო, საშინელი ეს მოჩვენება!“ (გვ. 26).

პუშკინი:

„Отец! она меня не любила!“

რუხაძე:

„მამავ, ზემფირას აღარ უყვარვარ
და დასჭკნა გულში ხალისის ვარდი“ (!).

ხშირად რუხაძეს შეიპყრობს ხოლმე მრავალსიტყვაობის სენი და სადაც პუშკინი მოკლეთ სწერს:

„Здесь люди вольны. Небо ясно“

რუხაძე დასძენს:

„თავისუფალი არის აქ ხალხი
სავსე ხალისით, ბედნიერებით
ცა მოწმენდილი, ველი გაშლილი“ (გვ. 26).

პუშკინი:

„Как нежно преклонясь ко мне“

რუხაძე:

„და რა სინაზით, ალერსით სავსე
მაყრდნობდა მკერდზე თავის ლამაზ თავს“ (გვ. 28).

პუშკინი:

„К чему? вольнее птицы младость
Кто в силах удержать любовь
Чредою всем дается радость
Что было, то не будет вновь“

პუშკინის ამ სტრიქონების საფუძველზე რუხაძე მთელ ფილოსოფიურ სისტემას აგებს:

„რადა და რისთვის? ახალგაზრდობა
არის ჩიტივით თავისუფალი
და სიყვარულსაც ვერვინ დაიჭერს
არის გრძნობათა ხელისუფალი.
სიყვარულიც ხომ საზოგადოა,
რიგრიგად ყველამ იგემოს უნდა
რაც იყო კვლავ არ განმეორდება
ასე იყო და იქნება მუდამ“ (გვ. 30).

არა გვგონია, რომ პუშკინი ამ სტრიქონებისაგან მაინცადამაინც, დიდ აღტაცებაში მოსულიყოს! ზოგგან რუხაძე არა კმაყოფილდება პუშკინის სტრიქონებით და სრულებით სტოვებს მათ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

შდ., „Давно, давно, когда думаю
Не угрожал еще москаль
(Вот видишь: я припоминаю
Алеко, старую печаль)“.

უკანასკნელი სტრიქონები რუხაძეს სრულიად ზედმეტად მიაჩნია და იგი სტოვებს მათ. სამაგიეროდ, დიდი მუშაობაა ჩატარებული პუშკინის „გამხატვრულებისათვის“.

პუშკინი ამბობს:

„Где нет любви, там нет веселья
А девы... как ты лучше их
И без нарядсв дорогих,
Без жемчугов, без ожерелий!
Не изменись, мой нежный друг
А я... და სხვ.“ (გვ. 408).

რუხაძე „თარგმნის“:

„სადაც არ უდგას ტახტი სიყვარულს
სადაც მკვდარია ეს წმინდა გრძნობა
აქ რა ხელი აქვს ხალისს, სიხარულს
ქალები? შენ მათ ათასჯერ სჯობხარ
ასე უბრალო და მოურთველი
უმარგალიტოდ და უალმასოთ
მაგრამ ყოველთვის ცეცხლივით მწველი
ნუ შეიცვლები, ჩემო ძვირფასო“.

ამ რვა სტრიქონიდან ოთხი (ხაზგასმული) მთლიანად რუხაძეს ეკუთვნის; ასე ადვილი რომ იყოს კიდევ რუხაძისა და პუშკინის გაყოფა — კარგი იქნებოდა, მაგრამ რუხაძემ იმდენად „დაამუშავა“ ტექსტი, რომ იგი სრულიად სახეცვლილია. თუ პუშკინი ამბობს: „Как он любит меня“. რუხაძე დასძენს: „ვით უყვარვარ ამ ხალით“. თუ პუშკინი ამბობს: „Уборы дев там так богаты“, რუხაძე ხსნის ფრჩხილებს და განმარტავს: „უცხოთ მორთულნი, ფარჩა, ლალებით“. „И стонет и рыдает он“ იქცევა: „ჰკვნესის და ჰგმინავს, ყური დაუგდე: გესმის კრუსუნი“ (?!).

პუშკინი სწერს: „Моя земфира охладела“, რუხაძე „ამხატვრულებს“: „და მის თვალებში ყინვა ციმციმებს“.

პუშკინი სწერს: „Еще быстрее, только год меня любила Мариула“.

რუხაძე თარგმნის:

„მხოლოდ წელიწადს უყვარდი გულით
ჩემს მარიულას, მშვენების მსახველს“ (გვ. 29).

პუშკინი:

„Земфира
Беги, вот он. Приду мой милый!“

რუხაძე: „გაიქეც. მოდის! ნუ იჭვიანობ. უთუოდ მოვალ სიცოცხლის ვარდო!?“ (გვ. 32). და სხვა და ა. შ.

და ასე წიგნის ბოლომდე გრძელდება პუშკინის ინტენსიური „გამხატვრულება“.

ვგონებ ეს მაგალითები მეტ კომენტარიებს აღარ საჭიროებს. წიგნს, ცხადია, არავითარი წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარიები არ აქვს. არა გვგონია, რომ ყოველივე ამ პოემებში — გასაგები იყოს არა მარტო მასიურ მკითხველისთვის, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ ლიტერატურასთან საკმაოდ გაცნობილისათვისაც. ასე, მაგალითად, პუშკინს „ბოშებში“ აქვს ასეთი ადგილი, მოხუცი ამბობს:

„Меж нами есть одно преданье
Царем когда-то сослан быль
Полудня житель к нам в изгнанье
(Я прежде зналь но позабыл
Его мудренное прозванье“. (გვ. 408).

რუხაძეს ეს ასე აქვს გადმოცემული:

„არის ჩვენ შორის ერთი თქმულება
მზის ქვეყნის მეფემ დასაჯა კაცი
ის ჩვენ მხარეში გადმოასახლა
უსასტიკესი წესების დაცვით“ (გვ. 18).

რუსულ ტექსტში ფრჩხილებში მოყვანილი ორი სტრიქონი რუხაძეს, თავის ჩვეულებისამებრ გამოტოვებული აქვს და თვით დარჩენილმა სტრიქონებმა საკმაო დეფორმაცია განიცადეს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ სხვა საკითხზე ვლაპარაკობთ — ვინ არის ეს „Полудня спутник“ კაცი, რომელიც ვიღაც მეფემ გადმოასახლა.

ეს კაცი არის რომაელი პოეტი ოვიდიუს ნაზონი (იგი იმპერატორმა ავგუსტმა 8 წ. ქ. დაბადებამდე გადაასახლა მოლდავიის ველებში).

საინტერესოა ის გარემოება, რომ პუშკინს არა ერთხელ იზიდავდა განდევნილი პოეტის სახე. თავის ბედს იგი ადარებდა ოვიდიუსის ბედს (იხ. ლექსი „К Овидию“). „ბოშები“ დაწერილია სწორედ, პუშკინის სამხრეთში განდევნის დროს მოლდავიის ველებში მოგზაურობის გავლენით... ეს მაგალითი ჩვენ მხოლოდ იმისათვის მოვიტანეთ, რომ დაგვემტკიცებინა — კლასიკოსების კომენტარიებით და შენიშვნებით გამოცემის საჭიროება, ურომლისოდაც ბევრი რამ გაუგებარი და აუხსნელი რჩება მკითხველისათვის.

„ფედერაციის“ მიერ გამოცემული „პოემები“ პუშკინისა მხოლოდ მაგალითია იმისა, თუ როგორ არ უნდა გამოიცეს კლასიკოსები.

ასეთი თარგმნების ასე გამოცემას, ისევ სჯობს სულ არ გამოვცეთ და არ შევუქმნათ ქართველ მკითხველს შემცდარი შეხედულება ამა თუ იმ კლასიკოსის შემოქმედებაზე. ამის შესაძლებლობა კი არის. ამას მოწმობს მრავალი თარგმანი, როგორც რუსული ისე ევროპული ლიტერატურიდან, რომელიც იბეჭდება ჩვენ პერიოდიკაში.

ქ. ჯავრიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გვ.

ს. მ. კიროვის ხსოვნას . . . . . . . . . . 5

## მხატვრული ლიტერატურა

გალაკტიონ ტაბიძე — ათი წელი . . . . . . . . . 7
ალ. აბაშელი — სიმღერა (ვაჟაური) . . . . . . . . 9
ვასილ ბარნოვი — ქალი კახელი . . . . . . . . . 14
შალვა აფხაიძე — დილა . . . . . . . . . . 36
შალვა დადიანი — სილატაკის ფილოსოფია . . . . . . 37
ნ. ზომლეთელი — „მნათობის“ ათი წელი . . . . . . 53
ვასო გორგაძე — ვიდრემდის ლაჟვარდს . . . . . . . 55
რაჟდენ გვეტაძე — ტატაშ ხვარი . . . . . . . . . 56
გ. კაჭახიძე — თეთრი ქვები . . . . . . . . . 62
კ. გამსახურდია — მთვარის მოტაცება (გაგრძელება) . . . . 63
ლონგფელლო — ჰაიავატა . . . . . . . . . . 109
ს. ჩანბა — სეიდიყ (დასასრული) . . . . . . . . 125

## ვასილ ბარნოვის ხსოვნას

თ. სახოკია — ვასილ ბარნოვი (1857 — 1934) . . . . . . 168

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გ. აბზიანიძე — ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა ქართულ ლიტერატურაში . . . . . . . . . . . . . . 171
გ. ხავთასი — მარქსი და ფრაილიგრატი . . . . . . . 177
დოც. დ. კარბელაშვილი — აკად. ნიკო მარრის ხსოვნას . . . 192

## სალიტერატურო არქივი

ვაჟა-ფშაველა — ჩემი პოემების შესახებ . . . . . . . 196
მ. დუდუჩავა — ვაჟა-ფშაველას გამოუქვეყნებელი წერილის შესახებ 201
ვალია ბახტაძის და მ. ჯავახიშვილის მიმოწერა „თეთრი საყელოს“ შესახებ . . . . . . . . . . . . . 203

ვ. გორგაძე — ვალია ბახტაძე . . . . . . . . . 206
ანნა ანტონოვსკაია — ძველი ქართული წიგნი . . . . . 213

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „მნათობის“ ათი წლის თავზე

ლ. რუხაძე — „მნათობის“ ათი წლის თავის გამო . . . . . . 222
სანდრო ეული — „მნათობის“ იუბილე . . . . . . . . 225

## ბიბლიოგრაფია

გ. მ. — როდიონ ქორქია. „გრიგალი“ . . . . . . . . . 226
გ. ლ — ძე — „თავდაცვითი მხატვრულ - ლიტერატურული კრე-
ბული“ . . . . . . . . . . . . . . . . 228
ქ. ჯავრიშვილი — პუშკინი ქართულად . . . . . . . . 231

# განცხადება

## ტფილისის საბჭოს წყალკანალის სამმართველო

ბიბლიოთეკა

(ა.-კ. ფედერაციის მოედანი № 3. ტელ. 3–46–62).

მოსახლეობის უკეთესი მომსახურეობისათვის ქალაქი დაყოფილია 4 საექსპლოატაციო უბნათ და ყოველ საავარიო შემთხვევისათვის დაარსებულია საავარიო ბრიგადა, დღე-ღამის განუწყვეტელ მორიგეობით, სადაც შე ძლება უშუალოთ მიმართვა შემდეგი მისამართებით:

1-ლი საექსპლოატაც. უბანი—ხუდადოვის ქ. № 3
მე-2 „ „ ახალშენის ქ. № 6
მე-3 „ „ კახეთის ქ. № 3
მე-4 „ „ ა.კ. ფედერაც. მ. № 3
საავარიო ბრიგადა ჟორესის ქ. № 53.
ტელ. 3—27—62.

**სამმართველო**

საქ. ს. ს. რ. ადგილობრივი მრეწველობის
სახ. კომისარიატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სამკერვალო სამმართველო.

# სამკერვალო ფაბრიკა № 1

## ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის

ეგნატე ნინოშვილის ქუჩა № 8
ტელ. 3–27–26

---

საქ. ს. ს. რ. ადგილობრივი მრეწველობის
სახ. კომისარიატი

# სამკერვალო სამმართველო.

# სამკერვალო ფაბრიკა № 2

## კომუნალური ქ. № 58

ტელ. 3–17–25

# ტფილისის
# აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა

**ლენინის ქ. 75, ტელ. 3—23—65, 3—12—25**

ფაბრიკა ქსოვს სხვადასხვა ასორტიმენტის აბრეშუმის ქსოვილს. ფაბრიკას მოეპოვება საკუთარი სამღებრო-სააპრეტურო ცეხი.

ფაბრიკას აქვს სპეციალური კურსები, როგორც კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ისე კადრების მოსამზადებლად.

**ყოველთვიურად კურსებს გადის არანაკლებ ასი კაცისა. ფაბრიკაში მუშების უმეტესობას (95%-ზე მეტი) შეადგენენ ქალები. მუშების მიღება სწარმოებს ფაბრიკის კადრების განყოფილების მიერ.**

დირექტორი: თოთიბაძე.

## პროცენტული გადარიცხვების შესახებ საბჭოთა კავშირის სალიტერატურო ფონდში საქართ. ს. ს. რესპუბლიკის გამომც. ჟურნალების რედაქციათა და სანახაობითი წარმოებების მიერ.

**საქართველოს ს.ს.რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი** მოაგონებს მხატვრული ლიტერატურის ყველა გამომცემლობებს, ჟურნალების რედაქციებს და სანახაობით წარმოებებს, რომ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 28 ივლისის დადგენილების თანახმად, რაც გამოქვეყნებული იქნა „Известия" ЦИК ССР-ში 1934 წლის 29 ივლისს,—ყველა გამომცემლობა, რომელიც სცემს მხატვრულ ნაწარმოებებს, სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალები და სანახაობითი წარმოებები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ **მოახდინონ გადარიცხვები საბჭოთა კავშირის სალიტერატურო ფონდში**, დაწყებული 1-ლი აგვისტოდან შემდეგი ანგარიშით:

1) გამომცემლობებმა და ჟურნალების რედაქციებმა 10% მთელი ფაქტიურად გაცემული საავტორო ჰონორარიდან ორიგინალურ და თარგმნილ მხატვრულ ნაწარმოებებისათვის: ლექსები, პროზა, დრამატიული თხზულებანი, საყმაწვილო და საბავშო ლიტერატურა, პოპულიარული-სანარკვევო, ლიტერატურათ-მცოდნეობისა და კრიტიკული ნაწარმოებებისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

2) სანახაობითი წარმოებანი, რომლებიც იღებენ შემოსავლებს გადასახადს დრამატიულ, მუსიკალურ-დრამატიულ, ლიტერატურულ, ქორეოგრაფიულ და სხვ. ნაწარმოებთა შესრულებისათვის და მოქმედებენ სისტემატიურად,—ვალდებულნი არიან გადარიცხონ 2% მთელი შემოსავლიდან დიდი სცენის წარმოებებმა და 1,2%—მცირე ფორმის თეატრებმა (კლუბები, საკოლმეურნეო, საბჭ. მეურნ. თეატრები).

ზემოაღნიშნული ანარიცხები უნდა გადარიცხულ იქნენ სახბანკის ადგილობრივ ფილიალებში გამომცემლობათა, ჟურნალების რედაქციების და სანახაობითი წარმოებათა ადგილმყოფობის მიხედვით,—საბჭოთა კავშირის ლიტფონდის სუბმიმდინარე ანგარიშზე.

„საბჭოთა კავშირის ლიტფონდში“ ვადაზე გადაუხდელი ანარიცხები იძულებით გადახდევინებული იქნება ფინორგანოების დადგენილების მიხედვით, ყოველ გადაცილებულ დღეზე 0,1%-ის საურავის დანარიცხით ვადაზე გადაუხდელი თანხის რაოდენობიდან.

**საქართველოს ს.ს.რ. ფინანსთა სახ. კომისარი: თ. ღლონტი**

სუბტროპიკულ კულტურათა მთავარი სამმართველო საკავშირო მინსახკომთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საკავშირო ტრესტი

# „საქართველოს ჩაი“

„საქართველოს ჩაის“ საკ. ტრესტის სისტემაში შედის:

1) 16 ჩაის საბჭოთა მეურნეობა
2) 21 ჩაის ფაბრიკა
3) 6 მშენებლობაში მყოფი ფაბრიკა
4) 2 დამხმარე საბჭოთა მეურნეობა
5) სამტრედიის ავტორემონტის მექანიკური სახელოსნო
6) 4 ჩაის ტექნიკუმი
7) 3 ჩაის საბჭ. მეურნ. სასწავლებელი
8) 2 ჩაის ფაბ. ქარხ. სასწავლებელი
9) დასასვენებელი სახლის მშენებლობა გაგრაში.

**მისამართი:** საკავშირო ტრესტის „საქართველოს ჩაის“ სამართველო—ტფილისი, რუსთაველის, **25.**

ტელეფონები: №№ 3—06—06, 3—06—45, 3—60—85, 3—01—86, 3—03—0[illegible].

# „ტექნიკა და შრომა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გამომცემლობა აცხადებს, რომ**
**1935 წლისათვის მიიღება ხელისმოწერა**
**შემდეგ პერიოდულ გამოცემებზე**

ყოველ დღიურ გაზეთ „მუშაზე“ (საქ. პროფსაბჭოს ორგანო).
ხელისმოწერის პირობები: 12 თვით — 15 მან. 3 თვით — 3 მან. 75 კაპ.
6 თვით — 7 მ. 50 კაპ. 1 თვით — 1 მან. 25 კაპ.

ყოველთვიურ ჟურნალზე

## „ტექნიკა და შრომაზე“

ხელისმოწერის პირობები: 12 თვით დაწესებულ. 12 მან.
6 თვით დაწესებულ. 6 მან.
12 თვით ინდივიდუალ. 10 მან.
6 თვით ინდივიდუალ. 5 მან.
ცალკე № 1 მან.

ორკვირეულ სატირიკულ-იუმორისტულ სამხატვრო ჟურნალ

## ნიანგზე

ხელისმოწერის პირობები: 12 თვით — 9 მან. 60 კაპ.
6 თვით — 4 მან. 80 კაპ.
3 თვით — 2 მან. 40 კაპ.
1 თვით — 80 კაპ.
ცალკე № 40 კაპ.

## გამომცემლობა ტექნიკა და შრომა

სცემს ტექნიკურ სახელმძღვანელოებს უმაღლეს, ტექნიკურ სასწავლებელთა და ტექნიკუმებისათვის და აგრეთვე ტექნიკურ ლიტერატურას.

გამომცემლობას აქვს ცენტრალური
წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზია **ტფილისში, ქუთაისსა და ბათომში.**

# საქართველოს რესპუბლიკური სააფთიაქო სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქ. ტფილისი, კამოს ქ. № 76

## სააფთიაქო სამმართველოს სისტემაში შედიან:

**ტფილისში** — საფარმაც. ქარხანა, რომელიც აერთიანებს შემდეგ ცეხებს: საფასო, საამპულო, ქიმიკო-ფარმაცევტიული, ლაბორატორია, საანალიზო ლაბორატორია და საპნის დამამზადებელი ცეხი.

ცენტრალური საწყობი აერთიანებს. გალენის, ქიმიურ, გადასახვევს, შუშის. სარეცხავ და საწმენდ განყოფილებებს, გაერთიანებულ სახელოსნოს, საპროტეზო სახელოსნოს, 19 აფთიაქს და 5 სანიტარულ-ჰიგიენურ და ოპტიკურ მაღაზიას.

მოსახლეობის უფრო რაციონალური და გეგმიანი მომსახურეობისათვის მედიკამენტებით, საექიმო და სხვა სამკურნალო საშუალებებით, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია რესპ. სააფთიაქო სამმართველოს 14 სარაიონო და რაიონთაშორისო განყოფილებად, რომელიც აერთიანებს 264 აფთიაქს და 4 სანიტარ-ჰიგიენურ მაღაზიას.

საქართველოს სააფთიაქო სამმართველო უმთავრესად მომსახურეობას უწევს როგორც ტფილისში ისე რაიონებში ყოველ საქალაქო ჯანგანყოფილებებს, ტუბდისპანსერებს, საექიმო კომისიებს, ტროპიკულ სნე-

ულებათა ინსტიტუტს, საავადმყოფოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს.

საათფთიაქო სამმართველოს ქვემდებარე საწარმოებისა და დაწესებულებების ადგილმდებარეობა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფარმაც. ქარხანა და ც. საათ. საწყ. — კამოს ქ. № 76.

საპროტეზო სახელოსნო — პლეხანოვის, 142.

1-ლი აფთიაქი — თავისუფლების მოედანი.

მე-2-ე აფთიაქი — წყნეთის ქ. № 28.

მე-3-ე აფთიაქი — კახეთის მოედანი № 1.

მე-4-ე აფთიაქი — კ. მარქსის მოედანი.

მე-5-ე აფთიაქი — კლარა ცეტკინის 104.

მე-6-ე აფთიაქი — ლენინის ქ. № 31.

მე-7-ე აფთიაქი — მერკვილაძის ქ. № 20.

მე-8-ე აფთიაქი — ვოლოდარსკის, 7.

მე-9-ე აფთიაქი — 19 თებერვლის, 46.

მე-10-ე აფთიაქი — საბჭოთა, 79.

მე-11-ე აფთიაქი — პლეხანოვის, 144.

მე-12-ე აფთიაქი — კლარა ცეტკინის, 212.

მე13-ე აფთიაქი — ხუდადოვის, 10.

მე-14-ე აფთიაქი — საბაქოს, 4.

მე-15-ე აფთიაქი — რუსთაველის, 23.

მე-16-ე აფთიაქი — მიასნიკოვის, 85.

მე-17-ე აფთიაქი — სომხის ბაზარი, 52.

მე-18-ე აფთიაქი — ალმასკომის, 8.

მე-19-ე აფთიაქი — სტუდენტთა ქალაქი.

რეაქტივ.-ქიმიური წარმოება — კარლ მარქსის მოედანი.

სანიტარულ-ჰიგიენური მაღაზია — პლეხანოვის, 106.

მაღაზია № 2 — რუსთაველის № 38.

ოპტიკური წარმოება № 9 — პლეხანოვის, 106.

რეაქტივ-ქიმიური წარმოება — კარლ მარქსის მოედანი.

საქართ. პროფკავშირების საბჭოს ამხანაგობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კულტმომარაგება"

ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 18.

ტელეფონი 3—72—20.

ამარაგებს საქართველოს სასპორტო ორგანიზაციებს და ფიზკულტუროსნებს სასპორტო ტანსაცმელით, ფეხსაცმელით და იარაღებით (ძალოსნური, მძლეოსნური, სათხილამურო და სხვა). მთავარი საწყობები, კანტორა და მაღაზია: ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 18.

სახელოსნო — ჯორჯიაშვილის ქუჩა № 6.

განყოფილებები: ბათომში, სოხუმში, ქუთაისში და ბორჯომში.

საქართველოს სასპორტო ორგანიზაციებს ევალებათ წარმოადგინონ 1935 წლის განმავლობაში საჭირო იარაღების სია, დაყოფილი კვარტალებათ არა უგვიანეს 1-ლ თებერვლისა.

# ქ. ტფილისის ჯანგანყოფილების სანგანმატარებელი № 1

## აწარმოებს სანდამუშავებას ორგანიზებულ მოსახლეობისას შეღავათიან ფასებში. სანდამუშავება გამოიხატება:

ბანაობაში, გაპრეჭაში და ტანსაცმლის დეზინფექციაში.

სანგანმატარებელი აგრეთვე სდებს ხელშეკრულებებს წარმოებებთან და დაწესებულებებთან ახლად მიღებულ მუშა-მოსამსახურეთა სანდამუშავებისათვის, აგრეთვე წარმოება-დაწესებულების მუშა - მოსამსახურეების სისტემატიური სანდამუშავებისათვის.

დირექცია

# „ტფილსოფმრეწვი"

ველიამინოვის ქ. № 4 ტელეფ. 3—66—03.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტფილსოფმრეწვი" აერთიანებს შემდეგ სამრეწველო წარმოებებს და სავაჭრო წერტებს:

მაკარონის ფაბრიკა. 300 არაგველების აღმართი.
საშაქარლამო ქარხანა № 1. 300 არაგველების აღმართი.
საშაქარლამო ქარხანა № 2. კამოს ქ. № 41.
ლუდის ქარხანა № 2. ორჯონიკიძის ქ. № 41.
ლუდის ქარხანა № 1. კამოს ქუჩა № 68.

ხილისა და მინერალურ წყ. ქარხ. კლ. ცეტკინის ქ. № 152
ნახშირმჟავა გაზის ქარხანა. კლ. ცეტკინის ქ. № 152.
მურაბის ფაბრიკა. ახმეტის ქ. № 6.
ხილის წყლებისა და საშაქარლამო ნაწარმის საჩვენებელი მაღაზია № 1. რუსთაველის პროსპ. № 18.
კაფე-საშაქარლამო საჩვენ. მაღ. № 25. პლეხანოვის პროსპ., № 111.
ხილის წყლებისა და საშაქარლამო ნაწარმის მაღაზია № 3. კახეთის მოედანი.
ლუდხანა № 24. სოლოლაკის ქ.
ლუდხანა № 23. ვაგზლის ქ.
სავაჭრო წერტი № 11. დეზ. დახურული ბაზარი.
ხილის წყლებისა და ლუდის სავაჭრო წერტი № 6. ლენინის და მოსკოვის ქ. კუთხე.

---

# საქართველოს სარეწაო საბჭო

ქ. ტფილისში აერთიანებს 147 არტელს (წარმოებას). **1934** წლის წლიური გეგმით გათვალისწინებულია **80.415.000** მან. პროდუქციის გამოშვება, აქედან სასაქონლო პროდუქცია შეადგენს — **54.580.400** მან. (შრომითი არტელების გამოკლებით).

**მათ შორის:**

1. სამთო-სამმართველოს დარგით (აგური, კრამიტი, კირი და სხვ.) 2.754.300 მან.
2. ლითონის დარგის (საწოლები, კეროსინკები, ვედროები, ღუმელები, ბადეები. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და სხვა) 4.121.300 მან.
3. ქიმმრეწველობის დარგი (საპონი ყველა სახის, ურმის საცხები, სხვადასხვა საღ. და სხვა). 5.873.400 მან.
4. ტყავმრეწველობის დარგი — (ნედლი ტყავის გადამუშავება, ფეხსაცმელები. ხამუტები, უნაგირები, სხვადასხვა სახის ქურქები, ქუდები და სხვა — 10.730.700 მან.
5. საფეიქრო-სამკერვალო, სატრიკოტაჟო დარგი, ყოველგვარი ტანსაცმელი და თეთრეული, ყოველგვარი სატრიკოტაჟო ნაწარმი, კოსტუმები, ჯემპრი, სვიტრი, ჩულქი, აბრეშუმის ქსოვილები, შალეულობა, ნაბდები, ვალინკები და სხვა — 12.297.900 მან.
6. გემო-კვების დარგი — საშაქარლამო ნაწარმი, ძეხვი, ხილბოსტნეული, გადამუშავება — გამაგრილებელი წყლები, ძმარი, ღვინო, ზეთი და სხვა — 13.683.600 მან.
7. საგალანტერო დარგი — სარკეები, სავარცხლები, მუშტუკები, ჩოთქები, სათამაშოები, ფითილები, ქამრები, კალათები, რედიკულები, ჩანთები და სხვ. 1.820.900 მან.

# საქართველოს კომუნალური ბანკი

აცხადებს თავის კლიენტურის საყურადღებოთ, რომ საკავშირო ფინსახკომის ა/წ. 19 აგვისტოს დადგენილების თანახმად ყოველთვიურად და განსაკუთრებით 1935 წლის პირველ იანვრისათვის უნდა მოხდეს ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთშორის ყველა ანგარიშების ნაშთების და წლიური ბრუნვების შემოწმება-[illegible] წერილობითი დასტურის წარდგენით, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს [illegible] მოახდინოს კლიენტზე ფინანსიური ხასიათის ზეგავლენა.

კლიენტები ზემოხსენებული წესით ამოწმებენ თავიანთ ანგარიშებს ბანკთან 1935 წლის 1-ელ იანვრისათვის ცენტრში და ფილიალებში: ქუთაისში, სუხუმში, ბათომში, ბორჯომში, ფოთში, ცხინვალში კვეზანში, ჭიათურაში, წყალტუბოში და გაგრაში.

კომბანკი.

---

# საქართველოს კომუნალური ბანკი

აცხადებს: ზემდგომ ორგანოების დადგენილებით საბინაო, კომუნალურ და სოც-კულტურულ მშენებლობის ყველა დასაფინანსებელი სახსარი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ხაზით, საკუთარი თანხები, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ფონდები და სხვ. უნდა წინასწარ შემოტანილ იქნეს კომბანკში და სათანადო ფილიალებში შესაფერ ანგარიშებზე, რის შემდეგ დაფინანსება იწარმოებს ხელშეკრულებათა საფუძველზე. **სასტიკად აკრძალულია უტიტულო, უპროექტო და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობის დაწყება და წარმოება, ამ წესის დამრღვევთა წინააღმდეგ საქმეები გადაეცემა პროკურატურას.**

კომბანკი.

---

# სახელმწიფო სესხის ობლიგაციის მქონეთა საყურადღებოთ!

**სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მქონეთა მუდმივი მომსახურების გაუმჯობესების და გაადვილების მიზნით ტფილისის შემნახველ სალაროების სამმართველოსთან (წერეთლის ქ. № 6 სართ. მესამე, ოთახი № 124) დაარსებულია „მოგებათა შემმოწმებელი ბიურო“.**

ამ უკანასკნელით სარგებლობა შეიძლება შემდეგი წესით:

თითოეულ ობლიგაციაზე უნდა იქნეს შევსებული განსაკუთრებული ბარათი და ყველა კითხვებს მიეცეს სწორი და გარკვეული პასუხი: ა) სესხის დასახელება; ბ) ობლიგაციის ნომერი; ვ) სერიის ნომერი; გ) გამოშვება (პროცენტიანი თუ უპროცენტო) ბარათის პირველი გვერდზე დაიწერება ობლიგაციის მქონეს სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი.

შევსებული ბარათი უნდა იქნეს ჩაბარებული (ან გადაგზავნილი ფოსტით) ბიუროში ან რომელიმე შემნახველ სალაროში.

**„მოგებათა შემმოწმებელი ბიურო“** სისტემატიურად შეამოწმებს ობლიგაციების ნუმრებს ბარათების მიხედვით, მოგებათა ცხრილებთან და ბარათის პატრონს დაუყონებლივ აცნობებს უშუალოდ ხვედრ მოგების შესახებ.

ამ ღონისძიებით აცილებული იქნება ობლიგაციების მოგებათა ცხრილთან შესამოწმებლად შემნახველ სალაროში რიგში დგომა.

ბარათის შეძენა შეიძლება ყველა შემნახველ სალაროში ფასი 5 კაპ.

**საქართველოს შემნახველ სალაროების და სახელმწიფო კრედიტის სამმართველო.**

# საუკეთესო რესტორანები ქალაქ ტფილისში

# ტფილსახკავშირის ტრესტისა

(გამგეობა: ჟორესის ქ. № 7, ტელ. 3—26—63)

**„ქითნ"** — პლეხანოვის პრ. 116

1-ლ მაისიდან 1 ოქტომბრამდე სასადილო ბაღშია მოწყობილი

**„სიმპათია"** — პუშკინის, 5

**„ოლიმპია"** — პუშკინის. 19

**„ამერიკანკა"** — რუსთ., 16

**„ევროპა"** — პლეხან. პრ. 103

## უაღრესი სისუფთავე

ევროპული და აზიური სამზარეულოები
საუკეთესო მზარეულთა ხელმძღვანელობით.
სამტრესტის ყველა ხარისხის ღვინოები
და სასმელები.

საუკეთესო მომსახურეობა

## ამიერ. კავკასიის ტყის მეურნეობისა და მიწის ტრანსპორტის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

**დირექტორი:** ბ. თ. ორლოვი. **მოადგილე:** პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი.
ტელეფონი — საერთო კანც. 3 — 23 — 63. **დირ. კაბინეტი:** 3 — 18 — 81.

### ინსტიტუტის ამოცანას შეადგენს:

1) საბჭოთა კავშირის ტყის მრეწ. კომისარიატის დავალებათა შესრულება.

2) კონსულტაცია ტყის მეურნეობისა და მიწის ტრანსპორტის ყველა საკითხებზე.

**დასაყრდენი პუნქტები:** გაგრაში და კარაკლისში.

ყველა საკითხებზე საჭიროა მიმართოთ შემდეგი მისამართით: ტფილისი, ლენინის ქ. № 11, „Закнили“.

---

## ტფილისის ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება („კორ“)

### იღებს შეკვეთებს სხვადასხვა დანიშნულებათა შენობების შინაგანი და გარეგანი გაფორმების დარგში.

სამღებრო, საშტუკატურო და სახურავი სამუშაოები.

### ნაძერწი დეტალების ცეხი

ასრულებს სხვადასხვა სამუშაოებს: ამზადებს შუქის აბრებს, დროტურული ნაძერწი დეტალების დასამზადებლად და დასადგმელად.

### სამხატვრო სახელოსნო

ასრულებს სამუშაოებს სხვადასხვა საფასადო და შინაგანი არქიტექშებს, პლაკატებს, ტრანსპორანტებს და სხვ. მხატვრულ პროდუქციას.

**პროექტირება:** ფერადი, არქიტექტურული მხატვრული გაფორმება ფასადების და შიგნითბინებისა სხვადასხვა დანიშნულების შენობები (კლუბები, თეატრები, კინო, მაღაზიები).

თავისუფლების მოედანი № 2. ტფილსაბჭო. ოთახი № 115.

ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება.

# ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილება

სარეწაო კოოპერაციის ქ. № 4 (ყ. სომხის ბაზარი).
ტელ. საერთ. კანც. № 3—30—05, — ძირით. აპარატი (დანარ. იხ. ცნობარი).

## ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილება

სარეწკოოპის ქ. № 4 — ტელეფონები: №№ 3—30—05, 3—31—05, 3—65—02 და 3—35—04.

ჯანმრთელობის განყოფილება წარმოადგენს ხელმძღვანელ ორგანოს ქ. ტფილისის მოსახლეობის ჯან. დაცვის საქმეში.

## ჯან. განყოფილების სტრუქტურა

ჯანგანყოფილების გამგე, ეპიდემ. საწინააღმდეგო სამართვ., სამკ. პროფ. სამართველო, საგეგმო. სადინანსო სამართვ., საკურორტო სამართველო, მოზარდთა და ბავშვთა ჯან დაც. ინსპექცია, ფიზკულტურის ინსპექცია.

მეცადინეობა სწარმოებს დილის 8½ საათიდან 3 საათამდე, რის შემდეგ სწარმოებს ტფილ. ჯან. განყოფილების მუშაკთა მორიგეობა ყოველგვარ ცნობების მისაცემად საღამოს 11 საათამდე.

## ქალაქი დაყოფილია ოთხ რაიჯანგანყოფილებად:

**1-ლი ლენინის რაიონის ჯანგანყოფილება.** ნაძალადევი, საბჭოს ქუჩა № 102, ტელ. 3—28—81. სამსახურს უწევს ღრმა-ღელეს, ნაძალადევს, რკინისგზის ლიანდაგს გაღმა რაიონს არსენალის მთამდე.

**მე-II სტალინის რაიონის ჯანგანყოფილება.** პლეხანოვის პრ. № 121, ტელეფ. 3—27—43. სამსახურს უწევს დიდუბეს, კუკიას, პლეხანოვის რაიონს ყოფ. ვორონცოვის ხიდამდე და რიყის ქუჩის დასაწყისამდე.

**მე-III 26 კომისარის სახელობის რაიონის ჯანგანყოფილება** — ავლაბარი, კახეთის მოედანი, № 1, ტელ. 3—35—43. სამსახურს უწევს ავლაბარს, ნავთლუღს, არსენალის ნაწილს, რიყეს, ორთაჭალას, ხარფუხს, მაიდანს, სომხის ბაზარს ველიამინოვის ქუჩამდე, მუხრანის ნაწილს პუშკინის ქუჩამდე.

**მე-IV ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ჯანგანყოფილება.** ევანგულოვის ქ. № 2. ტელ. 3—59—23. სამსახურს უწევს ქალაქის მთელს მარჯვენა ნაპირს: საბურთალოს, ვაკეს, ვერას, მთაწმინდას, რუსთაველის პროსპექტს, სოლოლაკს, ველიამინოვის და პუშკინის ქუჩების ერთ ნაწილს.

ტფილსაბჭოს საქალაქო ჯანგანყოფილების განსატვირთავად მიმართვისაგან, რომელიც აცდენს აპარატს მიმდინარე საგეგმო-საორგანიზაციო მუშაობისაგან და საერთო ხელმძღვანელობისაგან, და აგრეთვე სარაიონო ჯანგანყოფილებათა და საექიმო-პროფილაქტიურ გაერთიანებათა დასაახლოვებლად მოსახლეობასთან, **ცხადდება**, რომ ყოველგვარი ცნობებისათვის მიმდინარე საკითხებზე, რომელიც ეხება ამბულატორიული, სტაციონალური (საავადმყოფოში) სამედიკამენტო, ლაბორატორიული და საპროტეზო დახმარების მიღებას და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობისათვის გამწესებას, — ყველამ უნდა მიმართოს საკუთარი სამკურნალო-პროფილაქტიური გაერთიანების ამბულატორიას, ან საჭიროების შემთხვევაში, საკუთარ საცხოვრებელ რაიონის ჯანგანყოფილებას და არა ქალაქის ჯანგანყოფილებას.

ქალაქის ჯანგანყოფილება უშუალოდ არ გზავნის საავადმყოფოში და არც იძლევა არავითარ საგზურს, ორდერს და ვიზას რეცეპტებზე, სათვალეებზე, პროტეზებზე და სხვა. და ასეთ შემთხვევაში მისდამი მიმართვა უნაყოფოა.

ავადმყოფების მოთავსებისა და გადაზიდვის შესახებ სტაციონარებში (საავადმყოფოებში) მკურნავ ექიმის წერილის მიხედვით უნდა მიმართონ უშუალოდ **ქალაქის ჯანგანყოფილების განმანაწილებელ პუნქტს**, რომელიც მოთავსებულია **სასწრაფო დახმარების სადგურთან** (ვერის (ელბაქიძის) დაღმართი № 6).

**შენიშვნა:** 1) ქალაქის ჯანგანყოფილება თითონ ავადმყოფებს არ ანაწილებს და როგორც წესი, ორდერებს საავადმყოფოში უშუალოდ მოსათავსებლად არ იძლევა.

2) **ხარჯს იმ** ავადმყოფებისას, რომლებიც **განმანაწილებელ პუნქტთან წინასწარ შეთანხმების გარეშე იქნებიან მოთავსებულნი** სამეურნეო ანგარიშიან საავადმყოფოებში და სხვა დაწესებულებათა სტაციონარებში, ქალაქის ჯანგანყოფილება **არ იხდის.**

საქ. პროფ. სამმართველო

# ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილება როდის და როგორ შეიძლება გამოიძახოთ

ბინაზე მედდახმარების ექიმები, ავადმყოფთა გადასაზიდი მანქანები და სწრაფი დახმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1) მედდახმარება ბინაზე

ბინაზე დახმარების საუბნო ექიმს იძახებენ, როდესაც ავადმყოფს არ შეუძლია მივიდეს არც თავისი საწარმოს მედპუნქტზე, არც უახლოეს სარაიონო ამბულატორიაში. ექიმზე ჩაწერა სწარმოებს რაიონის საექ.-პროფეს. გაერთიანების ამბულატორიასთან არსებულ გამოსაწვევ პუნქტზე.

**შენიშვნა:** მძიმე ავადმყოფთათვის ბინაზე დახმარების აღმოსაჩენად, იმ შემთხვევებში, როდესაც ავადმყოფის სიცოცხლეს უშუალო საფრთხე მოელის, საღამოს 8 საათიდან დილის 8 საათამდე დაწესებულია მორიგეობა **ღამის მედდახმარების** ექიმებისა, რომლებიც მოტოციკლეტით მიემგზავრებიან ადგილებზე, **ვერის დაღმართი № 6, ტელ. 0 — 3** (არ უნდა იქნეს არეული **სწრაფი და**ბული და არა ავადმყოფთათვის).

## 1) მედდახმარება ბინაზე

ტელეფონი 0 — 3. მორიგეობა დღე და ღამის განმავლობაში. გამოძახება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ **უბედურ შემთხვევის გამო,** როცა საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება და დაშავებულის სასწრაფო გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში. ასეთი შემთხვევებია: მძიმე დაჭრილობა, თვითმკვლელობის ცდა, მოწამლვა, დახრჩობა, დაწვა, სახიფათო სისხლის დენა შინაგანი ორგანოებიდან, ტრიკის დაშეჭკვა, წელის გადაბრუნება, საშვილოსნოს გარეშე ორსულობა, სიმაღლიდან გადმოვარდნა, კატასტროფა ავტომობილზე, ტრამვაიზე და სხვ.

ცრუ ცნობების მოწოდებისათვის სასწრაფო დახმარების გამოძახების დროს, თანახმად ტფილსაბჭოს დადგენილებისა, დაწესებულია ჯარიმა. ფსიქიურად ავადმყოფთა გადაყვანა ხდება გადაზიდვის ბიუროს სანიტარული მანქანებით და სასწრაფო დახმარების მანქანა ასეთ შემთხვევაში არ გადის. უსაფუძვლო და უწესო გამოძახება აცდენს ექიმებს პირდაპირი დანიშნულებისაგან, იწვევს მანქანების (ავტოკარეტების, მოტოციკლების) ზედმეტ გადარბენას და, რაც მთავარია, მოსახლეობას ართმევს საშუალებას, ნამდვილად აუცილებელ გადაუდებელ შემთხვევებში მიიღოს სასწრაფო დახმარება.

## გ. ავადმყოფთა გადაზიდვა

სახადით ავადმყოფთა გადაზიდვა ხდება სადეზინფექციო ბაზის სანიტარული მანქანებით (აბასთუმნის ქ. № 6, ტელ. 3 — 27 — 83, ყოფილ დეზერტირის ბაზრის მახლობლად). ავადმყოფების გადაზიდვა სწარმოებს დღე და ღამე განუწყვეტლივ მკურნავი ექიმის განრიგით. ამავე დროს საჭიროა ეცნობოს დეზბაზას დეზინფექციის გაკეთების შესახებ.

არაგადამდები სენით ავადმყოფთა გადაზიდვა სწარმოებს განმანაწილებელი პუნქტის სატრანსპორტო ბიუროს საშუალებით (ვერის დაღმართი № 6, სასწრაფო დახმარების სადგ. შენობა).

დილის 10 საათისათვის განმანაწილებელი პუნქტი იღებს ცნობებს ქალაქის საავადმყოფოებთან სტაციონარებში არსებული მდგომარეობისა და თავისუფალი ადგილების შესახებ. გადაზიდვის შესახებ განრიგის მიცემა სწარმოებს მხოლოდ იმ ავადმყოფთათვის, რომელთა მდგომარეობა, უბნის მკურნავი ექიმის დასკვნის თანახმად, ნებას არ იძლევა მათი ეტლით გადაყვანისას.

**საექ. პროფ. სამმართველო.**

## საქართველოს ს. ს. რ. მინსახკომის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი

# „სამტრესტი“

ტფილისი, ლენინის ქ. № 32, ტელ. 3—07—62.

აერთიანებს 50 საბჭოთა მეურნეობას, 10 სამრეწვ. საწარმოს, 12 [illegible] დამამზად. პუნქტს და სხვ., რომელთაგან უმთავრ[illegible]

### მევენახეობა-მეღვინეობის განხრის საბჭოთა მეურნეობანი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) წინანდალი | 6) ხირსა | 11) კვერნაკი | 16) სომონეთი |
| 2) ნაფარეული | 7) მანავი | 12) მუხრანი | 17) ვაზის-უბანი |
| 3) მუკუზანი | 8) ყულარი | 13) ვაჭევი | 18) საჭამია-სერი |
| 4) კარდანახი | 9) გიაურ-არხი | 14) არგვეთი | 19) სალხინო |
| 5) ყვარელი | 10) ალაიანი | 15) ვარციხე | 20) ბახვი. |

### მეხილეობის განხრის საბჭოთა მეურნეობანი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) ბრეთი | 3) კიწნისი | 5) მერეთი | 7) ანაკლია. |
| 2) ვარიანი | 4) ბებნისი | 6) ახალსოფელი | |

### მებოსტნეობის განხრის საბჭოთა მეურნეობანი

1) ტობანიერი, 2) იანეთი, 3) ქარელი, 4) ყარაია, 5) ჩაქვი.

### მემინდვრეობის განხრის საბჭოთა მეურნეობანი

1) შირაქი, 2) ალაზანი.

### მეცხოველეობის განხრის საბჭოთა მეურნეობანი

1) ელდარი, 2) უდაბნო, 3) ნორიო, 4) ციხის-ჯვარი, 5) აჯამეთი.

### სავაჭრო-საწარმოო წამოწყებები:

1—2) ტფილისის ღვინის სარდაფი № 1 და № 2.
3) „ არყის სარდაფი № 5.
4) „ ძმრის სარდაფი.

### სავაჭრო განყოფილებები და საცალო ვაჭრობის ქსელი

მოსკოვში, ტაშკენტში, ოდესაში, კიევში, დნეპრო-პეტროვსკში, დონის როსტოვში, სოჭაში, ორჯონიკიძეში და საქართველოს ქალაქებში.

### ზონალური და საცდელ-სამეცნიერო სადგურები

1) საქარის მეღვინ. საცდ.-სამეცნ. სადგ.
2) სკრა-ზონალური სადგ. მეხილეობისა.
3) გიაურ-არხის მეცხვარეობის ზონალური სადგური.

**ტექნიკუმები:** 1) ბაკურციხე, 2) ენისელი.

**საბჭ. მეურნ. სასწ.-ბი:** 1) წინანდალი, 2) მუხრანი.

**სამტრესტი აბარებს სახელმწიფოს:** 1) ხორბალს, 2) მატყლს, 3) ტყავს, 4) ხორცს, 5) რძეს, 6) ხილს, 7) ბოსტნეულს და სხვ.

**ჰყიდის:** ნატურალურ ყურძნის ღვინოს, მასალას მაგარ, ტკბილ და სადესერტო ღვინოებისათვის, შამპანიურს, კონიაკებს, ლიკიორს, არაყს, კონიაკს და ღვინის სპირტს .

განსაკუთრებით რეკომენდაცია ეწევა **ყურძნის წვენს.**

**სანიმუშო ღვინის სარდაფები:** კონიაკის, არყის სახდელი და სარექტიფიკაციო ქარხნები: 1) ტფილისში, 2) წინანდალში, 3) ვარციხეში. 4) მუკუზანში, 5) ნაფარეულში, 6) გომში, 7) ზესტაფონში და სხვ.

**სამტრესტს მოეპოება საბჭოთა კავშირში უდიდესი კოლექცია ადგილობრივი და უცხოეთის ძველი ღვინოებისა.**

**საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის გამოფენებზე ტრესტის ღვინოები აღიარებულია როგორც საუკეთესო.**

## საქ. კომუნ. მეურნ. კომისარიატის საამშენებლო ტრესტი

# „საქკომუნმშენი“

მოქმედობს სათანადოთ დამტკიცებული წესდების საფუძველზე და უმაღლესი ორგანოების დირექტივებით, მოწოდებულია აწარმოოს საქ. ს. ს. რესპუბლიკის ფარგლებში **კომუნალური, საბინაო, სასკოლო, სამკურნალო, საკულტურო და სხვა ყოველგვარი არასამრეწველო ხასიათის კაპიტალური მშენებლობა.**

ტრესტი „საქკომუნმშენი“ ღებულობს თავისთავზე საამშენებლო სამუშაოების წარმოებას და შესრულებას საქ. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის მიერ 1934 წ. 20 ივლისს დამტკიცებული ტიპიური ხელშეკრულების საფუძველზე **საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და რაიონებში.**

ტრესტის „საქკომუნმშენის“ სამმართველო მოთავსებულია ქ. ტფილისში ლენინის ქ. № 11.

საკონტოკორენტო ანგარიში საქ. კომუნ. ბანკში ტფილისში № 46/2313.

ტრესტის მმართველი: **გ. გაგლოევი.**
მთავარი ინჟენერი: **ის. ვარაზაშვილი.**

---

# საქართველოს „სოიუზტრანსი“

**აწარმოებს მგზავრების და მგზავრ-მოაგარაკეების გადაზიდვას საქართველოს ქვემოდ ჩამოთვლილ რაიონებში — შემდეგი მიმართულებებით:**

1. ტფილისი — ორჯონიკიძე, მანგლისი, აღბულახი, ლიუქსემბურგი და გომბორი.
2. გორი — ჯავა, მეჯვრისხევი, ცხინვალი.
3. ბორჯომი — აბასთუმანი, ახალციხე, ახალქალაქი.
4. ქუთაისი — სამტრედია, ბაღდადი, წყალტუბო, შოვი.
5. ბათუმი — მწვანე კონცხი, მახინჯაური, ხულო.
6. ზუგდიდი — ჯვარი, მარტვილი, ანაკლია.
7. ჩოხატაური — საჯავახო.

**ამავე მიმართულებებით აწარმოებს იგი ბარგის და ტვირთის გადატანას მტკიცედ, თანახმად არსებული ტარიფის და წესებისა.**

**აწარმოებს აგრეთვე სატრანსპორტო-სასაწყობო მეურნეობას და იბარებს შესანახად საექსპედიციო ტვირთს დამტკიცებული ტარიფით და გარანტიით.**

**საქ. სოიუზტრანსის დირექცია.**

მისამართი: ქ. ტფილისი. ალმასკომის ქ. № 1.

# სამოქალაქო საჰაერო ფლოტის

## ამიერკავკასიის ტერიტორიალური სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი, რუსთაველის, 22.

**აწარმოებს ყოველდღე რეგულიარულ რეისებს მგზავრების, ტვირთის, ფოსტის გადაზიდვით და აგრეთვე ასრულებს ცალკეულ დავალებებს, როგორც მაგალითად: ექსპედიციებს, სააგიტაციო გადაფრენებს, სპეციალურ რეისებს და სხვ.**

დებს ხელშეკრულებებს ტვირთების გადაზიდვაზე დიდი პარტიობით, ადგილზე მიტანის სრული გარანტიით.

გაბარიტი ყოველგვარი (ტვირთის, ფოსტის, ბაგაჟის) არ უნდა აღემატებოდეს ზომას **30×30 — 35-დან 50×50 — 100 სანტ.**

მგზავრების, ტვირთის, ბაგაჟის გადაზიდვა სწარმოებს ქალაქიდან აეროდრომზე და უკან ჰაეროპორტის ტრანსპორტით შეღავათიან ფასებში.

### ყოველგვარი ცნობისათვის საჰაერო ტრანსპორტის, ტარიფებისა და ბილეთების შეძენის შესახებ მიმართეთ:

1) **ტფილისში:** ჰაეროპორტის საქალაქო სადგურს, კეცხოველის ქ. 2.

2) **ტფილისში:** სამმართველოში — რუსთაველის, 22, საკომერციო ექსპლოატაციის განყოფილება, ტელ. 3—51—07.

3) **ბაქოში:** მალიგინის ქ. № 14.

4) **ჰაეროპორტის უფროსებს:** განჯაში, ევლახში, ნუხაში, ზაქათალაში, ლენინაკანში, ერევანში, პიატიგორსკში, ქუთაისში, სოხუმში, აგდამში და სოჭაში.

### ტარიფები დაკლებულია

ბილეთების დაჯავშნა სწარმოებს წინასწარი განცხადებით.

ჰაეროპორტებში მოწყობილია ბუფეტები, სადაც შეიძლება საუზმისა და სადილის მიღება ზომიერ ფასებში.

მგზავრებს შორ მანძილზე მოგზაურობაში თვითმფრინავის ღამისთევის დროს ეძლევათ ნომერი და ქვეშაგები.

მიიღება განცხადებები ცალკეულ (რეისებს გარეშე) თვითმფრინავების შესაკვეთად.

ხელშეკრულებით ტვირთების დიდი პარტიების გადაზიდვა სწარმოებს შეღავათიან ფასებში.

**ა/კ. სამოქ. საჰაერო ფლ. სამმართველო.**

ღარიბ ებრაელთა დამხმარე სრულიად საქართ. კომიტეტი

# „საქართველოს ღარიბკომი“

სოცუზრუნველყოფის სახკომისარიატთან.

ცენტრალური სამართველო — ტფილისი, კომინტერნის ქ. № 5.

ტელ. 3—55—22, 3—72—80, 3—92—81.

განყოფილებები: ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, ვანში, სუჯუნაში, ბანძაში, ლაილაში, ონში, კულაშში, ქარელში, სურამში, ახალ-სენაკში, ცხინვალში, გორში, ახალციხესა და საჩხერეში.

**„საქართველოს ღარიბკომი“** ჩამოყალიბდა 1928 წელს. მისი მიზანია საქართველოს ებრაელთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის რეკონსტრუქციისათვის და მათი საწარმოო შრომაში მასობრივად ჩაბმისათვის გეგმაშეწონილ სამუშაოთა ჩატარება.

თავისი მუშაობის სპეციფიკური ხასიათის გამო, პარტიისა და ხელისუფლების მიერ დაკისრებულ მიზნებისა და ამოცანათა შესასრულებლად, **ღარიბკომმა,** დღიდგან თავისი დაარსებისა, პირდაპირი კურსი აიღო **საწარმოო წამოწყებათა** ორგანიზაციისა და განვითარების ხაზით.

6 წლის განმავლობაში „საქართველოს ღარიბკომმა“ ჩამოაყალიბა და მოაწყო 104 საწარმოო წამოწყება:

სატრიკოტაჟო ფაბრიკები, სამკერვალო წარმოებები, ფეხსაცმელების, საკონფეტო-საშაქარლამო, ლიმონადის ქარხნების, ქურქ-ბეწვეულის, საშენ მასალების, სალითონ-შტამპო, სათამაშოების სახელოსნოები, რომელთაც 1935 წლის განმავლობაში უნდა გამოუშვან 21 მილ. მანეთის ფართე მოხმარების საქონელი.

საქონელის გასაღება სწარმოებს სახვაჭრობისა და კოოპერაციის მეშვეობით.

სწარმოებს შეკვეთების მიღება შემკვეთელის ნედლეულით სამკერვალო, გემოკვებისა და ფეხსაცმელების ნაწარმის დამზადებაზე.

მიიღება სპეციალური შეკვეთები, შემკვეთელთა ნახაზებით, თუჯის-ჩამომსხმელ საწარმოთა მიერ.

ებრაელ მოსახლეობის ეკონომიურ-ყოფაცხოვრებითი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საბჭოთა კავშირის ცაკის 1933 წლ. 23 მარტის დადგენილების თანახმად **„საქართველოს ღარიბკომს“** დაწყებული აქვს სოციალისტურ ქალაქების მშენებლობა ღარიბ ებრაელთა კომპაქტურ მოსახლეობის ადგილებში.

1934 წელს საბინაო მშენებლობის მოცულობა განსაზღვრული იყო 3,5 მილიონი მანეთით, მუშაობა დაწყებულ იქნა კულაშში, ონში, ცხინვალში, ახალციხეში, და საჩხერეში.

1935 წელს მშენებლობის მოცულობა განისაზღვრება 5 მილიონი მანეთით.

# სარეწაო კოოპერაციის სრულიად საქართველოს დამზღვევ სალაროს მოქმედების უმთავრესი მაჩვენებლები
(1928/9 საოპ.-წლიდან — 1934 წ. 1/I-მდე)

| მაჩვენებლების დასახელება | 1928/1929 წლ. | 1929/30 წ. | | 1931 წ. | | 1932 წელი. | | 1933 წელი. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | აბსოლიუტ. | %%-ში წ/წ. | აბსოლიუტ. | %%-ში წ/წ. | აბსოლიუტ. | %%-ში წ/წ. | აბსოლიუტ. | %%ში წ/წ. |
| I. დაზღვეულთა რიცხვი წლის ბოლოს: | | | | | | | | | |
| ს უ ლ . . . . . . . . . . . . . . | 6.177 | 17.190 | 278,3 | 23.841 | 138,7 | 25.318 | 106,2 | 22.824 | |
| ა) მათ შორის დედაკაცები . . . . . . | 1.102 | 3.001 | 272,3 | 4.688 | 156,2 | 5.115 | 109,1 | 4,593 | |
| ბ) დაზღვეულთა საშვალო რიცხვი . . . . . | 3 266 | 12 257 | 375,3 | 21.796 | 177,8 | 24.661 | 113,1 | 22.148 | |
| II. 1. დასაზღვევ. ხელფ. ფონდი (ათას მან) . . | 2.329,0 | 9.504,0 | 408,1 | 23.538,0 | 247,7 | 33.574,8 | 124,6 | 33.517,4 | |
| 2. დასაზღვ. თვ. საშ. ხელფ. 1 დაზღ. . . . . | 59—43 | 64—52 | 108,6 | 89—99 | 169,5 | 113—45 | 126,1 | 126—08 | |
| 3. საშუალო ტარიფი . . . . . . . . . . | 10,0 | 10,0 | 100,0 | 10,4 | 104,0 | 10,8 | 103,8 | 10,8 | |
| III. შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი: | | | | | | | | | |
| 1. სულ აბსოლიუტ. (ათას მან) . . . . . . | 300,8 | 1.044,1 | 347,1 | 2.604,8 | 249,5 | 3,760,5 | 144,4 | 4.834,2 | 128,6 |
| VI. გ ა ს ა ვ ა ლ ი: | | | | | | | | | |
| 1. სულ აბსოლიუტ. (ათას მან) . . . . . . | 153,1 | 650,0 | 424,6 | 1 578,3 | 243,1 | 2.924,8 | 185,1 | 4.478,9 | |
| იგივე ერთ დაზღვეულზე . . . . . . . | 46—88 | 53—03 | 113,1 | 72—51 | 136,7 | 118—60 | 163,6 | 202—23 | |
| V. მ ა თ შ ო რ ი ს: | | | | | | | | | |
| 1. შრომის უნარ. დრ. დაკარგვა. | | | | | | | | | |
| ა) დახარჯ. თანხა (ათას მან.) . . . . . . | 18,0 | 122,6 | 681,0 | 579,7 | 472,8 | 884,9 | 152,6 | 991,8 | |
| 2. ერთდრ. დახმ. მშობიარ. დროს. | | | | | | | | | |
| ა) დახარჯულითანხა(ათას მან.) . . . . . | ცნობას არ არის | 12,1 | — | 25,2 | 208,3 | 25,9 | 102,8 | 26,5 | |
| 3. ბავშთა კვება (რძის ფული). | | | | | | | | | |
| ა) დახარჯული თანხა(ათას მან.) . . . . . | | 22,9 | — | 41,5 | 180,2 | 41.9 | 101,0 | 28,8 | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. დასამარხი დახმარება. | | | | | | | | | |
| ა) დახარჯული თანხა (ათას მან.) | | 14,4 | — | 14,1 | 97,9 | 13,5 | 95,7 | 13,7 | |
| 5. პენსიების გაცემა. | | | | | | | | | |
| ა) პენსიონერთა აბსოლ. რიცხვი . . . . . . | — | — | — | 9 | — | 84 | 933,3 | 149 | |
| ბ) დახარჯ. თანხა (ათას მან.) . . . . . . . | — | — | — | 3,0 | — | 26.2 | 874,3 | 92,4 | |
| 6. საექიმო დახმ. და საექ. კონტრ. | | | | | | | | | |
| ა) დახარჯული თანხა (ათას მან.) . . . . . | 45.9 | 236,6 | 515,5 | 433.2 | 186,1 | 600,1 | 138,5 | 649,1 | |
| 7. პროფილაქტიური დახმარება. | | | | | | | | | |
| ა) დასასვ. სახლ. გაგზ. აბსოლ. რიცხ . . . . | 86 | 323 | 375,6 | 778 | 240,9 | 1.707 | 219,4 | 1.390 | |
| ბ) კურორტ. სანატ. გაგ. აბს. რიცხვი . . . . | 39 | 150 | 384,6 | 131 | 87,3 | 195 | 148,9 | 189 | |
| გ) სულ დაიხარჯა (ათას მან). . . . . . . . | 16,7 | 65,2 | 390,4 | 115,2 | 176,7 | 326,2 | 283,2 | 570,8 | |
| 8. სოც. ყოფაცხოვრებ. ხარჯები . . . . . . | | | | | | | | | |
| ა) საბავშ. დაწესებულ. მუდმივი . . . . . . | — | — | — | 15 | — | 28 | 186,7 | 28 | |
| " " სეზონური . . . | — | — | — | 3 | — | 5 | 166,7 | 2 | |
| ბ) ბავშთა რიცხვი მათში მუდმივი . . . . | — | — | — | 760 | — | 125,2 | 164,7 | 2317 | |
| " " " სეზონური . . . . | — | — | — | 111 | — | 800 | 720,7 | 600 | |
| გ) დახარჯული თანხა (ათას მან.) . . . . . | — | — | — | 37,6 | — | 285,1 | 758,2 | 672,3 | |
| 9. ურთიერთ დახმარება: | | | | | | | | | |
| ა) ურთიერთ დახმარ. მონაწ. რიცხვი . . . | | | | 5315 | — | 12.987 | 244,3 | 17.066 | |
| ბ) გაც. დაუბრ. დახ-ის ჯამი . . . . . . . | 0,7 | 5,9 | 842,9 | 5,8 | 93,3 | 11,7 | 201,7 | 28,0 | |
| 10. დახმარ. გ. წ. არმიაში (ათას მან.) . . . | — | — | — | 45,0 | — | 93,4 | 207,6 | 78,0 | |
| 11. დანარჩენი ხარჯ. (შრ. დაცვ. სანგან. კულტ. მას. მუშ. იურ. დახმ. კადრ. მომზ.) | 2,5 | 15,4 | 616,0 | 38,1 | 247,4 | 138,7 | 364,0 | 205,2 | 147,9 |
| VI. სულ საოპერაც. ხარჯები (ათას მან) . . . | 104,0 | 495,1 | 476,1 | 1338,4 | 270,3 | 2447,6 | 182,9 | 3356,5 | 137,1 |
| იგივე ერთ დაზღვეულზე . . . . . . . . | 31—84 | 40—37 | 126,8 | 61—41 | 152,1 | 99—25 | 161,6 | 151—55 | 152,7 |
| VII. საორგანიზაციო ხარჯები . . . . . . | 49,1 | 154,9 | 315,5 | 241,9 | 156,2 | 477,2 | 197,3 | 558,7 | 117,1 |
| იგივე 1 დაზღვეულზე . . . . . . . . . | 15—04 | 12—64 | 84,0 | 11—10 | 87,8 | 19—35 | 174,3 | 25—23 | 130,4 |
| VIII. ალმშენებლობაზე დახარჯული და სხვა-. და სხვა ფონდებში გადათიცხული თანხა (ათას მან.) . . . . . . . . . . . . | 147,7 | 394,1 | 280.1 | 1024,5 | 259,7 | 835,8 | 81,6 | | 100,1 |

სრ. საქ. სარეწაო დამზღვევ სალაროთა კავშირის თავმჯდომარე:

ბ. ლა[illegible]ნაშვილი

# ამიერ-კავკასიის ჰიდრო-გეოდეზია

ლენინის ქ. № 11. ტელ. 3—23—05

ა/კ. გეოლოგო-ჰიდრო-გეოდეზიური ტრესტის ძირითად ამოცანებს შეადგენს:

1) ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის მომსახურეობა ყოველგვარი გეოლოგიურ-სამძებრო, ჰიდრო-გეოლოგიურ საბურღავ, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ სამუშაოების წარმოებით ამიერ კავკასიაში.

2) რეგულირება, კოორდინირება და ხელმძღვანელობა ყველა გეოლოგიურ-სამძებრო, ტოპოგრაფიულ და კარტოგრაფიულ სამუშაოებისა, რაც სწარმოებს ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე სხვადასხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ (გარდა აზნავთისა).

3) სახელმწიფო მეთვალყურეობის გაწევა ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე არსებულ ყველა სამოქალაქო უწყების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მიერ წარმოებულ სატოპოგრაფიო-საგეოდეზიო და საკარტოგრაფიო სამუშაოთა ღირსებისათვის, მათ მიერ საერთო სახელმწიფოებრივ წესებისა და ინსტრუქციების დაცვისათვის ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შესრულების დროს და აგრეთვე მათ მიერ სათანადო ინსტრუმენტარიებისა და ხელსაწყოების წესიერი გამოყენებისათვის.

4) მოკრება, აღნუსხვა და სისტემატიზაცია გეოლოგიურ სამძებრო, ჰიდროგეოლოგიურ, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ მასალებისა ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მომქმედ სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ მუშაობათა შესახებ, და გაცემა ყოველგვარი ცნობებისა მათ შესახებ დაინტერესებულ ორგანიზაციებისათვის.

ა/კ. გეოლოგიურ-ჰიდრო-გეოდეზიური ტრესტი

---

# სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

აცნობებს დაწესებულებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს, რომ შრომის ხელფასის მიღებისას, ისინი ვალდებული არიან წარუდგინონ სახბანკის იმ ფილიალებს, სადაც არის მათი საანგარიშსწორებო ან მიმდინარე ანგარიშები, დაწესებული ფორმის ბრძანებები 3 ეგზემპლარად, დარგობრივი დაზღვევის სალაროში, იმ პერიოდის ანარიცხების გადარიცხვის შესახებ რომელზედაც გასაცემია შრომის ხელფასი.

ასეთ ბრძანებათა წარმოუდგენლად საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და მისი ფილიალები არავითარ შემთხვევაში არ გასცემენ ხელფასს. ბრძანებებში ნაჩვენები უნდა იყოს დარგობრივი დაზღვევის სალაროს სწორი ნომერი და სახელწოდება.

---

# სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

აცხადებს, რომ ყველა დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია, რომელთაც აქვთ კანტორაში ან რაიონულ ფილიალებში საანგარიშსწორებო ან მიმდინარე ანგარიშები, ვალდებული არიან დაუდასტურონ ბანკს (დაწესებული ფორმის ბლანკებზე) არა უგვიანეს თვის 10 რიცხვისა, თავისი ანგარიშების ნაშთების სისწორე, ამავე თვის 1 რიცხვის მდგომარეობის მიხედვით შედგენილი ავიზოს ამონაწერების შესაბამისად.

დაწესებულებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს, რომელთაც არ ექნებათ ვადაზე წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ბრძანებები, არ მიეცემათ ნაღდი ფული და ყოველგვარი ჩამოწერები მათი ანგარიშგებიდან (გარდა იძულებითი და უდავო ჩამოწერებისა) შეწყვეტილი იქნება.

# საქართველოს ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამართველოს

## კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპევტიის
## კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის

ტფილისი, ლენინის ქ. № 49.

**ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელისა.**

**დილით 9 ს. — 1½-მდე**

შინაგანი სნეულებანი
ქალთა სნეულებანი
ნერვიული სნეულებანი

**საღამოს 5 ს. — 9 ს-მდე.**

შინაგანი სნეულებანი
ნერვიული სნეულებანი
ბავშთა სნეულებანი
კანისა და ვენერიული სნეულებანი
ქალთა სნეულებანი
ქირურგიული სნეულებანი
ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი
პირის ღრუს და კბილების სნეულებანი

**კონსულტაცია ყველა სპეციალობის დარგში. ფიზიკური მეთოდით მკურნალობის ყველა სახეები. ამბულატორია და სტაციონალური მკურნალობა.**

ელექტროთერაპია
შუქით მკურნალობა
რენტგენო-რადიოთერაპია
მექანოთერაპია
წყლით ეჭიმობა
ნახშირმჟავა აბაზანები
ტალახით მკურნალობა
ინგოლაცია
რენტგენო-დიაგნოსტიკა
მასაჟი.

**ინსტიტუტი იღებს სამუშაოებს ცალკე კურორტების შესასწავლად.**

ინსტიტუტის დირექტორი: ი. კონიაშვილი.

ბიბლიოთეკა

**საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „გლავენერგო“

**ხრამის ჰიდრო-ელექტრო სადგურის მშენებლობა „ხრამჰესი“**

ტფილისი, უნივერსიტეტის ქ. № 23. ტელ. 3—17—20

**მშენებლობისათვის სასწრაფოდ საჭიროა შემდეგი მოწყობილობანი:**

1. **ხრეშის სამტვრევი** — მ/საათში 7 კბ-მდე წარმადობით.

მაგარი ჯიშების სამტვრევად, რომ მიღებულ იქნეს სილა ზომით 1 მმ-მდე.

2. სადგუშო და ცენტრმსრბოლი ტუმბოები მაღალი წნევისა, 15 ატმ-დე წნევით.

3. პირველადი ძრავები 50 ცხ. ძალისა.

4. მოძრავი კომპრესორები 10 ამტ-დე წარმადობა 10 კბ. მ/წამ.

5. გენერატორები ცვალებადი და მუდმივი დენისა 60 კილოვატამდე ძალისა.

6. ჰიდრავლიური ტუმბოები ქვავებისა და მილების გაყვანილობათა გამოსაცდელად, 30 ატმ.-დე წნევით.

აგრეთვე საჭიროა სხვა მოწყობილობაც მშენებლობისათვის, როგორც მაგ.: ამწევი ონკანები, ქვაბები და სხვ. რკინის მილები, რკინა, ელექტრო მასალები და სხვ.

წინადადებით მიმართეთ ხრამჰესის საწარმოო-საგეგმო განყოფილებას.

**ხრამჰესის მშენებლობის სამართველო.**

## ს|ზ. „ზაგოტზერნოს“

## საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

**ქ. ტფილისი, პლეხანოვის პრ. № 108**

ღებულობს და ინახავს მარცვლოვან, ზეთოვან და საფურაჟე კულტურებს და ამ კულტურით ამარაგებს ცენტრალიზებულ მომხმარებლებს.

# „მნათობი“-ს
# ხელისმომწერთა საყურადღებოდ

## 1935 წლის განმავლობაში ჟურნალი „მნათობი“ გამოვა 12 ნომერი 12 წიგნად

**ხელისმოწერა ჟურნალზე მიიღება „სახელგამი“-ს პერიოდსექტორში**

(ტფილისი, კიროვის ქ. № 7)

ფოსტის განყოფილებებში, „სახელგამის“-ს მაღაზიებში, „სოიუზპეჩატი“-ს რწმუნებულებთან და ფაბრ-ქარხადგილკომებთან წარმოებებში

**„მნათობი“-ს** რედაქციას და გამომცემლობას გადამჭრელი ზომები აქვს მიღებული იმისათვის, რომ 1935 წლის განმავლობაში **თავის დროზე გამოვიდეს ჟურნალი და ყოველ თვის ბოლოს დაუყოვნებლივ ჩაბარდეს ხელისმომწერლებს**

ჟურნალი იბეჭდება განსაზღვრული ტირაჟით და ამიტომ აუცილებლად საჭიროა **ხელისმოწერა ჟურნალზე დროულად ჩატარდეს**

ჟურნალის შეუფერხებლად მიწოდებისათვის საჭიროა **მიუღებლობის ან დაგვიანების ყოველ შემთხვევის შესახებ ხელისმომწერლებმა უშუალოდ მოგვმართონ რედაქციაში**

(ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13)

**პირადად ან წერილობით**

**„მნათობი“-ს რედაქცია და გამომცემლობა**